რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ

# მოამბე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეხუთე

55034

№ VIII

აგვისტო, 1898

Тбилисский филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

ტფილისი
სტამბა წიგ.გამ.ქართ.ამხანაგობისა ТИП.ГРУЗ.ИЗД.Т—ВА.
1898

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 сентября 1898 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


გვ.

I—კორიოლანოს.—ხუთ მოქმედებიანი ტრაგედია, უილიამ შექსპირისა, თარგმანი თ. ი. მაჩაბლისა . 1

II—საშინელი წამი. — პოლ - მარგერიტისა, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა . . . . . . 54

III—ნამდვილი სამსახური.—ი. პოტაპენკოსი, თარგმანი ეფროსინე კლდიაშვილისა . . . . 61

IV—***—ლექსი, შ. მღვიმელისა . . . . 102

V—გლეხი-კაცის ისტორია.—ერკმან-შატრიანისა, დასასრული მესამის და დასაწყისი უკანასკნელი ნაწილისა. თარგმანი ი. მაჭავარიანისა . . . 109

VI—ყალბი ფაური.—კლემანს იუნოშისა, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა. . . . . . . 141

VII—ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან.—წერილი მეოთხე: თ. ი. ჭავჭავაძე. კიტა აბაშიძისა . 1

VIII—ნოყიერი და გემრიელი ნივთიერებანი. — პროფ. რ. გირხოვისა, თარგმანი ს. ენუქიძისა. . . 33

IX—სამრევლო სკოლები გურია-სამეგრელოს ეპარქიაში.—თ. სახოკიასი . . . . . 54

X—ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ მეორის უმაღლესი რესკრიპტი კ. ი. გმელიშვილისა. . . 63

ეროვნული ბიბლიოთეკა

**XI—კრიტიკა და ბიბლიოგრაფია:**—I ხალხური ანდაზები და გამოცანები, შეკრებილი და გამოცემული სოსიკო მერკვილაძისაგან, ტფილისი 1898 წ., 66 გვ. in 16°, ფასი ორი შაური. II Тифлисское церковное древнехранилище, Т. 1898. 106 გვ. (ტფილისის საეკკლესიო ძველ ნაშთთა საცავი). III დიდ ოთხშაბათი, პოემა იასონ ციციშვილისა, ტფ. 1898 წ. გვერდი 31, ფასი ორი შაური. IV უმთავრესი მიზეზი საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა, ზ. ჭ.—სა, ტფ. 1898 წ. ფასი 25 კაპ. V სადღეგრძელოები, „გლეხის“ გამოცემა, № 7, ტფ. 1898 წ., 28 გვერდი, ფასი ერთი შაური. S—a-სი . . . . . 75

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სარდალი, თუ ჯერ არა?

**შიკ.** არ უომნიათ,

თუმცა ერთმანეთს პირის-პირად, ახლო უდგანან.

**ლარც.** მაშ შენი ცხენი ჩემი არის.

**მარც.** მევე ვყიდულობ.

**ლარც.** ვერც მოგყიდი და ვერც გაჩუქებ, ვადით გათხოვებ
ერთ ორმოც და ათ წელიწადს.—უხმეთ ქალაქელთ.

**მარც.** ჯარი შორს არის?

**შიკ.** მილ-ნახევრის მანძილზედა სდგას.

**მარც.** მაშ ხმა მოგვივა მათის ჩხუბის, იმათ—ჩვენისა.
დიდო მარეხო, მოგვისწრაფე ამ ბრძოლის ჟამი,
რომ გავექანოთ ჯერედ კიდევ ორთქლიან ხმლებით
ჩვენთა მეგობართ მისაშველად.—უხმეთ ქალაქელთ.

(ბუკს უკვრენ. კედლებზედ გადმოსდგებიან სენატორნი და სხვა მოქალაქენი).

ტულ ავფიდიოს ქალაქშია?

**1 სენატ.** აქ არც ის არის
და არც სხვა ვინმე, რომელს თქვენი იოტის ტოლი
შიში რამ ჰქონდეს. (შორიდან დაფდაფის ხმა მოისმის)
რომაელნო, გესმისთ დაფის ხმა?
იგი ჩვენ ჭაბუკთ ბრძოლად იწვევს. ამ კედლებს ჩვენვე
შუა გავაპობთ და გამოვალთ მათ დანგრევამდე;
ნურც ეს კარები გეგონებათ ჩაკეტილები,
წალამ-გაყრილი არის მხოლოდ, თვითვე იღება.

(შორიდან ბრძოლის ხმაურობა მოისმის)

არ გეყურებათ, ავფიდიოსს დაუფრენია
თქვენი ლაშკარი.

**მარც.** ომის ხმაა.

**ლარც.** შემოეკრიბოთ
ჩვენც სიმამაცე. კიბეები მოიტათ ჩქარა!

(ვოლსკნი საბრძოლველად გამოდიან).

**მარც.** არ ეშინიანთ, დაანებეს ქალაქსაც თავი!
ოჰ, აიყუდეთ, რომაელნო ფარნი გულებ წინ,

55034



Тбилисский филиал Библиотека

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანიც სიმტკიცით თვითონ ფარის ფოლადს მეტობენ.
მამაცო ტიტოს, წადეგი წინ. როგორა, უნდა
მტერმა აბუჩად აგვიგდოს ჩვენ! ბრაზით ოფლს მასხავს.
მოდით ვაჟ-კაცნო, ვინც დაიხევს, ვოლსკად მივიჩნევ
და ვაგრძნობინებ ჩემის ხმალის პირს.

(რომაელნი და ვოლსკნი ბრძოლით გადიან, რომაელთ დაამარცხებენ და თავიანთ თხრილებამდე გარეკენ. მარციოს შემობრუნდება.)

**მარც.** ქირმა წაგიღოთ!
დიდ რომს თავს ლაფი გადაასხით, თქვე პირუტყვებო.
მოგიდნოთ სნებამ, წყლულ იარამ, რომ უხილავად
თქვენდამი გრძნობდნენ ზიზღს შორიდან, მილის მანძილზედ;
ერთი-ერთმანეთს აყროლებდეთ, აბინძურებდეთ!
კაცის სახე გძევთ, მაგრამ გული ბატისა გჩრიათ.
გამოუქეცით მონათ ხროვას, რომელსაც თითონ
მაიმუნებიც დაიფრენდნენ. ოჰ, ჯოჯოხეთო!
დაგწითლებიათ ზურგნი ცემით და სახეზედ კი
გაყვითლებულხართ მეტის შიშით. შემოიკრიფეთ,
ძალი და ღონე, შეუტიეთ, თორემ ცას ვფიცავ,
მტერს დავეხსნები, თქვენ შეგებრძვით. აბა, ეცადეთ!
თუ გამაგრდებით, დავირეკავთ მათ ცოლშვილამდე,
როგორც თხრილები წელან მაგათ მოგვანახვინეს.
წამოდით, მომყეთ!

(ომის ხმაურობაა. შემოდიან ვოლსკნი და რომაელნი; ბრძოლა განახლდება. ვოლსკნი კორიოლში შევლენ, მარციოს კარებამდე მიჰყვება.)

აი, ხედავთ, კარი ღიაა.
მარჯვე დრო არის: ეგ კარები ბედმა გაგვიღო
ჩვენ გამარჯვებულთ და არა მათ გაქცეულ ვოლსკებს.
რასაც მე ვიზამ, თქვენც ის ჰქმენით. (შევარდება კარებში.)

**1 ჯ.-კაცი.** მე ვერ გავბედავ.
ეგ თავზედ ხელის აღებაა.

**2 ჯ.-კაცი.** ვერც მე.

(მარციოსს შიგ ჩაჰკეტენ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 ჯ.-კაცი. არ ჰხედავთ,
მარციუსს კარი ჩაუკეტეს.

ყველანი. დაღუპულია!

(ომის ხმაურობა კვლავ მოისმის. შემოდის ტიტუს ლარციუს.

ლარც. ნეტა რა იქნა მარციუსი?

ყველანი. მკვდარი იქნება,
უეჭველია.

1 ჯ.-კაცი. გაქცეულებს უკან მისდევდა
და ქალაქშივე შეეჭრა მათ. შესვლის უმალვე
კარი მოჰკეტეს და მარტოკა შიგ მოიმწყვდიეს.

ლარც. კეთილშობილო ქმნილებაო! უშიშროებით
შენ, გრძნობიერი, თვით უგრძნობელ ხმალსაც სჭარბობდი
და მედგრად იდეგ, როცა იგი იზნიქებოდა.
აღარა გვყავხარ, ოჰ, მარციუს! თვალი ძვირფასი,
თუნდ შენი წონა, სიკეთით ვერ შეგედრებოდა.
კატოს სურვილზედ გამოჭრილი ვაჟკაცი იყავ,
განა მძვინვარე და საშიში მარტო მკლავითა!
არა, მრისხანედ თვალთ გარე რომ მიმოავლებდი
და შენს მქუხარე ხმას ასმენდი, ძრწოდნენ მთლად მტერნი,
თითქო ციება შეხვდა მიწას და ძაგძაგებსო.

(მარციუს დაბრუნდება სისხლში შესვრილი, მტერი უკან მოსდევს.)

1 ჯარ.-კ. აი, მარციუს!

ლარც. ის არის, ის! მოდით ვუშველოთ,
ანუ დავიხსნათ, ან ჩვენც მასთან დავდოთ თავები.

(იბრძვიან და ისე შედიან ქალაქში.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სურათი V

ქუჩა კორიოლში.

(შემოდის რამდენიმე რომაელი და თან ნაალაფევი მოაქვთ.)

1 **რომაელი.** რომში წავიღებ მე ამასა.
2 **რომ.** აი, მეც ამას.
3 **რომ.** დასწყევლოს ღმერთმა, ეს ოხერი ვერცხლი მეგონა.

(შორიდან კიდევ ომის ხმაურობა ისმის. შემოდიან მარციოს და ტიტოს ლარციოს. თან მეზურნე მოსდევს.)

**მარც.** ერთი დახედეთ ამ ვაჟბატონებს! დამტვრეულ დრაქმას
არ მივცემ ამათ საქონელში. დაუხედეთ,
კალის კოვზები, ბალიშები, ნაყარ-ნუყარი
რკინეულობა, მჩვრები, რასაც თვითონ ჯალათი
არ მოჰკიდებდა ხელს და მიწას ჩაჰფლავდა მკვდართან;
არ მოუცდიათ ამ საზიზღართ იმ დრომდე მაინც,
რომ ბრძოლას ბოლო მოჰღებოდა. დაიკარგენით!—
ომის კიჟინი ისმის აგერ; იქ გავეშუროთ,
რომაელებზედ იქ მძვინვარებს ავფიდიოსი,
იგი მოსისხლე მტერი ჩემი. მამაცო ტიტოს,
შენ ამ ქალაქის მცველად დარჩი საჭირო ჯარით
და ვისაც გული ბრძოლად ერჩის, მე თან წავიყვან,
მივეშველები კომინიოსს.
**ლარც.** შენ სისხლი დაგდის;
ჯაფა დაგადგა მეტად დიდი და ხელმეორედ
როგორღა შესძლებ ომში შესვლას!
**მარც.** ტყუილად მაქებ;
ჯერ რიგიანად ომის ცეცხლი არ მომდებია.
მშვიდობით, ტიტოს. ჩემთვის სისხლი უფრო სარგოა,
ვიდრე მავნები. სწორედ ასე სისხლში შესვრილი
შევებრძოლები ავფიდიოსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლარც. სვე-ბედნიერად
იმყოფებოდე მუდამ ჟამსა და შენთა მტერთა
ხმლებს გზები სრულად დაუბნიოს მუხთალმა ბედმა.
ნუ მოგკლებია გამარჯვება, მამაცთ-მამაცო!

მარც. და შენც განგება ყოველ დრო-ჟამს გწყალობდეს ისე,
როგორც სწყალობს თვის არჩეულთ.

ლარც. ღირსო მარციოს!—
(მარციოს გადის).
წადი და ბუკს ჰკარ მოედანზედ. ქალაქის უფროსთ
უხმე იქ ყველას, გვსურს, ვაცნობოთ ჩვენი წადილი.
(გადიან)

## სურათი VI

კომინიოსის ბანაკს ახლო.

(შემოდიან კომინიოს და ჯარები ბრძოლიდან დაბრუნებულნი)

კომ. გერგებათ, ძმებო, შესვენება; ისე ვიბრძოლეთ,
როგორც შეჰფერის რომაელთა: არც უგუნურად
მტერს ვესეოდით, არც მხდლებივით ვიწევდით უკან.
კიდევ შეგვხვდება მალე ბრძოლა. ხან-გამოშვებით
ჩვენთა მეგობართ ბანაკიდან იქაურ ბრძოლის
ხმა ქარს მოჰქონდა. ოჰ, ძლიერნო რომაელთ ღმერთნო,
შეეწიე მათ, როგორც ჩვენ გვსურს შენგან შეწევნა,
რომ პირზედ ღიმით ორივ ჯარი შეხვდეს ერთმანეთს
და შემოგწირონ ორთავ მსხვერპლი სამადლობელი.—
(შემოდის შიკრიკი)
რა ამბავია?

შიკრ. კორიოლის მოქალაქენი
ქალაქით გარე გამოვიდნენ და შეებრძოლნენ
ტიტ ლარციოსსა და მარციოსს. ჩვენები დასძრეს,
თხრილზედ მირეკეს და მეც აქეთ გამოვეშურე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომ. არ მომწონს შენი სიტყვა, თუნდაც მართალი იყოს.
მას აქეთ ბევრმა ხანმა განვლო?

შიკრ. ერთ საათამდე.

კომ. ეს არის ეხლა მათ დაფ-დაფის ხმა აქ მოგვესმა,
ერთ მილზედ მეტი არ იქნება სულ ეს მანძილი
და ასე მოკლე გზას საათი რად მოანდომე?

შიკრ. უკან ვოლსკელთა ჯაშუშები გამომედევნენ
და სამ ოთხ მილზედ მოვუხვიე, თორემ ამ ამბავს
ნახევარ საათს მოგიტანდით.

კომ. ეს ვინა მოჩანს
სისხლში გათხვრილი? ღმერთნო, იგი მარციოსსა ჰგავს,
რამდენჯერ ეგრედ მინახავს მე.

მარც. (გარედან.) დავიგვიანე?

კომ. ქუხილის ხმასა და დაფისას თვითონ მეცხვარე
ისე ადვილად ვერ გაარჩევს, ვით მე გავარჩევ
მარციოსის ხმას სხვა მოკვდავთა ჩვეულის ხმისგან.
(მარციოს შემოდის.)

მარც. დავიგვიანე?

კომ. დიაღაც, თუ აგრე გაგთხვარა
შენმავე სისხლმა, არა სხვისამ.

მარც. ოჰ, მოდი ძმაო,
მინდა მოგეჭდო მაგრად ყელზედ, ვით გულის სატრფოს;
მიხარის შენი ნახვა ისე, ვით საქორწილო
ნადიმის შემდეგ გაჩაღებულ საწოლთან მისვლა.

კომ. მებრძოლთ მშვენებავ, ტიტ ლარციოს ეხლა სად არის?

მარც. გართული არის ბრძანებებში: ზოგთ სიკვდილით სჯის,
ზოგთა მსჯავრსა სდებს განდევნისას, ზოგთა იწყნარებს,
ანუ უნიშნავს დასასხნელად სასყიდელს რასმე.
რომის სახელით კორიოლი დაპყრობილი აქვს
და ხელთ უჭირავს მის მცხოვრებნი მორჩილად ისე,
ვით მონადირეს დაბმულ მწევარ-მეძებართ ხროვა.

კომ. რა იქმნა მონა, რომ მაცნობა, ვითომ თქვენ იმათ
თქვენს თხრილებამდე დაერეკოთ? აქ დამიძახეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მარც.** მართალი უთქვამს, ნურას ერჩი; პატრიციები
იბრძოდნენ მხოლოდ, ხალხის ბრბო კი,—ღმერთთა დასწ-
კიდევ მიართვით ტრიბუნები!—გაუფრთხა ისე [ყველონ!
თვისზედ უარესს წუწკთა ვოლსკელთა, როგორც თაგვიც კი
არ უფრთხის კატას.

**კომ.** გამარჯვება მაშ როგორ დაგრჩათ?

**მარც.** თქმის დრო კი არის? არა ვგონებ. მტერი სადა სდგას?
დაეპატრონეთ ომის ველსა? თუ არა, ბრძოლა
რისთვის შესწყვიტეთ?

**კომ.** ბოლო კიდევ სათუო არის,
ჩვენ დავიწიეთ საქმის უკეთ მოსაგვარებლად.

**მარც.** განწყობილება როგორი აქვს? ან უმჯობესი
ჯარები საით უყენია?

**კომ.** თუ არა ვცდები,
ანციელები, ლაშქრის რაზმი საუკეთესო,
პირველ რიგში სდგას. მას ბრძანებლობს ავფიდიოსი
მათი დიდება და იმედი.

**მარც.** ოჰ, გევედრები,
გაფიცებ ბრძოლებს მე და შენგან ერთად გამოვლილს,
ერთად დაღვრილს სისხლს და ჩვენს ძმურსა მეგობრულს აღ-
რომ პირისპირად დამაყენო ავფიდიოსთან [თქმას,
და მის ანციელ მეომრებთან. ნულარც აყოვნებ;
მოგვეცი ნება, რომ ამ წამსვე ჰაერში ხმლები
გავაკრიალოთ და ისრეში ვამოციქულოთ.

**კომ.** თუმცა ის უფრო გეკუთვნოდა, თბილს აბანოში
ნელსაცხებელით დაემშვიდეთ, მაგრამ შენ უარს
ვერ გაგიბედავ მე ჩემს დღეში. აჰა, ამ ჯარში
ამოარჩიე რომელიც კი გამოგადგება.

**მარც.** მე იმას ვირჩევ, ვისაც ჩემთან წამოყოლა სურს.
თუ თქვენში არის,—ცოდოც კია რომა ვკითხულობ,—
მისთანა ვინმე, ვისაც მოსწონს ეს ჩემი სისხლით
მოკაზმულობა; უფრთხილდება ნაკლებ სიცოცხლეს,
ვიდრე გატეხას სახელისას; ვინც ვაჟკაცურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის გაწირვას არჩევს წუწკად აქ ლოლიალსა.
და ვისაც უყვარს თვის სამშობლო თვის თავზედ მეტად,
იმან, ან იმათ ეს სურვილი მითი გამოსთქვან,
რომ ხმლები მაღლა აიქნიონ და მე წამომყვნენ.

(ყველანი ხმლებს ჰაერში აიტანენ, დასცემენ კიჟინას, აიტაცებენ ხელში მარციოსს და ქუდებს მაღლა ისვრიან.)

კარგი, გამიშვით, მე ხომ თქვენი ხმალი არა ვარ.
თუ ნამდვილია ემაგ გრძნობათ გამოჩვენება,
გაუსწორდებით თითო ოთხს ვოლსკს; თვით ავფიდიოსს
ყველა თქვენგანი დაუხვდება ხმალ-და-ხმალ მედგრად.
ვმადლობ თუმც ყველას, მაგრამ ჩემთვის საჭირონი ხართ
მხოლოდ ცოტანი, სხვებს ჯეროვანს საქმეს გაგიჩენთ
სხვა დროს, სხვა ომში. აბა, მოდით; ოთხს თქვენგანს ვანდობ
წამოსაყოლად ამორჩევას მსურველთა შორის.

**კომ.** გასწიეთ, ძმებო, გაგვიმართლეთ თქვენი იმედი
და ყველაფერში ჩვენთან ერთად ჩაიდებთ წილსა.

(გადიან.)

## სურათი VII

კორიოლის კარებ წინ.

(ტიტოს ლარციოს აყენებს დარაჯს კორიოლში და მიდის დაფ-ნაღარით კომინიოსის და კაიოს მარციოსის მისაშველებლად. თან ახლავს თანაშემწე, ჯარის-კაცნი და გზის-მაჩვენებელი).

**ლარც.** ამ კარებს კარგად უდარაჯეთ; როგორც გიბრძანეთ,
სწორედ ამგვარად მოიქეცით. თუ კი გაცნობეთ,
მაშინ ის რაზმნი გამოგზავნეთ მოსაშველებლად.
დანარჩენ ჯარით შეიოკეთ თქვენ კორიოლი
მხოლოდ ცოტა ხანს; თუ წავაგებთ ბრძოლას მინდორზედ,
ვერ შევიმაგრებთ ვეღარც ქალაქს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თანაშემწე.** ნუ გეფიქრებათ.
**ლარტ.** კარები ეხლავ გადაჰკეტეთ.—კაცო, წავიძელ,
ეცადე, მალე მიგვიყვანო რომაელთ ბანაკს. (გადიან).

## სურათი VIII

ბრძოლის ველი რომაელთა და ვოლსკთა ბანაკს შუა.

(ომის ხმაურობაა. შემოდიან სხვა-და-სხვა მხრიდან მარციოს და ავფიდიოს).

**მარც.** მე სხვას არ ვებრძვი, თუ არ შენა. ფიცის გამტეხზედ
ნაკლებ არ მძაგხარ.
**ავფ.** სიძულვილში არ ჩამოგრჩები.
მთელს აფრიკაში არა ბუდობს ქვემძრომი გველი,
რომ ისე მძულდეს, როგორც შენი დიდება მე მშურს.
დადექი მაგრად.
**მარც.** ვინც პირველი მოიცვლის ფეხსა,
შერისხონ ღმერთთა და გარდაქმნან მეორის მონად.
**ავფ.** თუ გავიქცევი, როგორც კურდღელს, ისე მიყივლე.
**მარც.** სამი საათი კორიოლის კედლებ შიგნიდან
ვიბრძოდი მარტო, რაცა მსურდა, მას ჩავდიოდი,
შენ ნუ გგონია, რომ ეს სისხლი მე მეკუთვნოდეს;
ამიტომ გიწვევ, ავფიდიოს, მედგრად მომვარდე
აღტყინებული ამდენ ჯავრის ამოსაყრელად.
**ავფ.** თვით ჰექტორიც რომ იყო, შენთა მკვეხარ წინაპართ
სულთამხუთავი, მაშინაც კი არ გაგექცევი.—

(იბრძვიან. ზოგიერთნი ვოლსკნი ავფიდიოსს მიეშველებიან).

ვითომა მშველით, უფრო მარცხვენთ, თქვე დაწყევლილნო!

(გადიან ბრძოლით. მარციოს მოერევა და უკას მისდევს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სურათი IX

რომაელთა ბანაკი.

(ალიაქოთია. ისმის ხმა ბანაკში მიწვევისა. შემოდიან ბუკ-ნაღარით ერთის მხრიდან კომინიოს და რომაელნი, მეორე მხრიდან მარციოს მკლავ-შეხვეული და სხვა რომაელნი).

კომ. რაც დღეს შენა ჰქმენ, რომ მოგითხრო, არ დამიჯერებ,
მაგრამ ამ ამბავს განვუცხადებ მე სენატორთა,
მოვასმენინებ ცრემლ-მორეულთ პირზედ ღიმილით.
იქ დიდებულნი რომაელნი ცას ეწევიან
განცვიფრებულნი; იმათ ცოლთა, იმათ ქალი-შვილთ
სიხარულითა გააჟრჟოლებთ და მოუთმენლად
მოინდომებენ მოსმენასა კიდევ და კიდევ.
იქ უნებურად პლებთა ხროვა და მათ ტრიბუნნი
შენის სახელის მოგულენი ასე იტყვიან:
მადლი ღმერთთ, რომელთ ეს ვაჟკაცი მოგვივლინესო.—

(შემოდის ტიტოს ლარციოს ჯარითურთ მტრის დევნის შემდეგ.)

ნადიმის ბოლოს მოგვისწარი, თუმცა შენ თითონ
მთელი მეჯლისი გადაიხადე.
ლარც. დიდო სარდალო!
აი ეს არის ბედაური, ჩვენ რახტნი-და ვართ.
ოჰ, რომ გენახა.....
მარც. კარგი, კმარა. არ მიამება
თვით დედისაგან ქება, თუმცა რა საძრახია,
მოიხსენიოს თვის სისხლ-ხორცი კარგად მშობელმა.
მე რაც შემეძლო, იგი ვქმენი ისე, როგორც თქვენ,
თქვენებრ სამშობლოს სიყვარული მასულდგმულებდა
და ვინც კი ძალა დაატანა ცოტა თვის სურვილს,
ქმნა ჩემზედ მეტი.
კომ. შენს ღვაწლს ჩვენ ვერ დაგამალვინებთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იცოდეს რომმა თავის შვილთა საქმენი.
ეგ ძარცვა-რბევას ეგვანება, ცილის-წამებას,
არ გავამჟღავნოთ იგი, რაც ჰქმენ და რასაც ქება
უმწვერვალესი ვერ შესწვდება მუხლებამდისაც.
გთხოვ, მომცე ნება, მთელს ჩვენს ლაშქარს ვაუწყო რაც
მათ საცოდნელად, განა მისთვის ჯილდო მოგიწყოთ. [ხარ,

**მარც.** მე ცოტაოდნად დაჭრილი ვარ და ჭრილობები
ამტკივა რაკი გამახსენებთ.

**კომ.** თუ დავივიწყეთ,
უმადურება გაამწვავებს პირიქით უფრო,
უფრო დაშხამავს სასიკვდილოდ. მაშ მოისმინე:
რაც ბრძოლის ველზედ, ან ქალაქში საუნჯე გვერგო,
მის მეათედი შენ გეკუთვნის განცალკევებით,
შენს ნებაზედვე აარჩიე და დანარჩენს ჩვენ
გავანაწილებთ ჩვეულებრივ.

**მარც.** გმადლობ, სარდალო,
მაგრამ სასყიდელს მე ჩემს ხმალსა როდი ვაკადრებ,
წილი მომეცით სხვებთან ერთად, ესეცა კმარა.

საყვირის ხანგრძლივი ხმა. ყველანი ჰყვირიან: მარციოს, მარციოს! ისვრიან მაღლა ქუდებს და ხმლებს იქნევენ. **მარციოს** და **ლარციოს** მუზარადებს იხდიან.)

ხმაც ჩასწყვეტიათ ამ საკრავთა თქვენგან შერცხვენილთ!
თუ ბუკ-საყვირნი ომშიაც კი პირმოთნეობენ,
მაშინ ცბიერი მლიქვნელობა ხომ წარღვნის სრულად
სასახლეებსა და ქალაქებს. თუ კი ფოლადი
რბილ აბრეშუმად გადიქცევა, სჯობს რომ მეომართ
მისი საბნები მოუქსოვოთ. გეყოფათ-მეთქი!
რაო, ვითომა, რაკი სისხლი ვერ შევიწმინდე
ცხვირით ნადენი, ან საბრალო ხალხი დავხოცე,
რომელთაც ბევრი თქვენ შორისაც მოერეოდა,
იმისთვის უნდა მომეგებოთ ამ ზეიმით!
თითქო მცირე ღვაწლს ჩემსას თავის განსადიდებლად
ტყუილის ქებით შეზავება ეპირებოდეს.

**კომ.** მეტად თავმდაბლობ და სასტიკად ექცევი მაგ ღვაწლს.
არა გსურს, მადლი გვითხრა მისთვის, რასაც გაკუთნებთ
შენ ღირსეულად. ნება მოგვეც, რაკი აგრეა,
რაკი შენ თითონ შენს თავსა მტრობ, მაგრად შეგბოჭოთ
და ძალის-ძალად ეს სათქმელი მოგასმენინოთ.
მთელმა ქვეყანამ უწყოდეს, რომ გამმარჯვებელი
დღევანდელს ომში არის მხოლოდ კაი მარციოს,
რის ნიშნადაც ჩემს ძვირფასს რაშს მთელს ბანაკში განთქ-
თავის ყოველ-გვარ მორთულობით საჩუქრად ვაძლევ. [მულს
დღეიდან ამას კორიოლში ნაღვაწისათვის
ვაშას ძახილით და კიჟინით აღტაცებულად
ვუხმოთ კაიოს მარციოსი კორიოლანოს!
(ბუკ-ნაღარისა და დაფდაფის ხმა.)

**ყველანი** (ყვირიან). ვაში კაიოსს მარციოსსა კორიოლანოსს!

**კორიოლ.** წავალ, დავიბან პირს რომ ნახოთ, გავწითლდი თუ არ;
ცხენისთვის გმადლობ, შესაჯდომად გამომადგება,
კვლავაც ვეცდები ყოველ ჩემის ღონისძიებით
მეტი წოდება ღირსეულად დავიმსახურო.

**კომ.** ეხლა წავიდეთ ჩვენს კარვებში; დასვენებამდე
ომის კეთილად დასრულება მსურს რომს ვაცნობო.
შენ, ტიტ ლარციოს, კორიოლში დაბრუნდი ისევ
და გამოგზავნე რომში ჩვენთან რჩეულნი პირნი,
რომ ორივ მხარის სასარგებლო პირობა შევკრათ.

**ლარც.** რასაც მიბრძანებ, ავასრულებ.

**კორ.** სწორედ მასხარად
მსახვენ ღმერთნი: ხელმწიფური ჯილდო უარ-ვყავ
და ეხლავ უნდა შევაწუხო სარდალი თხოვნით.

**კომ.** მიიღე ბარემ წინდაწინვე, რასაც თხოულობ.

**კორ.** ერთ ღარიბ კაცთან კორიოლში ვყოფილვარ ხშირად,
იგი მე კარგად მეპყრობოდა; დღეს ის ტყვედ ვნახე,
მომთხოვა შველა, მაგრამ იმ დროს უცბად წინ შემხვდა
ავფიდიოს და სიბრალული რისხვამ გამიქრო.
იმ ჩემს მასპინძელს, გთხოვ, აჩუქო თავისუფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კომ.** ძალიან კარგი. ჩემი შვილის მკვლელი რომ იყოს,
მინდვრის ქარივით თავისუფალს გავხდიდი მაინც.—
ტიტ, გამოუშვი.

**ლარც.** რა გვარია?

**კორ.** იუპიტერის
სახელსა ვფიცავ, დამავიწყდა, დაღალული ვარ,
მეხსიერებაც დამიჩლუნგდა. ღვინო არა გაქვთ?

**კომ.** კარავში მომყე; დაგკრობია სახეზედ სისხლი,
დროა, ჭრილობა შეგიხვიოთ. აბა, წავიდეთ. (გადიან).

## **სურათი X**

ვოლსკთა ბანაკი.

(ბუკ-საყვირის ხმა. შემოდის ტულოს ავფიდიუს სისხლში გასვრილი. თან ორი ან სამი ჯარის-კაცი მოსდევს).

**ავფ.** ქალაქი ეხლა იმათია.

**1 ჯარ.-კ.** დაგვიბრუნებენ,
ვგონებ, რიგიან პირობებით.

**ავფ.** პირობებითა!
ვოლსკად ყოფნა მე მიშლის ვიყო ის, რაც მართლად ვარ,
მაშ რომაელი რად არა ვარ? პირობებითა!
დამონავებულს რა პირობას მიაშაეებენ?
ხუთჯერ გეომე, ოჰ, მარციოს, და სწორედ ხუთჯერ
დამარცხებული ვარ მე შენგან. ესევ მომივა,
თუნდ შევხვდე ისე ხშირად, როგორც საჭმელს ვგემულობთ.
სტიქიონთ ვფიცავ, პირის-პირად თუ შევეყარე,
ან ის იქნება და ანუ მე. დღემდე პირნათლად
ვებრძოდი, მსურდა, რომ ხმალ და ხმალ გავესწორებოდი,
ვერა ვქმენი-რა. დღეის იქით ანუ ძალ-ღონით,
ან ვერაგობით მე მარციოსს კისერს მოვუგრეხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 ჯარ.-კ. ეშმაკი არის სწორედ იგი.
ავფ. ეშმაკზედ მეტი
გამბედაობით, თუმც იმდენი ხერხი არა აქვს.
მხოლოდ მან წასცხო ჩირქი განთქმულს ჩემს ვაჟკაცობას,
ამ ვაჟკაცობას არც დავზოგავ მის დასაღუპად.
ვერ იხსნის იმას ჩემ ხელთაგან ვერც გულის ძილი,
ავადმყოფობა, შიშვლად ყოფნა, დგომა ტაძარში
ან კაპიტოლში. ვერა მეთქი, დრო მსხვერპლთ შეწირვის,
მოგვთა ლოცვისა მოსეული ზეცით ღვთის რისხვა
სახეს ვერ უცვლის ჩემს სიძულილს იმ კაცისადმი,
ვერც შემაყენებს დაობებულ წესთა კრებული.
სადაც კი ვნახავ, თუნდ ჩემ სახლში, ჩემის ძმის ჭერ-ქვეშ,
სტუმართ მიღების ჩვეულების წინააღმდეგა
აი ამ ხელით დაუნდობლად გულ-გვამს დავუგლეჯ!—
წადი ქალაქში, და მაცნობე რა ამბავია,
ან ვის გზავნიან ვოლსკთა შორის რომს ამანათად.
1 ჯარ.-კ. შენ კი არ მოხვალ?
ავფ. მე წისქვილების ქვემოდ მელიან,
კვიპაროზის ტყის ახლო, ყველა იქ მაცოდინე,
რომ გადავწყვიტო, ვით მოვიქცე.
1 ჯარ.-კ. ეხლავ, ბატონო. (გადიან).

## მეორე მოქმედება

### სურათი I

რომი. მოედანი.

(შემოდიან მენენიუს, სიცინიუს და ბრუტუს).

მენ. მკითხავმა მითხრა, ამაღამ ამბავი მოვა რამეო.
ბრ. კარგი, თუ ცუდი?
მენ. ხალხისთვის არაფრად სასიამოვნო, რადგან მას მარციოსი
არ უყვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სიცინ.** რა გასაკვირველია, მხეცმაც კი იცის გარჩევა, ვინ არის იმის მტერი და ვინ-მოყვარე.

**მენ.** ჯერ შენ ეს მითხარ, მგელს რა უფრო უყვარს?

**სიცინ.** კრავი.

**მენ.** დიაღაც, რომ შესთქვლიფოს, როგორც მშიერნი პლებნი დიდებულს მარციოსს ჩასანთქავად არ დაინდობდით.

**ბრ.** ისიც ვითომ კრავია და დათვივით კი ბღავის.

**მენ.** ის თუმცა დათვია, მაგრამ კრავივითა ცხოვრობს. აი თქვენ ორნივ ხნიერნი კაცნი ხართ, ერთი ამის პასუხი მომეცით.

**ორნივე.** რის პასუხი?

**მენ.** რა ცოდვა აქვს ისეთი მარციოსს, რომ თქვენ იმავ ცოდვით ყელთამდე არ იყოთ სავსე?

**ბრ.** ქვეყანაზედ განა იმისთანა ცოდვა იქნება, ის თავით-ფეხამდე შიგ არ იყოს გახვეული!

**სიც.** უმთავრესი იმისი სენი ამპარტავნებაა.

**ბრ.** და ტრაბახში ხომ ვერავინ შეედრება.

**მენ.** უცნაურია! ახლა ის კი არ იცით, თქვენ რა წუნსა გდებთ პატიოსანი ხალხი ამ ქალაქში?

**ორნივე.** რა წუნსა გვდებს?

**მენ.** ვაი თუ გაჯავრდეთ. ეხლა არ იყო, სხვის ამპარტავნებაზედ ლაპარაკობდით?

**ორნივე.** სთქვი, სთქვი, ნუ გვერიდები.

**მენ.** მაგრამ ან კი რა მაქვს მოსარიდებელი, თქვენი გაცხარება ახალი ამბავი როდი იქნება; იმდენი დორბლები ჰყარეთ სიბრაზით, მინამ მოგწყინდებოდეთ. თქვენ მარციოსზედ ამბობთ, ამპარტავანი არისო?

**ბრ.** განა მარტო ჩვენ ვამბობთ.

**მენ.** მარტო თქვენ რის მაქნისნი ხართ: ან უნდა მოიშველიოთ ვინმე, ან სისულელე რამ ჩაიდინოთ. აბა თქვენისთანა ბავშვის-ტვინას მარტოკა რა შეუძლიან! თქვენა ლაპარაკობთ ამპარტავნებაზედ? ნეტა თვალები მიიბრუნოთ, მაგ კვინიხში ჩაიხედოთ და პატარა მიათვალიერ-მოათვალიეროთ. ოჰ, ნეტა ეს შეგეძლოთ-მეთქი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბრუტ.** მერე რა იქნებოდა?

**მენ.** რა იქნებოდა! ის იქნებოდა, რომ ერთ წყვილს გულ-ზვავს, კაპასს, ბუსხუნა, რეგვენ მოხელეს კარგად გაიცნობდით, ერთ წყვილ იმისთანა მოხელეს, რომლის ბადალსაც მთელს რომში ვე რ იპოვნით.

**სიც.** შენც ყველა კარგად გიცნობს, მენენიოს.

**მენ.** რა არის მერე, რომ მიცნობს! ყველამ იცის, ერთი ხუმარა პატრიციოსი ვარ, ცოტა ნუნუას მოტრფიალე, რომელსაც ტიბრის წყალს არ მივაკარებ; პირველი მოჩივარი მართალი მგონია და უბრალო მიზეზზედ ტალკვესივით ავფეთქდები; ღამის კუდს უფრო ავეტორლიალები ხოლმე, ვიდრე გაბადრულს დილას; რაც გულში მაქვს, ენაზედაც ის მაკერია და ჯავრს მკერდ ქვეშ არ დავიბუდებ. თქვენისთანა საქვეყნო კაცებს ლიკურგოსებად ვერ მივიმჩნევ და თუ თქვენმა სასმელმა სასაზედ მიკბინა, სახე უგემურად დამეღმიჭება. უნდა მართალი გითხრათ, როცა ვირებივით ყროყინს მოჰყვებით, მჭევრ-მეტყველებას ვერ მოგიწონებთ; იქნება ისიც კი მოთმინებით ავიტანო, რომ თქვენზედ სთქვას ვინმე, დინჯნი, დარბაისელნი პირნი არიანო, მაგრამ ვინც სილამაზეს გიქებთ, ნურას უკაცრავად, თუ სიცრუისათვის ყელში მივწვდი. თუნდ რომ ეს ყველა ჩემში ცხადი იყოს, მაინც განა გეთქმით, კარგად გიცნობთო. ვთქვათ, ჩამაკვირდით კიდეც, მაგ ბრმა თვალებით რას მიხვდებით, ან რა წუნს მიკიჟინებთ?

**ბრუტ.** გეყოფა, კარგი. გეუბნებით, რომ საკმაოდ გიცნობთ.

**მენ.** თქვენ ვერც მე მიცნობთ, ვერც თითონ თქვენს თავს და არც არაფრისა რამ გაგეგებათ. იმითი ამაყობთ, რომ ქუჩის ბრბო ფეხ-ქვეშ გეგებათ; მთელი დღე უბრალო მეჯლანეების დავის გარჩევას ანდომებთ და ორი გროშის დანაფასევ საქმეს სახვალ-ზეგიოდ გადასდებთ ხოლმე. თუ ამ მსაჯულობის დროს მუცელმა დაგგვრიმათ, სახე გემანჭებათ, ცოფიანდებით, გულ-ბოყვზე ხელ-მოჭერილნი ღრიალებთ, მომჩივან-მოპასუხეს ავაზაკებს უძახით და თქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის შიგ გარევით საქმეს უფრო რევთ, მოდავეთ აშფოთებთ. მართლა რომ უცნაური ხალხი ხართ.

**ბრუტ.** შენც სუფრაზე ლაქლაქი უფრო გემარჯვება, ვიდრე კაპიტოლში სიტყვის თქმა.

**მენ.** თქვენისთანა მასხარებს ჩვენი მკაცრი მოგვები რომ ხშირად შეხვდნენ, იმათაც დაცინვის მადა გაეხსნებათ. როცა მჟევრ-მეტყველებით თავის გამოჩენასა ცდილობთ, მაშინაც კი თქვენი ლაპარაკი წვერების ცმაცურად არა ღირს და მაგ წვერებითაც უნდა ვირს კურტანი გამოვუტენოთ, მეტი პატივი არ შეგფერით. თქვენ უნდა საყვედურობდეთ მარციოსს ამპარტავნებას! ყველა თქვენი წინაპრები რომ ერთად შევკრათ, დევკალიონიდან მოყოლებული, ერთ მარციოსად არც კი ღირან, და ან რა გასაკვირველია! მათ შორის საუკეთესონი მამაპაპითვე ჯალათები იყვნენ. ნება მიბოძეთ, გამოვესალმო თქვენს პატიოსნებას; მეტი საუბარი თქვენისთანა ბრიყვ პლებთა მწყემსებთან ტვინს დამიჩლუნგებს. დიდება თქვენსა აქედან წაბრძანებასა!

ბრუტოს და სიცინიოს გადიან.—შემოდიან ვოლუმნია, ვირგილია, ვალერია და მხლებლნი.)

როგორა ბრძანდებით, მშვენიერო ქალბატონებო, რომელთაც ქვეყნად ჩამოსული მთვარეც კი ვერ შეგედრებოდათ. საით მიეშურებით?

**ვოლუმ.** გზა მოგვეც, პატივცემულო მენენიოს, თუ ღმერთი გრწამს; ჩემი შვილი მარციოს მოდის და მისაგებებლად მივეჩქარებით.

**მენ.** რაო, მარციოს მოდის!

**ვოლუმ.** მოდის დიდებულად, სახელ-განთქმული.

**მენ.** ოჰ, მაშ, იუპიტერო, ჩემი ქუდი მსხვერპლად შეიწირე. როგორ, მარციოს, მოდის, ჰაი ჰა!

**ვირგ. და ვალერ.** მოდის ნამდვილად.

**ვოლუმ.** აი იმის წერილი; მეორე-სენატს მოუვიდა, ერთი კიდევ იმის ცოლს და ვგონებ, ერთიც შენთან არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მენ.** წერილი ჩემთან! მაშ წავალ და მთელ სახლს სიხარულით ცეკვას ჩამოვავლებინებ.

**ვირგ.** შენთანაც არის წერილი, მართალია, მე თითონა ვნახე.

**მენ.** ჩემთან წერილი! ეგ შვიდი წლის ჯანმთელობასა მმატებს. მობრძანდნენ ეხლა ექიმები, ენას გამოვუყოფ და ისე გავაპანღურებ; თავზედ დაისხან თავიანთ ნათითხნი წამლები, მაგ ამბავთან გალენის უბრძნესი დარიგებაც ველარას იზამს.—დაჭრილი არ არის? ის შინ ყოველთვის დაჭრილი ბრუნდება ხოლმე.

**ვირგ.** არა, ღმერთთა დაიფარონ.

**ვოლუმ.** დაჭრილია, დაჭრილი და ამის გამო ზეცისთვის მადლი შემიწირავს.

**მენ.** აგრეთვე მეც, თუ მსუბუქად დაუჭრიათ. ჭრილობა მას უფროც მოუხდებოდა. მაშ გამარჯვება უბეში უდევს, რაღა?

**ვოლუმ.** არა, შუბლზედ აკერია. ეს მესამედ ბრუნდება შინ მუხის ფოთლის გვირგვინით შემკული.

**მენ.** ავფიდიოსი ხომ გაუბერტყია?

**ვოლუმ.** ტიტ ლარციოს იწერება, შეხვდათ ერთად ბრძოლა, მაგრამ ავფიდიოს გაექცაო.

**მენ.** კარგადაც უქმნია; მე რომ იმის ალაგას ვყოფილიყავი, მთელი კორიოლის საუნჯისათვისაც არ გავჩერდებოდი. სენატმა შეიტყო ეგ ამბავი?

**ვოლუმ.** წავიდეთ, ქალებო.—შეიტყო, შეიტყო. სენატს სარდლისაგან წერილები მოუვიდა, რომლებშიაც ნათქვამია, მთელი ომი მარციოსმა გადაიხადა და თავის უწინდელს ვაჟკაცობას ერთი-ორად გადაამეტაო.

**ვალერ.** მართლა რომ დაუჯერებელ ამბებს ლაპარაკობენ მასზედ.

**მენ.** დაუჯერებელს! იმაზედ რა არ არის დასაჯერებელი?

**ვირგ.** ინებონ ღმერთთა, ყველა მართალი გამოდგეს.

**ვოლ.** რაღა თქმა უნდა, მართალია. განა კიდევ ეჭვი გაქვს?

**მენ.** მე თუნდ ფიც-ქვეშ დავემოწმები, რომ ყველა მართალი იქნება. რაში არის დაჭრილი?—(ტრიბუნებს) ღმერთნი იყვ-

ნენ მწყალობელნი თქვენის მაღალ-პატიოსნებისა! მარ-ციოს შინ მოდის და ეხლა უფრო მეტი საბუთი ექნება სიამაყისათვის.—რაშია დაჭრილი?

**ვოლ.** მხარში და მარცხენა მკლავში. თუ საჭიროება მოითხოვს, იპოვენის კი ჭრილობებს ხალხის საჩვენებლად. შვიდგან მარ-ტო ტარკვინის განდევნის დროს დასჭრეს.

**მენ.** ერთი ჭრილობა კისერში ჰქონდა და ორი ბარძაყში,— ვგონებ, ცხრა ალაგას იყო დაჭრილი.

**ვოლუმ.** ამ ომის დაწყებამდე სულ ოც და ხუთი ჭრილობა ჰქონდა.

**მენ.** ეხლა ოც და შვიდი ექნება; ყოველი იმისი წყლული მტერს კუბოდ გადაექცა.—(საყვირის ხმა და ხალხის ყვირილი) გესმით, საყვირის ხმაა.

**ვოლ.** ეს მოასწავებს მარციოსის მოახლოვებას;
წინ სიხარულის ხმა მოუძღვის, უკან ცრემლს სტოვებს,
მის მარჯვენაში სიკვდილის ცელს დაუბუდნია
და ულმობელად მუსრავს იგი ადამიანთა.

(ბუკ-საყვირის ხმა. შემოდიან კომინიოს და ტიტ ლარციოს; მათ შორის კორიოლანოს მუხის ფოთლით დაგვირგვინებული. თან მოსდევენ ჯარის უფროსნი, ჯარის-კაცნი და გზირი).

**გზირ.** უწყოდე, რომო, მარციოსი კორიოლის შიგნით
მთელ ქალაქს მარტო შეებრძოლა და თავის სახელს
ღირსად ტარებულს მიუმატა კვლავ სხვა სახელი
დიდებულ ღვაწლით შენაძენი: კორიოლანოს.
რომი თავს გიხრის, დიდებულო კორიოლანოს!

**ყველანი.** რომი თავს გიხრის, დიდებულო კორიოლანოს!

**კორ.** კმარა, გაჩუმდით, გევედრებით, ეგ ქება მაწყენს,
გთხოვთ რომ გაჩუმდეთ.

**კომ.** დედაშენი წინ გეგებება.

**კორ.** ოჰ, დედავ, ღმერთებს შენ ლოცვით თავს მოაბეზრებდი,
რომ გამარჯვება მოენიჭათ შენი შვილისთვის.

(დაიჩოქებს.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლუმ. (ფეხზედ წამოაყენებს) ადგე, ვაჟკაცო, სასურველო ჩემო,
ღირსო კაიოს! შენის ღვაწლით კვლავ რა სახელი [მარციოს,
მოგეძღვნა კიდევ?.... რა გიწოდო?.... კორიოლანოს.
აგერ მიჰხედე შენი ცოლიც.
კორ. მშვიდობა შენდა,
კდემით მოსილო მეგობარო; ჩემს გამარჯვებას
ცრემლით რომ ალბობ, მაშ მკვდარი რომ შემოეეტანეთ
მომეგებვოდი სიცილითა! ჩემო ძვირფასო,
ეგ ცრემლნი წილად ერგოთ ისევ კორიოლელ ქვრივთ,
დედათ უძეოდ დატოვებულთ.
მენ. მაღალნი ღმერთნი
აწ გვირგვინს გადგმენ დიდებისას!
კორ. შენც ცოცხალი ხარ.?—
(ვალერიას) ოჰ, უკაცრავად, ვალერიავ!
ვოლუმ. აღარც კი ვიცი,
საით მივბრუნდე.—გამარჯვება!—მშვიდობა შენდა,
ჩვენო სარდალო!—გამარჯვება საერთოდ ყველას.
მენ. ასი ათასჯერ გამარჯვება! ტირილი მომდის,
თან მეცინება; თან მძიმედ ვარ, თან ფრთები მესხმის.
მშვიდობა თქვენდა! გულ-გვამიც კი დაშამათნია,
ვინც თქვენს ნახვაზედ არ აღფრთოვანდეს;
თქვენ სამთა უნდა თაყვანი გცენ ყველა რომაელთ,
მაგრამ აქაც კი გვიხირია წუწკი ხეები,
რომლებზედ მყნობა სიამისა არ მოხერხდება.
კიდევ და კიდევ გამარჯვება! სულელთა საქმეს
ღირსად ვუწოდოთ სისულელე, ჭინჭარს ჭინჭარი.
კომ. ოღონდაც აგრე.
კორ. მენენიოს, შენ ისევ ის ხარ.
გზირი. გზა, გზა დასცალეთ!
კორ. (ვოლუმნიას და ვირგილიას) მომეცით აქ თქვენი ხელები.
ვიდრე ჩემ ჭერ-ქვეშ მოსვენებას მივეცემოდე,
პატრიციები უნდა ვნახო მე ზოგიერთნი,
რომელთაც დიდად პატივი მცეს და მომილოცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვოლუმ.** მოვესწარ ჩემის სურვილების აწ ასრულებას;
ამიხდა, რასაც ვოცნებობდი; ერთი-ღა დარჩა;
ეჭვი არა მაქვს, მოგანიჭებს იმასაც რომი.

**კორ.** ოჰ, დედავ, ჩემებრ ვემსახურო, ის მირჩევნია,
ვიდრე მათებურ მბრძანებელად ვიმყოფებოდე.

**კომ.** აბა, მობრძანდით კაპიტოლში.

(ბუკ-საყვირის ხმა. ყველანი წინანდელივე წესით გადიან. ბრუტუს და სიცინიუს წინ წამოდგებიან).

**ბრუტ.** ეხლა მარციუს
ყველას ენაზედ აკერია: სათვალეები
ცხვირზედ მიუკრავთ ბრუციანებს მის დასანახად;
ლაქლაქა ძიძებს დაუყრიათ მჭყვირალა ბავშვნი;
მოუხვევიათ გომბიოებს ჭუჭყიან ყელზედ
ზიზილ-პიპილა რაღაც მჩვრები და მოუთმენლად
აცოცებულან კედლებზედა; ჩამწკრივებულან
ლობეებზედაც; ქუჩა, ბანი, კარი, ფანჯარა
სხვა-და-სხვა ხალხით გატენილა. იმის დანახვის
სურვილი-ღა აქვს ყოველივეს, დიდს თუ პატარას.
თვით მოგვნი ძვირად სანახავნი გაფაციცებით
ცდილობენ ფეხის მოკიდებას ამ ურდავ ერში.
ქალთა თეთრ-წითლად მოელვარეთ დავიწყებიათ
თვის მოსახვევნი და თებოსის მხურვალე სხივებს
არ არიდებენ ნარნარ სახეს. ხეთქვა-ჭედვაა
ისეთი, თითქო რომელიმე მფარველი ღმერთი
შეერთებოდეს მას გრძნებით და მიეცეს ძალა
ადამიანთა მოტყუება-მონადირების.

**სიც.** დამერწმუნე, რომ კონსულობას მიანიჭებენ.

**ბრუტ.** მაშინ უფლება ჩვენი უნდა ღრმა ძილს მიეცეს.

**სიც.** მაგ ღირსებას ეგ ზომიერად ვერ მოიხმარებს:
მასაც დაჰკარგავს, რაც ეხლა აქვს და ბოლოს იგივ
დარჩება მხოლოდ, რაც წინ იყო.

**ბრუტ.** ნუგეშად ეგ გვაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიც. თვითონვე ხალხი, რომელსაც ჩვენ მოსარჩლედ ვყავართ,
გაიხსენებს რა თვის უწინდელს იმასთან მტრობას,
მცირე მიზეზზედ მის დიდებას გვერდით მიაგდებს;
ისიც იმდენად ამაყია, რომ მალე მოგვცემს
ამგვარ მიზეზსაც.
ბრუტ. მე მაგისგან ესეც მსმენია,—
ვფიცავ, კონსულად რომ დამსვანო, არც მოედანზედ
გავდგამო ფეხს, არც სიმდაბლის სამოსს შევიმოს,
არც, ვით წესია, გადავუშლი ხალხს ჩემს ჭრილობებს
რომ გამოვთხოვო თანხმობაო იმ ოფლით მყრალთა!
სიც. ესეც კარგია.
ბრ. სწორედ ასე. უარსაც იტყვის
და თავს კი როდი დაიმდაბლებს ხალხის წინაშე;
იქნება მარტო დიდებულთა ნებაც იკმაროს.
სიც. ნეტა კი მართლა შეასრულოს მან ეგ განზრახვა.
ბრ. მე მჯერა, სწორედ შეასრულებს.
სიც. და ეგ დაღუპავს
კიდეც სრულიად; შეგვისრულებს მით ჩვენს წადილსაც.
ბრ. ან ჩვენს უფლებას, ან მას უნდა ბოლო მოეღოს.
წავიდეთ და ხალხს ჩავაგონოთ, როგორ სძულს იგი,
ვით მუდამ სძულდა და სცდილობდა, თუ რა გზით პლებნი
თვის სახედრებად გარდაექმნა; მათ დამცველთათვის
პირში ლაგამი ამოედო და შეეკვეცა
მონიჭებულნი უფლებანი; რომ განსხვავება
არაფერია ვითომ ჩვენ და აქლემთა შორის,
რომელთ ომის დროს ტვირთ-საზიდად ჰკვებავენ ხოლმე
და მწარედ სცემენ, როცა გზაში დაცვივდებიან.
სიც. ეგ რომ მარჯვე დროს მოვახერხოთ, როდესაც იგი
უკიდურესად გააბრაზებს ხალხს თვის ურცხვობით,—
და წაქეზებაც მისი ისე ადვილი არის,
როგორც რომ ცხვრებზედ ძაღლებისა—აბრიალდება
მაშინვე ხალხი, როგორც ჩალა ცეცხლ მოდებული
და კვამლი ჩანთქავს მის სახელსაც, მის დიდებასაც.
(შემოდის შიკრიკი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრ. რა ამბავია?

შიკრ. გიბარებენ თქვენ კაპიტოლში.
იქ კონსულობას ანიჭებენ კაი მარციოსს.
მე ვნახე ბრმანი სანახავად მოისწრაფოდნენ
და მუნჯნი იმის მოსასმენად; დიდებულთ ცოლნი
და ქალნი გზაზედ თვის ხელსახოცთ, ხელთათმანებსა
ფეხ-წინ უბნევდნენ; დიდკაცნი თავს იხრიდნენ დაბლა,
ვით იუპიტრის ქანდაკის წინ; მდაბიო ხალხიც
მაღლა ისროდა ქუდებს, თითქო წვიმა მოდისო
და იმის გრგვინვაც ზეცის ქუხილს ემზგავსებოდა.
არსად მინახავს ეს ამბავი.

ბრუტ. აბა, წავიდეთ
ჩვენც კაპიტოლში, თვალი, ყური კარგად გვეჭიროს
და გულში რაც გვაქვს, დავიმარხოთ.

საც. აი, წავიდეთ.

(გადიან).

## სურათი II

იგივე ქალაქი, კაპიტოლი.

(ორი მხლებელი შემოდის სკამებზედ ბალიშების დასაწყობად).

1 მხლებელი. ნუღარ უყურებ, საცაა მოვლენ. რამდენს უნდა კონსულობა?

2 მხლ. ასე სთქვეს, სამს უნდაო, მაგრამ ყველა დარწმუნებულია, რომ კორიოლანოსს არ ასცდება.

1 მხლ. ძალიან ვაჟკაცია, თუმც მეტის-მეტად ამაყობს და არც მდაბალი ხალხი უყვარს.

2 მხლ. რამდენი დიდი-კაცი ყოფილა ხალხის მოყვარული, მაგრამ სიყვარულით იმის გული ვერ მოუგია და რამდენი ხალხს უმიზეზოდ შეჰყვარებია. რაკი სიყვარულიც უთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოდ იცის და სიძულვილიც, ეგეც აღარ დასდევს, უყვარით თუ არა; ხალხს ეგ კარგად იცნობს და თავის გულწრფელობით არცა მალავს ამ დაუდევრობას.

1 მხლ. მარტო დაუდევარი რომ იყოს, არც კარგზედ იზრუნებდა, არც ავზედ; ეგ კი ცდილობს ხალხი მოიმდუროს, შესძაგდეს და; გინდა ხალხის ყბაში ჩავარდნილა კაცი, გინდა ლაქუცით თავი მოუქონავს, არც ერთი სასიამოვნო არ არის.

2 მხლ. ღვთის წინაშე, ქვეყანას ბევრი სამსახური გაუწია და მაღალი ალაგი სხვებივით პირმოთნეობით არ შეუძენია. მართალი რომ არა სთქვას კაცმა, უმადურობა იქნება: იმის ამბები ყველას აი აქ გულზედ გვაქვს დაჭდეული; მოდი, ახლა, გულიდან ამოიფხიკე და სიცრუე სთქვი.

1 მხლ. კარგი, კმარა. ვიცი, რომ ღირსეული კაცია. გზა მივცეთ, აგერ მოდიან.

(ბუკის ხმა. შემოდიან კომინიოს, მენენიოს, კორიოლანოს, სენატორნი, სიცინიოს და ბრუტოს. ლიქტორები წინ მოუძღვიან. სენატორები და ტრიბუნები თავთავიანთ ალაგს დასხდებიან).

მენ. კაცი გავგზავნეთ ლარციოსთან და ვოლსკებთანაც
პირობა დავდეთ; ეხლა მხოლოდ ის დაგვრჩენია,—
თავი საგანი ამ კრებისა—მადლობა ვუთხრათ
მას, ვინც იღვაწა სამშობლოსთვის სახელოვანად.
დარბაისელნო, დიდებულნო, უფროსნო ჩვენნო,
კონსულად ხმობილს დღეს, გუშინდელს მხედართ-მთავარსა,
გამარჯვებულსა სარდალს ვთხოვოთ, მოგვითხრას ცოტა
კორიოლანის ღირსეულად ნამოქმედარი,
რომლისთვის მადლი უნდა ვუთხრათ და ღირსეულად
მოვიხსენიოთ, ვით დიდებულს მის ღვაწლს შეჰფერის.

1 სენატ. სთქვი, კომინიოს, სიმოკლისთვის ნურას შეჰკვეცავ;
სჯობს, იმის ეჭვი ვიქონიოთ, რომ სახელმწიფომ
ჩვენმა ვაი თუ ჯეროვანად ვერ გარდუხადოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე სურვილის უქონლობა დაგვწამოს ვინმემ.—
(ტრიბუნებს)ხალხის უფროსნო, გთხოვთ, რომ კარგად მოგვაპ-
ბ რაც მოხდება, ყოველივე ამცნოთ ქალაქელთ. [ყრათ ყური
**სიც.** ჩვენ აქ საამო ამბისათვის ვართ შეკრებილნი
და შესაფერად პატივსა ვცემთ ამ კრების მიზეზს.
**ბრუტ.** და უფრო დიდის სიამითა მივეგებვოდით,
რომ იგიც ხალხსა წინანდელზედ მეტს პატივს სცემდეს.
**მენ.** რა დროს ეგ არის! ნეტავი ხმა სულ ჩაგწყვეტოდა
და ეგ არ გეთქვა. კომინიოსს ყურს არ დაუგდებ?
**ბრუტ.** რატომაც არა; და რაცა ვთქვი, მართებულების
უფრო საფერი იყო ვგონებ შენს საყვედურზედ.
**მენ.** მას ხალხი უყვარს, მაგრამ გვერდით ხომ ვერ მოუწვენ.—
სთქვი, ღირსეულო კომინიოს.—
(კორიოლანოს წამოდგება წასასვლელად).
შენც აქ იყავი.
**1 სენატ.** კორიოლანოს, ნუ გრცხვენიან, ის მოისმინო,
რაც დიდებულად მოიქმედე.
**კორ.** გთხოვთ, მომიტევოთ:
მე მირჩევნია მოვუარო ჩემ ჭრილობებსა,
ვიდრე ვისმენდე, თუ ისინი სად მიმიღია.
**ბრუტ.** ჩემმა სიტყვამ ხომ არ გაწყინა?
**კორ.** არა, ტრიბუნო,
თუმც ხშირად სიტყვას გავქცევივარ, როცა იარაღს
ჩემზედ მოქნეულს სრულიად არ ვეპოვებოდი.
თქვენ არ პირ-მფერობთ და რად მაწყენთ, რაც შეეხება
თქვენს ხალხს, ვაფასებ რაცა ღირს.
**მენ.** გთხოვ, ისევ დაჯდე.
**კორ.** უფრო ავიტან, თავს მიფხანდნენ მზეზედ ბრძოლის ჟამს,
ვიდრე მცირე ღვაწლს ჩემსას ტყვილად აზვიადებდნენ.
(გადის).
**მენ.** ხალხის უფალნო, თითონ ჰხედავთ, შეეძლო თუ არ
მას ელაქუცნა ფუქსავატის ყბედ ბრბოს წინაშე.
ეგ არც ერთ ასოს გასაწირად არა ზოგავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აწ ერთ ყურსაც აღარ აცდენს მოსასმენელად.—
აბა, შეუდეგ, კომინიოს.

**კომ.** იმის შიში მაქვს,
ხმამ არ მიმტყუნოს; მის საქმეთა მოსახსენებლად
მქუხარე უნდა იყოს იგი. ასე ამბობენ,
თავი ღირსება კაცისათვის სიმამაცეა
და მამაცს ღირსი სახელიცა ეკუთვნის ყველგან;
თუ მართალია, მას უებრო უნდა ვუწოდოთ,
ვისზედაც ეხლა ვლაპარაკობ: თექვსმეტის წლისამ,
როცა ტარკვინმა შეაწუხა რომის ქალაქი,
თავი იჩინა ერთ ბრძოლაში საკვირველ სიმხნით.
თვით მაშინდელმა დიქტატორმა ეგ შეამჩნია,
წვერიანები როს იფრინა უწვერ-ულვაშომ
და რა რომაელს მიეშველა ერთს დაჯაბნებულს,
დახოცა სამი მტერი ერთად კონსულის თვალ-წინ;
შეხვდა თვით ტარკვინს და ისიც კი მუხლებზედ დასცა.
კარგად შეეძლო მას ჯერ კიდევ მაშინ სცენაზედ
ყმაწვილ ქალთ როლის თამაშობა და სწორედ იმ დროს
საომარ ველზედ სიმამაცე გამოიჩინა
ყველაზედ მეტი და თვის შუბლი მუხის ფოთლითა
ღვაწლ-შემოსილმა დაიმშვენა. ეგრედ ჭაბუკმა
ვაჟკაცობაში შესდგა ფეხი და იზრდებოდა,
ვით ოკეანე. ჩვიდმეტს ომში მას აქეთ დამსწრემ
თავ-გამოჩენის გაუცუდა ყველას იმედი,
და რაც ეხლა ჰქმნა კორიოლთან, თან თვით ქალაქში,
მის საამბობლად სიტყვა ძვირობს, ენა არ მერჩის:
მან გაქცეულნი შეაჩერა და საკვირველის
თვის მაგალითით შიში სიმხნედ გარდუქმნა ლაჩრებს;
მიჰქროდა იგი, ვით ხომალდი იალქნების ქვეშ
და მტერნი მის წინ ირხეოდნენ, ქვე-ემხობოდნენ,
ვით ზღვის ბალახი; თან მიჰქონდა ყველგან სიკვდილი,
სისხლში გასვრილი იყო თვითონც თავით ფეხამდე
და მის ხმლის ქნევას დაჭრილნი ხმას უწყობდნენ კვნესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევარდა იგი კორიოლის ბედ-შავ კარებში
მარტოდ-მარტოკა და უწყალოდ მუსრი მოავლო,
მერე დაბრუნდა, უცბად ჯარი მიიშველია,
დაეცა ქალაქს მაღლით მომწყდარ ცის მნათობივით
და მთლად დაიპყრო. ეხლა იგი იყო უფალი,
მაგრამ მის მახვილ ყურს შორიდან ესმა ბრძოლის ხმა,
გამხნევდა სულით, დაღალოდა თუმცა სხეული
და გაეშურა ახალს ომში. იქ კვალად კიდევ,
თითქო კაცთ ჟლეტას ბოლო აღარ უნდა ჰქონდესო,
ასტეხა ბრძოლა საშინელი და არ დამცხრალა,
ვიდრე ქალაქიც, ბრძოლის ველიც არ დავმორჩილდა.
**მენ.** კაცი ეგ არის.
**1 სენ.** ის ღირსება, რასაც აწ ვაძლევთ,
სწორედ ეკუთვნის.
**კომ.** ნაალაფევს ზიზღით ჰკრა ფეხი
და უძვირფასესთ განძთ დაჰხედა, ვით მიწის ჭუჭყსა.
თვის ჯილდოს ჰპოვებს იგი თვისვე ნამოქმედარში
და კმარობს, რასაც თვით ლატაკი მას არ დაუჭერს.
**მენ.** ბრწყინვალე გულის პატრონია.—აქ მოუწოდეთ.
**1 სენ.** უხმეთ საჩქაროდ.
**მხლებ.** აგერ იგიც. (კორიოლანოს დაბრუნდება.)
**მენ.** კორიოლანოს,
სენატი გნიშნავს შენ კონსულად.
**კორ.** მზა ვარ ყოველთვის,
მის სამსახურად არ დავზოგო სიცოცხლე ჩემი.
**მენ.** ის დარჩა მხოლოდ, გამოსთხოვო ხალხსაც ნება-რთვა.
**კორ.** გთხოვთ, რომ ეგ წესი ამაცილოთ: არ შემიძლიან
შიშველი ტანი შევიმოსო მდაბალთ სამოსით
და ჭრილობებით გამოვთხოვო იმათ თანხმობა;
უმორჩილესად გევედრებით, ნუ მიზამთ მაგას.
**სიც.** ბატონო ჩემო, ხალხსაც თვისი უნდა მივუწყოთ,
იოტის ოდენს ვერას შევცვლით წესსა და რიგში.
**მენ.** საქმეს ნუ შეშლი, ჩვეულებას დაემორჩილე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაისაკუთრე ეგ ღირსება დადებულ წესით,
მიჰყევ წინაპართ მაგალითსა.

**კორ.** სირცხვილით დამწვავს
ეგ საქციელი. ვითომ რატომ არ შეიძლება,
ხალხის წინაშე რომ არ წავდგე?

**ბრუტ.** (სიცინიოსს) ხომ კარგად გესმის?

**კორ.** უნდა მათ თავი მოვაწონო, ესა და ეს ვქმენ,
აწ მორჩენილი ჭრილობები გადავუშალო,
თითქო თანხმობას სამაგიეროდ ქირადა ვთხოვდე!

**მენ.** ნუ ახირდები.—ტრიბუნებო, აცნობეთ ხალხსა
რაც გარდავწყვიტეთ და ვუნატროთ ღირსეულს კონსულს
ბედნიერება და დიდება!

**სენატორნი.** კორიოლანოსს
ბედნიერება და დიდება!

(საყვირის ხმა. ბრუტოსისა და სიცინიოსის გარდა ყველანი გადიან.).

**ბრუტ.** ასე უპირობს
ეგ ხალხს მოპყრობას!

**სიც.** ნეტავი კი მიუხვდებოდნენ!
როდესაც მოგვთხოვს თანხმობასა არ შეიძლება,
ჩვენდამი ზიზღი არ დაეტყოს.

**ბრუტ.** წავიდეთ, ვამცნოთ
ხალხს, რაც აქ მოხდა; მიგველიან მოედანზედა. (გადიან.)

## სურათი III

იგივე ქალაქი. ფორუმი.

(შემოდის რამდენიმე მოქალაქე.)

1 მოქ. თუ ხმები მოგვთხოვა, ვერ დავუჭერთ.
2 მოქ. ჩვენს სურეილზეა დამოკიდებული, რატომ ვერა?

**3 მოქ.** დაჭერით დავუჭერთ, მაგრამ უფლება არა გვაქვს ეგ უფლება გამოვიყენოთ. თავის ჭრილობები რომ გადაგვიშალოს და გვიამბოს, რაც ვაჟკაცობა ჩაუდენია, ენა არ უნდა დაგვიდუმდეს, წინაალმდეგი გავუხდეთ! უმადურობა საზარელი საქმეა; თუ ხალხი უმადურობას გამოიჩენს, ისიც საზარელი შეიქნება და ჩვენც ყველანი, როგორც ხალხის შემადგენელნი, საზარელს სახელს შევიძენთ.

**1 მოქ.** ეხლა რაღა უკეთესი სახელი გვაქვს! ერთხელ არ იყო, პურის გულისთვის ავჯანყდით და თითონ მაგან ჭრელთავიანი ბრბო გვიწოდა.

**3 მოქ.** ბევრს უწოდებია ეგ სახელი ჩვენთვის, არა იმიტომ რომ ზოგის თავი შავია, ზოგისა ქერა, ზოგისა წაბლისფერი, ზოგისა მელოტი; არა, უფრო ჭკუაშია განსხვავება. ჩვენი ყველას ჭკუა რომ ერთი კეფიდან გამომძვრალიყო, მაინც ერთად ვერ დადგებოდა, ზოგი აღმოსავლეთისაკენ გაიწევდა, ზოგი დასავლეთისკენ, ზოგი ჩრდილოეთით, ზოგი სამხრეთით. იქნება პირველში შეთანხმებულიყვნენ, მაგრამ ბოლოს მაინც სხვა და სხვა მხარეს გაიფანტებოდნენ.

**2 მოქ.** აგრე გგონია? აბა, ჩემი ჭკუა საით გაფრინდებოდა, თუ იცი.

**3 მოქ.** შენი ჭკუა აგრე ადვილად ვერ დაიძროდა; მეტად მჭიდროდ არის ჩაჭედილი სულელ კეფაში და თავი რო დაეღწია, უთუოდ სამხრეთისკენ გასწევდა

**2 მოქ.** რადა?

**3 მოქ.** იქით ნისლი იცის. სამი წილი მყრალ ბურუსში გაეხვევოდა და მეოთხე შენ დაგიბრუნდებოდა, რომ ცოლის შერთვევინებისათვის ეზრუნა.

**2 მოქ.** შენ შენს ხუმრობას მაინც არ იშლი. გეყოფა, კარგი.

**3 მოქ.** გადაწყვეტილი გაქვთ, ყველამ ხმა მისცეთ? მაგრამ დეე, როგორც უმეტესობამ ისურვოს, ისე მოხდეს. მე მაინც ამას ვიტყვი, ხალხი რომ უყვარდეს, მაგაზედ ღირსეული კაცი არ მოინახებოდა. აგერ აქ მოდის სიმდაბ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლის სამოსით, აბა ყური ვუგდოთ, როგორ მოიქცევა. ყველანი ერთად ნუ დავდგებით; როცა გაჩერდება, თითო-თითოდ ორ-ორმა, ან სამ-სამმა გვერდით გავუაროთ. ყველას ცალ-ცალკე მოგვთხოვოს ხმა; ეს უფრო საპატიო იქნება ჩვენთვის, ჩვენი საკუთარი პირიდან მოისმინოს. მომყევით და მე თითონ გაჩვენებთ, სად და როგორ გავუაროთ.

**ყველანი.** ძალიან კარგი.

(გადიან.—შემოდიან კორიოლანოს და მენენიოს).

**მენ.** სცდები, მარციოს; არ იცი, რომ ეგევ უქნიათ
თვით უკეთესთა რომის შვილთა.

**კორ.**
როგორ უნდა ვთქვა:
„ბატონო ჩემო, გევედრები“. ჭირმა წაიღოს!
ვერა, ჩემს ენას ესეთ სიტყვებს ვერ ვათქმევინებ:
„აი, დახედე ჩემს ჭრილობებს, ბატონო ჩემო,
„მაშინ მივიღე, ჩემს ქვეყანას რომ ვმსახურებდი,
„როს თქვენი ძმები ღრიალებდნენ, შიშით მირბოდნენ
„დამფთხალნი ჩვენივ დაფის ხმითა.“

**მენ.**
ოჰ, ღმერთნო, ღმერთნო!
როგორ იქნება მაგისი თქმა, მხოლოდ ის სთხოვე,
რომ შენი ღვაწლი გაიხსენონ.

**კორ.**
გაიხსენონო!
დასწყევლონ ღმერთთა იმათ თავი, ის მირჩევნია
რომ დაივიწყონ, კეთილ რჩევას ვით ივიწყებენ
იმათ მოგვთაგან ნაქადაგებს.

**მენ.**
საქმეს ჩაჰფუშავ
მაგგვარის ქცევით. ეხლა წავალ. გთხოვ, ფთხილად იყო,
თავაზიანად ესაუბრო.

**კორ.**
წადი, ჯერ უთხარ,
პირები კარგად დაიბანონ, გამოირეცხონ
კბილებიც სუფთად.—

მენენიოს გადის)

აგერ ორნი აქეთ მოდიან.—

შემოდის ორი მოქალაქე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეცოდინებათ, ბატონებო, აქ რადა ვდგევარ.

1 მოქ. ვიცით, მაგრამ შენ თითონ გვითხარ რამ მოგიყვანა?

კორ. ჩემმა სამსახურმა ქვეყნისადმი.

2 მოქ. როგორ შენმა სამსახურმა?

კორ. ოჰ, სამსახურმა და არა ჩემმა სურვილმა.

1 მოქ. არა შენმა სურვილმა?

კორ. მე ჩემს დღეში ის არა მსურვებია, ღარიბს გამოვთხოვო რამე.

1 მოქ. თუ გაძლევთ რასმე, იმ იმედით გაძლევთ, რომ სამაგიერო დაგვიბრუნდება.

კორ. მაშ ეხლავ მითხარით, რა ფასსა მთხოვთ, კონსულობისთვის.

1 მოქ. ფასად ის გვეყოფა,—რასაც თხოულობ, ტკბილად მოითხოვო.

კორ. ტკბილადა? ძალიან კარგი. მომეც ხმა, ბატონო ჩემო; სამაგიეროდ ჩემს ჭრილობებს გიჩვენებ სადმე ცალკე.— შენც ნუ დამიჭერ შენს ხმასა.

2 მოქ. მომიცია, ღირსეულო ბატონო.

კორ. მაშ ორი ღირსეული ხმა შევიძინე როგორც მთხოვარმა. —გმადლობთ მოწყალებისთვის, მშვიდობით.

1 მოქ. უცნაურად იქცევა.

2 მოქ. თავიდან რომ დავიწყო, მაშინ სხვა იქნებოდა, მაგრამ ეჰ, რაც იყო, იყო.

(ორი მოქალაქე გადის. შემოდის ორი სხვა).

კორ. სათხოვარი მაქვს, თუ თქვენი წინააღმდეგი არ იქნება: მინდა კონსულობა მივიღო; აი, ხომ მხედავთ, დაწესებულის სამოსითა ვარ შემოსილი.

3 მოქ. შენ შენი ქვეყნისთვის კარგი სამსახურიც გაგიწევია და ცუდიც.

კორ. ეგ რა გამოცანაა?

3 მოქ. მტრისთვის თუ მტერი იყავ, არც მოყვარესა ზოგავდი. დაბალი ხალხი შენს დღეში არა გყვარებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კორ.** მაგისთვის უფრო ქება მეკუთვნის, რომ პირმოთნე სიყვარული არ მეხერხება. მაგრამ, ბატონო ჩემო, რაკი უამისოდ ხალხის გული არ მოიგება, ეხლავ შევუდგები ქლესაების ხელობას. თუ თავის კანტური გირჩევნიათ გულით შეტკბობას, შევეჩვევი მეც მოწიწებით ალერსს, დავესესხები ხალხის სასურველ პირებს მათს მომხიბლველ ზნესა და არავის თავაზას არ მოვაკლებ, ოღონდ, გთხოვთ, კონსულობაზედ უარს ნუ მეტყვით.

**4 მოქ.** იმედი გვაქვს, ხალხის მეგობარი შეიქნები და ამიტომ სიხარულით გაძლევთ ჩვენს ხმებს.

**3 მოქ.** შენის ქვეყნის გულისთვის ბევრი ჭრილობები გაქვს მიღებული.

**კორ.** რაკი ეგა გცოდნია, ჩვენება რაღა საჭიროა? მე თქვენს ხმებს ძვირად ვაფასებ და ამის გამო ლაპარაკით აღარ შეგაწუხებთ.

**ორივე მოქ.** ღმერთებმა სიხარული ნუ დაგილიონ, ბატონო ჩემო.

(გადიან).

**კორ.** ვიჰ, ამ ტკბილ ხმებსა! სიკვდილი სჯობს, სიმშილ-წყურვიესრედ მთხოვრობას მისას, რაიც ჩვენვე გვეკუთვნის. [ლი
აქ უნდა ვიდგე წუწკის გლახის სამოსელით მე
და გამოვთხოვდე რაღაც ხმებსა ნაყარ-ნუყარ ხალხს!
ჩვეულებაა ასეთიო. რა გაეწყობა,
არა გვაქვს ნება ძველის-ძველი მტვერი გავწმინდოთ
და ცთომილების მთამ ზეცამდე აყუდებულმა
სიმართლე სადმე უხილავად უნდა მიჩქმალოს!
ის მირჩევნია ესე მწარედ გასულელებას,
იმას დავუთმო ეს უფლება, ვინც შეიფერებს.—
ნახევარი გზა გავლილია, ვცდი დანარჩენსაც.
აგერ მოდიან კიდევ ხმები.—

(სამი სხვა მოქალაქე შემოდის).

ხმებს ვითხოვ თქვენგან.

თქვენი ხმებისთვის მიბრძოლია ღამე-გატეხილს,
თქვენი ხმებისთვის დაჭრილი ვარ ოც და ოთხს ალაგს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვრამეტი ომი გადმიხდია, თვალით მინახავს,
ყურით მსმენია, კიდევ ბევრი მომიქმედნია,
ზოგი ადვილი, ზოგი ძნელი. სხვა რაღა გითხრათ,
მინდა კონსული ვიყო, გესმით, ხმებსა გთხოვთ-მეთქი.

5 მოქ. ბევრი სასახელო საქმე უქმნია და რომელი პატიოსანი კაცი იქნება, ხმა დაუჭიროს!

6 მოქ. ოდონდაც ღირსია კონსულობისა, ღმერთებმა სიხარული მიანიჭონ და ხალხის ერთგულება.

სამივე მოქ. ამინ, ამინ! ღმერთნი იყვნენ შენნი მფარველნი, დიდებულო კონსულო.

კორ. ვიჰ, ამ ღირსეულ ხმებსა!

(შემოდიან მენენიოს, ბრუტოს და სიცინიოს).

მენ. კორიოლანოს. შეგისრულდა ვადა; ტრიბუნნი განიჭებენ შენ ხალხის ხმასა, ის დარჩა მხოლოდ გამოეცხადო ჯეროვანის სამოსით სენატს.

კორ. გათავდა მაშა?

სიც. გამოსთხოვე შენ ხალხს ნება-რთვა და მან მიგიღო. ეხლა უნდა კვლავ შევიყარნეთ დამტკიცებისთვის.

კორ. სად, სენატში?

სიც. დიაღ, სენატში.

კორ. შემიძლიან ეს სამოსელი გამოვიცვალო?

სიც. დიაღ, ბატონო.

კორ. მაშ ეხლავე წავალ, გადვიცვამ და ისევ ჩემის სახით სენატს წინ წარვუდგები.

მენ. მეც წამოგყვები.—თქვენ არ მოხვალთ?

ბრუტ. ჩვენ აქ ხალხს ვუცდით.

სიც. მშვიდობით.—

(კორიოლანოს და მენენიოს გადიან).

აგერ შეუსრულდა გულის წადილი
და მეტის-მეტად უხარიან, თვალებზედ ვატყობ.

ბრუტ. როგორ ამაყად იდგა იგი მდაბალთ სამოსში!— ხალხს არ დაითხოვ? (მოქალაქენი შემოდიან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიც. ისტატებო, მაშ აირჩიეთ?
1 მოქ. ჰო, ხმა მივეცით.
ბრუტ. ნეტა მართლა დაიმსახუროს
ეგ სიყვარული.
2 მოქ. ოლონდაცა: ისე განესაჯე
ამ მოკლე ჭკუით, ხმებს რომ გვთხოვდა, თან დაგვცინოდა.
3 მოქ. ეჭვი არ არის, სასაცილოდ გვიგდებდა იგი.
1 მოქ. რა სათქმელია, ლაპარაკი სულ აგრე იცის.
2 მოქ. შენს გარდა აბა სხვა ვინ იტყვის, ჩვენვე მასხარად
არ აგვიგდოო; უნდა ნიშნად ეჩვენებინა
ქვეყნის გულისთვის მიღებული ჭრილობები რამ.
სიც. რაღა თქმა უნდა, გიჩვენებდათ.
**ყველა მოქალაქენი.** ოჰ, არა, არა,
თვალით არავის არ უნახავს.
3 მოქ. ესა სთქვა მხოლოდ:
ჭრილობები მაქვს და გიჩვენებთ სადმე ცალკეო;
გადაიქნია ქუდი ზიზღით და დაუმატა:
„კონსულობა მსურს, ძველთაგანვე წესად დებულა,
„თქვენც უნდა ხმები გამოგთხოვოთ და ამის გამო
„ხმებს გთხოვთ, მომეცით.“ ჲ თანხმობა რომ განვუცხადეთ,
„გმადლობთო დიდად, გმადლობთ თქვენი ტკბილი ხმების-
„და ეხლა რაკი ხმა მომეცით, მე თქვენთან საქმე [თვის.
„არა მაქვს-რაო.“ ეს დაცინვა არ არის განა?
სიც. როგორ დაბრმავდით და ეგ ყველა ვერ დაინახეთ,
თუ დაინახეთ, ბავშვებივით როგორ მიენდეთ?
ბრუტ. დარიგებულნი ხომ იყავით, ვერ ეტყოდით, რომ
როდესაც ძალა არა ჰქონდა და მსახურებდა
მცირე მოხელედ, მტერი იყო ყოველთვის თქვენი,
ცდილობდა თქვენთა უფლებათა შემოკლებასა,
თქვენს წინააღმდეგ კადნიერად ლაპარაკობდა
და ეხლა, როცა მიაღწია დიდებულს ადგილს
და გაძლიერდა, თუ კი პლებთა კვლავინდებურად
მტრულად მოექცა, მიცემული თქვენგანვე ხმები

თქვენვე საწყევრად გაგიხდებათ. ეს უნდა გეთქვათ,
რომ თუმცა ღირსი არის იგი, რასაც თხოულობს,
მაგრამ თქვენც უნდა, ხმის მიმცემნი, არ დაგივიწყოთ
და ძველი მტრობა შევიცვალოთ ტკბილ სიყვარულად.

**სიც.** როგორც წინადვე ჩაგაგონეთ, ისე რომ გეთქვათ,
აღელდებოდა, ყველაფერში გამოტყდებოდა,
ან მოგხედავდათ მაშინ იგი მოწყალე თვალით,
დაგპირდებოდათ ერთგულებას და შესაფერ დროს
მოაგონებდით დანაპირებს, ან ჩვეულებრივ
მოერეოდა უცებ ბრაზი მის ურჩ ბუნებას
და თქვენც მიზეზად გეყოფოდათ, არ აგერჩიათ.

**ბრუტ.** როცა იმისთვის საჭირონი იყავით, ზიზღით
შემოგყურებდათ და როდესაც ძალა ექნება,
მაშინ ხომ მართლაც გასასრესად აღარ დაგინდობთ.
როგორ მოსტყუვდით, ამას როგორ ვერ მიხვდით, ბრიყვნო,
გული არ გედოთ მაგ სხეულში, თუ თქვენი ენა
გონებას აღარ მორჩილებდა!

**სიც.** კვლავ მთხოვნელთათვის
რამდენჯერ გითქვამთ თქვენ უარი და აწ თანხმობას
უცხადებთ იმას, ვინც უწყალოდ მასხარად გიგდებთ!

**3 მოქ.** დამტკიცებული ხომ არ არის, ჯერაც ნება გვაქვს
უარის-თქმისა.

**2 მოქ.** აგრეცა ვქნათ, მე მიკისრია
ხუთასამდე ხმა.

**1 მოქ.** მე ათასი და კიდევ მეტი.

**ბრუტ.** წადით ეხლავე, ჩააგონეთ იმ თქვენს მეგობრებს,
რომ თავის მტერი მათ კონსულად აურჩევიათ,
რომ ის დაბალ ხალხს მოეპყრობა, როგორც ძაღლებსა,
რომელთ ჯოხს სცემენ ყეფისთვისაც სიჩუმისთვისაც.

**სიც.** ყველანი ერთად შეკრბნენ, კარგად განსაჯონ საქმე
და გააუქმონ უგუნური ეგ არჩევანი.
მოაგონეთ მის სიამაყე, დიდი ხნიდანვე
მის სიძულილი ხალხისადმი. არ დაგავიწყდეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც, თუ დაბალთ სამოსელსა როგორ ზიზღობდა,
ხმების თხოვნის დროს უხამიანად ვით დაგცინოდათ
და სამშობლოის სამსახურმა იმისმა მხოლოდ
გაგიქარწყლათ თქვენ ხალხისადმი მოყენებული
შეურაცხება, მძულვარებით კილვა-დაცინვა.

**ბრუტ.** ჩვენ, თქვენს ტრიბუნებს, დაგვაბრალეთ, ვითომ ვცდილობ-
ის აგერჩიათ და შიშებსაც ჩვენ გიქარვებდით. [დით

**სიცინ.** ჩვენი ბრძანებით აარჩიეთ ვითომ და არა
თქვენი სურვილით; მორჩილებამ თქვენთ უფროსადმი
უმსხვერპლა ვითომ ხმები იმას თქვენს უნებურად;
ჩვენ დაგვდეთ ბრალი.

**ბრუტ.** ნუ დაგვზოგავთ, ასე სთქვით ჩვენზედ,
მოგვითხრობდნენ-თქო, რა ყმაწვილმა დაიწყო თვისი
ქვეყნისთვის ღვაწლი და რა ხანგრძლივ მსახურებს იგი.
რა დიდებული გვარი არის მარციოსთ მოდგმა,
რომელთა შორის ანკოს, ნუმას შვილის-შვილი, აქ
მეფედაც იყო შემდეგ დიდის ჰოსტილიოსის;
რომ მათგანვეა პუბლიოსი და კვინტოს, რომში
უკეთესის წყლის გამომყვანნი: ცენზორინოსიც,
რომელსაც ხალხმა ეს სახელი ღირსად უწოდა,
რადგანაც ორჯერ აირჩია თავას ცენზორად.

**სიცინ.** რომ ჩამომავალს ესეთ დიად წინაპართაგან,
თვითონც პირადად ქვეყნისათვის ღვაწლ-შემოსილსა
ქებით ვამკობდით, ვაწონებდით, მაგრამ რაკი რომ
მისი წარსული შეუდარეთ აწინდელს ქცევას,
დარწმუნდით, — იგი მტერი არის მოსისხლე თქვენი
და ცლით ამისთვის უცაბედად გარდაწყვეტილსა.

**ბრუტ.** მაგრად იდეით ამ სიტყვაზედ განსაკუთრებით,
რომ ჩვენით მოხდა ყველაფერი და კაპიტოლში
წადით მაშინვე, როცა ერთად მოიყრით თავსა.

**ყველა მოქ-ნი.** უარ-გვიყვია ყველას, ყველას მის არჩევანი!

(გადიან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბრუტ.** წავიდნენ, დეე, ისა სჯობს, რომ ეხლავ აჯანყდენ,
ვიდრე უარესს მოველოდეთ აუცილებელს.
თუ ამ უარმა გააბრაზა, ვით ეს ზნედა სჭირს,
უნდა სიბრაზე მისი კარგად გამოვიყენოთ.
**სიცინ.** აბა, წავიდეთ კაპიტოლში, ხალხს წინ მივუსწროთ,
რომ წაქეზება ჩვენგან მისი ვერ შეამჩნიონ. (გადიან).

**ივ. მაჩაბელი**

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საშინელი წამი

### პოლ-მარგერიტისა

მე ველოდი ჩემს მეგობარს რევოლს ლიონის სადგურზე. მატარებელი გაუსწორდა სადგურს. რევოლი ჯერ არსად ჩანდა. ვაგონიდან, რომლის წინაც მე ვიდექი, ჯერ ჩამოვიდა მსხვილი კაცი, მას გამოჰყვა მსხვილი ქალი და ორი მსხვილი ბავშვი პორტ-პლედებით და საკ-ვოიაჟებით; შემდეგ გამოვიდა მსხვილი ძიძა მსხვილი ბავშვით ხელში. ამათ მოჰყვა სხვა-და-სხვა ბარგი, ჩიტებ ჩამწყვდეული გალიები, საკერავი მანქანა და მსხვილი ძაღლი, რომელიც სკამ ქვეიდამ გამოათრიეს, მძინარი, და ბოლოს, ამის შემდეგ მხოლოდ, გამოვიდა თითონ რევოლიც. ისედაც გამხდარი ეხლა ამ ცოცხალ ბარგს შემდეგ უფრო გამხდარი მეჩვენა.

— სალამი, მეგობარო, — მივეგებე მე.

— არა, არა, თუ ღმერთი გწამს, ნუ მრავლსიტყვაობ, ...

— აბა, აბა, თუ ღმერთი გწამს, ნუ მრაცხ შესაბრალისად, — მიპასუხა მან. — პირიქით, ვლოცავდი ამ ხალხს. რომ იცოდე, რა სიხარული გამოვცადე, ესენი რომ ვაგონში შემოვიდნენ! რა სასიამოვნო იყო ამ ჯანმრთელ სიმსხვილის ხილვა იმ შეშლილის შემდეგ, რომელმაც კინაღამ მომკლა. მთელი ნახევარი საათი ვიჯექ მასთან ერთად და რევოლვერი ჩემსკენ ჰქონდა დამიზნებული. მარტონი ვიყავით.

— როგორ თუ შეშლილი?

— დიახ, და გიჟიც ამასთან. გზაში უყველაფერს გიამბობ. ეხლა მეცინება, მაგრამ იმ წამს კი...

ვუბძანეთ, ჩაეწყოთ მისი ბარგი ეტლში, ჩვენ კი ფეხით წავედით, და აი რა მიამბო რევოლმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაროშში პირველ კლასის განყოფილებაში ჩავჯექი. აქ დამხვდა მხოლოდ ერთი კაცი; ის კუთხეში იჯდა და ფანჯარაში იყურებოდა. მატარებელი დაიძრა, კაცი მობრუნდა ჩემსკენ. მისი შემოხედვა და ღიმილი პირველ დანახვაზედვე არ მომეწონა, მაგრამ არ ვიცოდი კი რატომ. სახე მოგრძო და სამკუთხი ჰქონდა, რომელზედაც დაშვებოდა ორად გაყოფილი პატარა წვერი. წამწვეტილი თავის ქალა სრულებით მოტვლეპილი ჰქონდა; ერთ და იმავ ღიმილში და ღია-მწვანე თვალებში რაღაც მოუსვენრობა ეტყობოდა.

მე მაინც მივხვდი, რომ სურვილი ჰქონდა თავაზიანად მოქცეულიყო.

— სუნი ხომ არ გაწუხებთ, — მკითხა მან. მეგონა თუთუნის მოწევის ნებას თუ თხოულობს-მეთქი, მაგრამ ხელში სიგარა არ ეჭირა. მეც გამოურკვეველის ხელის გაქნევით ვუპასუხე მისს გაუგებარს კითხვაზე. აქ ძლიერ თავაზიანად ამიხსნა:

— ბუზების სუნია ცოტა. ეგ არც ისე უსიამოვნოა, მაგრამ შეჩვევა უნდა მაინც. ექიმი ბრძანდებით?

უარის ნიშნად ხელი გავიქნიე. მას თითქო ეჭვი დაებადა და დამიწყო ყურება ისეთი ყურადღებით, თითქო უნდოდა შიგ გულში ჩაეხედნა. შემდეგ მითხრა:

— მე კი ექიმი ვარ; მე ფრინველების ცხოვრებას ვიკვლევდი; მხოლოდ ისინი მეინტერესებიან.

ძლიერ საყურადღებო შენიშვნები მაქვს მათ შესახებ. მაგალითად სუყველაზე კარგი სუნი გძელ-ცხვირას უდის.

— ჰო! — წარმოვსთქვი მე ცოტათი შიშატახილმა. მე ვგრძნობდი, რომ თვალს არ მაშორებდა. გავიხედე ფანჯარაში, — მატარებელი მიჰქროდა საშინელი სიჩქარით; ჩავიხედე მიმოსვლის წიგნში, — ჟუანვილამდის ერთი საათის სავალი გზა რჩებოდა და მანამდის კი არც ერთი სადგური არ იყო. ზარის ძებნა დავიწყე და ზედ შეშლილის თავს ზემოდ დავინახე. ის კი თვალს არ მაშორებდა და ჩემს აქეთ-იქით ყურებას თვალს ადევნებდა. მრისხანედ შემომხედა და ბრძანებითი კილოთი მითხრა:

— იქიმი ბრძანდებით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა,— წამოვიძახე მე,— ექიმი არა ვარ.

— მაშ ზარს რაზე მისჩერებიხართ? — დამეკითხა ისეთი გასაკვირველი ღიმილით, რომელსაც ხანდისხან იძენენ შეშლილები,— რას უყურებთ ზარს?

გაიხსნა წამოსასხამის ღილები, მშვენიერის ბეწვის საყელოიანის წამოსასხამისა, და პატარა რევოლვერი ამოიღო.

— ექიმი ბრძანდებით თუ არა? — გაიმეორა მან.

— არა-მეთქი! — წამოვიყვირე მე სასოწარკვეთილებით და ამავე დროს ვყოყმანობდი, რა მექნა: ვცემოდი და წამერთმია იარაღი,— ამ დროს შეიძლება გავარდნილიყო კიდეც,— თუ ვცდილიყავ მომელბო მისი გული.

— მაშ შეშლილი ყოფილხართ. — მითხრა მან დალონებული ხმით. — მეცოდებით.

შემდეგ დაუმატა:

— მე არ მიყვარს შეშლილები. მიუხედავად ამისა მე მაინც ვქიმობ მათ, რადგან კაცთმოყვარე ვარ და დიდ-სულოვანი. ოთხი ათას ხუთას ოცდა შვიდი შეშლილი მყავს ჩემს საავადმყოფოში. უკაცრავად,— თითონვე გაიწყვიტა სიტყვა — ოთხი ათას ხუთას ოცდა ექვსი; მე დამავიწყდა, რომ ერთი გუშინ მოკვდა.

— ჰო! და რითი მოკვდა?

— რითი და, მე მოვკალი,— მიპასუხა შეშლილმა.

მან მოსწია რევოლვერის ჩახმახი და გაისროლა ფანჯარაში.

— აი ასე,— დაუმატა მან.

მისს სახეს დიდი კმაყოფილება დაეტყო. ვაგონის კედელს მიეყრდნო, ხელში კი ისევ ჩემსკენ მომართული რევოლვერი ეჭირა, თითქო თავს იცავდა. ვაგონი აივსო ლურჯი კომლით, რომელიც ნელ-ნელა ინთქებოდა.

რევოლვერის ხმა მატარებლის ხმაურობამ დაჰფარა.

— ეგ იმისათვის, იმის დასამტკიცებლად გიამბეთ, რომ შეშლილებისა არ მეშინიან.

— არ შეიძლება, რომ რამე ოპერის არია მიმღეროთ?

ეს სიტყვები მეტად ტკბილად, ცბიერი და ბეჯითი ხმით იყო წარმოთქმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე არა ვმღერი, — გავბედე და შევნიშნე მე.

— ტყუილია! — რიხიანი ხმით წამოიძახა შეშლილმა. «თქვენ მღერით», მღერით, მაგრამ ჩემი გასულელება გსურთ, როგორც ყველას თქვენს მზგავს.

მაგრამ აქ ერთბაშად გამოიცვალა კილო და განაგრძო საწყლად, ისეთი ხმით, თითქო ტიროდა, სახე კი ნაწყენი ბავშვის ნამტირალევ სახესავით დაემანჭა:

— თქვენ არ იცით, როგორ მაწვალებდნენ მე «ისინი», ჩემო ბატონო! «ისინი» ადუღებულ შაბიამანს მასხამდნენ ხახაში. ამისათვის «ისინი» ინგლისურ მანქანას ხმარობდნენ. მე მეჯავრებიან «ისინი», ბატონო, «ისინიც» და «მათი» წამლებიც!

ისევ გაფიცხდა უწინდებურად:

— იმღერეთ, — მიბძანა მან. — და ნურც ფანჯარაში იყურებით, ნურც ზარს უყურებთ. მეორე განყოფილებაში არავინ არის, იცოდეთ; ეს მე ვაგონში შემოსვლამდე გავიგე. იმღერეთ, მე მუსიკის მაღმერთებელი ვარ.

და რევოლვერი დამიმიზნა:

— ათამდისინ ვითვლი: ერთი, ორი, სამი!..

შვიდამდისინაც აღარ დავაცალე დათვლა და რაც ძალი და ღონე მქონდა დავიწყე «მალბრუკის» მღერა.

შეშლილი ლოტბარივით თავს აქნევდა და, სჩანდა, დიდ სიამოვნებას გრძნობდა.

— არა უშავს-რა! მითხრა, როდესაც სიმღერის მეორე მუხლი გავათავე. ეხლა ფრენა შეგიძლიათ.

მე შიშის ზარი დამეცა და გაფითრებული შევყურებდი.

— ფრენა, — ამიხსნა მან და თითების გრაციოზულ ქნევით მანიშნა, — ჰაერში ფრენა.

მე ვერ გავტყდებოდი ამის უცოდინარობაში იმის შიშით, რომ ვაი თუ ამგვარი პასუხისათვის შიგ გულში მომარტყას ტყვიამეთქი. შეშლილის თვალებში რაღაც ლმობიერება და თანაც გამარჯვების სიხარული იხატებოდა.

— მე კი შემიძლიან! — სთქვა მან.

მე იმედი მომეცა და სახეზე დიდი აღტაცება გამოვიხატე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ? თქვენ არ ელოდით ამას. თქვენ ამბობდით: «აი საბრალო არსება, რომელმაც არაფერი არ იცის, საწყალი, ჩერჩეტი, სულელი!» გამოტყდით, ასე ფიქრობდით, მე ვხედავ თქვენს აზრს. ფიუიტ!

ბუმ! ჰაერში გაისმა საშინელი ხმა; შეშლილმა რევოლვერი დასცალა.

— აი თქვენი აზრი, მე ჰაერში მოვკალი იგი.

და მკაცრად დაუმატა...

— შემდეგში ფრთხილად იყავით!

— თქვენ ჰაერში ფრენას ბძანებდით, — გავბედე მე ლაპარაკი, — ოჰ, რა ბედნიერი ვიქნებოდი, მაგისთანა საუცხოვო რასმე რომ ვიხილავდე! რა მშვენიერებაა! რარიგ მინდა ვნახო, როგორ ფრინავენ!

და მე დიდი აღტაცებით გავიქნიე ხელი. შეშლილმა შემომხედა:

— თქვენ გსურთ ეს, თქვენ მართლა სულით და გულით გსურთ, მაინც და მაინც?

ამას დიადის ხმით ამბობდა, სახე მისტიკური სიმხნევით უბრწყინავდა.

— მიყურეთ, — მითხრა მე.

წინ დაიხია, მისწია ურდული და გააღო კარი; შემდეგ გამოქანდა, მაგრამ უცბად დაფიქრდა და იჭვიანი ხმით დამეკითხა:

— თქვენ ექიმი ბრძანდებით?

ჩემს სახეს ისეთი სასოწარკვეთილება დაეტყო და მასთან ისეთი რაღაც სულელური შიში, რომ შეეცოდე.

— არა; ტყუილად გდებთ ბრალს, თქვენ არა ხართ ექიმი; ვხედავ, რომ შეშლილი ხართ. და მეც, უნდა გითხრათ, ფრენა მხოლოდ მისთვის ვისწავლე, რომ შეშლილებს ვუშველო, რომ მათ უოველთვის შეეძლოთ თავიანთ პატარა ოთხებს მოშორდნენ, და აგრეთვე მისთვის, რომ ყველა საწყლებს დავეხმარო და შრომა გავუადვილო; მაგალითად, რომ მუშები ისე არ იღლებოდნენ სამუშაო ადგილზე მისვლით; ჩემი აღმოჩენა დიდად გამოადგება კაცობრიობას. მე ეხლავე ავალ ჰაერში, თქვენ დაინახავთ. მეც მატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებლის გვერდით ვფრენ და თქვენზე ადრე ვიქნები მონტეროში. კარგად მიყურეთ

ისეთი გულკეთილობა და რწმენა იხატებოდა მისს თვალებში, ისეთი ფანატიკური ექსტაზი — მისს სამკუთხ სახეზე რომ, შემეცოდა.

— მოითმინეთ! — შევძახე მე. — მოითმინეთ, მე კი მჯერა, მჯერა უნახავადაც, მაგრამ სხვებს, ბრბოს, ხალხს. აი ეხლავე სადგურზე მივალთ...

შეშლილმა თავისს საათს დაჰხედა.

— თერთმეტი წამი გვიკლია.

— ეხლავე სადგურზე მივალთ, იქ თქვენ ახვალთ ჰაერში, აფრინდებით მაღლა; ყველანი პირქვე დაემხობიან, სადგურის უფროსი თქვენდამი პატივისცემის ნიშნად დაიწყებს თავისს წითელი ქუდის ქნევას. მე კი რაც ძალი და ღონე მაქვს «ბრავოს» ყვირილს დავიწყებ.

— ჰო, დიაღ! — წამოიძახა შეშლილმა. — სადგურის უფროსი!.. თქვენ «ბრავოსა» და «ვაშას» იყვირებთ.

და ამ აზრით გატაცებულმა გაიხადა ფეხსაცმელი და გადაყარა ფანჯარაში, შემდეგ შარვალი, რომელსაც იგივე გზა უჩვენა და ბოლოს საცვალიც.

— ნუ მიყურებთ ფეხებზე, — მითხრა მე, და თანაც პერანგში ეხვეოდა, — კაცის შემოხედვა ურიგოა.

შემდეგ თავმოწონებით დაუმატა:

— თუმცა მართალია ლამაზი ფეხები მაქვს.

მატარებელმა დაუსტვინა და სვლას უკლო.

— აი მარჯვე დრო, — სთქვა შეშლილმა — ო, რამოდენი ხალხია! მე სადგურის უფროსსაც ვხედავ. ყურადღება! მე მივფრინავ!

გახტა კარებში და ექიმსა და მისს ორს მხლებელს ჩაუვარდა ხელში. ამათთვის შეეტყობინებინათ, საგიჟეთიდან გაიპარაო; აქ ელოდნენ საბრალოს და ეხლა საჩქაროდ ხელი წაატანეს.

დავინახე მისი გამხდარი ტიტველი ფეხები ჰაერში და ის იყო, წაიღეს კიდეც. და აი სწორედ ამ დროს, — დაასბოლოვა რევოლმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ამბავი,—შემოვიდა ეს მსხვილი ოჯახი და აავსო მთელი განყოფილება თავის ბარგით.

მე გამოუთქმელის სიხარულით მივარდი და ვეხმარებოდი კარგად დალაგებულიყვნენ, დიდი სიამოვნებით დავუწყე ფერება მათ ბალღს, და მისი კეთილი, თითქო ადამიანური თვალები, სი-მშვიდეს მგვრიდნენ.

ივ. ზურაბიშვილი

→⋙⋘←

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნამდვილი სამსახური

(ი. პოტაპენკოსი)

## IV.

ორი კვირე, რომელიც კრილემ გაატარა ქალაქში, მეტად სამძიმო იყო იმისთვის.

სთხოვდა მამა გაბრიელს, მის მეუღლეს და მაროს, რომ ჯვარის წერა სულ უბრალოდ მოეხერხებინათ, მაგრამ იმათ გაგონებაც არ უნდოდათ იმისი.

— შენ ბევრი რამ გინდა!—ეუბნებოდა სასიდედრო,—ბევრი რამ დაგითმეთ, მაგრამ ამაზე კი უკაცრავად, არ შემიძლიან დაგეთანხმო.

მღვდლის ცოლმა ამ დანათმობის მოგონებაზედ ძლიერ ამოიოხრა.

მაროც იმას ამბობდა: ძალიან გულით მსურს ქორწილი დიდის ამბით იყოს გადახდილიო. დაუფარავად ეუბნებოდა კირილეს, დიდი ხანია ამასა ვნატრობო. მამა გაბრიელმა გამოაცხადა, რომ ამას მოითხოვს ჩემი მდგომარეობა ქალაქშიო.

აბა აქ კირილეს წინააღმდეგობას რაღა მნიშვნელობა ექნებოდა?

საეკლესიო სახლის მეორე სართული გაჩაღებული იყო სამთლებით, სობოროში დაანთეს უმთავრესი ქორკანდელები; გალობდნენ არქიელის მგალობლები, სახარება ქუხილის მგზავსი ხმით წაიკითხა შტატ გარეშე დარჩენილმა სობოროს მთავარ-დიაკვნობის აღმასრულებელმა. ყველა სასულიერო ყმა-

*) იხ. „მოამბე" № VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვილები ქალაქისა, ყველა ქალიშვილები მომლოდნელნი აკადემია გათავებული საქმროებისა, თავის ჩასუქებული დედებით, მასწავლებელნი სემინარიისა, მღვდლები, და აქა იქ სემინარიელებიც კი მაღალი კლასებისა. ეკლესიაში იყვნენ, ეკლესიიდან მიწვეულ იქმნენ დეკანოზის ოჯახში, სადაც მხიარულება გაგრძელდა გათენებამდინ. მარო მხიარული იყო, საუცხოვო შესახედავი თავის თეთრ ტანისამოსით და ურიცხვი ვარდებით. კირილე კი უშნოდ იყო მიუჩვეველ ფრაკით, მაგრამ უხდებოდა როგორც აკადემია გათავებულს ახალგაზდას, რომელიც მზიდველია მრავალი სირიოზული და განათლებული იმედებისა.

უსტიმოვკიდამ ნათესავთაგანი მარტო მეთოდე და მოტია იყვნენ; მოხუცებულები კი შეუშინდნენ ბრწყინვალე ქორწილს და ამბობდენ: „რა გვინდა ჩვენ იქ, რა ჩვენი საქმეა?“ ლიდიას ბავშების მიტოვება არ შეეძლო და ნაზარს კი დაეზარა სისუქნის გამო მგზავრობა, მით უფრო, რომ იმ დროს აპირობდა თავის სამრევლოში გადასახლებას—წინამძღვრად სოფელს გურიევში.

ორი დღის შემდეგ კირილე მივიდა მღვდელ-მთავართან.

— ააა!... სიამოვნებით შეხვდა მღვდელ-მთავარი კირილეს:—ვიცი, გავიგე, მამა გაბრიელმა მიამბო, ძალიან კარგი ქალი გითხოვია. ადგილიც მომზადებული მაქვს, დაბა ლუგოვო ხომ იცი?

— დაბა ლუგოვო?!

— ჰო, რა იყო, არ მოგწონს?

— იქ ხომ ორი მღვდელია, თქვენო უსამღვდელოესობავ?

— მერე რა? შენ იქ წინამძღვრად იქნები.

— მეშინია, ვაი თუ ვერ შევთვისდეთ?

— შენ, შენი კეთილი ხასიათებით? არა, არა შენ მაგას ნუ წარმოიდგენ, მე კიდეც გადავწყვიტე და ასე უნდა იყოს. იქ ბაზარი მაინც არის, სკოლაა და მიყრუებული ადგილი არ ეთქმის... მოემზადე, პარასკევს უქმეა, მთავრად გაკურთხებ და კვირეს მღვდლად. აბა გასწი, ღმერთი შეგეწიოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირილეს მეტი აღარა უთქვამს-რა. მაგრამ მეტად უკმაყოფილოდ კი დარჩა ამ დანიშნულებით.

დაბა ლუგოვო დიდია სივრცით და მრევლიც ურიცხვი ჰყავს. კირილეს ეს არ აშინებდა; იმას ის აწუხებდა, რომ თანაშემწე ეყოლებოდა და, ვინ იცის, როგორ შეთვისდებოდნენ. რომ თანაგრძნობა გამიწიოსო, ამის იმედი სულ არა ჰქონდა: დაიწყება უთანხმოება და შუღლი... სწორედ ამას სწუხდა, ამას ერიდებოდა, მაგრამ რა უნდა ექმნა? რომ დაეჟინებინა, არ მინდა ეს ადგილიო, არ იყო კარგი, რადგან პირველადვე მეტად მოწყალედ მოექცა მღვდელმთავარი და ბევრი სიკეთე უყო. გადასწყვიტა და სთქვა თავისთვის: რაც იქნება, იქნება! რაც უნდა წინააღმდეგობა გამიწიონ, მე ჩემს გზაზედ ვივლი, არავის შეუძლიან ჩემი გზის შეშლა და ვიცხოვრებ როგორც ჩემი ნება იქნება. ვინ იცის, იქნება უკეთესიც იქნეს.

ამ დროიდან დაიწყო კირილემ საგრძნობელი რაღაც მუდმივი მღელვარება. დაიწყო მოფიქრება კლასში ნასწავლისა, რადგან მოახლოვდა დრო ცხოვრებისა და ნასწავლის განხორციელებისა.

ხანდა ხან მიუჯდებოდა გვერდით მაროს, გამოართმევდა ხელს და ეტყოდა:

— ოჰ, მარო, საშინელებაა ჩვენი მოვალეობა! მომყვება კი ძალა?

მაროს გამოურკვევლად წარმოედგინა მნიშვნელობა ამ მოვალეობისა... და აშინებდა ეს უცნაური ლაპარაკი. მაგრამ იქვე მალე გაუვლიდა ხოლმე კირილეს, თითონვე იშორებდა თავიდან შემაწუხებელ ფიქრებს და ამბობდა: ცუდ გუნებაზედა ვარ, სხვა არა არის-რა, ჩემს ძალღონეზედ არაფერი ექვი არა მაქვს-რაო.

— ეხლა ჩვენ ისე ყმაწვილები ვართ, მარო... და როდესაც მოვხუცდებით, ექვებს მაშინ გავყვეთ.

მარო ამაზედაც უნებურად ეთანხმებოდა და იმას გაიძახოდა, რასაც ქმარი ჩასძახებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაროს უყვარდა თავის ქმარი, ყმაწვილი, ჭკვიანი, გულკეთილი, სთვლიდა მას მეტად განვითარებულ ნასწავლად და იმის იდეებს მიუწდომელად.

პარასკევს კირილე მოვიდა ეკკლესიიდან ანაფორით. მარომ დაინახა თუ არა ამ ტანისამოსით, კინაღამ გულს შემოეყარა, მერე გონებაზე მოვიდა და დაიწყო ტირილი.

— რა დაგემართა! — ჰკითხავდა კირილე. ცდილობდა ალერსით დაემშვიდებინა, მაგრამ ეს არას შველოდა, რადგან უცნაურად ეჩვენა ამ ტანისამოსით. მარო შესჩვეოდა და უყვარდა სერთუკით გამოწყობილი ყმაწვილი კაცი, ლამაზი შეხედულობისა, სიცოცხლით სავსე და ეხლა კი ისე შეეცვალა გრძელ, განიერ სახელოებიან ანაფორას, რომელმაც განდევნა ყოველი აზრი სიყვარულზე. მაროს არც კი უფიქრია, რომ კირილე ანაფორას ჩაიცვამდა და როდესაც დაინახა ანაფორით, იმედი გადიწყვიტა, ჩემს დღეში კირილეს ველარ ვნახავ იმ ჩვეულებრივ, ყმაწვილკაცის ტანისამოსით, რომელითაც პირველად ვნახე და შემიყვარდაო.

როდესაც ყველა ეს გადაწყვეტით დაინახა, გული უნებურად შეეხუთა და გონება ველარ მოიკრიფა, რომ ცრემლები შეემაგრებინა, რომელნიც ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა.

— ოჰ, მარო, მარო! მე ხომ ისევ ისა ვარ, რაც ვიყავი. ანაფორა რომ ჩავიცვი ხომ არ გამოვცვლილვარ!

— უცნაური რამა ხარ, უცნაური! ულაზათო, სასაცილო. — ამბობდა მარო ღიმილით და ცრემლებით იღვრებოდა. კირილემაც შეიხედა სარკეში და გაიღიმა: მართლაც შეხედულება უცნაური ჰქონდა. მოკლე თმა, წმინდად მოპარსული ნიკაპი და ყბები, პატარა ახლად ამოსული ულვაშები, სრულიად ყმაწვილის გამომეტყველი სახე და მაღალი წვრილი ტანი! ყველა ეს ისეთ შეხედულებას აძლევდა, გეგონებოდა ხუმრობით ჩაუცვამს ანაფორაო. მაგრამ მარომ იცოდა, რომ ეს ხუმრობა არ იყო და ამიტომაც ტიროდა. სიდედრმა მიულოცა და გვერდზე გადახედა მის ტანისამოსს: ისიც შეურაცხყოფილად სთვლიდა თავის თავს, რადგან საზოგადოდ მღვდლის ცოლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ იმას ცდილობენ, რომ შვილებს საერო განათლება მისცენ. ფოფოდიას სურვილიც ის იყო, რომ იმისი სიძე, რომელიც ასე წარმატებით სწავლობდა აკადემიაში, ინსპექტორად სემინარიაში ყოფილიყო ან პროფესორად რომელსამე აკადემიაში, და როდესაც მიაღწევდა ორმოც წელს, მაშინ ჩაეცვა ანაფორა და მაშინ დაეჭირა დეკანოზის ადგილი საკათედრო სობოროში. და რადგანაც ასე მოხდა, უნდა ეცვას, რაღა გაეწყობა! და აი ამისთვის გულცივად მიულოცა და მეტი ერთი სიტყვაც არა უთქვამს-რა. მამა გაბრიელი, რომელიც დაესწრო კირილეს კურთხევას დამშვიდებით უყურებდა წესის ასრულებას. იცოდა, რომ მღვდელთმთავარი თანაუგრძნობდა კირილეს მოქმედებას და გულში იმედი ეძლეოდა, — მოსწყინდება კირილეს სოფელი, სისულელე გაუვლის და მღვდელმთავარი მაშინვე მისცემს ადგილს ქალაქშიო.

კვირეს კირილე აკურთხეს მღვდლად. ბევრი რამ იგრძნო და იფიქრა იმ რამდენსამე წამში, როდესაც საეკკლესიო წესი ანიჭებდა მას ამ ღირსებას. აი, მოვიდა ის წამი, როდესაც იმან ფორმალურად და საქვეყნოდ შეკრა თავისი თავი მოვალეობის ბორკილით, ურომლისოდაც ის სთვლიდა სიცოცხლეს არა-საინტერესოდ და არა სამართლიანად. ამ წამს მან იგრძნო თავის თავის პატივისცემა თავის მიმართულებისა და ხასიათებისათვის. ბევრს იცნობდა, რომელნიც ლაპარაკობდნენ თავიანთ მძიმე მოვალეობაზედ და არ შესწევდათ ძალა, რომ გადასულიყვნენ სიტყვიდან საქმეზედ. თავის სიცოცხლეში ისინი მხოლოდ ლაპარაკობდნენ ამ მოვალეობაზე და წინ კი აღარ მიდიოდა ეს სიტყვები. იმან კი ამოირჩია თავისი მიზანი და აი დღეს დაადგა მტკიცე გზას, რომელიც მიიყვანს მას თავის მიზანთან. კირილე არ ამაყობდა, არც ჰკიცხავდა ვისმე, არა! ამ საღღესასწაულო წამებში მას არ შეეძლო არ ექო თავის გულის სიმტკიცე.

მარო წირვაზე იყო, როდესაც კირილე აკურთხეს. იმას წარმოდგენილი ჰქონდა, რომ ეს კურთხევა მასაც შეეხებოდა და როდესაც შეასრულეს ყოველი წესი, გაიფიქრა, აი ეხლა კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილი მღვდლის ცოლი ვარო. საზოგადოდ ამ სამს დღეში თვალი შეაჩვია კირილეს ანაფორას და ეხლა უფრო დამშვიდებით უყურებდა. წირვის შემდეგ კირილემ უთხრა მრავალმნიშვნელოვანი კილოთი:

— ახლაკი ნამდვილი ცხოვრება გვეწყობა, მარო; აქამდინ ჩვენ მხოლოდ ვემზადებოდით.

მთელი ეს დღე რაღაც ამაღლებულად ჰგრძნობდა თავის თავს კირილე, ზეგარდმო ნიჭით უბრწყინავდა თვალები, თითქო მღვდლად კურთხევას ხელახლა დაებადებინოს იგი. მაროს კი აშინებდა ეს ცვლილება, რომელიც რაღაც შეუმჩნევლად აშორებდა მას კირილეს. ხანდახან იმას უცხოდ ეჩვენებოდა მკაცრი შეხედულობის, ქადაგების კილოთი მოლაპარაკე, მღვდელი. განა ეს ის საყვარელი, გულკეთილი, მასთან დაახლოვებული კირილეა, რომელიც მან შეიყვარა? აი ამ წამებში სწუხდა მარო: მომავალი ეჩვენებოდა არეულად, გაუკებრად და ცივად. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი წამის გულის გრძნობა, რომელიც წამდაუწუმ მოსდიოდა და ეკარგებოდა.

დაიწყო გამოცდის კვირა. კირილე ყოველ დღე მწირველი იყო მღვდელთ-მთავრის ეკკლესიაში. მოვიდოდა თუ არა სახლში, ჩვეულებრივ ნერვებ-აშლილი იყო და რაღაც მოუთმენლობა ეტყობოდა.

— როდის იქნება დანიშნულს ადგილზედ მივიდე! — დღეში რამდენჯერმე იმეორებდა კირილე.

— რა მიგაჩქარებთ, არ მესმის! — ამბობდა დეკანოზის ცოლი: — რა გეჩქარება? თავს მოგაწყენს მიყრუებული სოფელი! ღმერთო ძლიერო, როგორ უნდა გასძლოთ?

— მივიდე, გავერთო საქმეში, სულითა და ხორცით შევუერთდე მას განუყრელად! — აღტაცებით ამბობდა კირილე და არავის ყურს არ უგდებდა, ვისაც რა უნდა ეთქვა.

სიდედრი თვალებს აბრიალებდა, მხრებს იწევდა და გადიოდა ოთახიდან. არა, — ფიქრობდა ის, — ჩვენ მოუფიქრებლად მოვიქეცით, რომ ჩვენი მარო ამას მივეცით. მე ამაში კარგს ვერასა ვხედავ, ბოდავს რაღაც სისულელეებს... ერთი სიტყვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც აკლია. მაგრამ მაროს კი არ ეუბნებოდა, რაც კირილეზე აზრები ჰქონდა შედგენილი.

როგორც გაუთავდა კირილეს გამოცდის დღეები, მაშინვე დაეშურა გამგზავრებასა. მაროს მთელი კვირა ხელი არ გაუჩერებია; იმან ჩაალაგა თავისი მზითევი სკივრში. ამ დღისთვის მოვიდა უსტიმოვკიდან დიაკვანი, მოამზადა საბარგო ურემი, რომელზედაც ყველა ავეჯეულობა უნდა დაედო და გაჰყოლოდა ლუგოვომდინ. როდესაც ბარგის ურემი მზად იყო, ორშაბათს, ძალიან ადრე ახსენა ღმერთი მოხუცებულმა დიაკვანმა და გასწია ბარგი-ბარხანით. კირილე მეორე დღეს უნდა წასულიყო.

მამის გასტუმრების დღესვე კირილე მღვდელთ-მთავართან მივიდა ჩვეულებრივ გზის დალოცვის მისაღებად. მათი უსამღვდელოესობა გამოვიდა მასთან მწვანე ატლასის ანაფორით და ხელში კრიალოსანით. ის იყო, წასვლას ემზადებოდა სხვაგან. კირილე დიდად გააკვირვა მისმა მკაცრმა შეხედვამ: ის არ იღიმებოდა, ჩვეულებრივ არა ხუმრობდა და საზოგადოდ ისე მოეპყრო, როგორც უფროსი. აბა რითი უნდა აეხსნა კირილეს ეს ამბავი? ისე მიიღო, როგორც ხელქვეითი. უწინაც შენიშნული ჰქონდა კირილეს, ვისაც სამოქალაქო ტანისამოსი ეცვა, მღვდელთ-მთავარი იმას უფრო თავაზიანად ექცეოდა. მათი მეუფება ელაპარაკებოდა კირილეს ფეხზე მდგარს, უწინ კი შესთავაზებდა ხოლმე დაჯდომას და თვითონაც დაჯდებოდა.

— წასვლას აპირობ შენს სოფელში?—ჰკითხა მან და თან კრიალოსანს ათამაშებდა.

— დიაღ, ვფიქრობ ხვალ გამგზავრებას,—უპასუხა კირილემ.

— მაშასადამე, ისევ იმ აზრს ადგეხარ?

— მე ისევ იმ აზრს ვადგევარ, თქვენო უსამღვდელოესობავ!

— მაშ აგრე? თორემ მე შენ კარგს ადგილს მოგცემდი აქ ვაჭრების ეკლესიაში.

— დიდად გმადლობ, მაგრამ მე სოფელში მსურს მღვდლობა.

მღვდელთ-მთავარმა წარბები შეიკრა და პირდაპირ თვალებში შეხედა.

— შენ უსათუოდ აგრე გინდა?—მკაფიოდ წარმოსთქვა მღვდელ-მთავარმა.

კირილეს გაუკვირდა ისეთი ცვლილება კითხვისა.

— დიახ, მე სწორეთ ასე მსურს.

— გახსოვდეს მაშ,—შენობით უთხრა მღვდელთ-მთავარმა,—რომ შენ ახალს თანამდებობაზე არაფერი გონებითი სჯის ნება არ უნდა მისცე შენს თავს. შენ უნდა იყო მხოლოდ მწყემსი შენის ცხოვარისა, არა უმეტეს...

— კეთილი მწყემსი, თქვენო უსამღვდელოესობავ!

— რასაკვირველია კეთილი მწყემსი,—მცირედ აუმაღლა ხმა,—მაგრამ შენ ხომ არ ფიქრობ, რომ შენ სულ სხვანაირი მწყემსი იქნები? კარგი არ არის სამსახურის დაწყება აგრეთი გულ მაღალი აზრითა.

ყველას, ამ მღვდელთ-მთავრის თვითეულ ახალს სიტყვას, უკანასკნელ ხარისხამდე განცვიფრებაში მოჰყავდა კირილე, და ამბობდა: საიდამ მოხდა ეს? ვინ ჩაუდო გულში ესეთი ეჭვები?

—აი რა, ჩემო შვილო!—მოუმატა როგორღაც მომბალმა მღვდელთ-მთავარმა:—შენ ჩემთვის გამოცანა შეიქენი. ორში ერთი: ანა ხარ შენ კეთილი და უმანკო სული, ან არა და ეშმაკი და ხალხის აღმაშფოთებელი.

— ეშმაკი და აღმაშფოთებელი?!—შესძახა კირილემ მოურიდებლად.—თქვენ პირველად მაგ აზრისა არ იყავით ჩემზე.

მღვდელთ-მთავარს სახეზე შეეტყო მცირე შეკრთომა და კიდეც შერცხვა ამ უცნაურ გამოცდაზე, რომელიც იმან შეამთხვია სრულიად უდანაშაულო კაცს. მან გაიღიმა, ასწია ხელი და ნელა დაკრა მხარზე.

— არა, მე ვიცი, შენ კეთილი სული ხარ!—ტკბილი, მეგობრული კილოთი უთხრა მან:—მაინც იცოდე, მე გაგებული მაქვს, რომ აკადემიაში შენ ჭკვიან ხალხთან გქონდა კავშირი. მე პატივსა ვცემ განათლებულ ხალხს, თუნდ საეროც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იყოს. ემსახურე საწყალ ხალხს, მაგრამ ფთხილად იყავ, თორემ შენს კეთილ იდეალებს ბევრი ვერავინ გაიგებს და უგნურნი ავს შეგწამებენ. ფთხილად იყავი! ეს ჩემი მამობრიული დარიგება არის. მან დიდის გრძნობით დალოცა კირილე, კიდევაც დაკოცნა და კიდევ გაუმეორა: მხნეთ იყავი! კირილე გამოვიდა მღვდელთ-მთავრის სახლიდგან დიდათ გაკვირვებული. ეჭვი არა ჰქონდა, რომ მასთან ვიღასაც დაუბეზღებია. ეს „ვიღაც“ აბა სხვა ვინ იქნებოდა, თუ არ იმისი ამხანაგი, რომელიც მუდამ თვალს ადევნებდა მის ცხოვრებას აკადემიაში, აბა სხვამ ვინ რა იცოდა? კირილე ჩაჯდა ეტლში და გასწია სახლისაკენ. როგორც მიყიდა ჭიშკართან და ხტებოდა ეტლიდამ, მას შეეფეთა თვალებში მეჟოვი, რომელიც მივიდა კირილესთან და მხიარულებით უთხრა:

— დამამტკიცეს, ძმაო, დამამტკიცეს! რასაკვირველია ჯერ თანამდებობის აღმასრულებლად და მერე სულაც დამამტკიცებენ! კირილე მიხვდა, რომ მეჟოვი ინსპექტორობაზედ ლაპარაკობდა. მეჟოვმა ახედ-დახედა კირილეს და ისევ დაიწყო:— შენ კი ანაფორაში გამოხვეულხარ?! დაგიშურებია! უნდა გულახსნით გამოგიტყდე, არ მესმის, რა გაჩქარებდა?!

— აბა მე რაღა უნდა გითხრა, როდესაც შენ არ გესმის?—მიუგო კირილემ.

— ესე იგი როგორა ვსთქვა?... ვიცი, სოფელი, ხალხი და სხვა... მხოლოდ ეს, უკაცრავად კი ვარ და, სისულელეა!

— მშვიდობით... მეშურება!—გააწყვეტინა კირილემ ლაპარაკი და უცებ განშორდა. მას არ უყვარდა ამ ვაჟ-ბატონთან ლაპარაკი და როდესაც კი უნდა ელაპარაკნათ, იმათი აზრი არ ეთანხმებოდა ერთმანეთს. ამასთან მეჟოვს უყვარდა სიტყვის გაგრძელება და გაჭიანურება.

„ამან ილაქლაქა თავის ბიძა რექტორთან, და ბიძა მისმა რექტორმა შემთხვევით გადასცა მღვდელთ-მთავარს შესაფერის დამატებით, აი რაშია საქმე, იფიქრა კირილემ, და ყველა ცხადათ წარმოუდგა თვალ წინ.

V

ოთხშაბათს, ორი საათი იქნებოდა, კირილე თავის მეუღლით ფოსტის ეტლით მიემგზავრებოდა. მტვერში გაგანგლულები მიგრიალებდენ ლუგოვოს მიდამოებში. პირველისავე გადახედვით მიხვდებოდით, რომ ეს სოფელი რაღაც შემთხვევით გადაქცეულა დაბა ქალაქად: ხალხს წარმოედგინა რომ ეს ადგილი რაღაც მხიარულია და მოხერხებულიაო და იმიტომ დაეწყო ქოხის ქოხზე მიდგმა.

დაბა ლუგოვო გაწვდილიყო სიგძით ორი და სიგანით ერთ ვერსზე. უთაურად გაბნეული მოსახლეების ქოხები მეტად დაბალი იყვნენ, დახურული ძველი, დიდი ხნის, დახავსებული ჩალით. მამული ეკუთვნოდა მებატონეებს, რომელთაც ერთს დროს გვარიანი შეძლება ჰქონდათ. ქოხები იყო გაშენებული პირველს ქუჩაზედ, მახლობლად პატარა ვიწრო ღელისა და ამ ღელეს ნაპირს კედლის მსგავსად ჩაყოლებული ჰქონდა მწვანე ბუჩქნარი. ამავე ქუჩაზე იდგა პატარა ეკკლესია, მხოლოდ ცალი მწვანე გუმბათით, უსამრეკლოდ. ზარები ეკიდა ბოძებ შეყენებულ ხეზე. ორთავ მხარეს მისდევდა ვიწრო გზები, რომელსაც ჩაყოლებული ჰქონდა დაბალი მიწის ქოხები მიწის სახურავებით, რომლის თავზედაც თავისუფლად ამოსულიყვნენ ღერო-მსხვილი ბალახი, ლილიფირა და აქა-იქ დათესილი ხახვი და მწვანილეულობა. ამ სახით ცხადი იყო, რომ თანამედროვე თავობა ღარიბად ცხოვრობდა მიწურ სახლებში. გზის პირად მარჯვნით გაშენებული იყო საკმაოდ ვრცელი ბაღი, მაგრამ სულ უყურადღებოდ იყო დატოვებული და ბალახი და ბუჩქნარი მორეოდა. აქავე ბაღში მოთავსებული იყო მებატონის სახლი ოთხ-კუთხედად გადახურული გაშავებული ყავრით.

ფოსტის ეტლმა გადაუხვია ეკკლესიისკენ და გაჩერდა, საეკკლესიო, ქვის მწვანე სახურავიან, სუფთა სახლთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერეფანში იდგა მხიარული უსტიმოვკის დიაკონი; ის კმაყოფილი იყო, რომ საეკკლესიო სახლი მეტად სუფთა, მოხერხებული და მოსათავსებელი იყო.

— მხოლოდ ხალხი ღარიბია და საეჭვოა რომ კარგი შემოსავალი იყოს. — ამბობდა დიაკონი, როდესაც კირილე მეუღლით შევიდნენ ოთახში და იხედნენ მტვერში გაგუნგლულს ტანისამოსს. მაგრამ დასამშვიდებელი ამბებიც უუხრა: თქვენ მოსვლამდინ ვნახე და გავიცან მღვდელი როდიონ მანუსკრიპტოვი. ეს ღვდელი თხუთმეტი წელიწადია ლუგოვოში ცხოვრობს და, რასაკვირველია, იცის რა შემოსავალი აქვს ეკკლესიას. პირველად ცივად მიმიღო მამა როდიონმა:

— თქვენ ვინა ხართ? მე თქვენ ვერ გიცნობთ! — მითხრა მან. — თქვენი შვილი ჯერ ბავშვია და წინამძღვრად კი მობრძანდება; მე თხუთმეტი წელიწადია აქა ვარო... დიაკონმა აუხსნა, რომ კირილეს თვითონ არ უთხოვნია წინამძღვრობა, მხოლოდ ეს მოხდა იმისთვის, რომ გაათავა აკადემია და მაგისტრობა მიიღო.

— მაგისტრობა? აბა ეგ სულ სხვაა! „მაგისტრი“ მამა როდიონის თვალში რაღაც ძლიერება იყო; ეს ღირსება აძლევდა კაცს უფროსობის უფლებას ყოველისფერ საქმეში. თვითონ მან კი მიაღწია მღვდლობას დიდი ვედრების და დახმარების გზით, თუმცა სემინარიაც არ გაუთავებია.

როდესაც მაგისტრობა გაიგო, მან გადაუშალა გული უსტიმოვკის დიაკონს და აუხსნა, რომ ლუგოვოში შემოსავალი გვარიანია, ვინც იცის მოხმარება. ხალხი ღარიბია, მართალია, მაგრამ არის ასობით მდიდარიც და ამასთანავე კვირაობით შემოდიან მინდვრად გასული გლეხები; ეს ხალხი ისეთია, რომ ერთხელ თუ დაჰპატიჟე, ჩაი დაალევინე ან საუზმე აჭამე, მეორე კვირაზე ერთი-ორად გადაგიხდისო.

— მინდვრელებით ვირჩენთ თავს! — მიუმატა მამა როდიონმა. — ლუმოვოზე კი ასე შეიძლება ითქვას, „სახელი დიდი დ̃ სახრავი არაფერი“. ხალხი სიღარიბეშია და ამასთანავე დიდგული. სამიოდე სამიკიტნოა აქ და ყოველ დღე სავსეა ხალხით, ეკკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესია კი დღესასწაულ დღესაც ცარიელია. ერთი მემამულე ქალი აქაც ცხოვრობს, მაგრამ უცნაური რამ არსებაა: ეკკლესიაში არ დაიარება და საზოგადოდ სასულიერო პირთ ერიდება... საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ცხოვრება შეიძლება.

ეს მისი ნალაპარაკევი ყველა გადასცა კირილეს დიაკონმა და თავის რჩევაც დაუმატა:—შენ, შვილო, როდიონთან დაიჭირე მეგობრობა და მემამულე ქალიც გაიცანი. შეიძლება შენი განათლებით და ხარისხით ყურადღება მოგაქციოს და დაგეხმაროს. შემდეგ გაეშურა შინისკენ: თავის წინამძღვრის საყვედურს მოერიდა; დალია ჩაი, დანაყრდა, გამოეთხოვა შვილს, რძალს, დალოცა ისინი და გასწია ესტიმოვკაში. კირილე დაღალული იყო მგზავრობით და გადასწვიტა, დღეს საქმისათვის ხელი არ მიეყო. ეხმარებოდა მაროს სახლის მოწყობაში—სკივრიდან ტანისამოსის ამოლაგებაში და თავთავის ადგილას დაწყობაში. აგვისტოს დღეები იყო და ცხელოდა. გააღეს ფანჯარა, რომლის წინაც პატარა ბაღჩა იყო ყვავილებით. ფანჯარიდან მოსჩანდნენ ღარიბი ქოხები და ვიწრო კალოები, სადაც ფუსფუსებდნენ გლეხები: ლეწავდნენ, ანიავებდნენ; ქალები აცხავებდნენ, მარცვალს აგროვებდნენ და ბზეს ხვეტავდნენ.

მარო შესცქეროდა ამ ამბავს ბავშვური ცნობის მოყვარეობით. პირველად ხედავდა, როგორ არჩევდნენ პურსა. კალოებზედ მდგომმა ხმაურობამ აღძრა მასში გაუგებარი შიში. ვერც კი წარმოედგინა, რომ აქ ის იყო სახლის პატრონი, ამ უცხო მხარეში, ამ უცნობ ხალხში თავის ჩვეულებებით. ის იყო, ღამდებოდა. საწოლ ოთახში ისხდნენ გაღებულ ფანჯარასთან და ისვენებდნენ. ამ დროს დერეფნის კარებმა ჭრიალი მოიღო და ვიღაცა შემოვიდა. მარო შეკრთა, წამოდგა და გაიხედა.

— საღამო მშვიდობისა, ქალბატონო!—წარმოსთქვა კარებში შემოსულმა დედაკაცმა და მდაბლად თავი დაუკრა. ის იყო ტანად დაბალი, ჩასხმული, წინ წამოწეული მუცლით; სახე ისე წამოსწითლებოდა, თითქო ცეცხლთან მდგარიყოს. მისი ყოველი უცნაური იყო: გამსხვილებული და როგორღაც მკვიდრად გამოსახული სქელი შავი წარბები, შეერთებული სწორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზით; ბუშტივით მსხვილი ცხვირი; გამობერილი ნესტოები; განიერი სქელი ტუჩები; მკვრივი ოთხკუთხიანი ნიკაპი და დაბალი სქელი კისერი. თავზედ ეხურა ნაცრის ფერი თავსახვევი შალისა, ორჯელ შემოხვეული კისერზედ და თეთრი ჭუჭყიანი პერანგი ეცვა. ამ მუშა-დედაკაცის შეხედვაზე არ შეიძლებოდა სიცილი არ მოსვლოდა კაცს.

— რა გნებავს?—დაბნეულად ჰკითხა მარომ. იმას უცნაურად ეჩვენა ასე ბრიყვულად უცხო სახლში შემოსვლა: მხოლოდ მათხოვრები და საეჭვო პირები იქცევიან ასე.

— მშვიდობა და ბედნიერება თქვენს ოჯახს!—და ხელახლად დაუკრა თავი:—იქნება მოხმარება გნებავთ რამე?

მარომ იჭვიანად დაათვალიერა და აღარაფერი უთხრა. გამოვიდა კირილეც.

— ვინა ხარ და რა მოხელე?—ჰკითხა კირილემ.

დედაკაცმა მასაც თავი დაუკრა და მიუგო:

— საღამო მშვიდობისა თქვენც, მამაო! მე აქაური ქალი გახლავარ, თეკლე, ქვრივი ჩიპურიხინისა. ცოტაოდენი მიწა მაქვს აქ მახლობლად. ყველა მოძღვრებს მე ვემსახურებოდი; თქვენი წინა მოადგილე რომ იყო, მამა მანუელი, იმასაც მე ვემსახურებოდი და, თუ ქვენც ინებებთ, შემიძლიან გემსახუროთ.

— რა გაეწყობა,—სთქვა კირილემ და მაროს გადახედა,—დავიყენოთ, მაინც არავინა გვყავს.

მარომ გაიხმო ქმარი და ჩუმად ჰკითხა:

— საშიში ხომ არ იქნება? შეიძლება, მაგას სულ სხვა განზრახვა აქვს რამე.

კირილემ გაიცინა:

— სხვა რა განძრახვა უნდა ჰქონდეს? ერთი შეხედე მაგის სახეს და ისე გასაჯე! მაგის ტვინში არაფერი აზრი არ არის, არც ავისა და არც კარგისა.

— აბა მაშ ასე, თეკლე, ძალიან კარგი, გვემსახურე და ჩვენც არას დაგაკლებთ.

— რას დამაკლებთ, არც არაფერი დიდი რამ მომინდება საცოდავ ქვრივ-ოხერსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეკლემ დაიწყო მუშაობა და ეს იყო პირველი საძირკველი ყმაწვილ ცოლ-ქმრის ოჯახობისა ლუგოვოში.

თეკლე პირველად ერთგულად ემსახურებოდა და მომეტებულად ფუსფუსებდა. გაჰქონდა და გამოჰქონდა სამზარეულო ჭურჭელი ხმაურობით და წალების ბრახაბრუხით, სწმენდდა და აწყობდა მებელს თავის ადგილზე, რეცხავდა იატაკებს და მით იმსახურებდა მაროს ყურადღებას. რომ დაღამდა, სთხოვა იმ ღამეს ნება მიეცათ თავის ნაცნობებთან გაეთია. მარომ ნება მისცა და ათი შაურიც აჩუქა, რომელმაც გამოუთქმელს აღტაცებაში მოიყვანა თეკლე, მივარდა ქალბატონს, გამოართვა ძალით ხელი და აკოცა. მარო ამან დიდად შეაწუხა.

გამოვიდა ქუჩაში და არ იცოდა, საით წასულიყო: მეგობარ ქალთან გული არ მიუწევდა, იქ არავინ იქნებოდა და გული რით მოეოხებინა. უნდოდა ისეთი ადგილი ამოერჩია, სადაც ბევრი ქალები იქნებოდნენ. საშინლად სურდა გაეზვიადებინა ახალი მღვდლის ოჯახის ამბები და გასწია ეკკლესიის დარაჯის სახლისკენ, სადაც ბევრი ქალები იკრიბებოდნენ ხოლმე სალაქლაქოდ. თეკლეს წასვლის მერე ხელ-ახლად გაიჭრიალა კარებმა და ფეხის ხმა მოესმათ. ეს იყო ეკკლესიის დარაჯი. იმას სურდა წარდგენოდა წინამძღვარს. შევიდა, თავი დაუკრა და მოახსენა:—მე გახლავარ ეკლესიის დარაჯი, სახელად კირილე. თქვენ, მამაო წინამძღვარო, რას მიბრძანებთ გიწოდოთ სახელად?

— მეც კირილე მქვიან!—მიუგო მღვდელმა.

— მით უკეთესი, უფრო დამანახსოვრდება; თავის სახელი ხომ არ დაავიწყდება კაცს? დინჯად წარმოსთქვა ეკლესიის დარაჯმა და დასძინა:—მშვიდობიანობაზე, იჭვი ნურაფრის გექნებათ! მთელი ღამე ეკლესიის კარებთან ვწევარ. და თუ გამეღვიძა, მაშინვე ზარს დავრეკავ ხოლმე; მაგრამ თუ ეს დარეკა თქვენისთანა ყმაწვილს მღვდელს შეაწუხებს, მიბრძანეთ.

— არა რეკე ისევ ისე, როგორც გირეკია.—უთხრა კირილემ.

დაღამდა. მაროს დაღალულს გზისაგან და მილაგებ-მოლაგებისაგან მოქანცულს ტკბილად დაეძინა. კირილემ კი ვერ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძინა: დღეს კიდევ კერძო კაცია, ჯერ ფაქტიკურად არ არის შეკრული იმ ახალ ცხოვრებასთან, რომელიც მას წინ უდევს. ხვალიდამ დაეწყობა იმას სამსახური. კირილემ კარგად არ იცოდა განსაკუთრებით რას მოიტანდა იმის ცხოვრება, და როგორის ფორმით უნდა ემოქმედა მას. მაგალითი ჯერ არ ენახა თვალით. მაგალითები იყო, მაგრამ სულ სხვაგვარი.

სასულიერო წოდების უბედურებას შეადგენს გაუთავებელი შფოთი მრევლთან შემოსავლისა გამო. მრევლი ცდილობს ნაკლები მისცეს; სასულიერო პირებს შეძლება არა აქვთ და იძულებული არიან ბევრი გამოართვან, ბევრი შეაძინონ, კარგად მოეწყონ, დააკმაყოფილონ თავისი ცოლ-შვილი.

კირილე აშფოთებული იყო ამგვარ მდგომარეობით. შეიძლებს თუ არა თავისი გაიყვანოს? მოახერხებს თუ არა აღუძრას მისდამი ნდობა მრევლს? ხომ სასაცილოდ არ აიგდებენ ამისთვის? ეს საძაგელი განწყობილება დიდი ხანია დაწყებდა. ავს საქმესაც ისე მიიჩნევა კაცი, როგორც კარგს. ყველგან ასეა! მთელი ქვეყანა ასეა და მხოლოდ მას ერთს უნდა აიღოს ხმალი წინააღმდეგ ამ აუარებელი ბრბოისა, წინააღმდეგ იმ საუკუნოდ დადგენილ საქმისა... საშვალო ოთახის ფანჯარას სცემდა მკრთალი სხივი მთვარისა: სოფლიდამ ისმოდა ყეფა ძაღლისა, დარაჯმა გაიღვიძა და ორჯერ ჩამოკრა ზარსა. ამ დროს მარომ გაახილა თვალი და გაუკვირდა კირილეს რომ არ ეძინა.

— რატომ არ გძინამს კირილე?—ჰკითხა მან.

— მშვენიერი ღამეა და არ მეძინება!—მიუგო მან, და მისი ფიქრები გადავიდა მაროზე. აი ახალ-გაზდა ქალს სძინავს უზრუნველად, სიცოცხლით და სიმართლით სავსეს. ცოლს წრფელის გულით უყვარს იგი; ამისთანა გულ-კეთილი არსება ჰყავს გვერდით! განა შეუძლიან სთქვას რომ მარტოა? ნეტავი თუ გაამხნევებს და მოეხმარება ქმარს? ამ კითხვებზე, რომელიც პირველად მოუვიდა თავში, პასუხს ვერ პოულობდა. მეტად ცუდად მოუვიდა, რომ პირველადვე ვერ მოელაპარაკა; ღმერთმა იცის, რას მოელის და რა შეხვდება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დაწექი კირილე,დაიძინე!—თითქმის მძინარემ წარმოსთქვა მარომ. და კირილეს წამოუდგა, რომ ეს მისი იჭვების პასუხი იყო. არა ამ მხრით იმას ნურაფრის ეშინიან. მაროს უყვარს ის! მაშ სჩანს, ხელს მისცემენ ერთმანეთს, რაც უნდა შემთხვევა იყოს.

მეორე დღეს ცხრა საათზე დარაჯი გამოცხადდა და მოახსენა კირილეს, რომ ეკლესიაში უცდიან წინამძღვარს დიაკვანი და მთავარი.—მართლა მნათეც იქ გახლავთ. მხოლოდ მამა როდიანი არ არის. თუ მიბრძანებთ, შევატყობინებ. მაგრამ კირილე ვალდებულად ხდიდა თავის თავს პირველად თვითონ მისულიყო მამა როდინთან, ჩაიცვა ანაფორა და უბძანა დარაჯს მიეყვანა მღვდელთან.

მამა როდიონი თავის საკუთარ სახლში სცხოვრობდა, რომელიც ააშენა, როგორც იმანა სთქვა, იმისთვის რომ თავი შეეფარებინა მისი სიკვდილის მერე მის ცოლ-შვილს! საეკლესიო სახლში რომ მდგარიყოს, მისი მოადგილე ხომ მაშინვე გარედ გამოყრიდა! ამისათვის თავისი წილი საეკლესიო სახლისაც თავის ამხანაგს დაუთმო.

როდიონის სახლი იდგა მდინარის ახლო, გლეხებთან მოშორებით; მათ სახლებთან იგი შესანიშნავად განირჩეოდა სიდიდით, კრამიტით და ცისფრად შეღებილი ფანჯრების დარაბებით.

მამა როდიონი რაღაც შეწუხებულს მდგომარეობაში იყო. წესით პირველად ეს უნდა მისულიყო წინამძღვართან და გამოსცხადებოდა. მაგრამ რადგან ეს წინამძღვარი ყმაწვილი იყო, და მამა როდიონი კი თხუთმეტი წელიწადია სახელოვნად ატარებდა მღვდლის ხარისხს, თავ-მოყვარეობა ნებას არ აძლევდა, რომ პირველად მისულიყო მასთან. იცოდა რომ თუ წინამძღვარი გამოგზავნის მასთან ვისმეს, მაშინ უნდა წავიდეს, მაგრამ მაინც არ იძროდა ადგილიდამ. კირილეს შემოსვლამ გამოიყვანა ამ გლახა მდგომარეობიდამ.

— გიახელით რომ გაგეცნოთ, მამაო როდიონ! მე გახლავარ კირილე ობნოვლენსკი!—სთქვა კირილემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რიგი იყო მე თითონ გამოვცხადებოდით, მამაო კირილე, მისთვის რომ თქვენ წინამძღვარი ბრძანდებით.

— აბა რა სათქმელია, სოფელში რა დროს წინამძღვრობაა?!—გულ წრფელის კილოთი უთხრა კირილემ!—ამხანაგობას გთხოვთ, სხვას არაფერს!...

— დიალაც, აგრეც უნდა იყოს!

— ასეც იქნება, მტკიცეთ უპასუხა კირილემ.—სადაური წინამძღვარი ვარ, როდესაც სამსახურიც არ ვიცი, როგორც წესია.

მამა როდიონი თავ დაჭერით ლაპარაკობდა, ყოველს სიტყვას მოიფიქრებდა და ისე იტყოდა: ღმერთმა იცის ამისი თავი და ტანი! იქნება ისეთი რამ იყოს, რომ... ლაპარაკით კი კარგად ლაპარაკოსბ და როდესაც საქმეზე მივა, ვინ იცის რა იქნება. სიფრთხილეს თავი არა სტკივაო. და ძველი ანაფორა ჩაიცვა (თუმც მას ახალიცა ჰქონდა),—არ იფიქროს რომ აქ ამას გვარიანად მოუხვეჭიაო; შეიძლება შემოკლებაზედაც გაიფიქროს რამე.

მეოთხედი საათი ილაპარაკეს სხვა-და სხვა საზოგადო საქმეზედ. მამა როდიონმა ჰკითხა: მე მითხრეს, რომ თქვენ აკადემია გაგითავებიათ? და კირილემაც პასუხი მიუგო.

— მაშ რამ გაიძულათ, რომ სოფელში ირჩიეთ მღვდლობა? გასაოცებელი საქმეა!

— სიმრთელემ, მიუგო კირილემ: მე ჯან-მრთელი კაცი არა ვარ, და ქალაქის ჰაერი მაწყენს. „არ ავუხსნი, შეიძლება ვერც კი გაიგოს“—იფიქრა კირილემ, შეჰყურებდა რა მამა როდიონის წამობჟვინებულ სახეს და მის დაჩხუნებულს გამომეტყველებას.

— ეს დიალაც მართალია, რომ სოფლის ჰაერი ამრთელებს ვაცს! სთქვა მამა როდიონმა და იფიქრა, ამას ავად მყოფობისა სრულიადაც არა ეტყობაო.

შემდეგ მოკლე საუბრისა მამა როდიონმა შესამჩნევად შესცვალა აზრი წინამძღვარზედ: შეიძლება მოჩერჩეტოც იყო, მაგრამ გული კეთილი უნდა ქონდეს. არ იბერებაო —ამასთან ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვა ჰქონდა მომზადებული, რომლითაც უნდა დაემსახურებინა მასთან სწორე სიმართლე; და როდესაც წამოდგნენ ეკლესიაში წასასვლელად, უთხრა: აი, რა, მამაო კირილე, რომ ჩვენში გაუგებლად არაფერი დარჩეს, გთხოვთ ამიხსნათ, შემოსავალს როგორ გავიყობთ?

— რას მიბრძანებთ, მამაო როდიონ?

— განწილების შესახებ მოგახსენებთ. ჩვენ ასე ვყოფთ: ორი კაპეიკი ეძლევათ მღვდლებს, და მესამედი დანარჩენს ეკკლესიის კრებულს რჩება.

— თუ ეგრეა წესი, მე მაგ ჩვეულებას არ შევცვლი.

—ეგ კი აგრე იქნება, მაგრამ რაც შეეხება იმ ორ კაპეიკს, რომელიც მღვდლებისაა... იმაზე რაღას იტყვით?

— იმაზე? რასაკვირველია თანასწორათ უნდა გაიყოს?

„არა ეს კარგი კაცი უნდა იყოს! ჭეშმარიტად კარგი!„ იფიქრა მამა როდიონმა;—მამა მანუელი კი მეტს წილს იღებდა! ღმერთმანი ეს კარგი კაცია!“.

როდიონის სახე ბრწყინავდა, მოძრაობა შეექნა თავისუფალი და ცოცხლადაც ლაპარაკობდა.

— უკაცრავადა ვარ, მამაო კირილე, რომ ჩემი ოჯახობა ვერ გაგაცანით, წესიერად მომზადებული არ იყვნენ თქვენს მისალებად! ამ თქმის მერე წავიდნენ პირდაპირ ეკკლესიაში. ლუგოვოს ეკკლესია იყო ძველი, დაბალი თაღი გაშავებული ჰქონდა ნოტიოსაგან და საცეცხლურის კომლისაგან. ხატები იმ ზომამდე იყო გახუნებული, რომ სახე სრულიად აღარ უჩნდათ. ეკკლესიას ეჭირებოდა დიდი შეკეთება, საძირკველიდამ და შეუღებავ იატაკიდამ დაწყებული უკანისკნელ სახურავამდინ. ეკკლესია დიდი არ იყო, მაგრამ სამასი კაცი მაინც დაეტეოდა.

— ასე ცარიელია ხოლმე,—მწუხარე სახით შენიშნა მამა როდიონმა. შესავალთან მარჯვნივ მხარეს ამაღლებულს ადგილზე იდგა მნათე— დაბალი, მჴარ განიერი გლეხი, გათეთრებული წვერით, და ძალზედ გათუთხნული თმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს გახლავთ კარპო მიხეილის ძე კულიკი, ჩვენი ეკკლესიის მნათე.—გააცნო მამა როდიონმა,—ძალიან პატივცემული მოსახლეა, კარგი შეძლება აქვს, სამასამდე ცხვარი ჰყავს და სხვანი!... კულიკმა თავი დაიხარა, ხელი ხელზედ დაიდო და ლოცვა-კურთხევა მიიღო. კირილემ ჯვარი გადასახა და სხვა არა უთქვამს-რა.

— მესსს.—ეს მესსს... უნდოდა ეთქვა რაღაც კულიკს, მაგრამ ენა დაება.

— ესე იგი, მესამე წელიწადია რაც მნათედ არის, და შესავალ გასავალიც ამის ხელშია,—ახსნა მამა როდიონმა!—ბლუ გახლავს, დაუმატა მან.

ამ დროს კულიკმა გადახადა აბრეშუმის ხელსახოცი, რომელიც გადაფარებული ჰქონდა მაღალს სამთლების დასაწყობ სტოლს, და კირილეს თვილ-წინ გამოჩნდა რიგრიგად და წესიერად დაწყობილი წმინდა სიმთელი სხვა-და-სხვა ყალიბისა,—ორ კაპეიკიანი სანთლიდან დაწყებული ჯვარის-წერის ათ შაურიან სანთლამდე. ცხადი იყო რომ კულიკს ტყუილად არ უმსახურნია ამ სამს წელიწადში მნათედ და ყოველს შემთხვევაში სტოლზე წმინდა სანთლის დაწყობის წესი მაინც შეუსწავლია.

ის იყო მიიწია კირილემ შუა ეკკლესიამდინ, რომ საგალობელი ადგილიდან მიეგება მას ორი კაცი, რომელნიც ძალიან ირჩეოდნენ ერთი-მეორესაგან, თუმცა ცხადად ეტყობოდათ, რომ რაღაც განწყობილებაში უნდა ყოფილიყვნენ. მარცხნივ მოდიოდა შუა ტანის კაცი ნაცრის ფერი ანაფორით, სქელი ხუჭუჭი თმით, ჩაცვივნული ყბებით, წვეტიანი ცხვირით, გაყვითლებული სახით და ისეთი თხელი წვერ-ულვაშით, როგორიც უნაყოფო ნიადაგზე ბალახი ამოვა.

მეორე, რომელიც მარჯვნივ იდგა, იყო მაღალი და მაგარი აგებულობისა, მოკლე, ვიწრო ჩასაცმელით სქელს ტანზე. ეს კაცი ისე მძიმედ ადგამდა ფეხს, რომ ფუტურო იატაკი იზნიქებოდა. ხელებ-ჩაშვებული იდგნენ ორივე. გაყვითლებული სახე პირველისა გამოსთქვამდა იმისთანავე სიმშვიდეს, როგორსაც მრთელი და წითელი ბანჯგვლიანი სახე მეორისა. ერთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორჩილებით დაიხარეს თავი გამხმარმა და გოლიათმა. ერთის მოძრაობით დაიდეს ხელი-ხელზე და სთხოვეს წინამძღვარს ლოცვა-კურთხევა. მთავარ-დიაკონი სვიმონ სტრიუჩკოვი! — დასუსტებული ხმით სთქვა ანაფორიანმა.

— დიაკვანი დომენტი გლუშენკო! — ბოხის ხმით გააცნო თავი გოლიათმა.

მიიღეს თუ არა ლოცვა-კურთხევა, გაჩერდნენ, აქეთ-იქით გამოიჭიმნენ და მათ შუა გაიარეს კირილემ და მამა როდიონმა. დაათვალიერეს საკურთხეველი. კირილემ ეკკლესიის შენობა საშიშარს მდგომარეობაში ნახა და ავეჯეულობა სრულიად გამოსაცვლელი.

— შეძლება არა გვაქვს... თორემ დიდი ხანია შესაკეთებელი იყო! — სთქვა მამა როდიონმა. — მაგრამ... მაგრამ იმას ეს თავის დღეში ფიქრადაც არ მოსვლია. ის იმ აზრისა იყო, რომ მოძღვრისთვის სულ ერთი იყო, სადაც უნდა ეწირა. გასინჯვის შემდეგ კირილემ ყველანი თავისთან მიიწვია. თეკლეს, თუმცა მაროს ისევ ეძინა, სამოვარი მაინც დიდი ხნის მომზადებული ჰქონდა. კირილე ჩაით გაუმასპინძლდა ეკკლესიის კრებულს.

## VI

მამა როდიონის განსაცვიფრებლად კვირას ეკკლესიაში მრავალი ხალხი შეიყარა; იყვნენ რასაკვირველია მინდვრად გასულნიც; მაგრამ უმრავლესობა შესდგებოდა მკვიდრ მცხოვრებლებისაგან; მამა როდიონის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც სამოციქულოს კითხვის დროს, შემოვიდა და სამწიგნობროს უკან დადგა სოფლის მებატონე ქალი ნადიჟდა ალექსის ასული კრუპოვი. აქ გასაკვირველი არაფერი იყო, რადგან გავრცელებული იყო ხმა ახალის წინამძღვრის მოსვლისა; თეკლე დადიოდა და ლაქლაქებდა, რაც კი პირზედ მოადგებოდა ახალს, მღვდელზე და მის ცოლზე. კირილეს აქებდა, — მეტად გულკეთილიაო, და მარიამი კი ძნელი საცნობია და ოჯახობისა

სულ არაფერი გაეგება-რაო. მრევლმა სხვა წყაროებიდანაც იცოდა, რომ კირილე დიდად განათლებული კაცი იყო.

სტაროსტას ეთქვა, ასეთი ნასწავლი მთელს სახელმწიფოში მხოლოდ თორმეტი არისო. მებატონეს ქალის გულშიაც აღძრულიყო ცნობის-მოყვარეობა ახალი მღვდლისადმი და მოუთმენლად ელოდა, კვირას იქადაგებს და დაანახვებს ხალხს თავის ცოდნასა და განათლებასაო. ხალხს ეგონა, სულ სხვა ნაირად სწირავსო. მაგრამ ყველა იმედები გაუცრუვდათ.

— რასა გავს, ჯერ წვერ-ულვაშიც არა აქვს! — ამბობდა მრევლი. — ხალხის აზრით მღვდელი უნდა იყოს სქელი, მოსული, გრძელი წვერი უნდა ჰქონდეს და ბოხი მაღალი ხმა. წირვაც არაფრად მოეწონათ ახალი მღვდლისა: ბურდღუნებს ცხვირში თავისთვის რაღასაც გაუგებრად. მამა როდიონი კი, თუმცა მაგრე ნასწავლი არ არის, ისე კარგად სწირავს, რომ სიტყვა არ გამოგვეპარება. რაში ეტყობა ნეტა დიდი სწავლა! დედაკაცები რომ შავდნენ რაღასაც, მაგისტრიაო...

როდესაც წირვა გამოვიდა და ახალმა წინამძღვარმა არ იქადაგა, მაშინ ხომ სულ დაიწუნეს.

— რა ნასწავლია, ნეტავი! უთუოდ უნიჭო იყო, რომ აქ გამოგზავნეს. თორმეტია მთელს სახელმწიფოშიო, ამბობენ; თორმეტი კი არა ათასიც მოიძებნება მაგისთანები. მგონი აღგილსაც ვერ შოულობენ!

მამა როდიონი წირვის გათავებამდის სულ ფეხზე იდგა საკურთხეველში. გათავების დროს მივიდა კირილესთან და ნელი ხმით უთხრა:

— მამაო კირილე, დღეს მებატონე ქალი დაესწრო თქვენს წირვას, ეს იშვიათია. კარგი იქნება, რომ სებისკვერი მიართვათ. კირილეს გაგონილი ჰქონდა, რომ ჩვეულებრივ წარჩინებულ პირთ სებისკვერს მიართმევენ ხოლმე, როდესაც ისინი მოინებებენ წირვაზე მობრძანებას და ეს ჩვეულება ყმაწვილობიდანვე სძაგდა.

— არა მამაო, საჭირო არ არის! — უთხრა კირილემ: — ჯერ მე არ ვიცი, რა ღვაწლი მიუძღვის იმისთანა... თქვენ კი იცით, მამაო როდიონ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართალი რომ ვსთქვათ, არაფერი... მაგრამ როგორც მემამულეს... მე ყოველთვის ვთავაზობ სებისკვერს.

— მოგიტევეთ, მამაო როდიონ, — მაგრამ მე სებისკვერს არას დროს არ მივართმევ, — ტკბილი სიტყვით მიუგო კირილემ.

გათავდა თუ არა წირვა, მინდვრად გასულთ შეაბეს ცხენები და გასწიეს შინისკენ. ამ ნაირადვე დაიშალა მრევლიც. კირილეს არავინ არ მიუწვევია არც ჩაიზე და არც საუზმეზე.

ეს ყველაფერი სალაპარაკოდ გახდა. ზოგი ამბობდა: კირილე მეტად ამაყი კაციაო; ზოგი კი ამართლებდა: არა, იმას უნდა, რომ მრევლში ყველა თანასწორი იყოსო. მებატონე ქალს თვალებში შესცქეროდნენ, საწყენად ხომ არ მიიღო, რომ ახალმა მღვდელმა ყურადღება არ მიაქციაო? მაგრამ არაფერი ამგვარი არა შეუმჩნევიათ-რა: ქალი გავიდა, ჩაჯდა თავის ეტლში და გასწია სახლში. რასაკვირველია ეს ამბავი ხალხს რამდენიმე დღეს სალაპარაკოდ ეყო. ახალს მღვდელზე საზოგადოდ უკმაყოფილოდ იყო ხალხი.

მაგრამ ამავე დღეს იმისთანა შემთხვევა მოხდა, რომ სრულიად არია ლუგოვოს მცხოვრებლების აზრი ახალი მღვდლის შესახებ.

სოფლის განაპირას მოსახლე ანტონ ბანდარენკო ქალს ათხოვებდა. მართალია საქორწილო დრო საზოგადოდ ენკენისთვის დამლევს იწყება, მაგრამ აქ საქმე სხვა ნაირად იყო: ანტონ ბონდარენკოს ქალი გარპინა დღითი დღე სივდებოდა წელში და როდესაც დამალვა შეუძლებელი-ღა შეიქნა, ერთმა ყმაწვილმა კაცმა, მარკოზ პრაციუკმა, პირდაპირ აღიარა, ჩემი ბრალიაო, და მოციქულიც მიუგზავნა ანტონს. რადგან ამ კვირაში ახალი მღვდელი იყო მწირველი, მაშინვე მღვდლისაკენ გაეშურა ანტონ ბანდარენკო. ის იყო სალამოს მწუხრის ლოცვიდან დაბრუნდა კირილე და ჩაის სმას შეუდგა.

— შინა ბრძანდება მღვდელი? — ჰკითხა ანტონმა თეკლეს, რომელიც ახლა კი სამზარეულოში დასახლებულიყო.

— ჩაის მიირთმევს. უნდა მოიცადო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოვიცდი, მაგრამ ხომ იცი რამსიშორედა ვარ.

— კი, მაგრამ მე ძალად ხომ ვერ ავაყენებ სტოლიდან; ეს არის ეხლა მოვიდა ეკკლესიიდან.

ამ ლაპარაკის ერთი სიტყვა არ გამოჰპარვია კირილეს. ადგა, გაიღო კარები და ჰკითხა:

— რა ამბავია? რა საქმისთვის მოსულხარ?

ანტონმა ქუდი მოუხადა.

— თქვენთან გიახელი, მამაო, საქმეზე!

— შინ შემოდი,—უთხრა კირილემ. ანტონი შევიდა და თავი დაუკრა მარიამს.

— აბა, რაშია საქმე?

— ქალს ჯვარი უნდა დამიწეროთ... ამისთვის გიახელი.

— რატომ, დავსწეროთ! როდისთვის გინდა?

— ხვალვე, მამაო!

— ძალიან კარგი, ათ საათზე მოდით ეკკლესიაში, მეც იქ ვიქნები.

ანტონმა ხელახლა თავი დაუკრა და გაჩერდა.

— აბა გასწი, ღმერთი შეგეწიოს!—უთხრა კირილემ, მაგრამ ანტონი არ იძროდა. ის არა თუ გათავებულად სთვლიდა საქმეს, ჯერ დაწყებულადაც არ მიაჩნდა. იმის აზრით თავი და თავი სულ სხვა იყო: ჯვარს დასწერს, ამაზე ეჭვი არავისა აქვს,—მაშ რის მღვდელია?—ფიქრობდა ანტონი.

— ჯვრის საწერს რას გამომართმევთ, მამაო?

— ას მანეთს მაინც მომცემ!—უთხრა კირილემ და სერიოზული სახით შეხედა თვალებში.

ანტონმა გაიღიმა და თავი გაიქნია.

— ჰმ... მაგდენი ჩემს სიცოცხლეში თვალითაც არ მინახავს.

— მაშ მე ნაკლებს არ ავიღებ!

ანტონმა თვალები შეაჭყიტა.—ხუმრობს ეს ახალი მღვდელი თუ სულელია! უთუოდ ხუმრობს!—იფიქრა ანტონმა და უთხრა: არა მამაო, გადაწყვეტილი ფასი უნდა მიბძანოთ!

— რა გქვიან სახელად?—ჰკითხა კირილემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ანტონ ბონდარენკო.

— მაშ აი რა, ჩემო ანტონ: გადაწვეტილი ფასი იკითხე, რომლესაც ქალაქში ჩახვიდე სავაჭროდ, გოჭზე, ქათამზე და სხვაზე; მაშინ გეტყვიან გადაწყვეტილს ფასს. ჩემთან კი წმინდა ეკკლესიის საქმეზე მოსულხარ და ეკკლესია ბაზარი არ არის, მაზედ არაფერი ვაჭრობა არ შეიძლება.

ანტონი გაუგებლად შესცქეროდა, „რას ამბობს ნეტავი? ფიქრობდა თავისთვის.—ეს ან ხარბი რამ უნდა იყოს, ან და, ღმერთმა ნუ იცის ამისი თავი!

— წადი და ღმერთი შეგეწიოს!—უთხრა კირილემ.

მაგრამ ანტონი ფეხს არ იცვლიდა.

— აბა საქმისას რას მიბრძანებ, მამაო?

კირილე გაბრუნდა და ჩაი აიღო ხელში.

— სახნავი მიწა ბევრი გაქვს?—ჰკითხა კირილემ.

— მიწა? მაქვს ერთი ათი დღისა.

— პურის მოსავალი ხომ კარგი გქონდა?

— პური, უნდა მოგახსენოთ, არც კარგი იყო და არც ავი; თივისა კი, უნდა მოგახსენოთ, ჩვენს ქვეყანაში ძალიან ვარგობს. მაღალი ბალახი იცის, სქელი... ღმერთმა ქნას, ყოველ ქვეყანაში ასეთი თივა მოდიოდეს. დაიჯერებთ, მამაო, თივა კი არა, სწორედ აბრეშუმია, აბრეშუმი!

— მაშ ძალიან მდიდარი კაცი ყოფილხარ, ანტონ ბონდარენკო. აბა როგორ შეიძლება, ასი მანეთი არ გამოგართვა?

ანტონმა ხელახლა თვალები დააჭყიტა: ვერ მიხვდა, რომ ამას კირილე ხუმრობით ეუბნებოდა. კირილემაც შეატყო, რომ ხუმრობას ვერ მიუხვდა და უთხრა:

— აბა წადი, ანტონ, ჯვარის საწერი, რაც მოგეხერხებოდეს, ის გადამიხადე. და თუ ვერას მოახერხებ, ჯვარს მაინც დაიწერ. ასე უთხარ ყველა შენს მეზობლებს, რომ ჩემთან ვაჭრობა არავინ გაბედოს.

ანტონმა თავი დაუკრა და გამოვიდა დაბნეული. ვერ გაიგო, მართალი უთხრა მღვდელმა, თუ არა—მეზობლების შესახებ? გზაში ანგარიშობდა: „ნეტა საწყენად ხომ არ მიიღებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთი რომ მივცე ჯვარის საწერი... სანთლის გარდაო? მამა როდიონს კი შვიდ მანეთადაც ვერ მოვრჩებოდი, სანთელიც რომ იმისი ყოფილიყო. უხაროდა ბონდარენკოს, მაგრამ ეშინოდა, ხელი არავის შეეშალა და არ გადერიათ ახალი მღვდელი. უთუოდ არ იცის აქაური წესები, თორემ მამა როდიონის ყურამდე თუ მივიდა, მაშინ კი დავიღუპე! მივა, აუხსნის და საქმე სხვანაირად დატრიალდებაო. ამისთვის გადასწყვიტა ანტონმა, ჯერ ჩემი ქალის ჯვარის წერა გათავდეს და მერე ვუამბობ წინამძღვრის სიტყვებს მეზობლებსაო. როდესაც ჰკითხეს, რა გთხოვა მღვდელმა ჯვარის საწერიო, იმანაც დაუფიქრებლად მიუგო: ექვსი მანეთიო!

— ოჰო! სჩანს წესი სცოდნია!—შესძახეს გლეხ-კაცებმა.

— მაშ არა-და!—უფრო იცრუვა ანტონმა:—ტყუილად კი არ ამბობენ, დიდი ნასწავლიაო!

როდესაც ანტონი გავიდა და კარები მიიხურა, კირილემ დაიწყო წინ და უკან სიარული, ეტყობოდა, აღელვებული იყო.

— სწორედ რომ საწყენია ამგვარი ვაჭრობა,—მიმართა მაროს,—ხედავ, რანაირად აქვთ გამჯდარი ძვალში და რბილში ეს ჩვეულება! ჩემთან ისე მოდის, როგორც ვაჭართან: თქვენი საქონელი, ჩემი ფულიო! მე დარწმუნებული ვარ, უკმაყოფილოდ წავიდა, და თითქმის აღელვებულიც. არა, წარმოიდგინე, მე მღვდელი ვარ, მე უნდა შევაეროთ იმისი ქალი ქმართან, ამისათვის მოვიდა და მეუბნება: მომყიდე ღვთის კურთხევა ხუთ მანეთადაო! მე კიდევ უნდა მეთქვა: არა, არ შეიძლება, თუმანზე ნაკლებ არ იქნება-მეთქი. დასასრულ უნდა შევთანხმებულიყავით შვიდ მანეთზე... აბა რაღა აზრისა იქნება ის ჩემზე?

— ეგ აგრე, კირილე, მაგრამ რითი იცხოვროს მაშ მღვდელმა?—უთხრა მარომ.

— რასაკვირველია, უნდა ცხოვრება, მარო, რასაკვირველია! მაგრამ ეს უნდა სხვაფერ მოეწყოს, ასეთი ფორმა შეურაცხყოფაა ჩემი, შეურაცხყოფა!...

მაროს აღარა უთქვამს-რა. მას პატარაობიდანვე ყური ჰქონდა მიჩვეული ამგვარს ვაჭრობაზედ, წესიერ მოთხოვნილებად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაჩნდა იგი და სხვაფრივ საქმის მოგვარება ვერც კი წარმოედგინა.

მეორე დღეს ჯვარი დასწერეს გარპინას მარკოზ პრაციუკზედ. ჯვარის წერაზე არავინ დასწრებია, რადგან გაცხარებული მუშაობა იყო და პატარძალისაც იცოდნენ, რომ... დიდი ხნის გათხოვილი იყო. ცოლ-ქმარი ჩქარობდნენ ჯვარისწერას, რომ იმ დღეს კალო გაულეწავი არ დარჩენოდათ და ლხინი საღამოს გადაეხადნათ. ჯვარისწერის შემდეგ ანტონი მივიდა კირილესთან და შერცხვენილივით უთხრა:

— როგორც თქვენ მიბრძანეთ, მამაო, აი ეს... ერთი მანეთი მაქვს ხელზე...

კირილემ დამშვიდებით გამოართვა მანეთიანი ქაღალდი და იქვე გადასცა მთავარ-დიაკონს მამა სიმონს; დიაკონმა დახედა მანეთიანს და უნებლიედ რაღაც შესაბრალისი სახის გამომეტყველება მიიღო.

დიაკონმა შეიტანა საჩქაროდ გვირგვინები საკურთხეველში და მთავარს ჩურჩული დაუწყო. ცოტა ხნის შემდეგ გარეთ გავარდა, მიეწია მიმავალ ანტონს და ხელი სტაცა სახელოში.

— შე ვირის თავო, გადირიე, თუ რა არის?—ჰკითხა მან დაბალი შეკავებული ხმით.

— რა ამბავია? — წამოიძახა ანტონმა, თუმცა კი ძალიან კარგად იცოდა, რაც ამბავი იყო.

— როგორ თუ რა! ჯვარის საწერი მანეთი მიეცი?

— ღმერთმანი, ახლა მეტი ვერ მოვახერხე.

— მე ხომ იმას არა გკითხავ, მოახერხე თუ არა, შენ ეს მითხარი, რამდენი გთხოვა მამა კირილემ?

— მამა კირილემ? მამა კირილემ მიბრძანა: რამდენიც მოგეხერხებოდეს, იმდენი მომეციო. ასე იყო... და მეც...

დომენტი სრულიად აირია, ისეთი განსაცვიფრებელი იყო ეს ამბავი. ამით ისარგებლა ანტონმა და მოჰკურცხლა, რომ კიდევ არა წაეგლიჯათ რა. დომენტი მობრუნდა ნელი ნაბიჯით, და უამბო სვიმონს რაც ანტონისაგან გაიგონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს შესამოს გამოცვლილი კირილეც გამოვიდა საკურთხევლიდგან. მოსაუბრეებმა თუმცა ხმა გაკმინდეს, მაგრამ კირილე ყველაფერს მიხვდა, ისეთი სახის გამომეტყველება ჰქონდათ ორივეს და ისე გამოვიდა ეკკლესიიდამ, თითქო არა შეუნიშნავს-რაო.

— ეს რა ამბავია, მამაო სვიმონ, მე თქვენა გკითხავთ! — შეჰყვირა დომენტიმ. — ამ გვარად შიმშილით დავიხოცებით! თუ ჯვარის წერაში არაფერს ავიღებთ, მაშ რა ჯანაბაში ავიღებთ?

— ახალი წესები შემოდის, დიაკვანო, ახალი! — მიუგო კვნესით მთავარმა.

— იცით რა? — სთქვა დომენტიმ, — წავიდეთ, მამა როდიონს შევატყობინოთ ეს ამბავი.

— წავიდეთ, წავიდეთ! — მიუგო სვიმონმა.

გამოვიდნენ და პირდაპირ როდიონისკენ გასწიეს.

## VII

მამა როდიონმა ისინი შინაურულად მიიღო ოთახში, რომელსაც სასტუმროს ეძახდნენ. მამა როდიონი იდგა და ფანჯრებზე დაკიდებულ კანარელ ჩიტებს წყალს უსხამდა.

— აა! მობრძანდით! წარმოსთქვა მამა როდიონმა ისევ გალიებთან მდგომმა: — როგორ არის საქმე?

— გლახად, მამაო როდიონ! — შესჩივლა დიაკვანმა დომენტიმ, რომელსაც ჯერ კიდევ გული არ მობრუნებოდა.

— ნუ თუ?! რა ამბავი მოხდა?

— ეს არის დავწერეთ ჯვარი ანტონ ბონდარენკოს ქალს, და ჯვარის საწერი ერთი მანეთი მივიღეთ.

— როგორ თუ ერთი მანეთი? — მამა როდიონი ჯერ კიდევ დამშვიდებით უვლიდა თავის ჩიტებს.

— ერთად ერთი მანეთი! გავათავეთ ჯვარის წერა თუ არა, მივიდა ანტონი მამა კირილესთან და...

დომენტიმ დაწვრილებით უამბო, როგორც იყო საქმე და სხვათა შორის ანტონის სიტყვებიც გაიმეორა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „მამა კირილემ მიბრძანა, რაც შეგეძლოს ის მომეციო“.

ამის თქმაზედ მამა როდიონმა ხელი გაუშვა უცებ გალიას, რომელმაც აქეთ აქით ქანაობა დაიწყო.

— აი რა ამბავი ხდება! ეგ კი საძაგლობაა! სთქვა მან.

— მეტად გლახა საქმეა!—შესაბრალისად იმეორებდა მეჯავარი.

— ეს, საქმე თუ ერთხელ მოხდა, მერე წესადაც დაიდება, მრევლს რა უნდაო და გიჟი მღვდელიო! — სამივენი დასხდნენ და დაიწყეს ამ საქმეზედ ლაპარაკი.

— უნდა მართალი გითხრათ, მე მაშინვე რაღაც უცნაურობა შევნიშნე.... საეჭვო კაცია,—ამბობდა მამა როდიონი.

— თუ მაგან ასე დაიწყო, შეიძლება საჩივლელადაც გაგვიხდეს საქმე.

რჩევა გაგრძელდა ერთს საათს. და ბოლოს გადაწყვიტეს:—აჩქარება არ ივარგებს, ჯერ კიდევ ვნახოთ, შეიძლება გამოუცდელობით მოსდის; ჯერ არ იცის აქაური წეს-წყობილებაო.

პირველი კვირა კირილეს შემოსავლიანი შეხვდა; სოფლის მჭედელს პახომს მოხუცებული დედა მოუკვდა. მჭედელი ძალიან არ შეწუხებულა, რადგან დედა მისი დიდი ხნის ავადმყოფი იყო, მუშაობა აღარ შეეძლო და მხოლოდ მეტი მჭამელი იყო უიმისოდაც დიდ ოჯახში.

— რა ამბავია, დედაშენი ხომ არ გადაცვლილა?—ეკითხებოდა დომენტი პახომს.

მთელმა სოფელმა იცოდა რომ, მავრა უკანასკნელს დღეში იყო; გარდა ამისა ამისთანა გაცხარებულ მუშაობის დროს უმიზეზოდ არ მივიდოდა პახომი.

— კარგათ მიხვდით, დომენტი ერმილიჩ! გარდაიცვალა საბრალო! ღმერთმა განუსვენოს!

— ახლა რას აპირობ?

— უნდა დავასაფლაოთ!

— რაღას უყურებ, შე მამა ცხონებულო, აიღე და დამარხე. ჩვენ კვირას მივალთ საფლავზე და წესს შევუსრულებთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება მანამ კიდევ მოკვდეს ვინმე და ერთად ავუგებთ ანდერძს.

— რიგიანად მინდა, დომენტი ერმილიჩ!

— მე კი არ მინდა, უცებ მღვდელ-მთავარი გავხდე! ბევრი რამ გვინდა! დიდი რამ კი არ იყო შენი მავრა! შენ გინდა ორი აბაზით მთელი სამღვდელოება შეკრიბო?

— რა ვქნა, დომენტი ერმილიჩ, რითიც შემეძლება, გემსახურები! შეიძლება, როდისმე ცხენის ღაჯედა დაგჭირდეს.

— ცხენს ეგ რომ არ იყოს, ისედაც დამიჯედავ!.... არა, პახომ, ისე დამარხე!... დღეს არა მცალია, პური მაქვს გასალეწი.

— თუ აგრეა მაშ წინამძღვართან უნდა წავიდე!—და გასწია კირილესთან.

„ხედავთ რა სუნი მიედინათ ამ ახალი მღვდლისა! აბა მამა როდიონთან წასულიყო!“ ბუტბუტებდა დომენტი და გადასწყვიტა: ვნახოთ რას ეტყვის კირილეო.

პახომი მივიდა კირილესთან და სთხოვა: დედა მომიკვდა, გთხოვთ, ყურადღება მომაქციოთ და დამიმარხოთო.

— მზადა გაქვს ყველაფერი?—ჰკითხა კირილემ.

— ყველაფერი მზად გახლავს, რაც წესია.

— აბა ერთი დიაკონს დამიძახე ან მთავარს.

პახომი შეყოყმანდა.

— დიაკონმა მითხრა, თვითონ დამარხე და წესს კვირას შევუსრულებთო... მე პური მაქვს გასალეწი და ორი აბაზისათვის ჩემს საქმეს არ წავახდენო.

კირილეს ხმა არ ამოუღია. ანაფორა ჩაიცვა, ქუდი დაიხურა და გარეთ გამოვიდა. დომენტი თავის კალოზედ იყო, ჩითის პერანგის ამარა; ჩალის ქუდი კეფაზე ჰქონდა გადაგდებული და ისეთი სისწრაფით უქცევდა კალოს, რომ ოფლი წურწურით სდიოდა. დაინახა თუ არა მღვდელი კიბეზედ გამოსული, მუშაობას მოუმატა. კირილე შეჩერდა ერთ წუთს და იფიქრა: ამას ხომ დიდი ოჯახი ჰყავს, რაზე მოვაცდინოო. გავიდა ალაყაფის კარებში და მივიდა დომენტისთან. იმან მაშინვე ხელი უშვა ფიწალს და პატივისცემით ქუდი მოუხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბარაქა!—უთხრა კირილემ.

— გმადლობთ! მიბრძანებთ, გიახლოთ დამარხვაზე?—ჰკითხა დომენტიმ.

— არა, არაფერია, მე თვითონ ავუგებ წესს. დიაკონსაც, ვგონებ, საჭირო საქმე აქვს.

— ბოსტანში გახლავთ.

— მაშ კარგი, მე თვითონ მოვახერხებ,—სთქვა კირილემ.

ამ დროს ეკკლესიის დარაჯმა მოუტანა ბოხჩა, რომელშიაც შესამოსელი იყო გახვეული. კირილემ გამოართვა და გაჰყვა პახომს. დომენტი შესცქეროდა გაბრუნებულს მღვდელს და სთქვა: ეჰი რა სულელია, ეს კაცი!... ან პირმოთნეა და ან სწორედ ღვთის გზას ადგია; სწორედ გამოცანაა!...

კირილემ ანდერძი აუგო და გააცილა სასაფლაომდე მიცვალებული. პახომმა შეაძლია შავი ფული, მაგრამ არ გამოართვა; ის იყო, იმისი ქოხი ნახა წვრილ-შვილით სავსე და იფიქრა: როგორ რამე უნდა ავიღო ამ საცოდავებისაგანაო. ფული არ გამოართვა და უთხრა:

— ზამთარში ურემი მექნება და, როდესაც იმას გაუტყდება რამე, მაშინ მოგიხმობ გასაკეთებლადაო.

— რაც გნებავს, იმას გაგიკეთებ, მამაო, თქვენი გულკეთილობისათვის! — დიდი გრძნობით უთხრა პახომმა, რადგან მის გულს უკვე შეეხო ამ კეთილი მღვდლის მოქმედება.

ლუგოვოში ისე იყო დაწესებული, რომ მხოლოდ შეძლებულს ხალხს აუგებდნენ წესს. „ორი მანეთის ნაკლებ ფეხს არ მოვიცვლიო“,—პირდაპირ ამბობდა კირილეს მოადგილე. ღარიბი კი უმღვდლოდ უნდა დაემარხათ და მერე, როდესაც ექვსიოდე მიცვალებული დაიმარხებოდა, მაშინ ერთად აუგებდნენ მათ ანდერძს. თავდაპირველად, ეს წესი ზაფხულში იყო წესად დადებული, როდესაც ყველა მღვდელ-დიაკვნები გართული იყვნენ მუშაობაში. მერმე კი მრევლიც მიეჩვია და ჩვეულებად გადაექცათ; დიდი ხნიდან ასე იყო და მრევლიც აღარაფერს ამბობდა.

ხანდახან სხვაფრივაც მოხდებოდა ხოლმე, როდესაც ღარიბღატაკს პატივცემული მოუკვდებოდა ვინმე, როგორც მაგ., პახომის დედა იყო. ხანდახან ერთ მანეთსაც სჯერდებოდნენ და თანაც პირობას უდებდნენ, კალოს რომ გალეწ, ერთი კოდი პური მოგვიტანეო. საზოგადოდ, დაბა ლუგოვოში მღვდელსა და მრევლს შორის ყველაფერი ეაჭრობით იყო.

პარასკევი დღე იყო. დომენტის ეზოში შემოვიდა კარგად მოწყობილი დილიჟანი, ორი ცქვიტი ცხენით. წინ იჯდა ახალგაზდა ბიჭი თეთრი ტილოს პერანგით და თავზედ ჩალის ქუდით. დილიჟანში მოთავსებულიყო ჩასუქებული მინდვრად გასული გლეხი.

ეს ტანად მორჩილი კაცი ჩამოვიდა დილიჟნიდან და მძიმე და დარბაისელი ნაბიჯით გასწია დომენტისკენ. უკანასკნელი ამ დროს პურს ანიავებდა. დაინახა თუ არა სტუმარი, ფიწალი დააგდო და წინ მიეგება.

— მარკო ანდრეიჩ, რამ გაგსარჯათ? როგორ ბრძანდებით, რა ამბავია თქვენს მინდორში? აბა, შებრძანდით სახლში! — ეპატიჟებოდა დომენტი და მეტად პატივისცემით შესცქეროდა.

მარკო ანდრეიჩ შუბენკო მდიდარი მამულის პატრონი გლეხთაგანი იყო და ყოველთვის სასურველი სტუმარი სასულიერო პირებისა. მარკოს სქელმა და გრძელმა ულვაშებმა შეუთამაშა და ღიმილით გაუწოდა დომენტის ხელი.

— თქვენი ლოცვით, დომენტი ერმილიჩ... ვცხოვრობთ! — ცოტა ენა-დაბმულივით დუდუნებდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად: — ამის შეტანა შეიძლება სახლში?... გესმის, შენ ეი, მიტრო, ერთი ტომარა დერეფანში შეიტანე!...

— გმადლობთ, კეთილი საქმეა, რომ ჩვენც არ გვივიწყებთ!

მიტრო ზარმაცად ჩამოიზლაზნა თავის მაღალი საჯდომიდან და სტუმარ-მასპინძელმა კი გასწიეს ოთახისკენ; რომ შევიდნენ, დომენტის ცოლი შეხვდათ, ანტონინა იაგოროვნა; ეს შავგვრემანი დედაკაცი ჯერ საკმაოდ ყმაწვილი იყო, სიმრთელითა და მოსულობით შესაფერი თავისი ქმრისა. რაღასაც ფუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუსებდა ბუხართან და ქვაბს დასცქეროდა, რომელშიაც კიბოები იხარშებოდა. გარს ეხვეოდნენ შავთვალწარბა ბავშვები გასვრილი ცხვირ-პირით, უქამრო ჭუჭყიან პერანგებით, გამობერილი დიდი მუცლებით და ფეხშიშველა ფეხებით.

ანტონინა ბოდიშს იხდიდა, რომ ხელი ვერ ჩამოართვა მარკო ანდრეიჩს, რადგან ჭუჭყიანი ხელები ჰქონდა.

— თქვენ შეურაცხყოფად ნუ მიიღებთ, დაუმატა დომენტიმ: — ჩემი ცოლი სულ ასე საქმეშია.

ისინი რომ სახლში შევიდნენ, ანტონინა საკუჰნოში გავიდა. დაიბანა ხელი, ჩაიცვა სუფთა კაბა, ჩამოიღო გრაფინით არაყი, ხმელი თევზი და სტუმარს მიართვა.

— ვინ არის ამ კვირია მწირველი? — იკითხა მარკომ.

— ახალი მღვდელი, მამა კირილე! — უთხრა დომენტიმ, და ამასთან უიმედობის ნიშნად ხელი ჩაიქნია.

— ძალიან კარგი! ახალი ბელელი დავდგი, ხვალ პურის ჩაყრას ვაპირებ, და უკურთხებლად, თქვენც იცით, არ შეიძლება. მინდა დღესვე მივიწვიო მღვდელი და აიაზმა ვასხურებინო.

— ძალიან კარგი, მარკო ანდრეიჩ! დიდი სიამოვნებით. იმედი მაქვს, ღირსეულად დაგვიფასებთ ჩვენს შრომას.

— ეგ რა სათქმელია! თუ გინდათ წინდაწინ მიიღეთ, აი თუნდა ეხლავე!... ინებეთ, დომენტი ერმილიჩ, თქვენ თითონ გადაეცით მღვდელს.

მარკომ ამოიღო ჯიბიდამ სამი სამ სამ მანეთიანი და ერთიც მანეთიანი და მიაწოდა დომენტის. იმანაც უბოდიშოდ ჩამოართვა.

— ყველა რომ ასე გვაძლევდეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს! — სთქვა დომენტიმ და ქაღალდის ფულს ხელში ჭმუჭნა დაუწყო! — მხოლოდ თქვენისთანებით გვიდგია სული.

იმავე დროს თავში სხვა აზრმა გაურბინა, რომელმაც მწუხარება გამოსახა იმის სახეზე: „ერთიც ვნახოთ ახალმა მღვდელმა აქაც გამოიგონოს რამე! — იფიქრა მან: — აიღოს და ხურდა დაუბრუნოს. იმისაგან ყველაფერი დასაჯერებელია“. — არ შეიძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებოდა, მარკო ანდრეიჩ, რომ კვირამდე მოგეთმინა? კვირას მამა როდიონი იქნებოდა მწირველი და საქმე უკეთ მოეწყობოდა!

— ხორბალი მზადა მაქვს და ხვალ უსათუოდ უნდა ჩავყარო, გადადება შეუძლებელია.

— მაშ, კარგი! შენ, ანტონინა, — მიუბრუნდა ცოლს, — შეაქციე მარკო ანდრეიჩი, კარგად გაუმასპინძლდი: მე შევივლი მღვდელთან და ყველას გავიგებ...

— არ შეიძლება მეც ახლავე წამოვიდე! გავეცნობი კიდეც; ორი ტომარა ფქვილი წამოვუღე პირველ გაცნობის ფეშქეშად. — თუ შენი ტომრები თავში გახალოა? — იფიქრა დომენტიმ. — ახა, ღმერთო, ეს რა გაუგებარი და ჩერჩეტი მღვდელია?!“

დომენტი წავიდა კირილესთან. უკანასკნელი რაღასაც სწერდა. მარო დივანზედ იჯდა და წიგნს კითხულობდა. დაბრძანდით! აი ეხლავე! ამ საათში! — უთხრა კირილემ. მერე მიუბრუნდა მაროს: — აი ჩვენი დიაკვანი, დომენტი ერმილიჩ გლუშენკო.

მარომ ხელი ჩამოართვა. დიაკვანი იდგა ფეხზე, დაჯდომას ვერა ბედავდა. მარომ ცოლ-შვილის ამბავი კითხა. რამდენი შვილი გყავსო.

— მადლობელი ვარ ღვთისა, ცოტა არა მყავს, უპასუხა მორიდებით და თან დასძინა, რომ უფროსი შვილი კიდეც მივაბარე სასულიერო სასწავლებელშიო. კირილე მობრუნდა სკამზე დამჯდარი და ჰკითხა: — აბა რაშია საქმე?

— მინდვრიდგან მარკო შუბენკო გიახლათ. გთხოვთ, რომ მიბრძანდეთ იმასთან და ბეღელი უკურთხოთ.

— ძალიან კარგი, წავიდეთ.

— მდიდარი გლეხი გახლავთ. დიდი ხვნა-თესვა აქვს. თითონვე შემოგვაძლია ათი მანეთი... მე თითქმის გულშიაც არ გამივლია თხოვნა. მიბრძანებთ, მივიღო? — დამნაშავეს კილოთი უთხრა დომენტიმ.

— თვითონ შემოგაძლია? — ჰკითხა კირილემ და შეხედა მის სახის მოქმედებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღმერთს გეფიცებით, მამაო კირილე, მე არაფერი მითხოვნია, არც თუ გადაკვრით მითქვამს რამე.

— თუ აგრე მდიდარია და თითონვე შემოგაძლია, რატომ არ უნდა გამოვართვათ.

— დიაღაც, რატომ არ უნდა გამოვართვათ? აი ფულიც აქ გახლავს!

— ჩასდე საზოგადო განზანაკში!... და მოემზადე, წავიდეთ.

— მოდი და ამისი გაიგე რამე!—ფიქრობდა თავის გულში დომენტი,—თუ კი მდიდარია და თვითონ შემოგაძლიაო!... ჩემთვის სულ ერთი არ არის, ღარიბია თუ მდიდარი? ლუგოვოში ბევრი ჰყავს მაგისმა მზემ მდიდრები? თითონვე შემოგაძლია! ეს მარკო ანდრეიჩი მინდვრად გასული კაცია, მდიდარია და უხვი. ელოდე ლუგოვოს მცხოვრებლებს, რომ იმათ შემონაძლევმა ჯიბე გაგივსოს!“

მოვიდა სახლში და დერეფანში ძალზე გატენილი ერთი ტომარა ფქვილი დაინახა.

— „როგორ ეტყობა, რომ პატიოსანი კაცია! თითონ მოიტანა, ძალას არავინ ატანდა. და მერე როგორი ტომარაა: ექვსი ფუთი იქნება! სამ აბაზათაც რომ ვიანგარიშოთ, სამი და სამი აბაზი გამოვა. ფულია!“

მარკო ანდრეიჩმა ხუთი სტაქანი არაყი გადაჰკრა და მეექვსეზე კი უარი სთქვა, წინამძღვარი უნდა ენახოვო:

— არ ივარგებს, არაყის სუნი რომ ამომდიოდეს პირიდან! ამისი რომ არ შინებოდა, შტოფ ნახევარსაც დალევდა და კი არ შეზარხოშდებოდა.

მღვდელი მომზადებული დახვდა, ანაფორით. მარიამი მეორე ოთახში კამოდს აქოთებდა, სუფთა ცხვირსახოცი უნდოდა კირილესთვის. მარკო ანდრეიჩი შევიდა დერეფანში და ზრდილობიანად დაიწყო წაღების წმენდა; მიიხედ-მოიხედა, ნახა მარცხნივ ოთახში და მარჯვნივ—სამზარეულოში შესავალი კარები. მარცხნივ გასწია, გააღო კარი და შევიდა. კართან გაჩერდა, თვალი მიაჩერა კუთხეს, სამჯერ პირჯვარი დაიწერა და მერე თავი დაუკრა სახლის პატრონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე გახლავართ მარკო შუბენკო!—მოახსენა მღვდელს.

— ვგონებ, თქვენთან მოვდივარ და მზადაცა ვარ,—მიუგო კირილემ და იფიქრა, უთუოდ ეშურება და ამისთვის მოვიდაო.

— არა, მე მაგას გარდა, სხვა საქმეზედაც გიახელი.

— სხვა საქმეცა გაქვთ? დაბრძანდით და მომიყევით.

— დიდად გმადლობთ. მხოლოდ ნება მიბოძეთ პირველად ლოცვა-კურთხევა მივიღო თქვენგან.

კირილე დაფაცურდა. არ იქნა, ვერ მიეჩვია და რადგან ჩვეული იყო ხელის ჩამორთმევას, ჯვარის გადასახვა ავიწყდებოდა. მარკო მივიდა მასთან, შენდობა სთხოვა და ხელზე ემთხვია.

— საქმე აი რაშია,—უთხრა უფრო თავისუფალი კილოთი:—ჩვენ ჩვენს მღვდლებს ძალიან პატივსა ვცემთ და ყოველთვის ვცდილობთ მათ სიამოვნებას.

— დაბრძანდით, რას გაჩერებულხართ!—შესთავაზა კირილემ.

— გმადლობთ!—დაჯდა მაშინვე გაქიმული და ფეხი ფეხს მიაკრა.—რასაც ღმერთი გვაძლევს, იმას ჩვენ სასულიერო პირებს ვუყოფთ, ასე რომ პირველ გაცნობასთან ნება მიბოძეთ, მამაო, ორი ტომარა პური მოგართვათ.

— მე? რისთვის? მე არაფრით დამიმსახურნია!

— თქვენ ჩვენთვის ლოცულობთ, ჩვენი ცოდვებისათვის, რადგანაც ჩვენ ძლიერ ცოდვილნი ვართ! თქვენ უნდა ილოცოთ, რომ მოგვეტეოს. აი ამისათვის. პატივისცემა გვაქვს სასულიერო ღირსებისა! ამისათვის ნუ უარ-მყოფთ და მიიღეთ ორი ტომარა პური.

— ბატონი ბრძანდებით, მხოლოდ როგორღაც... უცნაურია... მადლობას მოგახსენებ!...

კირილეს შერცხვა. ამისთანა წინადადებას თავის დღეში არ მოელოდა, მაგრამ გაგონილი ჰქონდა, რომ დიდ შეურაცხყოფად მიიღებდა გლეხი, უარი რომ ეთქვა და ძღვენი არ მიეღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდი მადლობელი გახლავარ! ჩვენთვის დიდი რამ არის სულით და გულით ერთობა ჩვენს მღვდელთან. თუ ზიზღით არ დაგვიწყებთ ყურებას, ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით გემსახუროთ ყველაფრით. ნებას მიბოძებთ, თქვენი მეუღლე გავიცნო?

— რატომ? შეიძლება. მარო, აი შენი გაცნობა სურთ!

მარო გამოვიდა, ხელში ცხვირსახოცი ეჭირა და გაკვირვებულმა შეხედა მარკოს, რომელიც სკამზე იჯდა.

მაროს სრულიად ვერ გაეგო, რისთვის უნდოდათ მისი გაცნობა. იმის გამოსვლაზე მარკო ადგა და ფეხები რაღაცნაირად შეათამაშა:

— მაშ ეს არის თქვენი მეუღლე? როგორი ყმაწვილი ყოფილა, ღმერთო ძლიერო!

სრულიად მოულოდნელად მივიდა მაროსთან, წააფრინდა და ხელზე აკოცა. მარომ ვერც კი მოასწრო ხელი გამოეგლიჯა.

— მე მინდვრიდან გახლავარ, ქალბატონო, გთხოვთ, ინებოთ და ჩემსას მობრძანდეთ! ისე მიგიღებთ, ისე მიგიღებთ, რომ!... ჩვენ განსაკუთრებითს პატივსა ვცემთ სასულიერო პირებს. მთელი მოსავალი წამოიღეთ, პური თუნდა ხუთი ურემი ინებეთ, მხოლოდ მობრძანდით კი!

ყველა ეს მაროსათვის საოცარი ამბავი იყო. არ გაეგებოდა, ასე გულით და სულით რისთვის პატიჟობდნენ? ან რისთვის უნდა წასულიყო მარკოსთან, რის გულისათვის უნდა წამოეღო ხუთი ურემი პური? მარო ჩუმად იყო და გაკვირვებით შესცქეროდა მარკოს.

— გმადლობთ, გმადლობთ!—უთხრა მარის მაგივრად კირილემ.—ჩვენ ხომ გვიგვიანდება?

მარკომ კიდევ გაუმეორა მღვდლის ცოლს თხოვნა და გაჰყვა კირილეს. კიბეზე შესდგა და გადასძახა მიტროს:

— შენ, ეი, მიტრო! მოაყენე აქ და მოართვი ორი ტომარა მამა კირილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტრომ შეიხანხალა, დაახევინა ცხენებს და ერთს წამში მიაყენა კიბესთან. ხუთი წუთი მოუნდა ტომრების გადმოლებას, მერე გაასწორა თივა და ჩასაჯდომად მოაწყო. მოვიდა დომენტიც თავის ბოხჩით. ჩასხდნენ და გაუდგნენ გზას.

მინდვრად გასულნი თავისუფალი გლეხები იყვნენ მემამულე ჩაბატოვების მიწაზედ ჩასახლებული ოც და ათი ვერსის სიშორეზედ ლუგოვოდან. თითქმის ყველას საკუთარი მიწები შეეძინათ, ზოგს ოცი დღიური, ზოგს ორმოცი და ორს კი — ბებერ გუბარს და მარკო შუბენკოს სამოც-სამოცი დღიური და ამას გარდა იჯარითაც იღებდნენ რამდენსამე ათეულ დღიურს ლუგოვოს მემამულე ქალისაგან. მიუხედავად ამისა, ისინი მიწურებში ცხოვრობდნენ. ერთს ან ორს სახლს ნახავდით ჩალით დახურულს; ერთობ კი ორ ოთახს იკეთებდნენ — ერთს სასტუმროდ და მეორეს თავიანთთვის, და კიდევ მესამეს წიწილებისთვის, ხბორებისთვის და გოჭებისთვის. როდესაც მინდვრად გასულთ, ძალიან შეძლებულთ, ეკითხებოდნენ, რისთვის არ იშენებთ კარგს სახლებსაო? ისინი პასუხად ამას ამბობდნენ: სადა გვაქვს მოცლა, რომ სახლები ვაშენოთ! და ან კი რად გვინდა? ჩვენ მიჩვეული ვართ მიწის ქოხებს. დიდ, სრულ სახლებში, ოჯახობა ცალცალკე გაიფანტება და ახლა კი ერთადა ვართ შეჯგუფული, მეგობრულად ვეხვევით ერთმანეთს, თბილად დამხიარულად ვატარებთ დროსა. სამაგიეროდ ამ პატარა ქოხებთან მოჩანდნენ მაღალი ბეღლები, სამაგალითო ბოსლები საქონლისთვის, ფარეხი ცხვრისთვის, საქათმეები ქათმებისთვის და სხვ. და სხვ. თითქო ნამდვილი მეპატრონე აქ ეს ცხოველები ყოფილიყვნენ და ადამიანი კი მათი მორჩილი და მცირედით კმაყოფილი მოსამსახურე. ავიდა თუ არა დილიჟანი მაღლობზედ, რომელზედაც გადიოდა განიერი გზა, გამოჩნდა თვალუწვდენელ მინდვრებს შუა მინდვრად გასულების ბინები; ანგარიშით ორმოციოდე მოსახლე იყო ბაღებით, სადაც მოჩანდნენ მაღალი თივის და ჩალის ზვინები და მშვენივრად დაწყობილი პურის ძნები. ყოველს ეზოში იყო ჭები და ამ ჭებს გარს ეხვია აწოწილი წვრილი ყანჩები, თითქო მოწვეული საიდუმლო დარაჯებად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თვალ-ყური ედევნებინათ მინდვრებში მიტოვებულ ეზოზალებისათვის. ნახევარ საათში გაიარეს რამდენიმე გლეხის ქოხი და მიადგნენ მარკო ანდრეევიჩის სახლს. ეს სახლი სხვა ქოხებიდან არაფრით გაირჩეოდა, მხოლოდ საქონლისთვის აგებული შენობა კი სახარბიელო იყო და ამასთან თვალში მოგხვდებოდათ ახალი აშენებული ბეღელი. ეზოში ირეოდა ოცამდინ გლეხი-კაცი და დედაკაცი ჩვეულებრივი სამუშაო ტანისამოსით: ეტყობოდა დაპატიჟებული სტუმრები მოსულიყვნენ პირდაპირ მუშაობიდან, რომ ედღესასწაულათ ბეღლის კურთხევა. შევიდა თუ არა კირილე ეზოში, რიგ-რიგად მივიდა ხალხი მასთან და შენდობა სთხოვა.

— ახალი მღვდელი! — ამბობდნენ ერთმანეთში. — მერე რა ყმაწვილია! — უმატებდნენ დედაკაცები და თან მწარედ ოხრავდნენ, თითონაც არ იცოდნენ რისთვის. მარკომ შეიწვია პატარა ფანჯრიან და დაბალ ჭერიან ვიწრო ოთახში. ოთხ-კუთხიან გრძელ სტოლს ათიოდე პატივსაცემი ხნიერი გლეხი შემოსხდომოდა. კირილეს შესვლაზედ ყველანი წამოდგნენ. კირილემ პირჯვარი გამოისახა ხატების წინ, რომელიც კუთხეში ესვენა და მერე თავი დაუკრა იქ მყოფთ: — მშვიდობა თქვენდა! — უთხრა ყველას. დაიწყეს და სათითაოდ მათაც ლოცვა-კურთხევა მიიღეს და ხელზე ემთხვივნენ. ამ დროს გამოვიდა ტან-მაღალი, სუფთად ჩაცმული ქალი აბრეშუმის ტანისამოსით.

— აი, მამაო, ეს ჩემი მეუღლე გახლავს, — სთქვა მარკომ. მარკოს ცოლმაც მიიღო ლოცვა-კურთხევა.

— აბა დავიწყოთ? — სთქვა კირილემ. დომენტიმ გახსნა ბოხჩა და მიართვა შესამოსი. გლეხ-კაცები შესცქეროდნენ დიდის ყურადღებით და ფიქრობდნენ, რა ყმაწვილი მღვდლები გამოდიან ახლანდელს დროშიო! როდესაც კირილე შეიმოსა, ყველანი გარედ გემოვიდნენ და აქ საშინელ პაპანაქება-სიცხეში სტოლთან, რომელზედაც იდგა წყლით სავსე ჯამი, აასრულა წესი მარკო შუბენკოს ბეღლის კურთხევისა კირილემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა მობრძანდით, შევნაყრდეთ, რაც ღმერთმა მოგვცა! — სთქვა მარკოს მეუღლემ. კირილემ გასწია და პირველად ის შევიდა ოთახში. სუფრა უკვე გაშლილი იყო.

— გთხოვთ, მამაო, აი აქ დაბრძანდეთ! — სთქვა დიასახლისმა და უჩვენა ხელით ადგილი, სადაც დიდად პატივსაცემს პირებს მიიპატიჟებენ ხოლმე. კირილე დაჯდა; გვერდით დომენტი მოუჯდა, გარშემო სტოლს შემოუსხდნენ გლეხ-კაცები და იმათში მხოლოდ ორი დედაკაცი.

— პირველად არაყი მიირთვით! — სთქვა მარკომ და მისმა მეუღლემ ერთად. მიართვეს კარგა მოზრდილ ჭიქით არაყი და მასთან ყველა სტუმრებს აავსებინეს ჭიქები; ყველამ სავსე დალია. კირილემ კი მოსვა მეოთხედი და ჭიქა ძირს დადგა.

— ეჰ, მამაო! ეგ როგორ იქნება? უნდა დასცალოთ! — თხოვნით სთქვა სახლის პატრონმა.

— არა, მეტი საჭირო არ არის! — სთქვა კირილემ: — დიდი ჭიქაა.

— არ იქნება, მამაო! მაშ ჩემი ბეღელიც არ აივსება!

— მაშ ჩვენ რასა ვსთხოვდით ღმერთსა, ჩემო მასპინძელო? იმას არა ვთხოვდით, რომ ჩვენი ბეღელი ავსებულიყო? — სერიოზულად ჰკითხა კირილემ.

— რასაკვირველია, აგრეა!...

გლეხები დინჯად ისხდნენ, ჯამებში იცქირებოდნენ და არას ამბობდნენ, მხოლოდ მარკო თავისას იმეორებდა:

— ეგ ხომ აგრეა! მაგრამ ახლა მეორე მაინც მიირთვი, რომ მომავლისთვის ჩემ ბეღლებში მეტი ხორბალი ჩაყრილიყოს! — თან ჭიქა გაუმსო. დომენტიმ ხელი გაუწოდა, რომ მიეღო თავისი სავსე ჭიქა, მაგრამ ამ დროს კირილემ სთქვა:

— ჩემი შეხედულებით კაცს ერთი ჭიქაც ეყოფა.

გლეხებმა გაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს. დომენტიმ ხელი გაუშვა ჭიქას და წვერზე ხელის სმა დაიწყო.

დიასახლისმა ყველა ეს ხუმრობად მიიღო და სთქვა: — აბა, მამაო, ერთი ჭიქა მაინც მიირთვით, თორემ იღარც სხვებმა დალიეს.!

— რისთვის უნდა დავლიო, როდესაც არც სასიამოვნოა ჩემთვის და მაწყინარიც არის. ამასთან მღვდელის საქმე როდია არაყის სმა.

— ჩვენში კი, მამაო, მღვდლები მეტსაცა სმენ! სთქვა ერთმა სტუმარმა. ზოგი ერთმა თანაუგრძნო უკანასკნელს. ზოგმა კი უხეიროდ წარმოთქმული პასუხი იგრძნო და შერცხვა.

— ჩემი აზრით, რა მღვდელია ის, თუ ჩვენთან არ დალევს!—წამოროშა მეორე სტუმარმა. ამაზე უფრო მეტად შერცხვა ყველას.

— შენ რა გვარი ხარ და სადა სახლობ?—ჰკითხა კირილემ უკანასკნელს.

— მე მეძახიან ისიდორე ტოვკაჩს, და ჩემი ქოხი, თუ ინებებს მამა მღვდელი და მობრძანდება ჩემთან, მესამე სახლია მარკო ანდრეევიჩის სახლიდამ,—უპასუხა გლეხმა.

— ძალიან კარგი! მე მეცოდინება ისიდორე ტოვკაჩის სახლი და ჩემს დღეში არ შევალ მასთან. მღვდლადაც ხომ არც კი მთვლის მე ისიდორე.

გლეხი გაწითლდა და იმდენად შეწუხდა, რომ პასუხი ველარ მოახერხა. კირილემ განაგრძო:—და მათ კი, რომლებიც მე უარმყოფენ და მღვდლად არა მთვლიან, ავუხსნი, რისთვის არა ვსვამ არაყს. არა ვსვამ იმისთვის, რომ ვაფასებ ჩემს ჯანსაღობას; მინდა დიდხანს ვიცოცხლო, და ამას გარდა, მინდა ყოველთვის ჭკვიანი კაცი ვიყო. მეტი არაყი აწყენს სიმრთელეს, და სიცოცხლეს ამოკლებს. დანიშნული რომ გქონდეს სიცოცხლე სამოცდა ათი წელიწადი, თუ არაყი სვი, მაშინ ორმოცდა ათსაც ველარ იცოცხლებ. ჭკვიანი კაცი ხარ, ყველა პატივსა გცემს და როდესაც არაყსა სვამ, ჭკუა გიჩლუნგდება, გიბნელდება, და ხედავ რომ ჭკუა სისულელედ შეგეცვალა და ყველა შენზედ იცინის.

აბა განსაჯეთ: არის რამე მოგება არაყის სმაში?

— ეგ რასაკვირველია ეგრეა, მოგება რად იქნება? დაამტკიცა ვიღაცამ. შერცხვენილი მასპინძელი აღარავის აძალებდა არაყს და ფიქრობდა, ხუცესის წასვლის მერე იქნება ნამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვილი ლხინით. ხალხი რომ შენაყრდა, ადგა კირილე და მასთან ყველანი ერთად. როდესაც ოთახიდამ გამოვიდა მღვდელი, ხალხმა დაიწყო მაზედ ლაპარაკი: აი ნასწავლი, მართლა ნამდვილი ნასწავლი! ამისთანა ახალგაზდა და ასეთი ნასწავლი? რა დინჯადაც იქცევა და! ჩვენი ტოვკაჩი კი შეარცხვინა. გაუნათლებლობაა მაშ რა ჯანაბაა!

ამ დროს კირილე დომენტითურთ ჯდებოდა დილიჟანში. მასთან მივიდა ისიდორე ტოვკაჩი, მოიხადა ქუდი და მდაბლად თავი დაუკრა.

— გთხოვთ მომიტეოთ, მამაო! წარმოსთქვა მან შერცხვენით, რაც ჩემი გაუნათლებლობით წამოვროშე... და კირილეს ლოცვა კურთხევა სთხოვა.

— მოდი როდისმე ჩემთან, ტოვკაჩო, შენი მეზობლებით, მოდით ვილაპარაკოთ! აი თქვენში წერა-კითხვის მცოდნენი ძალიან ცოტაა. სკოლა არ არის და არაყში კი ამდენსა ხარჯავთ! შეძლებულნი არ იყვნეთ, კიდევ ჰო...

ისიდორემ ეს დაპატიჟება მორჩილებით მოისმინა და თავი დაუკრა.

— ნამდვილი ბავშვები არიან!—მიუბრუნდა კირილე დომენტის, რომელიც გვერდში უჯდა;—როგორც ბავშვები ისე გვერწმუნებიან ავშიაც და კარგშიაც. ამისათვის არ უნდა დავკარგოთ არც ერთი შემთხვევა და ტკბილი სიტყვით ჩავაგონოთ!... ხომ მართალია, დომენტი ერმილიჩ.

—დიაღაც ეგრეა, რასაკვირველია, ეგრეა!—უპასუხა დომენტიმ:—ეს უკანასკნელი ერთის მხრით ძალიან კმაყოფილი იყო, რომ ეს ნასწავლი წინამძღვარი ასე მეგობრულად ემუსაიფებოდა, და მეორე მხრით დიდად ენანებოდა, რომ მარკოსას სადილი ასე მალე მიატოვა.

— ეხლა ისინი ახალს მღვდელს აქებენ და, შტოფს შტოფზედა სცლიანო! სწუხდა დომენტი.

ეფროსინე კლდიაშვილისა

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

სევდა გულს მიღრღნის, ბოღმა მკლავს,
ვემგზავსი გადარეულსა,
აღარავერი არა მრწამს
კაცთ სივისგან ძლეულსა.

ყველაფერს ზიზღით ვუყურებ,
რასაც კი ვხედავ თვალითა,
აწმყოთი მწარედ ვქვითინებ,
მხამსა ვსვამ მომავალითა.

ვიცი, არ არის ეს კარგი,
სილაჩრეს ვხატავ ამითა...
მაგრამ თქვენც თვალი მოავლეთ
გარშემო ერთის წამითა.

ნახავთ ჩვენს შორის სიწამხდრეს,
სიბილწეს, გახრწნილობასა,
დაუძინებელს შურს, მტრობას,
ერთი-მეორის გმობასა.

საითაც ფეხი გადასდგათ,
ყველგან გათხრილი ხვრელია,
შიგ კაცის გული სისინებს,
ჩვენ კი ვიძახით:—გველია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გველი კი არა, კაცია,
სავსე კაენის შურითა;
თუ ხვრელში ფეხი ჩაგიცდათ;
ის სტკბება სიხარულითა....

აგერ, მოღვაწე, მუშაკი,
ზნეობის მასწავლებელი;
რა მაღლა ყვირის სიტყვებსა
კეთილის საქმის მხლებელი!

სხვას ჰკიცხავს, თავზე ლაფს ასხამს,
ყველაფრის პირში მთქმელია;
მაგრამ თუ ახლო გავსინჯავთ,
თვით უარესის მქნელია.

ათას ხვრელებში დაძვრება,
ჯოჯოხეთს ზიდავს გულითა,
ცდილობს ძმის განადგურებას
ხრიკებით ცბიერულითა.

შავი სურს თეთრად აჩვენოს
და თეთრი კიდევ—შავათა,
სხვის ხელით გლეჯავს ნარ-ეკალს,
კი არა ჩნდება თავადა...

შეხეთ იმ კაცსაც, თვალები
ცრემლით რომ მოუნამია,
რა რიგად სტირის, ჩვენც ვამბობთ:
—პატიოსანი გვამია!

მაგრამ მის ცრემლი, იცოდეთ,
ქვეყნისთვის დიდი შხამია,
ამ თილისმებით მას კაცის
ხორციც კი შეუჭამია.

ჩვენთან ჩვენია, სხვასთან — სხვა, —
ორ ალაგს უყვარს კაკანი..
დასწყევლოს ღმერთმა, ირწევა,
როგორც გენახოთ აკვანი!..

აგერა, აის, ბატონიც
ქადაგებს ქრისტეს მცნებასა,
სიტყვით ბოროტის ჩადენას
თავს როდი აძლევს ნებასა!

დღე — ფეხს არ ადგამს ჭინჭველას,
ქვეყანას აგდებს დამითა,
დილა-საღამოს ლოცულობს
და ხალხს ატყუებს ამითა...

იმ უკუღმართსაც უყურეთ,
იმ უგზო-უკვლოდ მავალსა,
სამი დღე-ღამე უნდება
ერთის საათის სავალსა.

ჰკითხევით ერთი, რა უნდა,
რისათვის სჩადის ამასა?
განა «ყროყინით», ან «ყეფით»
ასწავლეს მაგის მამასა?!...

აგერა, ფარისეველიც,
გულ-ხელ დაკრეფით მდგომელი,
თავ-ჩაღუნული, კუდ-ბზიკა,
არამი, არმად მშრომელი.

პრტყელ სიტყვით უსამართლობას
კრიჭა-კბილს უკრავს ლაგმითა,
პატიოსნებას ჰქადაგებს,
მაგრამ ასრულებს საქმითა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენც არ მომიკვდეთ, ცბიერობს,
ყველაზე დიდი ფლიდია,
სიავის მაქეზებელი,
ქურდ-ბაცაცების ხიდია.

ჩუმად ქონების შექენა,
ამბობს, რა დასარიდია;
«საკუთრებისთვის» თვით წმიდა,
საქმეც ფეხებზე ჰკიდია!..

ყური დაუგდეთ აგერ იმ
ქვეშ-ქვეშა მუზმუზელასა,
ტიკჭორასავით გაბერილს,
მოკუნტულ ჭიაყელასა;

რა განაბული დაძვრება,
როგორა ნაბავს თვალებსა;
მაგრამ, თუ ვინმე მოხვდება
იმის კლანჭსა და ბრჭყალებსა,

მაშინ უყურეთ, კუზები
რა მალე გაუსწორდება;
წუწკნას დაუწყებს სამსხვერპლოს
და გული აუტოკდება!..

არა კითხულობთ, ვინ არის,
რა მოდგმა-ჯურის კაცია?
ქვე-წარმავალთა ეკუთვნის
სამოსი ჩვენი აცვია...

ჰა, აგერ, მომავალ შვილთა
მშობელ-აღმზრდელნი დედები,
დამაზნი, ტურფად შემკულნი,
ყელ-მოღერილნი გედები.

რას დამღერიან «ნანაში,»
რას უგალობენ შვილებსა?
ეხვეწებიან: სათუთად
მოექცნენ თვალს და კბილებსა;

თორემ ქალს არავინ მისცემს,
ვერც აიღებენ ქრთამებსა,
დაჭკმობენ იმათს სიცოცხლის
გაჩენის დღეს და წამებსა..

შეხედეთ აიმ ქალბატონს,
მდიდარს და შემძლეს ქონებით,
ამაყსა, ზვიადს, მედიდურს,
განგებ ბრმას ჭკვა და გონებით:

არ იცის, სარჩო საბადი
როგორ შეჭამოს, დალიოს,
სიკვდილი უკურნებელი
რა რიგად მოიხვალიოს;

წუთიერ სიტკბოს დაეძებს
მონა სურვილთა ჟინისა,
უგვანი, ლაფის დამსხმელი
მამა-პაპათა ბინისა.

აუყვანია ძაღლები,
ბავშვივით ეფოფინება,
თუ იმათ რამე ასტკივდათ,
ერთ წუთს არ დაეძინება.

ეძახის ექიმს, აწუხებს
მოურავს, კარის მხლებელსა,
არ უდევს ყურთუკ-ბალიშებს
და წამალს საკურნებელსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჰ, ღმერთო, ამ დროს რამდენი
კვდება მშიერი, მწყურვალი,
სწავლაში სიყმე ჩამკვდარსა
სად ჰყავს მეშველად მკურნალი?

აბა უთხარით ქალბატონს
ამათზედ რამე შველისა! —
ცივ უარს მკაცრად მოჰყვება
გასავსავება ხელისა...

აგერა, ფუფუნების ძეც,
ეს შრომის უარ-მყოფელი,
სოფლის გამრყვნელი, გამხრწნელი,
ყოველ სიმზაკვრის მშობელი.

გამძღარი, წამოწოლილი
რუმბივით აივანზედა
ასე შესჩივის მოურავს
იქვე მდგომს ცოტა განზედა:

— მეტად გაძაღლდნენ, გაირყვნენ;
ჩვენზედ გულ-ზვიადობენო,
თუ ასე დარჩნენ მეტ ხანსა,
სულ აღარ დაგვინდობენო...

მაშ როგორ გნებავს, გსურს კორტნო
ისევ ყვავ-ყორანივითა?
ნატრობ, კვლავ ჰქონდეს მას სავსე
თავი ბზითა და თივითა?

რად არ უყურებ მის გულ-მკერდს,
დამწვარს ოფლისგან შავადა,
წელში ოთხ-კეცად მოქანდულს,
დაძონძილს საცოდავადა.

ერთხელაც არის, იგი ბედს
მკლავ და მკლავ დაუდგებოდა,
ან სძლევდა, დაამარცხებდა,
ან შავს დღეს შეაკვდებოდა.

და შენ კი ცდილობ, მონობის
უღელში ისევ გაებას,
არ გინდა, ბოლო მოეღოს
იმის ჭირსა და ვაებას...

ვინც ქვეყნისათვის თავს იკლავს,
სისხლსა ღვრის, წელზე იდგამს ფეხს, —
უკუღმართობას სწამებენ,
თავზედ ატეხენ ათას მეხს.

ფუ, ამისთანა სიცოცხლეს,
ცხოვრებას წამხდარს, სნეულსა!
ფუ, ამისთანა ყოფასაც,
ბალღამ-სიმწარედ ქცეულსა! .

შ. მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გლეხი-კაცის ისტორია

## წელიწადი პირველი რესპუბლიკისა

### 1793

### ნაწილი მესამე

### ერკმან-შატრიანისა

ჯერ ისევ ბნელოდა, რომ შეჭამანდის ხარშვას შევუდექით; ამოყო თუ არა მზემ თავი, მაშინვე სროლა ატყდა. რაღა თავი შევაწყინოთ, დიდი ბრძოლის შემდეგ ავიღეთ ნანტი. რამდენიმე ასი კაცი დავკარგეთ, მაგრამ სამაგიეროდ ისე გავანადგურეთ ვანდელების ჯარები, რომ მებრძოლი აღარავინ გადაგვრჩენია. თუ გადაგვრჩა ვინმე და ჭაობებში ნაცნობ ალაგს მიიმალა, ძალიან ცოტანი გადაგვრჩნენ, სულ ორი სამი ათასი კაცი და ისიც იმიტომ, რომ მოგვწყინდა მათი დევნა და ხოცვა. ან რაღა შიში უნდა გვქონოდა ორი სამი ათასი კაცისა, როდესაც ერთიანად გავწყვიტეთ ვანდელების ჯარი, რომელშიაც, სულ ნაკლები რომა ვთქვათ, ასი ათასი მებრძოლი ვაჟკაცი მაინც იქნებოდა. ვინც გადარჩა, გადარჩა, ჩვენ იმათ აღარ გამოვკიდებივართ.

„დიდი ბრძოლა გავუწიეთ რესპუბლიკას, ეტყოდნენ ეს გადარჩენილები შემდეგში თავიანთ შვილებს და შვილი-შვილებს. დიდი გაჭირება და წამება გამოვიარეთ: დედა, მამა, ცოლი, შვილი,—ვინც კი გულის საყვარელი გვყავდა,, სიმშილით და სიცივით ამოგვიწყდა ჭალებში. ჩვენი თვალითა ვხედავდით მტრის ჯარებისაგან მათს უდიერად ჟლეტას, მაგრამ შებრალებას არა ვთხოვდით, რადგან რესპუბლიკელებისაგან შებრალებაც კი არავის გვინდოდა! ღვთისწყალობა გაქვთ, ჩვენც არ ვაკლებდით სამაგიეროს!.. დიდი ბრძოლა გავუწიეთ რესპუბლიკას! იმისთანა საშინელება ვნახეთ, რომ ზღაპრადაც

*) „მოამბე", № V, 1898 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კი ძნელი დასაჯერია; მაგრამ ისე არაფერმა მოგვიკლა გული,— არც სახლ-კარის გადაწვამ, არც ცოლ-შვილის ამოჟლეტამ, არც ნაჭირნახულევის აოხრებამ, როგორადაც გული მოგვიკლა და უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მიგვიყვანა ჩვენი მაღალი მებატონეების სამარცხვინო საქციელმა: იმოდენი ხალხი იმათი რჩევით და ჩაგონებით აიშალა, იმოდენი ხალხი იმათ გულისთვის შეებრძოლა საფრანგეთს და იმათ კი სწორედ მაშინ გვიღალატეს, როდესაც გამარჯვებული მტერი მუსრს ავლებდა ყოვლად უმწეო ჩვენს ცოლ-შვილს. მტრისაგან დამარცხება კი არა, ბოლო დიდებულთა ღალატმა და მღვდლების სულმდაბლობამ მოგვიღო. მამა ბერნიე საუკეთესო იყო იმათში და ისიც კი რესპუბლიკას მიემხრო და იაკობელების მომხრე ბონაპარტს ეპისკოპოსობას სთხოვდა.

ამით გათავდა ვანდეელებთან ომი.

ორი დღის შემდეგ ნანტში შევედით. იმავე დროს მოვიდა ამბავი სავენეში ჩვენი ჯარის გამარჯვებისა და ტულონიდან ინგლისელების განდევნისა; ინგლისელები კი წასულიყვნენ, მაგრამ ცეცხლი წაეკიდებინათ ქალაქისთვის და, რაც ტულონის ნავთსადგურში ხომალდები ყოფილიყო, სულ ერთიანად თან წაეღოთ.

რაღა საჭიროა აგიწეროთ, როგორი აღტაცებით მოგვეგებნენ პატრიოტები და ქალაქის მოხელენი, ნანტში რომ შევედით. წინ კლებერი, მარსო, ვესტერმანი და სხვა გენერლები მიგვიძღვოდნენ და უკან კიდევ ჯარი—ფეხშიშველი, დაფხრეწილი ტანსაცმელით, დაგლეჯილი ქუდის ჩაჩებით, თავგასაკრეჭი, წვერ-მოუპარსავი და ჭრილობათაგან დასახიჩრებული ჯარი. წინ სამხედრო მუსიკის გამარჯვებული მარსელიერი ისმოდა, აქეთ-იქით ხალხის ძახილი—რესპუბლიკას გაუმარჯოს! ყველა ფანჯრებში რესპუბლიკური სამფერი დროშები გამოეფინათ, ბალკონებიდან ქალები გვიღიმოდნენ.

ყველა ხარობდა, ყველა სიამოვნებით და სიყვარულით შემოგვცქეროდა; ბრძოლით ნაშოვნი ვანდეელების ზარბაზნები და დროშები რომ დაინახა ხალხმა, სიხარულით ჯარში ჩამოერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კოცნა დაგვიწყო ჯარის-კაცთ. სამხედრო მოედანზე კლუბის თავმჯდომარემ გრაჰკუსმა და სცევოლა ბირონმა შესაფერი ქება შემოგვძღვნეს. მოქალაქენი სადილად და ვახშმად გვეპატიჟებოდნენ. ყველგან ლხინი და დროს გატარება იყო. მაგრამ ლხინი და დროს გატარება ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივეა და, ერთი ორი თუ გინახავთ სადმე, ვითომც ყველა გენახოთ! აქ ახალი მარტო ის იყო, რომ ნანტელ პატრიოტებს უფრო უხაროდათ ჩვენი გამარჯვება, ვიდრე თითონ ჩვენ, რადგან უკანასკნელი წლის განმავლობაში ოცჯერ მაინც მისდგომიან ვანდეელები ნანტს ასაღებად და ასაოხრებლად. შევიდა თუ არა ნანტში ჩვენი ჯარი, მაშინვე შესდგა ქვეყნის მფარველი კომიტეტი—გულენი, პინარი, გრანმეზონი, ჟარრიე და რამდენიმე სხვანი—რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთა დასასჯელად. ჯარსაც მაშინვე დაურიგეს ახალი ტანისამოსი და ფეხსაცმელი და მოქალაქეებთან დაუნიშნეს ბინა.

მე ერთ ჩილინგდართან დამაყენეს, ერთ მოხუცებულ პატიოსან მუშასთან, რომელიც მთელი დღე მუშაობდა და მთელი დღე „წავა, წავასა“ მღეროდა. მთელი დღე მღეროდა: რაკი ნახავენ რომ „წავა, წავასა“ ვმღერი, შიში აღარაფრისა მექნებაო; და იმის ქალი კი მთელი დღე მუხლ მოდრეკილი ლოცულობდა. მოხუცებული იაკობელების კლუბში დაიარებოდა და კურდღელივითა თრთოდა ყოველ ხმაურობაზედ, რადგან რობესპიერის მომხრენი დაძრწოდნენ ქალაქში და სახლებს სჩხრეკავდნენ. ნანტის გარემო ადგილებიდგან ყოველ დღე მოერეკებოდნენ დაპატიმრებულ საეჭვო პირებს. ხმა დადიოდა, მარეს კიდევ შეუკრებია ჯარი და ბრძოლას გვიპირებსო; მაგრამ ამას ყურადღებასაც აღარავინ აქცევდა, რადგან მეფის მომხრენი უკვე დარცხებულნი და გათახსირებულნი იყვნენ და იმათი შიში აღარავისა ჰქონდა.

ვანდეში მყოფი ჩვენი ჯარი აქეთ იქით გაფანტეს რესპუბლიკის საჭიროებათა მიხედვით. ჩვენი რაზმი და პარიზელი შეთქმულები ერთად დარჩნენ, ისე რომ ყოველ დღე ვხედავდი ლიზას და მის ქმარ-შვილს. ჩემი სიძე-ბატონისთვის აფიცრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითხოვეს მისმა ამხანაგებმა და, რადგან ყველამ იცოდა, რომ მართლა ვაჟკაცურად იბრძოდა და არა ერთხელ დაიმსახურა ეს წარჩინება, უმფროსებმაც ღირსადა სცნეს და აფიცრობა უბოძეს. მარესკოსთვის რომ გეკითხათ, არც კი უნდოდა: ვაჭრობა უფრო სასარგებლო არისო. მაგრამ ლიზა ერთს წამს აღარ ასვენებდა და დღე და ღამ სულ იმას ჩასჩიჩინებდა, უარი არა სთქვაო. ელისაბედ ქალს ისე უნდოდა აფიცრის ცოლობა, რომ მეც ჩავერიე საქმეში:

— იცი, რა გითხრა, ჩემო სიძევ: თუ შენი სიკეთე გინდა, შენს ცოლს ყოველი თხოვნა აუსრულე, თორემ — ჩემ შეჰედილ ხატს არ ვიცნობ? — ძმარს გადენს ცხვირიდან!

სიცილი დაიწყო. მაგრამ როდესაც ეპოლეტები მოუვიდა, დიდი სიხარულით დაიმშვენა მხრები. ელისაბედი ხომ კინაღამ გაგიჟდა სიხარულით და მას შემდეგ სულ იმასა მკითხავდა: ხომ მისწერე შინ, რომ აფიცრის ცოლი ვარო? მგონი, უმთავრესად ამიტომ უნდოდა მარესკოს წარჩინება. ვაჭრობაზედაც გული აღარა ჰქონდა, რადგან რაც ამ ერთი წლის განმავლობაში პარიზელებს ნადავლი ეშოვნათ რამე, სულ ლიზასთვის მიეტანათ, ზოგს არაყში და ზოგს თამბაქოში. ისე ჰქონდა გამოტენილი ზანდუკები ოქრო-ვერცხლით, რომ იმას კი არა, მეშვიდე თაობამდის ეყოფოდათ იმის შვილის-შვილებს. მახსოვს, ერთხელ ხელით მანიშნა თავისი განძი და იმისთანა კილოთი მითხრა, თითქო ჩვენს ქოხში კი არა, სასახლეში ყოფილიყოს აღზრდილი:

— იცი, მიხო, თუ კნეინები დაბრუნდნენ, მეც კნეინა ვიქნები. მე უფროსც მომიხდება, ვიდრე იმათ, რადგან მე ჩემი ხელით და გონებით შევიძინე ყველაფერი და ისინი კი დაბადებითვე მზამზარეულად ჰპოვებდნენ დიდებას. შენ მიყურე, რა კაცი გავზარდო ჩემი კასსიუსი! ეს აფიცრობა ხომ მივიღეთ! ჱხლა აღარა გამიჭირდება-რა, ღმერთი მოწყალეა!

საშინელი რამ არის დედაკაცი, ხორცშესხმული ამაოებაა! ოღონდ ელისაბედ-ქალი კნეინად გამხდარიყო და სხვა არა ენაღვლებოდა-რა, თითქო მარტო იმიტომ ინაცვალა რესპუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამ ექვსასი ათასი კაცი, რომ ვილაცა მედუქნის ცოლი გაებრწყინვალებინა. რომ არა მცოდნოდა ჩემი დის სისულელე, მგონი, სისხლი ყელში მომდგომოდა ამის გაგონებაზედ, მაგრამ ვიცოდი, რა ტვინის პატრონიცა ბრძანდებოდა და მხრები-ღა ავიჩეჩე. ან რა უნდა მეთქვა, ვიცოდი, რომ ჩემს სიტყვას ისე იუცხოვებდა, როგორადაც ჩინურს: მგლის თავზედ სახარებას წაიკითხავენ?

ლიზას სისულელე ხომ მწყინდა და მწყინდა და ამაზედ უმეტესად საწყენი და სამწუხარო კიდევ პატიმრების დასჯა იყო. ციხეში სავსე იყო რესპუბლიკის მტრებით და დილით-სალამომდე განუწყვეტლივ მიერეკებოდნენ დარაჯები იმ უბედურებს გილიოტინისკენ. თოვლდა, და იმ საშინელ ყინვა-სიცივეში თითქმის ტიტველ-შიშველნი იყვნენ ყველანი; ხელები ზურგზედ ჰქონდათ გაკრული და რადგან ქუჩაში დიდი თოვლი იდო, ისე ჩუმად მიდიოდნენ, თითქო აჩრდილნი არიანო. როგორც კი ბორკილის ხმა მოგვესმოდა, მოხუცებული ჩილინგდარი, იმისი ქალი და მე ავეკვრებოდით ფანჯრებს და სულგაკმენდილნი შევცქეროდით გილიოტინისკენ მიმავალთ; გაატარებდნენ საწყლებს... ქალი კვლავ ლოცვას დაიწყებდა, მოხუცებული ერთს ამოიოხრებდა და ისევ თავის საქმეს შეუდგებოდა. მრავალი ხალხი გაატარეს ამგვარად ხელ-შეკრულნი ჩვენ ფანჯრებ ქვეშ—ქალი და კაცი, მოხუცებული და ყმაწვილი, დიდებული და ბერი. გადავხედავდი თუ არა საწყლებს, მაშინვე ნანსი მომაგონდებოდა: თვალ-წინ თითქმის ცხადლივ წარმომიდგებოდა გენერალ ბულიესაგან ჯარის-კაცების ჟლეტა,—თქვენი ხვედრი ჯამაგირები რად ითხოვეთო?—და მრავალთ-მრავალი პატიმარი, რომლებიც ზოგი დახვრიტეს, ზოგი დაახრჩეს და ზოგი ჩემს თვალ-წინ აწამეს ნანსში.

განსხვავება ის იყო მხოლოდ, რომ აქ, ნანტში, კარრიე საერო კრების ბრძანებას ასრულებდა, იქ კი, ბულიე მეფისას. აგერ სამოც-და-თორმეტი წელიწადია, მეფის მომხრენი წყევლა-კრულვით იხსენიებენ კარრიეს; მაგრამ ის კი ავიწყდებათ, რომ ვინც თითონ ბარბაროსია, სხვას არ უნდა უკიჟინებდეს ბარბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსობას. ქვეყნის მფარველმა კომიტეტმა მხოლოდ 1793 წელს დაიწყო დამნაშავეთა აღმოჩენა და ღირსეულად დასჯა, და ერთი ალიაქოთი შექნეს ჩვენმა მოწინააღმდეგებმა; თითონ კი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სრულიად უდანაშაულოდ სტანჯავდნენ და აწამებდნენ ხალხს! ბულიე ჯარის კაცების წამებით კანონს არღვევდა, რადგან წამება უკვე გაუქმებული იყო მაშინ; კანონს არღვევდა ბულიე და ამ საქციელს მეფეც უწონებდა და დედოფალი მარიამ ანტუანეტაც; კარრიეს კი ცოტა ხანს უკან თავი მოაგდებინეს, რადგან მეტი გაებედნა, ვიდრე საერო კრებისაგან ჰქონოდა მინდობილი და ნაბრძანები. ეგეც არაფერი: საქმე ის არის, რომ ჩვენ რომ დავმარცხებულიყავით, მთელი საფრანგეთი სახრჩობელებით აივსებოდა და ისე ამოგვხოცდნენ პატრიოტებს, რომ რესპუბლიკისა ხსენებაც კი ამოეგდოთ. ტყუილად კი არ გვემუქრებოდა ბრაუნშვეიგი!

ამით ის მინდა მოგახსენოთ, რომ ადამიანი ადამიანია და, ვინც რას გასცემს, სამაგიეროდაც იმას მიიღებს.

დავბინავდი თუ არა ჩილინგდართან, მაშინვე წიგნი მივწერე მარგალიტას და ჩვენი გამარჯვება ვაცნობე. კარგა ხანი გავიდა; მოუთმენლად ველოდი შინიდგან ამბავს, და პასუხი კი არსად იყო. ვწუხდი, გული ვეღარ დამემშვიდებინა, სულ იმის ფიქრში ვიყავ, ვაი თუ ალზასს და ლორენს ავსტრიელი და პრუსიელი ჯარები შესეოდნენ და აეკლოთ... ფალსბურგს რომ მტრის ჯარი არ შემორტყმოდეს, მარგალიტა წიგნს არ მომწერდა მეთქი? ვფიქრობდი.

და ვალენტინის მუქარა მაგონდებოდა... თვალ-წინ მიდგა ცეცხლ წაკიდებული ჩვენი სოფელი... ხალხი იხიზნებოდა; ნათლიაჩემი, ლეტუმიე, მამაჩემი და სხვა პატრიოტები ტყისკენ ეშურებოდნენ... ერთი სიტყვით ისე ვიყავ შეწუხებული, რომ საერო კრების განცხადებამაც კი ვერ დამამშვიდა, რომელშიაც ეწერა, გენერალმა ოშმა და პიშეგრიუმ გაირეკეს მტრის ჯარი და უკან მისდევენო. შოველისაგან წიგნი რომ არ მომსვლოდა, სწორედ ჭკუაზედ შევიშლებოდი. ბევრი ახალი ამბავი მაცნობა ამ წერილმა და სრულიადაც დამამშვიდა. აი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლაც, გადავიკითხე იგი და იმისთანა დიდებული და გაბრწყინვალებული დროება მომაგონა იმ კურთხეულის დაწერილმა, რომ ვიფიქრე, ამ წერილით გავათავებ ჩემი ისტორიის მესამე ნაწილს-მეთქი. აი თვით წერილიც:

„დიდი ომი გადავიხადეთ, ჩემო საყვარელო მიხო! წელიწადი პირველი რესპუბლიკისა თვალ საჩინო ხანად დარჩება კაცობრიობის ისტორიაში.

მარგალიტასთან მოწერილი შენი წერილები ყველა სიამოვნებით წავიკითხე და არა ერთხელ ვიფიქრე, პასუხი გავცე მეთქი. მაგრამ იმოდენი მტერი გვეხვია და იმოდენი განსაცდელი გვადგა გარედანაც და შიგნიდანაც, რომ მეშინოდა, ვაი თუ გული მოვუკლა უიმედობით ან არა და მეტის მეტი იმედი შთავუნერგო მომავლისა მეთქი. დღეს კი რესპუბლიკის საქმეები კარგად მიმდინარეობენ, მტერი უკვე განდევნილია სამშობლოდგან და, თუნდა კიდეც დაგვიბრუნდეს, დეე მობრძანდეს! იმის დრო მაინც გვექნება, რომ სული მოვიბრუნოთ და საბრძოლველად შევემზადნეთ.

შენ რასაკვირველია დარწმუნებული ხარ, რომ შვილად მიმაჩნიხარ და რაც უნდა მოხდეს, მინდა რომ შენმა შვილებმა, რომელნიც ჩემებიც იქნებიან, იცოდნენ როგორ დაუხვდა მათი პაპა ამ საშინელ დროს და რაგვარი იყო მისი მოღვაწეობა. ჩვენს შვილებს სამშობლოსათვის თავ-განწირულის სამსახურის მაგალითი ვუჩვენოთ და, ვიცი დამეთანხმები, ამაზე უკეთესი და უძვირფასესი მემკვიდრეობა სხვა არა უნდათ-რა. ჩემგან ამის მეტს ვერას მიიღებენ და, იმედი მაქვს,ამასაც იკმარებენ.

მარგალიტა გწერდა თავის უკანასკნელ წერილში, რომ სენჟიუსტმა, ლებამ, რანკმა, ბერჟემ და მე ფალსბურგზედ ავიარეთ; მეცში იარაღის საწყობები დავათვალიერეთ და სტრასბურგისკენ მივემგზავრებოდით. ძალიან ცუდი დრო იყო, რესპუბლიკის სიცოცხლე ბეწვზედ ეკიდა. მაინცი და ვალანსიენი მტერმა წაგვართვა; ლიონი აგვიჯანყდა; ტულონმა გვიღალატა; ვანდელებმა რამდენჯერმე დაამარცხეს ჩვენი ჯარები; სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭმელ სასმელი გაძვირდა, რადგან სამძღვარ გარელს ყველაფერს ინგლისელები ყიდულობდნენ, რომ ერთი ათასად ძვირად მოეყიდნათ ჩვენთვის და შინ კი აღარა გვქონდა-რა; ქვეყანა დაიმშა; კაცი აღარსად იყო, რომ გუთანი გაეტანა; ვინც იყო, ყველა ომში იყო; ასსიგნაციები ისე დაეცნენ ფასში, რომ გასავალი აღარც კი ჰქონდათ. ამოდენ უბედურებისა გამო საერო კრება იძულებული შეიქნა სასტიკი ღონისძიებანი ეხმარა და მეც სრული თანხმობა გამოვაცხადე ამისი, რადგან სამართლიანად და გარემოებათა გამო საჭიროდ მიმაჩნდა იგინი. საერო კრებამ განაახლა ქვეყნის მფარველი კომიტეტი, რომელიც გარემოებათა შესაფერ გამჭრიახობას ვერ იჩენდა; დედოფალი მარიამ ანტუანეტა და ჟირონდელები სასჯელში მისცა; გამოაცხადა, ვიდრე მშვიდობიანობა ჩამოვარდება, კონსტიტუცია გაუქმებული იქნება და რევოლუციური წეს-წყობილება იქნება შემოღებულიო; ქუდზე კაცი გაიყვანა ჯარში, 18 წლიდან 45 წლამდე; ხალხს ხარჯი ფულად კი არა, მოსავლით გამოართვა ჯარების გამოსაკვებავად; ყოველ თემში და მაზრაში რევოლუციური კომიტეტები დააარსა, რომ ყური ეგდოთ რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთათვის და საერო კრებისთვის ეცნობებინათ ყოველი მათი საქციელი; უპირველეს საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ ხორაგეულობას ფასი დაადო, და მით აიძულა ვაჭრები, ამ ფასზედ ძვირად არა გაეყიდნათ-რა; ასეთივე ფასი დაადო დღიურ მუშის და ხელოსნების შრომას; სავალდებულო გახადა ვაჭრობაში ასსიგნაციების ხმარება; საფრანგეთის ყოველ კუთხეში კონვენტის წევრები გაგზავნა ჯარის მოსაგროვებლად და საჭირო იარაღის საშოვნელად; მათვე დაავალა, თვალ-ყური სჭეროდათ ჯარში მყოფ გენერლებზედ და მაგალითი ეჩვენებინათ სამშობლოსათვის თავგანწირული სამსახურისა...

მაგრამ ეს ყველაფერი არა კმაროდა!

ამით დიდი სიკეთე დასდო ჩვენს ქვეყანას კონვენტმა. რესპუბლიკა განსაცდელიდგან დაიხსნა. ჩვენი ჯარების ვატინში და შოლეში გამარჯვებამ და ლიონის აღებამ დაგვარწმუნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ნამდვილად კარგს გზას ვადექით. ამავე დროს იმაშიც დავრწმუნდით, რომ საცა კი დამარცხდა ჩვენი ჯარი, ან ღალატით დამარცხდა, ან არა და ძველი, მეფობის დროინდელი, გენერლების უნიჭობის წყალობით. ჩვენ იმაში ვიყავით დამნაშავენი, რომ ძველი გენერლები არ დავითხოვეთ. გარდა ამისა, ისიც ცხადად დავინახეთ, რომ საცა კი საფრანგეთში ხალხის აჯანყება მოხდა, იმ დეპუტატების ბრალი იყო, რომელნიც საერო კრებაში ან კანონმდებელ კრებაში იყვნენ წევრებად და მერე კონვენტში კი აღარ იქმნენ არჩეულნი; ყველა ეს დეპუტატები ხალხის მტრები იყვნენ, უვიცი ხალხისაგან თავის წარმომადგენლად არჩეულნი ჟირონდელების მომხრე როლანის მინისტრობის დროს; ან არა-და მეფის დროინდელი მოხელენი, მეფისაგან უზრუნველ-ყოფილნი მდიდრული პენსიებით. საჭირო იყო ძველი გენერლების დათხოვნა და მათ მაგიერ ახლების, უბრალო ხალხის შვილების, დანიშვნა; საჭირო იყო სრული გაუქმება მეფის მომხრეთა გავლენისა, რომელნიც—რესპუბლიკელნი ვართო,—იძახდნენ და რესპუბლიკას კი ორმოს უთხრიდნენ.

ჩვენც სწორედ ამისთვის წავედით ალზასს და ლორენს.

უჭირდა კიდეც ალზასს ჩვენი დახმარება. გამოვიდა თუ არა თქვენი ჯარი მაინციდან ვანდეში წასასვლელად, ასი ათასი კაცი პრუსიელი და ავსტრიელი მოადგა რეინს. ბარემ გვინდოდა შეგვეერთებინა გაფანტული ჩვენი ჯარები, მაგრამ მტრის სიმრავლესთან ვეღარა გავაწყეთ-რა და უკან დავიწიეთ.

ჩვენ რომ ჩავედით, პრუსიელები უკვე ლორენში იყვნენ და ავსტრიელები ალზასში. აგენო თითონვე დანებდა მტერს, ვობანის ციხე ძალით აიღეს; მთელს ჩვენს მხარეს ბერები, რევოლუციის მოწინააღმდეგე მღვდლები და გახიზნული დიდებულები მოსდებოდნენ და ყველგან აჯანყებას ურჩევდნენ ხალხს,—იქნება აქაც ვანდელებივით გავიტაცოთ ხალხი და თავში საცემი გავუხადოთ რესპუბლიკასაო; სტრასბურგელ მამასახლისს და მოხელეთ მოლაპარაკება ჰქონდათ მტრებთან და ქალაქის და-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თმობას ჰპირდებოდნენ. ხომ ხედავ, მიხო, რა საშინელ მდგომარეობაში ვიყავით!

ქვეყნის მფარველმა კომიტეტმა მოხელზედ მყოფი ჯარის მხედართმთავრად გენერალი ოში დანიშნა და რეინის ჯარის მხედართმთავრად—პიშეგრიუ; დანიშნა კი დანიშნა, მაგრამ ჯერ არავინ იცოდა, საქმეში როგორები გამოდგებოდნენ ეს ყმაწვილი გენერლები. პრუსიელები კი ნელ ნელა წინ მოიწევდნენ და აქა იქ ჩვენ ჯარებს ამარცხებდნენ; საჭირო იყო გვეზრუნა რამე, თორემ ხალხიც და ჯარიც თავის თავის იმედს დაჰკარგავდა და მაშინ კი ვეღარა გვიშველიდა-რა.

სენჟუსტმა, ლებამ და მე მაშინათვე გადავწყვიტეთ, გაძლიერებულ სენს ძლიერივე წამალი უნდაო. სენჟუსტი და ლება საუკეთესო მეგობრები არიან რობესპიერისა; ორივ ყმაწვილი კაცები არიან, ძალიან განათლებულნი და ძალიან მშვიდნი; მშვიდნი კი არა, გულცივნი მეთქი, რომ მეთქვა, უფრო მართალი ვიქნებოდი; ორივენი კარგად ხედავენ სამშობლოს გაჭირებას და არავითარ საშუალებას არ იუკადრისებენ მისდა საშველად. იმსთთან შედარებით მეც კი გულ-ჩვილი ვარ და იმათ მაყურებელს ხშირად მიფიქრია, შებრალების ღირსი უფროა ადამიანი, ვიდრე სასჯელისა მეთქი.

შეუძლებელი წარმოსადგენია, რა ყოფაში იყვნენ სავერნისკენ მდგომი ჩვენი ჯარები. კარგად დიდი თოვლი იდო, ქარი ქროდა და ჩვენს ჯარს არც კარვები ჰქონდა, არც ფეხსაცმელი და არც თბილი ტანისამოსი. პიშეგრიუ ვნახეთ და ჯარის ამ გვარი ყოფის მიზეზი ვკითხეთ. საცა კი გავიარეთ მას შემდეგ, ყველგან იგივე საზარელი სურათი დაგვიხვდა; ჯარის კაცები მინდორში იყვნენ გაფანტულნი, რომ მიწიდგან მაინც ამოეღოთ საჭმელად რამე ფესვები; სხვები კიდევ სოფელ სოფელ დადიოდნენ, საიდგანაც მკვიდრნი გახიზნულიყვნენ და დამშეულთ აღარც კი აგონდებოდათ, რომ სამხედრო კანონის ძალით სიკვდილი არ ასცდებოდათ, თუ მოასწრებდა ვინმე. არტილერიის ცხენები იმ შუა ზამთარში გარეთ ეყარნენ, უთივოდ და მოუვლელად.

ამ ამბავმა მით უფრო გაგვაკვირვა, რომ ჩვენს წინად ალზასს გაგზავნილმა კონვენტის წევრებმა მილომ და გიარდენმა სარევოლუციო რაზმი შეადგინეს. ამგვარი სარევოლუციო რაზმი ყველგან არსებობს, სადაც კი მტრის შემოსევის შიში არის და მისი პირდაპირი მოვალეობა ის არის, რომ მებრძოლ ჯარს საჭმელ-სასმელი და ტანისსამოსი უშოვოს; სარევოლუციო რაზმს თან ახლავან მსაჯულები განსახილველად ყოველი უთანხმოებისა, რომელიც ატყდება საქონლის პატრონის და სარევოლუციო რაზმის წარმომადგენელს შორის. ალზასელ სარევოლუციო რაზმს ძალიან ცუდად აესრულებინა თავისი მოვალეობა, და თუმცა დიდი ამბით დაგვიხვდნენ სტრასბურგელები და ყოველი მხრიდან იმას ჩაგვჩიჩინებდნენ, სულყველა რიგზე გახლავთო, ჩვენ მაინც კარგად ვხედავდით, რომ ხალხი დამშეული იყო, ჯარის-კაცი—ტიტველი და მშიერი, და ამიტომ აღარც თავისი წინამძღოლების პატივისცემა ახსოვდა და აღარც ბრძანების ასრულება; დარაჯები აღარსად ეყენა, ციხის კარები შუაღამემდე ღია იყო და სხ. არისტოკრატები კი პრუსიელების შემოსევის მოლოდინში დღე და ღამ ქეიფში ბრძანდებოდნენ და—ჩვენ ამისი საბუთები ხელთა გვქონდა—საერო და სამხედრო მოხელენიც იმათთან ერთად რესპუბლიკას ღალატობდნენ და ორმოს უთხრიდნენ.

სტრასბურგში ჯაშუშობაში მოვასწარით ავსტრიელი გენერლის ძმისწული ვურმსერს და დასასჯელად პარიზში გავგზავნეთ. მეთორმეტე რაზმის წინამძღოლი და ორი აფიცერი, რომელთაც სახლში სამეფო კოკარდები ვუპოვნეთ, იმავ დღესვე დავახვრეტინეთ მთელი ჯარის წინაშე. ყველგან სასტიკად შევამოწმეთ ანგარიშები, მეტადრე საავადმყოფოებში, სადაც ასობით და ათასობით ლპებოდნენ უბედური დაჭრილები მოუვლელობით და უექიმობით, და ყველგან ერთი და იგივე ვნახეთ: თითქმის ყველა მოხელენი მტრისკენ ყოფილიყვნენ და კვალიც არსადა ჩანდა პატრიოტული გარჯისა და წინდახედულობისა. დასასჯელად ცხრა მილიონი ბეგარა დავადეთ სტრასბურგელ მდიდრებს ჯარის სასარგებლოდ, რადგან კონვენტის ბრძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისამებრ მღიდრები ვალდებულ არიან გამოჰკვებონ ჯარი, რომელიც მათ მტრისაგან იფარავს: „უქრო მაინც გამოიღონ მდიდრებმა, როდესაც ხალხი სამშობლოსთვის რუებად ანთხევს თავის სისხლს“ დაადგინა კონვენტმა.

ეს დანტონის სიტყვებია და მეც სრულიად ვეთანხმები მის აზრს.

ჯერ დიდი ყაყანი შექნეს, მაგრამ რაკი მოედანზედ გილიოტინა მზად იყო ამართული, დანიშნულ დროს ისე ჩაგვაბარეს იმოდენი ფული, რომ გროში არ დაუკლიათ. ნახევარ მილიონი იმ მოხუცებულთ დავურიგეთ, რომელთა შვილები ჯარში იყვნენ, შინ მზრუნველი აღარავინ დარჩენოდათ და სიმშილით იხოცებოდნენ; დანარჩენი ჯარს მოვახმარეთ.

მაგრამ ესეც არა კმაროდა.

ბრძანება გავეცით, სტრასბურგის მოქალაქეებმა მზად იქონიონ ორი ათასი ხელი ლოგინი ავადმყოფ და დაჭრილ ჯარის კაცთათვისაო; ბრძანება გავეცით, ლოგინის გარდა ჯარის კაცს ისეთი მოვლა და პატივი ჰქონდეს, როგორიც ეკუთვნის სამშობლოსათვის თავგანწირულ სათნოებასაო; გარდა ამისა გამოვაცხადეთ, რომ ექიმებს ცხენები მიეცემათ, რათა ცხენით დაიარონ ხოლმე ავადმყოფები სანახავად. იმავე დროს ათი ათასი წყვილი ჩექმა და იმდენივე ნაბადი შევუკვეთეთ საფრონტო გასაგზავნად ჯარის კაცებისთვის; და რადგან ყოველი ჩვენი ბრძანება, სამშობლოს გაჭირებით გამოწვეული, მეტისმეტად გულს უღელვებდა სტრასბურგელ მოხელეთ, ყველა საეჭვო მოხელეები დავითხოვეთ სამსახურიდგან; დათხოვნილები ზოგი ქ. მეცს გავისტუმრეთ, ზოგი შალონს, და იმათ ალაგს ხალხს ამოვარჩევინეთ, ვინც თითონ უნდოდა.

მაშინ კი უნდა დარწმუნებულიყვნენ ავსტრიელები, რომ ვერ აუსრულდებოდათ წადილი და, მიუხედავად დედოფლის მარიამ ანტუანეტის დაპირებისა: „ოღონდ მოგვეშველენით, და ალზასი თქვენი იყოსო“,—საიდგანაც მობრძანდნენ, იქვე უნდა წაბრძანებულიყვნენ ხელცარიელები. კარგ დროს კი ჩავედით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთისა წინაშე! რამდენიმე დღე კიდევ, და სტრასბურგი მტრის ხელთ იქნებოდა.

ხემოდა გწერდი, სტრასბურგელი მსაჯულები, რომელნიც რევოლუციურ რაზმთან ერთად მოქმედებენ, არამც თუ არ ასრულებდნენ პირდაპირ თავიანთს მოვალეობას, პირიქით ისე იქცევოდნენ, თითქო რესპუბლიკის მტრობა ჩაედოთ გულში. ბრალმდებლად ერთი მღვდელი, ვილაც შნეიდერი, ამოერჩიათ და იმისთანა ჯარიმა გადაეხდევინებინათ მოქალაქეთათვის, იმდენი ხალხისთვის გადაეწყვიტათ სიკვდილით დასჯა, რომ შეერცხვინად რევოლუცია და ყოველი ნდობა დაეკარგათ ხალხისა მისდამი. ის იყო ჩვენ მივედით და შნეიდერიც მოვიდა. დიდი ამბით შემობრძანდა ქალაქში, მაგრამ შემოვიდა თუ არა, ჩვენ მაშინვე... მაგრამ აი თვით ჩვენი ბრძანებაც. ვიცი გიამება: შენგან გამოგზავნილი მოხუცებული დედაკაციც ამ შნეიდერს უჩივოდა და, როგორც ხედავ, ღირსეულად დავსაჯეთ, რადგან იმის გარდა ასი სხვა დანაშაული ჰქონდა.

„ერის წარმომადგენელთ, კონვენტის მიერ რეინზედ და მოზელზედ მყოფ ჯარში საგანგებოდ გამოგზავნილთ, რა გაიგეს, რომ რევოლუციურ მსაჯულთა ბრალმდებელი, მღვდლად ყოფილი შნეიდერი, დიდი ზეიმით და თავხედური დიდებით შემოვიდა დღეს ქალაქში, ხმალ ამოღებული მხლებლებით და ექვს ცხენიან ეტლით, დაადგინეს: ხვალ დილის ათი საათიდგან ნაშუადღევის ორ საათამდე იგი შნეიდერი მოედანზედ, გილიოტინის ბოძზედ იქნება მიკრული, რათა ხალხის წინაშე დასჯილ იქმნას იმ საქციელისთვის, რომლითაც მან წაბილწა ჯერედ ფეხ-აუდგმელის რესპუბლიკის ზნე ჩვეულებანი; ნაშუადღევის ორ საათზედ იგი შნეიდერი წარუდგება ქვეყნის მფარველ კომიტეტს. ქალაქში მყოფის ჯარის უმფროსს მივანდობთ ასრულებაში მოიყვანოს ჩვენი ბრძანება და ხვალ ნაშუადღევის სამ საათზედ მოგვახსენოს მისი დაბოლოება.“

აი რა სასტიკად ვექცევით ჩვენს მოწინააღმდეგეებს! და სწორედ ამით აიხსნება ჩვენი გამარჯვება. ჩვენ რომ ყოყმანი

დაგვეწყო, აქამდის ათჯერ გაგვყიდნენ და ხელ-შეკრულებს მიგვიყვანდნენ მტრის ბანაკში; ხომ იცი, რაც კი ქვეყანაზედ ხელმწიფე, მეფე, დიდებული და ბერი არის, როგორც ბაზრობას ჯიბგირები, სულ ერთმანეთის ქომაგნი არიან, და მიზნად მარტო ისა აქვთ, რომ საწყალი ხალხი ყვლიფონ! ეტყობათ ძალიანა სწყინთ ჩვენგან ასეთი გადაწყვეტილი საქციელი; მაგრამ ეგ არაფერი: თუ სწყინთ, მაშასადამე, კარგი ყოლილა ჩვენი საქციელი.

რაკი ეს საქმეები გავარიგეთ, ახლა მტერთან ბრძოლას შევუდექით. კარნომ მოზელის ჯარი გენერალ ოშს ჩააბარა. ოშმა სულ ცოტა ხანში ისე მოაწყო წინად დამარცხებული და გულგატეხილი ჯარი, რომ პრუსიელები დაამარცხა და მით კვლავ იმედი ჩაუნერგა ჯარსაც და ხალხსაც.

მეორე მხრივ გენერალმა პიშეგრუმ ჩვენი ჯარით ავსტრიელებს შეუტია, მაგრამ ავსტრიელებს უბრწყინვალესი თავადი კონდე მიეშველა გახიზნულებით და იმოდენ ძალასთან ჩვენს ჯარს ვერა გაეწყო-რა; ლორენში ჯერ ისევ მტერი იდგა და მტერთან ერთად ურიცხვი გახიზნული თავად-აზნაურობა და ბერები. ოშმა განიძრახა ლორენში გადაყვანა თავის ჯარისა პიშეგრუს მისაშველებლად, მაგრამ პრუსიელები დახვდნენ და გზა შეუკრეს. აი მაშინ გამოიჩინა ოშმა თავისი მხედართმთავრული ნიჭი: პრუსიელების წინაალმდეგ ერთი რაზმი-ღა დატოვა და თითონ კი მთელი თავისი ჯარით დათოვლილი ვოზგის მთები გადაიარა და პიშეგრუს ჯარს შეუერთდა ლორენიდან ავსტრიელების გასარეკად.

სამაგალითო საქმე იტვირთა ოშმა!

სწორედ ამ დროს მოვიდნენ კონვენტის წარმომადგენელნი, ახალი უფლებებით აღჭურვილნი, ლაკოსტი და ბუდო.

პიშეგრუს უნდოდა მხედართმთავარი მარტო ყოფილიყო და არავის ბრძანებას ყურადღებას არ აქცევდა. პრუსიელების წინაალმდეგ ერთი მცირე რაზმი-ღა გვედგა. კიდევ კარგი, რომ ამისი არა იცოდა-რა მტერმა, თორემ ცუდად იქნებოდა ჩვენი საქმე. ჩვენი ხსნა სიჩქარეზედ-ღა იყო დამოკიდებული. ლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსტმა და ბუდომ თითონ იკისრეს ყოველი პასუხისგება და ორივ ჯარის მხედართმთავრობა გენერალ ოშს უბოძეს.

ლოორენელი ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, ყველა სოფელში ზარს რეკდნენ, ყველა იარაღს ისხამდა. ყვე-ლას ენატრებოდა მტრების განდევნა.

და, წარმოიდგინე ჩემი სიხარული, როდესაც ჯარში ჩვენებუ-რები შემხვდნენ; ორმოც და ათამდე იქნებოდნენ და მათ შო-რის ნათლია-შენი, ლეტუმიე, კოლენი.... ფალსბურგი, ლიქსჰეი-მი, სარბურგი, ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი მხარე იქ იყო.

ჩვენს ჯარს წინ მიუძღოდა გენერალი ოში და მასთან ერ-თად კონვენტის წარმომადგენელნი. ნელ-ნელა მივიწევდით და წინ ავსტრიელ ჯარს მივერეკებოდით. დარწმუნებული ვიყავით, რომ ველარსად გაგვიმაგრდებოდა და, კიდეც რომ გაგვმაგრებო-და, გამარჯვება ჩვენი იქნებოდა. ოში სრულიად ყმაწვილი კაცია, სულ ოც და ხუთის წლისა, მაგრამ იმისთანა ძლევა-მოსილი მხე-დართ-მთავარია, თითქო ომებში დაბერებულიყოს. საკვირველი წინდახედული კაცია და რომ მითხრან, წუნი მოუძებნე რამეო, იქნება ვერც კი მოვახერხო; ერთს კი ვემდური: ხშირად თავის ჯარის-კაცებს ფულს დაჰპირდება ხოლმე, მტრის ზარბაზნები და დროშები მომიტანეთო. ეტყობა, ოშს სრულიად არა სწამს ჯარის-კაცებისაგან სამშობლოს სიყვარულით თავის განწირვა, რომ ფულს ჰპირდება ჯილდოდ; ეტყობა, ამ ყმაწვილმა კაც-მა უკვე იცის ყოველი სუსტი მხარე ადამიანიშვილისა, რომ გაჭირებაში მის სიანგარეც კი გამოიყენა. მე კი თქვენი კლე-ბერი მირჩევნია, რომელმაც კაპიტანს შუარდენს უბრძანა ტორ-ფუში: „ვიდრე ჯარი სამშვიდობოში გავა, შენ შენი რაზმით აქ შეაყენებ მტერს. ყველანი დაიხოცებით და ფეხს კი არ მოიცვლით აქედან“. შარდენმაც კარგად უპასუხა: „ბატონი ბრძანდები, ჩემო გენერალო!“ ასეა თუ ისე ოშმა ჯერჯერობით რესპუბლიკის ყოველი ბრძანება კეთილად აასრულა და ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ თითონაც დიდად პატიოსანი კაცი და თავგანწირული რესპუბლიკელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერს 27 ქრისტეშობისთვეს დავეწიეთ ვისსემბურგში გამაგრებულს. ოშმა ის იყო დააწყო ჯარები საომრად, რომ ტულონის აღების ამბავიც მოგვივიდა. ელვასავით მოედო ეს სასიამოვნო ამბავი მთელს ჯარს და გაუორკეცა გამარჯვების იმედი. უფროსების ბრძანებისთვის აღარც კი მოუცდია ჯარს, ერთი კი შესძახა, სიკვდილი მტერსაო! და გაექანა ავსტრიელებისკენ.

შენ კარგად გეცნობება, ჩემო მიხო, ზარბაზნის ქექაც, ტყვიის ზუზუნიც, საყვირის ხმაც და გაშმაგებულ მეომართა ძახილიც, მაგრამ არა მგონია, ამისთანა საშინელი ხმაურობა სხვაგანაც ყოფილიყოს სადმე.

ბრძოლის ველზედ ისეთი კომლი დატრიალდა თოფისწამლისა, რომ აღარაფერი ჩანდა და მარტო ჩვენი ჯარის ძახილი-ღა ისმოდა: რესპუბლიკას გაუმარჯოსო! მე და ჩემი ამხანაგები ცხენებით მივდევდით ჩვენს ჯარს, მაგრამ ჩემს ცხენს ყუმბარის ნატეხი მოხვდა, წაიქცა და მეც კარგა ლამაზად ამომსვარა ლაფში. ცხენის მოკვლა არა მწყენია, ღვთის წინაშე, რადგან უნაგირს უჩვევი ვარ და ფეხით სიარული უფრო მეხერხება. წამოვდექი განცვიფრებული, მივიხედ-მოვიხედე... სადღა იყვნენ ჩემი ამხანაგები? იქვე ჩემს ახლო ერთი რაზმი მირბოდა მთისკენ; მეც ვიშიშვლე ხმალი და ამ რაზმს შევერიე. ავედით აღმართს; ეტყობოდა, მტრის ზარბაზნების წასართმევად მიდიოდნენ მთაზედ. სულ ოცს ნაბიჯზედ-ღა ვიქნებოდით მტრისაგან, როდესაც ბრძანება გაისმა — ხიშტი, ბიჭებო, ხიშტით! ისე დაერივნენ მართლა ჩვენი ბიჭები იმ უბედურ ავსტრიელებს, როგორც მგელი ცხვარს. დაირეკეს და დიდი ხანი მისდიეს გაქცეულთ. თუ გაგვიმაგრდა ვინმე, ისევ ჰუნგრელები გაგვიმაგრდნენ და თავადი კონდეს ცხენოსნები, მაგრამ საღამო ჟამს ისინიც დავძარით და დამარცხებულთ გავუყენეთ.

რაც კი მტრის ჯარს ბარგი ჰქონდა, სულ ჩვენ დაგვრჩა. ალზასლორენელების სიხარულს სამძღვარი აღარა ჰქონდა და სულ თვალ-ცრემლიანნი გვიხდიდნენ მადლობას, რომ მტრისაგან გავათავისუფლეთ. მეორე დღეს დილა-ადრიანად შევედით ქ. ლან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუში. იქაც დიდი ალტაცებით მიგვიღო და დიდი ძალი ხორაგი დაგვახვედრა ხალხმა. ოშს ებრძანებინა, ჯარისთვის ყოველიფერი მზად დამახვედრეთო და, მართლაც, ისე კარგად დაგვიხვდნენ ლანდაუელი პატრიოტები, რომ სრულიად დაავიწყეს ჯარს იმოდენი ხნის სიმშილი და სიცივე.

ამ წერილს ლანდაუდან გწერ, ფოსტის ქუჩაში რომ დიდი სასტუმროა „ოქროს ვაშლისა“ იქიდან; გეცოდინება, რადგან ექვსი კვირა იდგა აქ თქვენი ჯარი. ნათლია-შენი, ლეტუმიე, კოლენი და სხვ. ჩვენებური პატრიოტები დამპირდნენ, სადილი ერთად ვჭამოთო და იმათ ველი. გუშინ წელამდე თოვლ-ჭყაპში ვცურავდით, დღეს კი ლამაზად გაჩაღებულ ბუხარს ვუზივარ წინ; მოვლენ ჩვენებურები და კარგა ლამაზადაც გადავკრავთ რესპუბლიკის სადღეგრძელოს და მარსელიურსაც დავძახებთ. მართალია, რესპუბლიკა უჩვენოდაც ძალიან კარგად არის, მაგრამ, ხომ იცი, ქრისტიანი კაცი იმას ადღეგრძელებს, ვინც უყვარს, თორემ რა უჭირს რესპუბლიკას! ისე გამაგრდა ამ ბოლოს დროს, რომ შიში აღარაფრისა აქვს. დიდებულებიც კი დარწმუნდნენ, რომ მეფე შარლის და ლუის მაგივრად დღეს თავისუფლება, თანასწორობა და გონება გამეფდა; ხალხი განათლდა, სახელმწიფოს გამგეთ ანგარიში მოსთხოვა. უმთავრესი ის იყო, რომ ერთმანეთში შეთანხმებული იყო ხალხი, თორემ რაკი შეთანხმდა, იმას ქვეყნად ველარა აჯობებს-რა.

ამ წლის დასაწყისში მტრის ჯარით სავსე იყო ჩვენი ქვეყანა. დღეს ერთიც აღარსად მოიპოვება მთელს საფრანგეთში და, თუმცა დიდი გაჭირებით, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ჩვენა ვართ ბატონები და არა სხვანი. ფალსბურგში ჩვენს კლუბში, თუ გახსოვს, ბევრჯერ მითქვამს—საშინელი ძალით შეებრძოლება-მეთქი ხალხი დიდებულების თავხედობას და სიბრიყვეს; ბევრჯერ მითქვამს და მართალიც მითქვამს. როგორც ხედავ საშინელი ძალით შეებრძოლა ხალხი თავის მტარვალებს და გამარჯვებულიც გამოვიდა ბრძოლიდან. და თუმცა მთელი ევროპა წამოიშალა ჩვენთან საბრძოლველად და, სულ ნაკლები რომ ვთქვათ ასი ბრძოლა მაინც მოგვიხდა მტერთან, მაგრამ უმთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესი ჩვენი მიზანი არ დავივიწყეთ და ურყეველი საძირკველი ჩავუყარეთ ჩვენის მომავალისა.

შენ, რასაკვირველია, დრო არ გექნებოდა გაზეთებისთვის თვალ-ყური გედევნა და გაგეგო, რას აკეთებდა კონვენტი ამ საშინელს ომიანობის დროს; მაგრამ იცოდე, კონვენტს ერთ წამს არ დავიწყებია პირდაპირი თვისი მოვალეობა, ერთ წამს არ დავიწყებია, რომ მას ხალხისაგან მინდობილი ჰქონდა, კეთილ დაწესებულებათა ზედან დაამყარე ერის ცხოვრება, რომ მის ბედნიერებას, მის კეთილდღეობას, მშვიდობიანობის დროს მაინც, არავისი შიში არა ჰქონდესო. შენ უჩემოდაც კარგად იცი, რამდენად გააუმჯობესა ჩვენი სამხედრო წეს-წყობილება კონვენტმა; ამის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებ. დიუბუა-კრანსესი, კარნოსი და პრიოერის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ მთელს ევროპას გაუძლო ჩვენმა ჯარმა, და არამც თუ გაუძლო, დაამარცხა კიდეც.

იცი, რა სიკეთე დასდო კონვენტმა ჩვენს ქვეყანას, რომ ერთი და იგივე წონა და ზომა დააწესა მთელი საფრანგეთისთვის? იცი, რამდენი მოტყუება და ქურდობა მოსპო სხვა-და-სხვა მაზრაში არსებული ზომა და წონა რომ გააუქმა? იცი, რა ფრთები შეასხა მით ვაჭრობას? გარდა ამისა, კონვენტმა დაიწყო მოქალაქებრივი კანონმდებლობის შედგენა. კონვენტმა მოჰფინა მთელს საფრანგეთს ტელეგრაფის ქსელი. კონვენტმა დააარსა ლიტერატურული და ხელოვნური საკუთრება: მანამდე კი ჩვენში ასე იყო, რომ ლიტერატორი და არტისტი სიმშილით მოკვდებოდნენ, ვისმე დიდებულს რომ არ შეჰკედლებოდნენ მადლის გულისთვის; მათ ნაწარმოებს კი ვინმე გაიძვერა დაეპატრონებოდა და ჯიბეებს იტენდა; ამიტომ დაადგინა კონვენტმა, რომ ხელოვნური და ლიტერატურული ნაწარმოები ავტორის ხელშეუხებელ საკუთრებას შეადგენს და, თუ არ გაყიდა ან არ აჩუქა ვისმე თავისი უფლება, მით სხვა ვერავინ ისარგებლებს.

კონვენტმა შეადგინა და დააწესა ახალი, რესპუბლიკური კონსტიტუცია. კონვენტმა გამოაცხადა ერთობა და განუყოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა რესპუბლიკისა, რომელზედაც დამყარებულია დიდება და ძლიერება ჩვენის ერისა. კონვენტმა დააწესა წვრილ-წვრილად, და ისიც ნისიად გაყიდვა გახიზნულთა მამულებისა; დახმარება იმ სოფლებისა, რომელნიც უფრო დააზარალა მტრის შემოსევამ, და დახმარება იმ ოჯახებისა, რომელთაც ბევრი წვრილ შვილი ახვევიათ. კონვენტმა დაავალა ყველა სოფელს მოხუცებულების შენახვა დღ მათთვის შესაფერი საქმის შოვნა. კონვენტმავე შემოიღო ახალი აღრიცხვა დროისა და, ჩემი აზრით, ამაზედ უძლიერესი და ამასთან ამაზედ უძნელესი მას არაფერი გაურიგებია; ჩვენი ძველი კალენდარი ბარბაროსულის და უვიცი ხალხის შექმნილი იყო; ამ კალენდრით იყო აღრიცხული თვრამეტი საუკუნის განმავლობაში მუშა ხალხის დამცირება და დამონავება; მუქთა-ხორა, უზნეო და ულმერთო დიდებულების განცხრომა და გარყვნილება! ამ კალენდრით იყო აღნიშნული თვრამეტი საუკუნის განმავლობაში სიამაყისა და ბიწიერებისაგან ნიჭის და სათნოების დევნა და დამცირება.

მაშ ნუ თუ იმავე კალენდარს უნდა აენიშნა ადამიანის უფლებათა დამყარება, ხალხის განთავისუფლება, ძმობის, ერთობის და თანასწორობის შემოღება, რომელიც მეფეების ავკაცობას და ეპისკოპოსების გარყვნილებას ისე შეჩვეულიყო, რომ დიდებულისა ყველა სათნოებად მიაჩნდა! ჩვენ ეს ვერ შევძელით; ჩვენი დრო ახალ ხანას იწყობდა ისტორიაში და ამიტომ ბრძანება გავეცით, რომ ფრანგების წელთ-აღრიცხვა დაიწყება 1792 წლიდან,—ესე იგი იმ წლიდგან, როდესაც რესპუბლიკა იქმნა დამყარებული. წელიწადი 23 ენკენისთვიდან იწყება, რადგან ამ დღეს არის მზე... მაგრამ ეს ვარსკვლავთმრიცხველების საქმე არის; ჩვენთვის ისიცა კმარა, რომ ჩვენი კალენდარი, როგორადაც სხვა ყველაფერი, უცდომელ მეცნიერულ საფუძველზედ არის დამყარებული და ამით არის, რომ ასე ადვილად ვჯობნით ძველებურ დამყაყებულ წეს-წყობილებაზედ არსებულ სახელმწიფოებს.

ჩვენ სიმართლის და, მეცნიერების გარდა არა გვწამს-რა. ეს არის ჩვენი ძალა და, როგორც ბუნებაა უძლეველი, ისე ჩვენი ძალა და მით ჩვენი ერი.

სულ რომ ჩამოვთვალოთ, შორს წავა კონვენტის ნაღვაწევი. მაგრამ არ შემიძლიან არ მოვიხსენიო საერო განათლების შესახები მის დადგენილება. საქმე ის კი არ არის, კაცმა კარგი თესლი შეიძინოს; საქმე ის არის, ის თესლი ქვეყანას მოჰფინოს და აალორძინოს. სწორედ ასევე მოიქცა კონვენტი და, რადგან კეთილ მისწრაფებათა მოფენა მარტო განათლებით შეიძლებოდა, ხალხის განათლებას მიაქცია უმთავრესი ყურადღება. რად უნდა გვიკვირდეს, რომ მეფეებმა და ხელმწიფეებმა ბორკილი შეაბან და მაგრად შეჯაჭვონ სიტყვაც, აზრიც და მწერლობაც? რად უნდა გვიკვირდეს, რომ მეფეებმა და ხელმწიფეებმა ყოველი ღონის-ძიებით შეაფერხონ და შეაყენონ ხალხის განათლება და წინ მსვლელობა? ხალხის უვიცობაზედ არის დამყარებული მათი ხელმწიფობა; სწავლა-განათლება ძირს უთხრის მათს დიდებას და მტარვალობას. სულ სხვაა რესპუბლიკა: რესპუბლიკის დიდება და ძლიერება მარტო ხალხის განათლებაზედ არის დამოკიდებული და, რაც უნდა წინააღმდეგობა გაუწიონ მას დიდებულებმა და ბერებმა თავიანთი სიცრუით და ცბიერებით, ცილისწამებით და ღალატით, მაინც ვეღარას გააწყობენ: ამოდენი ხნის განმავლობაში დაგუბებულმა ზღვამ უკვე გადაარღვია ღობე და თავისუფალ გზას დაადგა. მის შეყენება ამ ქვეყნად აღარავის შეუძლიან. რესპუბლიკამ იმისთანა სხივი მოჰფინა ქვეყანას, რომ ბრმებიც კი დაინახავენ.

კონვენტმა სავალდებულოდ გახადა დასაწყისი სწავლა-განათლება და ბრძანება გასცა, ყოველმა დედ-მამამ, ნათესავმა ან მზრუნველმა ბავშვი უთუოდ უნდა ატაროს დასაწყის სკოლაშიო. ეს დასაწყისია და ამას კიდევ ბევრი სხვა დადგენილება მოჰყვება, რომლითაც ღირსეულად იქნება მოწყობილი მეცნიერული, ხელოვნური, სამეურნეო, სავაჭრო და სამხედრო სწავლა-განათლება. თავისუფალმა ხალხმა უნდა იცო-

დეს თავის თავის დაცვა და ამისთვის ჩვენ უნდა გვყავდეს მე-
ცნიერებით აღჭურვილი კაცები, რომ ჯარის სიმრავლისა კი
არა, უფრო ცოდნის და გამოცდილების იმედი ჰქონდეთ გა-
ჭირების დროს. რაც მთელი ქვეყნის მეფეებმა თხუთმეტი საუ-
კუნის განმავლობაში ვერ მოახერხეს, რესპუბლიკა თხუთმეტი
წლის განმავლობაში მოახერხებს: ქვეყანას ჭეშმარიტებას შეაგ-
ნებინებს და ადამიანს ადამიანად აქცევს.

დეე, აწინდელ თავისუფლებას უწინდელი მონობა ამჯო-
ბინონ ჩვენმა მტრებმა, გვლანძღონ და გვაგინონ! დეე, სისხ-
ლით გაუმაძღარი მხეცები გვიწოდონ! რა ვქნათ, სამშობლოისა
და ადამიანის განთავისუფლებისთვის საკუთარი სიცოცხლე არ
დავგინდვია, და არისტოკრატებს დავინდობდით? იმდენი სთქვან,
მანამ მოეწყინებათ, ჩემო მიხო! გინება და ლანძღვა კი არა,
კიდევაც რომ გაჭირდეს საქმე და დღევანდელი კონვენტის წევრ-
ნი ერთიანად ამოგვხოცონ, მითაც აღარა წახდება-რა: ჩვენს
ალაგს ჩვენი შვილები დაიჭერენ და მომავალი მაინც ჩვენია!

ღმერთმა ინებოს მხოლოდ, რომ ჩვენში ერთობა არ და-
სუსტებულიყოს, და როგორადაც ერთად ვიყავით, როდესაც
ჟირონდელებს ვაჯობეთ, ისევე ერთად ვიყნეთ ყოველთვის.
ჟირონდელებს რომ გაემარჯვათ, დღეს რესპუბლიკა აღარ იქ-
ნებოდა: ადამიანის უფლებათა გამოცხადებამ არა მარტო ჩვენი
ხალხი გაანთავისუფლა, არამედ მთელი კაცობრიობა და ამიტომ
მოეშველნენ ჩვენს მეფეს მთელი ევროპის მეფეები; ჟირონ-
დელები ვერ გაუმაგრდებოდნენ ევროპას და ისე ამოსწყვეტდნენ
პრუსიელები პატრიოტებს, რომ აზრიც კი აღარსად დარჩენი-
ლიყო თავისუფლების და თანასწორობისა; ძველი წეს-წყობილე-
ყმობა უფრო მჭიდროდ დამყარდებოდა ქვეყნად თავისი დიდებუ-
ლი ბატონებით, ბერებით და იმათი უთვალავი უპირატესობით;
საწყალი ხალხი ისევ იმ უღელში იქნებოდა შებმული, რომელ-
შიაც 1789 წლამდე იყო და მისი დანიშნულება მარტო ის-და
იქნებოდა, რომ ორასი თუ სამასი ათასი დიდებული ეცხოვრე-
ბინა განცხრომით და ქეიფით; ავსტრიელები, პრუსიელები,
ინგლისელები, ესპანიელები და იტალიელები თითო კარგ ნა-

ჭერს ჩამოაჭრიდნენ საფრანგეთს თავიანთ სამხედრო ხარჯის გასანაღდებლად და ამით გაათავებოდა საქმე.

მაგრამ ერთობა გვქონდა და სწორედ ამ ერთობამ შეგვიქნა უძლეველი ძალა და გამარჯვება. კიდევაც დიდი საქმეები გვაქვს გასარიგებელი და კვლავაც იგივე ერთობა გვექნება, ღმერთია მოწყალე.

კონვენტში ორი კაცია შესანიშნავი თავიანთი ნიჭით და მოღვაწეობით: რობესპიერი და დანტონი. რობესპიერი ცდილობს ისე მოაწყოს სახელმწიფოს ცხოვრება, რომ მმართებლობისაგან იყოს დამოკიდებული სულყველაფერი. დანტონს კი უნდა სულ ყველაფერი თავისუფლად დატოვოს და ჩვენს ქიშპობაზედ მოაგდოს ყოველი წარმატება; მმართებლობა რაც შეიძლება ნაკლებად ჩარიოს ხალხის ცხოვრებაში და სუყველაფერი ხალხის სურვილს და ამორჩევას დამოუკიდოს, ისე რომ ხალხი თითონ ირჩევდეს მსაჯულებს, დეპუტატებს, მოხელეებს და სხვ. და სხვ. როგორც ხედავ, იმისთანა მოწინააღმდეგენი არიან ერთმანეთისა ეს აზრები, რომ მათი შეთანხმება შეუძლებელია. ვნახოთ, ვის მიუდგება მომავალი. მე კი სულ იმასა ვნატრობ სამშობლოს დიდების და კეთილდღეობისთვის, რომ ეს ორი კაცი შეთანხმდნენ და მორიგდნენ ერთმანეთში და რესპუბლიკის კეთილდღეობას ანაცვალონ თავიანთი პირადობაც კი... მაგრამ აგერ მოდიან ჩვენებურები — ნათლია შენი, ლეტუმიე და სხვანი, — იმათი სიცილი მესმის კიბიდან. ბევრს გაკოცებ, ჩემო მიხო. ნათლია-შენი და ყველა ჩვენებურები მთხოვენ, მოკითხვა მისწერეო; ნანობენ, აქ რომ ყოფილიყო ჩვენი მიხო, უფრო კარგად გავატარებდით დროსაო. ნეტავი აგრე და აქა ყოფილიყავი! რა სიყვარულით ჩაგიკრავდი გულში!

შენი ერთგული შოველი".

ქვევით ნათლია-ჩემს მოეწერა თავისებური მსხვილი ასოებით:

„ძმობა და გამარჯვება, ჩემო მიხო! ნეტავი შენც აქა გვყოლოდი დღეს და შენ და მარგალიტა ერთად მენახეთ! მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს თუ არა, ხვალ აქ იქნები, განა, მიხო, და მე და შენ ჩვენებურად ძველებურად გავაჩაღებთ სამჭედლოში ჩვენს ქურას და ავათამაშებთ ჩაქუჩებს... იმ წუწკი ვალენტინის მუქარა გაიგე, ჩამოხრჩობას რომ მიპირებდა? კონდეს რაზმში იყო და ისე დავამარცხეთ, ისე, რომ კურდღელივით გულგახეთქილები გავაქციეთ. ბევრს გაკოცემთ. რესპუბლიკას გაუმარჯოს!“

ხელს აწერდნენ ნათლია-ჩემი და ერთი ოციოდე კიდევ ჩიენებული პატრიოტები.

. . . . . . . . . .

მთელი ეს ზამთარი სხვა-და-სხვა ძველი ქაღალდების კითხვას მოვუნდი. აგერ გაზაფხულდა. მინდა ცოტა ხნით მივმალო სადმე ჩემი სათვალეები, თვალები დავასვენო და მერმე დავასრულო ეს გრძელი ისტორია.

მაშ ნახვამდის, მეგობრებო, კარგად იყავით, რადგან უმთავრესი ის არის, ჯანსაღად იყოს კაცი.

დასასრული მესამე ნაწილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გლეხი-კაცის ისტორია

## ნაწილი მეორე

## მამულიშვილი ბონაპარტი

### I

ვანდეელების ჯარის ნაშთი ჭაობებში დაგვემალა, როგორც უკვე მოგახსენეთ. იქვე იმყოფებოდა გაქცეული მათი წინამძღოლი შარეტი და, თუმცა პირდაპირ შებრძოლებას ვერ გვიბედავდა, მაგრამ მაინც ძალიან აზარალებდა სოფლებს: დაესხმოდა, რისაც წაღება არ შეეძლო, ცეცხლს წაუკიდებდა, და საქონელს კიდევ თან გაირეკდა. ცუდი ის იყო, რომ ამგვარად გაძარცული გლეხ-კაცობა თავის გამძარცველსავე უერთდებოდა და დღითი დღე უფრო და უფრო იზრდებოდა ვანდეელების ჯარი.

ნანტის გარემოში მდგომ ჯარისაგან რამდენიმე რაზმი იქმნა გაგზავნილი შარეტის დასაჭერად; მაგრამ გაიგებდა თუ არა, ჯარი მოდისო, მაშინვე ჭაობებს შეეფარებოდა და იქ კი შეუძლებელი იყო მისი დევნა: ჩაგვისაფრდებოდა სადმე და ისე ამოხოცდა მთელს ჩვენს ჯარს, რომ ვერც კი გაგვეგო, საიდგან მოდიოდა ტყვია.

ამ გაჭირებაში ვიყავით 1794 წლის იანვარში და თებერვალში. მაგრამ ახლა კი ისე დაწვრილებით აღარ აგიწერთ ყველაფერს, როგორც აქამდე ვწერდი: ძალიან დავბერდი, ვინ იცის რას მიქადის ხვალინდელი დღე, და მე კი ჯერ რამდენიმე წელიწადი კიდევა მაქვს ასაწერი ჩვენი რესპუბლიკის მოსპობამდე; მერე მინდა ისე მოგითხროთ ყველაფერი, რომ არაფერი დამავიწყდეს, მეტადრე რაც ჩემი თვალით მინახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარეტის დასაჭერად გაგზავნილ რაზმში მეც მოვხვდი. საშინელი წვიმიანი დღეები იყო; არც საჭმელი გვქონდა, არც კარვები; ჩვენკენ მომავალი ბარგი და საგძალი უფრო ხშირად ვანდეელების ხელში ჩავარდებოდა ხოლმე და ჩვენ კი მშიერმწყურვალნი ცის ქვეშ ვეყარენით სველ მიწაზედ. იმ ტანჯვაწვალებაში მე ისევ სისხლი ამომივიდა და დაჭრილებთან ერთად ნანტში გამგზავნეს.

ნანტში უმფროსმა ექიმმა გადაწყვეტილი მიბრძანა: ორ კვირას ვეღარც კი იცოცხლებო. და რადგან მთელი საავადმყოფო გატენილი იყო დაჭრილებით და ალაგი აღარსადა ჰქონდათ, ვთხოვე თუ არა,—ხომ უნდა მოვკვდე და ბარემ შინ გიახლებით მეთქი,—მაშინვე ნება მომცეს. უმფროსმა ექიმმა სიცილი ვეღარ შეიკავა ჩემს თხოვნაზედ და მითხრა:

— შინ წასვლა გინდა? მაგაზედ ადვილი რა არის? დაგიწერთ დათხოვნის ბარათს, ახსენე ღმერთი და გაუდექ გზას.

არ გასულა ათი დღე, თითონვე მომიტანა დათხოვნის ბარათი, რომლითაც ავადმყოფობის გამო საუკუნოდ ვიყავ დათხოვნილი სამსახურიდან და ჩემს ლოგინში სხვა ავადმყოფი ჩააწვინა.

რამდენი ხანია მას შემდეგ! დარწმუნებული ვარ, იმ ექიმის ძვლებიც კი დალპა და მე კი დღესაც ცოცხალი ვარ და ღმერთს მადლობას ვწირავ. ნუ დაივიწყებენ ამისთანა მაგალითებს ავადმყოფები და მოხუცებულები, რომელთაც ისე ადვილად გასწირავენ ხოლმე ექიმები.

ჩავიდე ჯიბეში დათხოვნის ბარათი და ორ თუმან-ნახევარი ფული, რომელიც მარგალიტამ გამომიგზავნა, ჩემი ავადმყოფობა რომ მივწერე; პირჯვარი გადავიწერე და გავუდექი გზას. მარტის გასული იყო. ქვეყანა ძრწოდა, არავინ დაგვაბეზღოსო. საშინელი სიმშილი იყო. გაზაფხულს უკვე აემწვანებინა მინდორი და აქა-იქ ხეებიცა ყვაოდნენ. მშვენიერი დარი იდგა და იმისთანა პირი უჩანდა მოსავალს, რომ უკეთესი არ შეიძლება. ღმერთს მადლობას სწირავდა გლეხი-კაცი და თან იმას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევედრებოდა,—ბოლომდე მოიღე შენი წყალობა და ყინვა, სეტყვა და გვალვა ამაცდინეო.

საშინელ ყოფაში იყვნენ ლუარის პირად მდებარე სოფლები. ხალხი გახიზნულიყო და, ვინც დარჩენილიყო, ისე იყო შეშინებული, რომ გამარჯვება ღვთის რისხვად ესმოდა. ეკლესიები დაკეტილი იყო, საკომურში კომლი აღარსად ამოდიოდა. თუ შეხვდებოდით ვისმე, ისევ ტყვეებს, რომლებსაც ქალაქისკენ მიერეკებოდნენ ჩვენი ჯარები. ყველგან ჟანდარმები, ჯაშუშები და მსაჯულები დაძრწოდნენ და სახლებს ჩხრიკავდნენ. დღეში ათჯერ შემაყენებდნენ ხოლმე ჟანდარმები და ხშირად უბრალო გლეხი-კაცებიც და ვინაობის ქაღალდსა მთხოვდნენ.

სწორედ ამ დროს იქმნენ დამარცხებული ჰებერი და იმისი მომხრენი, რომელნიც უარჰყოფდნენ უზენაეს არსებას. ვინც პარიზში დაიჭირეს, ყველა გილიოტინით დახოცეს და, რადგან მათი მიმდევარი სხვაგანაც ბევრი ეგულებოდათ, ყველგან მათ ძებნას შეუდგნენ და, როგორც მოგახსენეთ, მართლა რომ ძრწოდა ქვეყანა: სულ უბრალო, სრულიად დაუფუძნებელი დაბეზღება კმაროდა, რომ საუკუნოდ დაეღუპათ კაცი: ჰებერის მომხრე ხარ და მაშასადამე ღვთისა და სიმართლის უარმყოფელიო! ყველას რობესპიერი და სათნოება-ლა ეკერა პირზედ და „ჰებერიანოო“ რომ გეთქვათ ვისთვისმე, გინებად მიიღებდა *).

*) ჟირონდელების დამარცხების შემდეგ სამს ნაწილად გაიყო კონვენტში მთიულების პარტია: ჰებერის, დანტონის და რობესპიერის მიმდევრებად. ჰებერის პარტიის მოთავენი იყვნენ ჰებერი, შომეტი, გერმანელი ანახარზის კლოოცი, „კაცობრიობის ორატორად“ წოდებული და სხვანი. ჰებერს საკუთარი გაზეთი ჰქონდა, რომელსაც საშინელ უწმაწურ ლანძღვა-გინებით ავსებდა. ამ გაზეთის ლანძღვა-გინებამ გამოიწვია შემდეგი სიტყვები კამილ-დემულენისა: „ნუ თუ არ იცი, უბედურო, რომ ევროპის მეფენი, როდესაც უნდათ დაუმტკიცონ თავიანთ მონებს, რომ პარიზი—აქამდე განათლების ჩირაღდნად წოდებული,—დღეს ლაფშია ამოსვრილი, შენი გაზეთიდან გადაბეჭდილ ლანძღვას ხმარობენ უტყუარ საბუთად... თითქო შენი ჭუჭყი მთელი ერის ჭუჭყიანობას ამტკიცებდეს!

ჰებერის მომხრეთ დიდი გავლენა ჰქონდათ პარიზელ ხალხში და კომმუნაში. შომეტის რჩევით შემოიღო კომმუნამ პარიზის საავადმყოფოებში ავათმყოფთათვის ცალ-ცალკე ლოგინი; შომეტმავე მოასპობინა მათრახის ხმარება სკოლებში; შომეტის რჩევით დაადგინა კომმუნამ ერთნაირი პატივისცემით დასაფლავება ყოველი მამულიშვილისა: ცხედარი უნდა ყოფილიყო გახვეული სამფერ რესპუბლიკურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივდიოდი ნელ-ნელა, ჩამომხმარი და ჩაყვითლებული; ძლივს-ღა ვსუნთქავდი. ისეთი დასუსტებული ვიყავ, რომ ხშირად გაშტერებულნი შემომცქეროდნენ გზაში გამვლელნი, თითქო უკვირთ, სად მიეხეტება ეს მომაკვდავიო?

ორლეანს რომ მივუახლოვდი, ვიფიქრე, მოდი პარიზს ჩავივლი და შოველსა ვნახავ-მეთქი. ხომ მოგეხსენებათ, წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო; მეც მეგონა, პარიზელმა ექიმებმა უფრო მეტი იციან, ვიდრე ჩვენი ჯარის დალაქებმა და დარწმუნებული ვიყავ, რომ ისინი მიშველიდნენ რასმე. გარდა ამისა პარიზი აღთქმული ქვეყანა იყო ჩემთვის: იქ იყო კონვენტი, იქიდან გამოდიოდა ყოველი ბრძანება და კანონმდებლობა, იქ იბეჭდებოდა ჩვენი საუკეთესო გაზეთები.. ისე როგორ მოვკვდე, რომ პარიზი ვერა ვნახო-მეთქი, ვიფიქრე და... აპრილის დამდეგს შევედი კიდეც ჩვენს დედა-ჩალაქში.

მარგალიტასავით დაწვრილებით კი არ აგიწერთ პარიზის ქუჩებს, სახლებს, აჩქარებით მიმავალ ხალხს, ეტლებს, ხმაურობას და სხ. და სხ. რა მაგისი მცხელოდა, ძლივს-ღა მივათრევდი ფეხებს და ისიც აღარ მახსოვს, რომელი მხრით შევედი და რომელი მხრით გამოვედი.

მახსოვს, ერთ განიერ ქუჩას დავყე და ბოლო ვეღარ ვუპოვე, თუმცა ერთ საათზედ მეტი იქნებოდა, რაც მივდიოდი.

---

ბაირაღში შემდეგი ზედ-წარწერით: „მართალი კაცი არა კვდება; იგი ცოცხალია თავის მემამულეთა ხსოვნაში“. რადგან პური აღარ იშოვებოდა, შომეტის რჩევით კომმუნამ ყველა სახალხო ბაღებში ბოსტნეულობა დაათესინა ღარიბთა დასახმარებლად. ტყავი ძალიან გაძვირდაო, შომეტმა წინადადება შეიტანა კომმუნაში, ტყავის ფეხსაცმელი მარტო მტერთან საომრად გასულს ჯარის-კაცს მიეცეს და სხვამ ყველამ ფრანგული ხის ფლოსტებით იაროსო. ამოდენ სიკეთესთან ავიც ბევრი რამ შესძლვნა მან საფრანგეთს; მაგალითად, რევოლუციური რაზმის შედგენა შოვეტის წინადადებით მოხდა; შოვეტმავე შეადგინა „საეჭვო-პირთა სია“; იმანვე დააკეტინა კომმუნას ეკლესიები, მიუხედავად იმისა, რომ კონვენტის მიერ კანონად იყო გამოცხადებული სრული თავისუფლება სარწმუნოებისა.

ჰებერის მომხრეთ უნდოდათ თავიანთი მოწინააღმდეგე ყველა მოეკლათ. რაკი გავიმარჯვეთ და მტერი განვდევნეთ, ახლა შინაური მტერი გავანადგუროთო,— და საცა კი საეჭვო ეგულებოდათ ვინმე, ყველას დახოცას უპირებდნენ. დანტონსი და რობესპიერი წინააღმდეგნი იყვნენ იმოდენ სისხლის ღვრისა და დაამარცხეს კიდეც ჰებერის მომხრენი. გილიოტინაზე რომ აიყვანეს, ჰებერმა დაიძახა:—დაიღუპა რესპუბლიკა! არა, უპასუხა რონსენმა, რესპუბლიკა უკვდავია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც ვთხოვე, ბულუას ქუჩა ესწავლებინათ, ყველამ ერთი და იგივე მითხრა:

— პირდაპირ მიბრძანდით.

მეც მივდიოდი და თან იმედი მელეოდა. ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც ქუჩის ბოლოში გავედი და წყალს მივადექი. წყალზედ ხიდი იყო გადაგდებული და გაღმა ძველებური თლილი ქვის შენობები მოჩანდა და ძველებური გუმბათ-მონგრეული ეკკლესია. ხიდს გავედი და გაშტერებული ვიცქირებოდი აქეთ-იქით: არ ვიცოდი, საით წავსულიყავ. ამ დროს უეცრად იმისთანა შესაზარ სანახავს შევეფეთე, რომ ეხლაც სისხლს მიმღვრევს მის მოგონება.

გიჟებივით მიდი-მოდიოდნენ ქუჩის მაწანწალები; ზოგი რაღასაც მღეროდა, ზოგი ცეკვავდა, ზოგი ყირამალა გადადიოდა; ერთმანეთს სცემდნენ, ეჭიდებოდნენ, ებღლაძუნებოდნენ და თან რაღასაც გაუგებარს გაიძახდნენ; ამ ხროვას უკან მოსდევდა სამი ეტლი, სიკვდილით დასასჯელ პატიმრებით სავსე, რომელთაც აქეთ-იქით ხმალ ამოღებული ცხენოსანი დარაჯები მისდევდნენ. პირველ ეტლში პატიმრები ყველანი ისხდნენ და იმედ მიხდილნი გაიცქირებოდნენ შორისკენ. მარტო ორი პატიმარი იდგა ფეხზედ, ორივ საკინძ-გახსნილი და ხელებ-გახლართული. ერთი მათგანი იმისთანა ზორბა და მშვენიერი კაცი იყო, რომ იტყოდით, ლომია გალიაში ჩამწყვდეულიო; თვალებში სისხლი მორეოდა, პირ-მოკუმული იყო და მწარე ღიმილი უთამაშებდა პირზედ. მეორეს უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ბრაზი ერეოდა, პირიდგან დორბლსა ჰყრიდა და სიტყვა ვერ გამოეთქვა.

მგონი რომ ვკვდებოდე, მაშინაც ასე ცხადად მიდგეს თვალ წინ ეს საშინელება.

ნელ ნელა მიდიოდნენ ეტლები და წინ და უკან ხალხი მისდევდა საშინელი ყიჟინით და ღრიალით: სიკვდილი მოღალატეთ!... ღრიალებდა ხალხი, სიკვდილი გარყვნილთ!... წავა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წავა, კარგად წავა! სიკვდილი კამილ დემულენს! სიკვდილი დანტონს! გაუმარჯოს სათნოებას და რობესპიერს!..*)

გულგახეთქილი შევცქეროდი სასიკვდილოდ განწირულს დანტონს და კამილ დემულენს. მომაგონდა, რომ შოველი მეგობარი იყო დანტონისა, და თმები ამეშალა. იქ რომ ყოფილიყო მაშინ შოველი, პატიმართ შორის, ყურადღებას აღარას მივაქცევდი, ვიძრობდი ხმალს და იმ მაწანწილებზედ მაინც ვიყრიდი ჯავრს. მაგრამ შოველი იქ არსად იყო. პატიმრებში მე მარტო ჩვენი გმირი მხედართმთავარი, გენერალი ვესტერმანი, ვიცანი... ხელები ზურგს უკან ჰქონდა გახლართული და თავდაღუნული იჯდა ეტლში.

მეორე და მესამე ეტლსაც იმავე საზარელი ყიჟინით მისდევდა ხალხი.

ვერ აათრთოლებს სიკვდილის შიში დანტონისთანა და ვესტერმანისთანა კაცებს; არა, იმათ არც კი იციან შიში რა გრძნობაა. ისინი თუ ათრთოლდებიან, ხალხის უმადურობაზედ ათრთოლდებიან, როდესაც ნახავენ, რომ ხალხის უერთგულესთ

---

*) დანტონი ყოველთვის წინააღმდეგი იყო იმ საშინელებისა, რომელსაც ტერრორს უწოდებენ. ტერრორი სიკვდილით დაშინებაა მტრისა: იმდენს ხალხს დავხოცთ, იძახდნენ ჰებერის მომხრენი, რომ ჩვენი შიშით ჩვენი წინააღმდეგობა გულშიაც ვეღარავინ გაიტაროს. ამის წინააღმდეგი იყო დანტონი და დროებით თვით რობესპიერიც. თუ აგრეა, მე ის მირჩევნია უბრალო მუშა ვიყო, ვიდრე სამეფოს განვაგებდეო, ამბობდა დანტონი. და რომ ურჩევდნენ, გაფთხილდიო, უპასუხებდა: თავი მომჭრან ის მირჩევნია, ვიდრე თავი მოვჭრა ვისმეო.

რობესპიერიც წინააღმდეგი იყო ჰებერის და მის მომხრეებისა, მაგრამ რაკი ისინი მოიცილა თავიდან, მერე დანტონის პარტიას შეუჩინა პარიზელი უნიფხონი. დანტონს შეატყობინეს,—დაჭერას გიპირებენ, თავს უშველეო; მაგრამ არ ინდომა: რომ გავიქცე, განა სამშობლოსაც თან წავიღებო? 30 მარტს დაიჭირეს ფაბრ დეგლანტინი, რომელმაც შეადგინა რესპუბლიკური კალენდარი, დანტონი, კამილ დემულენი, ფილიპო, ბაზირი, ვესტერმანი და სხვანი. მეორე დღეს კონვენტის კრებაზე ლეჟანდრმა წინადადება შეიტანა: კონვენტმა თითონ მოისმინოს დაჭერილების სიტყვაო. მაგრამ რობესპიერმა ამის წინააღმდეგობა გამოაცხადა: სასამართლოსი რად ეშინიანთ, თუ დამნაშავენი არ არიანო? ბრალდების ოქმი სენჟუსტმა შეადგინა, რობესპიერისაგან შავად დაწერილ შენიშვნების მიხედვით. ყველას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. გილიოტინის კიბესთან რომ მივიდნენ, ერო დესეშელმა დანტონისკენ მიიწია, უნდოდა სიკვდილის წინ ერთხელ კიდევ მოეხვეოდა თავის მეგობარს, მაგრამ ჯალათი შუაში ჩაუდგა და არ მიუშვა. სულელო,—უთხრა დანტონმა,—გოდორში რომ ჩაცვივიან ჩვენი თავები, მაშინაც დაუშლი ერთმანეთის შეხებას?

გილიოტინისკენ მიათრევენ ვიღაცა შურიანების და ჯაშუშების წყალობით. სწორედ ამ უმადურმა ხალხმა—პარიზელმა ხალხმა—წარყვნა და წაბილწა რესპუბლიკა; თავისთავისას—უნიფხონი ვართო—იძახდა ეს ხალხი და პოლიციელებთან ერთად იკვებებოდა სწორედ იმ დროს, როდესაც მუშა ხალხი და გლეხკაცობა სიმშილით იხოცებოდა; პარიზს არ მოშორებიან უნიფხონი და იქაც არეულობის მეტი არა გაურიგებიათ-რა; მთელი დღე და ღამე აქეთ-იქით დაწანწალებდნენ, უსინიდისოდ აბეზღებდნენ მართალს და მტყუანს, დასაბეზღებელ ჯილდოს იღებდნენ და თითონვე შველოდნენ ჯალათს თავიანთი მსხვერპლის სისხლის დაქცევას; და ამას იმ დროს ჩადიოდნენ, როდესაც საფრანგეთს მიწის პირიდან აღგვას უპირებდა ევროპა და ათიათასობით იხოცებოდნენ ბრძოლის ველზედ საუკეთესო მისი შვილნი.

თქვენს მტერს, რაც მე იქ მწუხარება ვნახე! რესპუბლიკა დაღუპული იყო: ერთმანეთის ხოცვას რა შედეგიც მოჰყვებოდა, ცხადი იყო ჩემთვის და მარტო ის-ღა მიკვირდა, რომ ამოდენი სისხლით ვერ გამაძღარიყვნენ რობესპიერი და მისი მომხრენი. იქნება ეგონათ, თავებს რომ დავაყრევინებთ, ამით დარწმუნდება ხალხი, რომ მართლა დამნაშავენი იყვნენო".

ცოტა ხანს უკან შოველის სახლიც ვიპოვნე. დალამებული იყო, სრულიად ბნელოდა. ეზოში შევედი. ქვემო სართულში ერთი მოხუცებული, სათვალეებიანი დერციკი იდგა. ვკითხე ერის წარმომადგენელი შოველი სად სცგას მეთქი. იმან თავით ფეხამდე გამსინჯა, მერე წამოდგა და მითხრა:

— ცოტა ხანი მოითმინე, მამულის შვილო, ეხლავ დავუძახებ.

გავიდა და ხუთი წუთის შემდეგ ერთი მოკლე, კურატივით ჩასუქებული, კაცი შემოიყვანა; ქუდზედ რესპუბლიკური კოკარდა ეკრა და წელზედ სამფერი სარტყელი. თან სამი უნიფხო ახლდა.

— აგერ არის! აი ეს კაცი კითხულობს შოველს.

მოკლე კაცმა 'გამოკითხვა დამიწყო: ვინა ხარ? საიდგან მოდიხარ? სად მიხვალ? რად გინდა შოველი? და სხ. და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამიკვირდა, ამას რაში ეკითხება მეთქი და შევუტიე:

— შოველი რადაც მინდა, თითონ გაიგებს, თქვენ რა გაწუხებთ?

— კანონის ძალით გიბრძანებ, შენი ქაღალდები მაჩვენო! დამიღრიალა მოკლე კაცმა. აბა ჩქარა! გაინძარ, თორემ!...

მისმა მხლებლებმა წინ წამოიწიეს. იმის ყვირილზედ ეზო ხალხით გაივსო, სულ ქუჩის მაწანწალა უნიფხოებით; ზემო სართულებიდგან ხმაურობა მოისმა. გარს შემომეხვივნენ ყველანი და იმისთანა თვალით მიყურებდნენ ის საზიზღრები, თითქო გაგლეჯას მიპირებენო. მეც რაღას გავაწყობდი, ამოვიღე ჩემი დათხოვნისა და საგზაო ბარათი და თავში ვახალე მოკლე კაცს, რომელიც თურმე პოლიციის მოხელე ყოფილიყო.

იმან მაშინვე აიტაცა ქაღალდები, ჯიბეში ჩაიდო და — აბა წამოდიო, დამიძახა. მერე თავის მხლებლებს მიუბრუნდა და უთხრა:

— ფთხილად, თქვენ ეი! თვალი არ მოაშოროთ! უნდა გენახათ რა კმაყოფილი იყო დერციკი; მგონი ფიქრობდა ძვირფასი თევზი დავიჭირე და დიდ ჯილდოსაც მივიღებო, ოჰ, რა სიამოვნებით დავახრჩობდი, ხელში რომ მყოლოდა, ის ულმერთო ისა!

გავედით. იქვე ორმოცდა ათი ნაბიჯის მანძილზედ სადღაც სახლში შემიყვანეს, რომლის კარებთან დარაჯი იდგა, და იქ გასინჯეს ჩემი ქაღალდები.

როგორღა მომაგონდება, რამდენი რამ მკითხა მოკლე კაცმა ჩემი ვინაობისა და სამსახურის შესახებ: როდის შეხვედი სამსახურში? როდის დაიჭერ? როდის დაგითხოვეს? რად წამოხვედი ამ გზაზედ? რად ჩამოიარე პარიზზედ? სად გაიცანი შოველი? როდის? როგორ? რად გინდა იმისი ნახვა? და სხვა და სხვა. ერთი ნახევარ საათი მაინც მალაპარაკა... ბოლოს როცა დარწმუნდა, რომ ჩემი ქაღალდები სრულიად კანონიერნი იყვნენ და არა ყალბი, თავისი ბეჭედი დაასვა და მითხრა:

— შოველი კონვენტმა ალპის ჯარში გაგზავნა და იქ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ კი მომერია ბრაზი და შევყვირე:

— მერე რატომ მაშინვე არ მითხარით, თქვე...

მაგრამ შევიკავე ენა და კარგიც ვქენი, თორემ ისე მიბღვეროდა პოლიციის მოხელე, რომ იქნება ისე ადვილად ველარ გადავრჩენოდი იმის გაჯავრებას.

— რატომ მაშინვე არ მოგახსენეთ, განა? ამასა ხედავთ, ამ რეგვენს, ამასა! ამ ტყის დათვს! რატომ მაშინვე არ მომახსენეთო, გესმით?! იქნება გგონია, რომ რესპუბლიკა გამვლელსა და გამომვლელს თავის საიდუმლოებს უყვირის? ერთიც ვნახოთ კობურგის გამოგზავნილი ჯაშუში ყოფილიყავი! ან კიდევ პიტტისა! მერე, შე ბრიყვო, შენა? მაგ უტყინო შუბლზედ ხომ არ გაწერია, რომ ნამდვილი მამულიშვილი ხარ და არა ჯაშუში!

სულ ცოფს ანთხევდა, ისე გამიბრაზდა. ერთი რომ ენიშნებინა თავის მხლებლებისთვის, რომელნიც ისე იყვნენ აღგზნებულნი, რომ ნიშანს-ღა ელოდნენ, მომცვივდებოდნენ და იქნება ციხემდე ცოცხალიც ველარ მივეყვანეთ. მაგრამ მე პასუხი აღარ გავეცი და როგორც იყო, დამშვიდდა ცოტათი. მგონი, ჩემი სიტყვა ისე არ ეწყინა, როგორადაც იმედის გაცრუება: იქნება იმედი ჰქონდა ჯაშუში დავიჭირეო და უბრალო ჯარის-კაცი კი შერჩა ხელში.

ერთი კიდევ შემომბღვირა, კარებზედ მიმითითა და შემომძახა:

— გასწი, გაეთრიე! ეხლა თავისუფალი ხარ, მაგრამ აგრე ყეყეჩი ნულარ იქნები, თორემ ცუდად შენი საქმე!

მაშინვე გარეთ გამოვარდი. უნიფხონი კი იმისთანა თვალით მიყურებდნენ, თითქო ენანებათ, რომ ცოცხალი გამოვედი იმათ ხელიდან.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყალბი შაური

(კლემენს იუნოშისა)

უდიდეს მდინარეს შეადგენენ შეერთებილი რამოდენიმე წყაროები, პურის ნაჭერს — პატარა მარცვლები, მანეთს — გროშები... ვაჭრობაში არაფრისაგან იბადებიან უშველებელი კაპიტალები; პირიქით, მებატონეთა სიმდიდრისაგან არაფერი არ რჩება, ან ისე ცოტა, რომ სახსენებელიც არ არის. და ყველაფერი ასეა ქვეყანაზე: ერთი იზრდება, მეორე ინთქება. მოხუცი იანკელი, ჩვენი მასწავლებელი, ყოველთვის ამბობდა:

— ნუ გეშინიანთ, რომ ღარიბები ხართ და თქვენი მშობლებიც ღარიბები არიან: თქვენ კიდევ შეგიძლიანთ გამდიდრდეთ...

— რამ უნდა გაგვამდიდროს? — ვეკითხებოდით ჩვენ.

— თავმა. — გვიპასუხებდა იანკელი.

— თავმა! თავმა! — ვიმეორებდით ჩვენთვის და ვამუშავებდით თავს, ვიგონებდით სხვა-და-სხვა საქმეებს, სხვა-და-სხვა სპეკულაციებს, რომელთ სისრულეში მოსაყვანად მხოლოდ ერთი გვაკლდა — ფული.

ერთხელ იანკელი მეტად მოწყენილი იყო, ჩასჩერებოდა წიგნს, აქიცინებდა თავს და თითქმის ეძინებოდა; ჩვენც ვაქიცინებდით თავებს, მაგრამ მეცნიერება მაინც შორს იყო ჩვენგან. ყველანი თავთავისას ვფიქრობდით. ბოლოს, იანკელმა ჩუმად და ნაზად წარმოსთქვა:

— ბავშვებო!..

— რა გნებავთ, რაბბი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ავად ვარ... გული მტკივა... მცივა, არაყს დავლევდი...

— ვინ გიშლით?

— არა მაქვს არაყი...

— იყიდეთ, რაბბი!

— ფული არა მაქვს...

— არც ჩვენა გვაქვს ფული...

ისევ ჩამოვარდა სიჩუმე, სრული სიჩუმე; იანკელმა დაიწყო თავისს ჯიბეების ჩხრეკა, ყველგან ეძია, ბოლოს ნახა...

— მქონია! — წამოიძახა გახარებულმა, მაგრამ დახედა თუ არა ფულს, ისევ დაღონდა და სთქვა:

— ყალბი შაურია...

— ეგ მაინც უკეთესია, ვიდრე სულ არაფერი; — წავიჩურჩულე მე

იანკელმა გაიგონა და იკითხა

— ვინ სთქვა თქვენგანმა ეს გონიერი სიტყვა?

— ვინ სთქვა? მე ვსთქვი.

— შენ, ჩემო კარგო, არც კი გესმის, როგორ ბევრი სთქვი მაგით.

— მე მართალი ვსთქვი, განა ყალბი შაურიანები არ მუშაობენ.

— გამიგონე, პატარავ, იქნება შენ მომიტანო ამ შაურის არაყი?

— რატომ არა?..

— სამაგიეროდ თეთრს პურს მოგცემ.

— პური არ მინდა, მე მინდა მოვიგო რამე; თქვენ თითონ ბრძანებთ რაბბი, რომ ყველანაირი სპეკულაცია მომგებიანი უნდა იყოს.

— აქ რა სპეკულაციას ხედავ? შენ მხოლოდ გგზავნიან...

— მე მინდა მოვიგო...

— რამდენი გინდა?

— შაური, ნამდვილი შაური!

ყველამ გაიცინეს, მოხუცმა იანკელმაც კი.

— აბა, აბა — ჩემო შმულკო, მეტად ხარბი ხარ... მე არ მოგცემ შაურს, რომ მქონდეს კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე თქვენგან არ მინდა, მე თვითონ ვიშოვი.

— აბა, აბა, — სთქვა იანკელმა, — წადი, ამ შაურის არაყი მომიტანე, და თუ ნამდვილ შაურიანს მოიგებ, მაშინ შენს თავს არც ერთი არ ემჯობინება.

მე გავიქეცი ბაზარში და თხუთმეტ წამს შემდეგ დავბრუნდი კიდეც.

ყველანი მომვარდნენ.

— აჰ? აბა? მოიტანე არაყი? გვაჩვენე არაყი! ფული? გვაჩვენე ფული!

— ჩუმად — ჩუ!.. დაიძახა იანკელმა. — მოდი აქედ, შმულკო, თვალებზე გატყობ, რომ კარგი [illegible]ეშევთი იშოვე.

— ჯერ, — ვსთქვი მე, — აი თქვენი არაყი; შეგარგოთ, რაბბი იანკელ! აბა, როგორ მოგწონთ? კარგია?

მოხუცმა იანკელმა გადასჭკრა ერთხელ, მეორეჯერ და ბრძანა: — ჩემი აზრით, მშვენიერია.

— ეხლა კი, შემოხედეთ, რაბბი, ნამდვილი შაურიანია ეს?

იანკელმა აიღო შაურიანი.

— მაშ, მაშ, — სთქვა მან — ისე კარგად მე მამყოფოს ღმერთმა, როგორი კარგიც ეს არის, ეს ნამდვილი შაური... ვინ მოგცა, შმულკო?...

— არაყზე მოვიგე ნუ იცინით, რაბბი; თვითონ ბატონი არ გვიამბობდა სხვა-და-სხვა სპეკულაციის ღვინოზედ კარგი მოგებას მოაქვსო.

— გამიგონე, — დაიყვირა მწყრალად რაბინმა, — გამიგონე, შე ურიკრიკავ, მითხარი, საიდან იშოვე შაური, თორემ მოპარული მეგონება!

— რას ბრძანებთ, ვიშოვე, პატიოსნად მოვიგე.

მომცა თუ არა რაბინმა ყალბი შაური, გავიქეცი დუქანში, იქ ბევრი ხალხი იყო; მე ყვირილი მოვრთე: მამა ჩემი ძლიერ ავად არის, ექიმმა არაყის მოტანა გვიბრძანა, მომეცით ჩქარა!.. მედუქნე კარგი კაცია ალბად, ჩამოასხა საჩქაროდ არაყი. შაური კი დახლში ჩააგდო...

— აი თქვენი არაყიც.

— შაური სადაა?

— ეხლავე ისიც იქნება. გავიქეცი სხვა ქუჩისკენ, გავჩერდი ჯასთან, ცოტა მოვიცადე და ისევ დავბრუნდი იმავ დუქანში და უფრო ვუმატე ყვირილს და ტირილიც დავიწყე: დედამ გამლახა, მეთქი, ვყვიროდი, ექიმმა ავთიაქიდამ გვიბრძანა მოგვეტანა ფრანგული არაყი, მე კი უბრალო დუქნის არაყი მივიტანე.

მედუქნეს შევეცოდე და მითხრა:

— მეორეჯერ კარგად გაიგე, რას გიბრძანებენ უფროსებიო; არაყი ისევ ჩაასხა თავისს ბოთლში და დამიბრუნა ეს ნამდვილი შაური.

— არაყი სადაა?

— რაბბიმ ხომ თვითონ მიირთვა და ბრძანა კარგიაო. ვაი, ჯაი, მე ძლიერ მწყინს, რომ რაბბის ასეთი ცუდი შეხედულება ჰქონია ჩემზე. განა ისეთი სულელი ვარ, რომ ნამდვილი არაყი დამებრუნებინა? მე მსგავსი ბოთლი მქონდა წყლით, თორემ ჯასთან რისთვის გავჩერდებოდი...

მოხუცმა იანკელმა თავზე ხელი გადამისვა და წარმოსთქვა:— შმულკო, შენ შორს წახვალ, თუ სატუსაღოში არ ამოყავი თავი...

მეც, მივდიოდი, მივდიოდი და შორსაც წაველი.

ივ. ზურაბიშვილი

# ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან

წერილი მეოთხე.

თ-დი ილია ჭავჭავაძე

I

თ. ილიას ჭავჭავაძის თხზულებათა გარჩევა მეტად წარმტაცი და მომხიბვლელი საგანია, მაგრამ ესეც კი უნდა ვსთქვათ, მეტად რთულია და ძნელი. ძნელია მიტომ, რომ თ. ილია ჭავჭავაძე და მასთან ერთად თ. აკ. წერეთელი, ბ. ნ. ნიკოლაძე და სხვანი მათი თანამედროვენი თავიანთი მოქმედებით, ნაწერებით და ცხოვრებით დამასურათებელნი არიან დიდის ეპოქისა ჩვენს ცხოვრებაში, ეპოქისა, რომელიც საუბედუროდ არ არის შესწავლილი და რომლის სავსებით შესწავლა მიუცილებელია ამ მწერალთა ნაწარმოებთა კარგად შეგნებისათვის. მართალია ეს ცხოვრება მათ ნაწარმოებში იხატება, მაგრამ ისიც მართალია, რომ თვით ამ ცხოვრების სხვა და სხვა მხრის შესწავლაში მოიპოება მხოლოდ საშუალება ამ მწერალთა აზრთა ზრდის კარგად გათვალისწინებისა. მათი ნაწარმოებნი შეადგენენ ისტორიას ჩვენის ახალის ცხოვრებისას, რომელიც მესამოცე წლებში დაიწყო და დღემდისაც მიმდინარეობს.

მათში კი განგებამ და, თუ გნებავთ, ბედმა პირველობა თ. ჭავჭავაძეს არგუნა და დღემდისაც იგი პირველობა მისთვის ვერავის წაურთმევია. 40 წელმა გაიარა მას შემდეგ, რაც ავტორმა «განდეგილისამ» პირველად აიღო კალამი ხელში და მხნედ, უშიშრად გამოვიდა ჩვენი ცხოვრების უმგვანოების შესაბრძოლებლად. ნიშანი

დიადობისა ზედ შუბლზედ ემჩნეოდა ლიტერატურის ახალ გაზდა გმირს. იგი ბედსაც კი უშიშრად იწვევდა ხმალში, თუ შესაძლებელია ვისმაროთ ეს რაინდული ფორმა სიტყვებისა:

გეყო! (ეუბნება პოეტი ბედს) მოვიდა დრო ანგარიშის,
მოდი გავსწორდეთ, ნუ მემალები,
წარვიდნენ დღენი შენის უფლების,
დროა დავსცვალოთ ჩვენ ადგილები.
შენს დუდუკზედა აქამდინ ვხტოდი,
ბევრჯერ და ბევრჯერ შემაძრუწუნე,
ეხლა დუდუკი მე მაქვს, აქ მოდი,
მე დავუკრავ და—შენ კი იხტუნე.

კარგად გრძნობდა ახალ-გაზდა პოეტი, რაც მოელოდა მას, იცოდა ის საზოგადოება, რომელშიაც ბედმა არგუნა ამდენის ხნის ნაყოფიერი შრომა, იცოდა რა სიმწარე მოელოდა ამ საზოგადოებისაგან და, როგორც წინასწარმეტყველი, წინასწარ ხედვიდა თავის სიმარტოეს, თავის სულიერს ობლობას, იმ ობლობას, რომელმაც ასეთი შხამით აღვსილი სიტყვები წარმოათქმევინა პოეტს:

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო.

მაგრამ მაინც ვერა აშინებდა-რა მასა და მის ამხანაგებს, დიდი ჰქონდათ საკუთარი სიმხნე და სიყვარული საქმისა და ამ სიმხნითა და საქმის სიყვარულით აღჭურვილნი შეუდგნენ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესობას; თავდაპირველად თ. ი. ჭავჭავაძე და მისი ამხანაგები შეერთებულნი, ერთი გრძნობითა და აზრით გატაცებულნი, შეებრძოლნენ ჩვენის საზოგადოების მაშინდელ მამამთავრებს და ძირს დასცეს იგინი. საზოგადოება სრულიად ახალს გზაზე დააყენეს, მიძინებულს ერს იდეალი დაუსახეს, ყრუ ტყეში შარა გაუკაფეს და დღესაც, დღესაც არ დაუგდიათ ეს ერი, დღესაც მის ღაღაობასა ცდილობენ, ან კი რას ვამბობ, დღესაც მარტო იგინი არიან ამ ერის მეთაურნი.

ეს ისეთი ძნელი საქმე იყო, ისეთი დიდი გმირობა იყო, რომ ჩვენთვის დღეს წარმოსადგენადაც გასაჭირია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40 წლის წინად ქართველ ერს თითქმის არავითარი იდეალი აღარ ებადა, აღარავითარი საეროვნო მისწრაფება არა ჰქონდა, ყოველივე ამამაღლებელი გრძნობა ჩამქრალი იყო მაში და მაშინდელი საზოგადოების მეთაურნი გარეგანს განცხრომასა და ფუფუნებას უფრო მისდევდნენ, ვინემ ერის კეთილდღეობისთვის ზრუნვას.

40 წლის წინად ქართველი ერი საშინელს უმეცრებისა და უვიცობის მორევში ცურავდა. 40 წლის წინად ქართველ ერში ოთხი-ხუთი თუ მოიპოვებოდა ისეთი, რომელთანაც შესაძლებელი იქნებოდა რამე მაღალ საგნის შესახებ დალაპარაკება. საეროვნო თვითცნობიერება დღესაც სუსტია და მაშინ სულ რაღა იქნებოდა? მაგრამ ამ კაცთა მეოხებით დღეს მაინც დიდი ცვლილება არის, დღეს დიდი თუ პატარა ცდილობს, რამე ნაირად თავი გაიმართლოს «ვიღაცას» და «რაღაცას» წინაშე, როცა გულგრილად ეკიდება საზოგადო საქმეს.

მაშინ სასაცილოდ იყო აგდებული ქართული ენა, ქართული მწიგნობრობა; აზრადაც არავის მოსდიოდა, რომ არსებობდეს რაიმე ქართული საზოგადოებრივი ინტერესი. მაშინდელ ქართულ წიგნს მკითხველი არა ჰყავდა; ჟურნალ-გაზეთს ასიოდე ხელის-მომწერი თუ ჰყავდა... უკაცრავად, ასი ნომერი გამოდიოდა და ურიგდებოდა ხელის-მომწერთ, მაგრამ ეს იმასა ნიშნავს, რომ 10 ან 15 კაცი იწერდა ამ ასს ნომერს ისე საქველმოქმედო აზრით და დღეს ხშირად შეხვდებით ზოგიერთს ოჯახში რამდენსამე ეგზემპლიარს ერთისა და იმავე წლის ჟურნალის ნომრებისას, რომელიც ხელუხლებლად, ბაწრით შეკრული მიგდებულია სადმე კუთხეში.

დღეს ქართველ ინტელიგენტთა გუნდი დღითი-დღე იზრდება, უმაღლესს სასწავლებლებში 200 კაცზე მეტი გვყავს, ამ ორასში ორმოცმა მაინც იცის ერთი თუ ორი ევროპიული ენა, აქვს სურვილი შეიძინოს ევროპიული განათლება, თავისი გონების განსავითარებლად, ერის კეთილდღეობის განსამტკიცებლად.

დღეს ჩვენ ჟურნალ გაზეთობას ათასობით ჰყავს ხელის-მომწერი და ათიათასობით მკითხველი.

მაშინ ხალხს სრულიად არ მიჰკარებია განათლება და დღეს აიღეთ ერთი კუთხე მაინც ჩვენის ქვეყნისა, სადაც ეს განათლება

რაიმე გზით არ შეპარულიყოს. მრავალი სოფლებიდან მოგვდის საჩივარი, ხალხი სრულიად დაყრუებულია, განათლების შუქი უნდა მივაწვდინოთო. რას ამტკიცებს თვით ეს ჩივილი, ეს საყვედური, თუ არ იმას, რომ ყოველს სოფელსა ჰყავს ეხლა თითო მაინც მისი ინტერესების დამცველი, ამ განათლების მწყურვალი და იმ დროს არც კი იცოდა საზოგადოებამ, არსებობენ თუ არა ასეთი სოფლები.

ამ საოცარის ცვლილების თუ მთლად შემქნელი არა, გმირი, მხნე და ენერგიული ხელმძღვანელი მაინც იყო თ. ჭავჭავაძე თავისი ამხანაგებით, რომელნიც ერთ სულ და ერთ ხორც შეერთებული შეებრძოლნენ ჩვენის საზოგადოების მავნე ძალებს, შინაგანი იყო ეს ძალა, თუ გარეგანი.

ერთი რამა ჰქონდათ კიდევ იმ დროის მეთაურთ, რითაც ეხლა ღარიბნი ვართ: ეს გახლდათ დიდი ტალანტი, დიდი ნიჭი. ამ ნიჭისა და ბუნებრივის მხნეობის შედეგი იყო ისიც, რომ ამ თაობასა ჰქონდა რწმენა თავისი თავისა, თავისი საქმის სამართლიანობის და მიუცილებლობისა, დიდი სურვილი სამშობლოს სამსახურისა და ამ სურვილისაგან აღგზნებული ენერგიული მეცადინეობა უჩვენებდა მათ იმ «სხვა ვარსკვლავს», რომელსაც იგინი სდევდნენ. ამ სურვილით წაქეზებულნი იკვლევდნენ თავის ცხოვრების და მოქმედების პროგრამას და წინადვე განსაზღვრულს გზაზედ მიდიოდნენ.

აი ეგრედ შეიარაღებული თაობა გამოვიდა ბრძოლის ველზედ და მედგრადა და მხნედ შეებრძოლა უშიშარ გამოცდილ მეომრებს, სიმდიდრითა და მაღალ ხარისხოვნებით ცნობილებს. და თუმც ეს «უჩინონი» «ჩინიანთ» ბუზადაც არ მიაჩნდათ, თუმც იგინი აღიარებულ იქმნენ «კატის კნუტებად» «სულითა, ღონითა და სწავლით სუსტად» ვერ შემძლებად «ყარსის აღებისა», მაგრამ ამ თაობამ ეს «ჩინიანნი» და «კატის კნუტების» ხაფანგებს ქვეშ დამწყვდეულნი ძირს დასცა, მათი ადგილი თითონ დაიკავა და საზოგადოებაც უკან გაიყოლია, ახალის კეთილის მომავლისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II

ეხლა ის გვმართებს, გავიგოთ რა ნაირად დაიბადა ჩვენს მწერლობაში თ. ჭავჭავაძის მეოხებით დიდი აზრი და სურვილი ერის წყლულისა და ტკივილის განკურნებისა.

ისტორიას ლიტერატურისას, რომელიც აშენებულია ევოლუციის მეთოდზედ, ორი რამე აქვს საგნად: პირველად ყოვლისა გაჩვენოს ლიტერატურულ ჟანრთა ცვლა, ფორმათა, გვართა; ხოლო მერედ იდეათა ცვლილება. ამა თუ იმ დროში ესა თუ ის ლიტერატურული გვარი მეფობდა. მხოლოდ ყოველნაირი გვარი ლიტერატურისა ყოფილა რაიმე აზრის გამომხატველი და აი ევოლუცია იდეათა ლიტერატურაში გამოიხატება ამ ფორმათაგან გამოსახულს აზრთა ცვლილებაში. ვსთქვათ საფრანგეთში XVII საუკუნეში სამი გვარი ლიტერატურისა მეფობდა—ტრაგედია, საეკკლესიო მჭერმეტყველება და მორალური აფორიზმები, ანუ აზრები პასკალის და ლაბრიუერის გვარისა. ყოველივე მათგანი და ერთად ყველა ზედ გამოჭრილი იყო იმ დროის საპოლიტიკო და საეკონომიო პირობებზე, გამომსახველი იყო აგრეთვე იმ დროის უმთავრესი მიმართულებისა. სამივე ზემოხსენებული გვარი იყო ცოტად თუ ბევრად უპიროვნო გვარი ლიტერატურისა; თუ არც ტრაგედია, არც საეკკლესიო მჭერმეტყველება და არც მორალური სენტენციები არ აძლევდნენ ნებას პირადის მწუხარებისა და ტანჯვის, პირადის სიხარულისა და აღტაცების გამოსახსატველად, მაშინდელი პოლიტიკური ცხოვრებაც იმგვარი იყო, რომ პირადობა მიჩქმალული გახლდათ, მარტო და მხოლოდ სახელმწიფო ითვლებოდა ანგარიშში და სხვა არა რად და ეს სახელმწიფო განხორციელებული იყო ერთის მეფის პირადობაში. კერძო კაცი აღარ არსებობდა სახელმწიფოსთვის. აქ ყოველიფერი იყო გარდა ინდივიდუალიზმისა, ყოველიფერი შესაძლო იყო სახელმწიფოსთვის და არა რა ინდივიდუუმისათვის, იგი იყო ერთად ერთი გამგე, მბრძანებელი და გამომსახველი ყოველთა აზრთა და გრძნობათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინდელი ლიტერატურაც სწორედ ამავე აზრის მქადაგებელი იყო და პირადობის უფლებათა დაცვა არად მიაჩნდა, დავიწყებული ჰქონდა. კაცი განყენებულ გეომეტრიულ ფიგურად იყო მიჩნეული, რომლის ყოველივე გრძნობა და მისწრაფება დამორჩილებული ჰქონდა განყენებულს პრინციპებს მეფისა და საზოგადოების მორჩილებისას. კორნელი, ეს სასახლისავან აწუნებული დიდებული ტრაგიკოსი ვითომ და მისთვის, რომ საკმაოდ ვერ იჩენდა მართლ-მორწმუნეობას აბსოლუტიზმის წინაშე, ეს კორნელიც კი ამ აზრთა გამომხატველია და შეიძლება შეცდომით შენიშნეს სისუსტე ანა და, რასინთან შედარებით, მართლაც ცოტა არ იყოს მქრთალი აბსოლიუტისტი გამოდიოდა. აიღეთ მისი ცინნა რომელიც მეფეთა უერთგულესი ქვეშევრდომობის დიდებასა და მეფეთა გულ-ჩვილობის და გულ-კეთილობის გალობა; მისი პოლიევქტი, სადა სარწმუნოებისათვის თავის განწირვის მაგალითებია იდეალად დასახული; აიღეთ მისი ჰორაციუსი, სადა ის გმირია ნაქები, რომელსაც ყოველივე გულის მოძრაობა ჩაუკლავს ნათესავური, მეგობრული, საყვარლის არსებისადმი სიბრალული მოუსპია და მარტო ერთით არის აღტყინებული და ერთის ფანატიკოსია: მამული დაიცვას, მამულისა რა მეფის ერთგულების მოღვაწედ დაიდვას; ანუ სიდი, სადა რაინდულის პატივის მოყვარეობისათვის ყოველივე გრძნობის განწირვაა გამოხატული და იდეალად დასახული. ყოველ ამათში მარტო ერთი უმთავრესი აზრია გატარებული, ეს ის რომ პირადი სიცოცხლე, მისი გრძნობა, სულის კვეთება ყოველივე ეს არის ხელ-შეუხებელი საკუთრება სამეფოის, სახელმწიფოისა და საზოგადოებისა. ჩვენ აქ სრულიადაც არ გვინდა ამ აზრის სისუსტე ანუ სიძლიერე აღვნიშნოთ, გვინდა მხოლოდ იმის მაგალითები შევიტყოთ, თუ როგორ შეიქმნება ესა თუ ის გვარი ლიტერატურისა გამომხატველი ამა თუ იმ აზრისა.

ყოველივე მწერლის ნაწარმოები იმ სახით არის საინტერესო ამ მხრით, თუ რა ადგილი უჭირავს მის ნაწარმოებს ჟანრთა ევოლუციაში და მისი ნაწარმოების შინაარსს აზრთა მიმდინარეობაში. ჩვენ არას ვიტყოდით არც ალ. ჭავჭავაძეზე, არც გრ. ორბელიანზე, არც ნ. ბარათაშვილზე და დღეს არც ილ. ჭავჭავაძეზე, თუ ყოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკე მათგანის ნაწარმოებს არა ჰქონდეს მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის ფორმათა და აზრთა ევოლუციაში, ცვლილებაში.

თავდაპირველად თ. ჭავჭავაძე და მისი თანამედროვე თაობა გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზედ საზოგადო პროგრამით. ეს პროგრამა უარსა ჰყოფდა იმ მიმართულებას, რომელთა მიმდევარნი «კაცის მხნეობასა და ზნეობას» ჩინებით ზომავდნენ, სარწმუნოებას და სათნოებას ფარისევლობად გარდაქციათ «უსაქმოდ მოკუნტულნი და გაბღინძულნი ეყარნენ» და ყოვლის ღონით ცდილობდნენ «ძირი გამოეთხარათ ახალ-თაობის ღარიბ ერთობისათვის». ახალ თაობას, როგორც თვით მეთაური აცხადებს: არ უგრძვნია «ღმერთი არმობის, ღმერთი ყალბობის, ღმერთი მზაკვრობის, და თვალთმაქცობის»; ამ თაობას «ღმერთი უქმობის, ღმერთი ხარბობის და მცარცველობის» მათი წინააღმდეგებისათვის დაეთმო; მას სწამდა «ღმერთი უქმთა წამწყმედი, ტვირთ მძიმეთ და მაშვრალთა მხსნელი, ღმერთი ტანჯულთა, ღმერთი ჩაგრულთა, ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი, ყოველთა ძმობის, თანასწორობის მოძღვრებისათვის ქვეყნად ჯვარცმული, ძლიერთ დამხმელი, უძლურთ ამხსნელი, ორგულობისა, ორპირობისა მტრსა დამცემი და დამთრგუნველი, ფარისეველთა, სადუკეველთა გამკიცხველი და გამდევნელი». ეს თაობა გამოდიოდა ჩვენის დაცემულის ენის მოსარჩლედ, იმ ენის, რომელსაც უწინდელთა მეოხებით «მკვდრის სუდარი ეფარა»; ენა, რომელიც უწინდელ თაობას მოეკლა, «ამას მიელო გასაცოცხლებლად», ენა უწინდელის თაობისაგან გმობილი, მათგან ლტოლვილი, ამათ თავიანთ ქოხში შეეფარებინათ და «კარგად თუ ავად იმას ინახვიდნენ».

თვით ილია ჭავჭავაძესაც არა ჰქონია თავდაპირველად თავის ნაწერებში დაწვრილებით და სავსებით გარკვეული დიდი საგანი ერის უნუგეშო მდგომარეობისა, მისი გონებრივისა და ზნეობრივის დაქვეითებისა და ამ დაცემადაქვეითების მიზეზები არა ჰქონია გამოკვლეული.

ეს კი არის, რომ პატრიოტობა მას «სალანძღავ სიტყვად არ გაეხადა» და სამშობლოს სიყვარული წმინდად და დიდებულ რამედ მიაჩნევია. «მამულისთვის სიკვდილი მეტად დიდი რამ არი!»—ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზობს ჩვენი პოეტი. «უკვდავი არის შვილი მამულისთვის მომკვდარი!» «მამულს მიგცა ზეცამ,—ეუბნება მისი «დედა» შვილს,—და თუ ზედ დააკვდები, ნუგეშ იცეს დედამა, რომ კაცი კაცად ჰკვდები.» ამ სიყვარულის გავრცელებას ცდილობს იგი, ხალხს დავიწყებული იდეალები გაახსენა, ისტორიული მაგალითები გმირობისა და რაინდულის თავგანწირულებისა თვალ-წინ დაუყენა («დედა და შვილი», «დიმიტრი თავ-დადებული»).

სიყვარული სამშობლოისა არის უმაღლესი მოვალეობა, რომლის ასრულება მათ უფრო სავალდებულოა, რომ მხოლოდ იმ ქვეყნის და იმ მხარის ბედნიერება არის კერძო პირადობის სრული გამბედნიერებელი, სადაც ეს პირადობა შობილა და გაზრდილა.

უბედურის მამულის შვილი არ შეიძლება ბედნიერი იყოს, თუ იგი პირუტყვი არ არის და, თუ პირუტყვია, ისიც ბედნიერი კი არ არის, თავისი უბედურება ვერ გაუგია. მამულის სიყვარული, რა მოვალეობაა და რა იდეალები უნდა ჰქონდეს დასახული მას, ვისაც მამული უყვარს? უმთავრესი სურვილი და მეცადინეობა სამშობლოს მოყვარულისა ის უნდა იყოს, რომ ის ერი, ის ქვეყანა, რომელშიაც ყოფნა ღმერთმა არგუნა, იყოს აღმასრულებელი კაცობრიობის უმაღლესის მოვალეობისა. კაცობრიობას ცხოვრებამ თუ განვებამ ერთი იდეალი დაუსახა—კეთილის განხორციელება და ბოროტის დამარცხება. ცხოვრებაში ეს ორი პრინციპი იბრძვის დღემდის და ამ ბრძოლაში კაცობრიობის საუკეთესო ნაწილს ყოველთვის კეთილის მხარე ეჭირა და მომავალშიაც მისი ცხოვრების აზრი იმაში მდგომარეობს, ჩამოაცალოს ბოროტს თავისი შემცდარი ძმები და კეთილის რაზმში შეუყაროს თავი.

უმაღლესი კეთილი, რომელიც კაცობრიობას თავისი ზნეობრივის ცხოვრების სალტოლველ საგნად დაუსახავს, ის არის, რომ ყოველი კაცი კერძოდ, ყოველი ერი საზოგადოდ, იყოს ზნეობრივად და ქონებრივად კმაყოფილი, რომ ყოველ კაცს უყვარდეს მოყვასი თვისი, ვითარცა თავი თვისი და ყოველ კაცს სასიამოვნოდ მიაჩნდეს «თავისა ივისისა უარყოფად, რათა აღიღოს ჯვარი თვისი და შეუდგეს» ჩვენს იდეალს უმაღლესის ზნეობრივის სიკეთისას.

იდეალი კერძო პირისა ის უნდა იყოს, რომ ძმა თვისი უყვარდეს «ვითარცა თავი თვისი», სხვა არ დაჩაგროს. თანაც თავი არავის დააჩაგვრინოს, რადგან ეს სურვილი სხვისი დაჩაგვრისა, რომელსაც დაუბუდებია კერძო კაცში, გინდ მთელს ერში, თესლია ბოროტისა და ბოროტის წინააღმდეგ კი ბრძოლა მოვალეობაა ადამიანისა.

ასე გვესმის ჩვენ მამულის მოყვარეობა და, თუ მივიღებთ ეგრეთის განსაზღვრას ამ გრძნობისას, საჭიროა ვიცოდეთ ამ გვარის აზრის აღმსარებელი იყო თ. ჭავჭავაძე და მისი თაობა თუ არა? ამის შესახებ მხოლოდ «ჰო» ითქმის, და ამის დამამტკიცებელი საბუთი არა ერთხელ მოუცია თ. ჭავჭავაძეს. აი რას ამბობს მისი ჟურნალი, რომელიც რასაკვირველია მისი რედაქტორის აზრის ჭეშმარიტი გამომსახველი იყო: «თუ სხვაგან ეგოისტურია», ჩვენში მამულის სიყვარული სხვა თვისებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა, იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას, ამ გრძნობაში თავისთავის მეტი არა ურევიარა. ვისიმე სიძულილი, დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ არის. ჩვენს მამულის შვილებს სურთ წარმატება ჩვენის ეროვნობისა და ვინაობისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან საცოცხლე და ადამიანური არსებობა. ჩვენი მამულის შვილები ნატრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორის გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გაკლებული; როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონავებისათვის, არამედ თავის საკუთარის დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულის შვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათის დამცირებით ვისიამოვნოთ, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გაუკვლიოთ გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისა. («ივერია» № 1882 წ.) მონტესკიე ამბობდა სიტყვებს, რომელიც შეეძლო ეთქვა მარტო ისეთის დიდის ეპოქის დიდებულს შვილს, როგორიც იგი იყო: თუ ქვეყნიერობის ბედნიერებისათვის საჭიროა, ჩემს ქვეყანას გავსწირავო. თ. ჭავჭავაძე და სხვა მის თანამედროვეთ კი ეს შეიძლება არ ეთქვას, შეიძლება ისიც ეთქვათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თუ ჩემი სამშობლო არ იქმნება, ქვეყანას რას დავსდევო. მაგრამ კი არ იფიქროთ ეს ბოდბელის ანდაზისებური იყოს («თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედ ნუ ყოფილაო»). ეგეთი მხეცური აზრი თავის დღეში არ მოუვიდოდათ აზრად ისეთს იდეალისტებს, როგორნიც იყვნენ მესამოცე წლების ჩვენი მოღვაწენი. მათ სწამდათ მხოლოდ, რომ ქვეყანა მაშინ იქნება ბედნიერი, თუ ყოველი ერი ქვეყნიერობის შემადგენელი ბედნიერი იქმნება. მათ არ შეეძლოთ წარმოედგინათ რაღაც განყენებულის ქვეყნიერების ბედნიერება, თუ მისი შემადგენელი ნივთიერება, ცალკე ერი, ბედნიერი არ იქნებოდა.

ყოველივე აზრი ყვავილის თესლს მიაგავს. იგი თესლი, თუ კარგს ნიადაგზედ მოხვდა და კარგი მომვლელი ეყოლა, გამოიღებს მცენარეს, მცენარე ყვავილს და ყვავილი კვალად თესლს და ასეთის სამარადისო მსვლელობა ბუნების ორგანიულ ნაწილების განვითარებისა.

აზრიც ეგრე იბადება: თუ კარგს გულს მოხვდა, ფრთებს შეისხავს და მის ზრდას დასასრული აღარა აქვს.

ამგვარი თანდათანობითი ზრდა ემჩნევა საეროვნო აზრს ჩვენს ლიტერატურაში საზოგადოდ. ხოლო თ. ილია ჭავჭავაძის ნაწერებში ეს ზრდა უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოიხატა.

თ. ჭავჭავაძე პოეტი და დიდბუნებოვანი არსებაც რომ არა ყოფილიყო, ისეთს დროში იყო დაბადებული, რომ არ შეეძლო ერის ტანჯვა-ვაებისათვის ზურგი შეექცია. ამ გაცმა კარგად იცოდა ის სენი, რომელიც სიცოცხლეს უსპობდა მას და განა შეიძლებოდა მის გულის სიმებს სამგლოვიარო ხმა არ გამოეცა ამის გამო? განა შეიძლებოდა პოეტის გული არ აღეშფოთებინა და სიცოცხლე არ მოეშხამა მას, რომ მისი სატრფო «სხვას ასმევდა ნექტარს ნეტარებისას; სხვას თავს ევლებოდა, შეჰხაროდა, სხვას ეტრფოდა?» ესე იგი, შეჰხაროდა და შესტრფოდა იმ იდეალებს, იმ აზრებს, რომელიც პოეტისაგან დაგმობილი იყო.

წარმოსადგენია განა, რომ ეხლანდელის ცხოვრების გახრწნილების შემგნებელს «აჩრდილი» არ დაეწერა, სადაც რამოდენიმე თავში საოცარის სიმკაცრით არის გამოხატული ჩვენი გათახსირება? რა წარმოსადგენია აბა დღევანდელი გარყვნილის, ზნეობა-დაცემუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის და სალახანა «ტიტიკოებისათვის» არ დაუპირდაპირებინა «დიმიტრი თავდადებული» და მისი გმირული, რაინდული მოქმედება სამაგალითოდ არ დაუსახა. «დედა და შვილის» დედა დარეჯანების გვერდით არ დაუნახვებინა? უეჭველია ეს კი სხვაგვარის გრძნობების ამშლელი იყო, არა-ჩვეულებრივი ჩვენის ლიტერატურისათვის: აწმყოს აზიზღებდა მკითხველს, წარსულში სასოებისა და იმედის საფუძველს უპოვიდა და მომავალში იდეალებს უსახავდა. ამ ლექსებს საეროვნო გრძნობების განმტკიცების მხრივ ჩვენს ლიტერატურაში უპირველესი ადგილი უკავიათ. თუ შეადარებთ, მაგალითად, თ. ი. ჭავჭავაძის სამშობლოს სიყვარულის გამომხატველ ლექსებს, ასეთსავე ლექსებს თ. გრ. ორბელიანისას, თ. ალ. ჭავჭავაძისას და თვით უკვდავ ბარათაშვილის ლექსებსაც, ნახავთ, რომ თესლი ყვავილად ქცეულა, და ამ გრძნობათა გამოხატვაში ჩვენს პოეზიას თ. ი. ჭავჭავაძის მეოხებით დიდი ბიჯი წაუდგამს წინ და უფრო ნათელს, უფრო გარკვეულს გზას დასდგომია.

აიღეთ, მაგ., თ. ალ. ჭავჭავაძის «გოგჩის ტბა», ეს ერთად-ერთი გამომხატველი მის საეროვნო მწუხ რებისა, რა იხატება შიგ? მხოლოდ ვაება დაკარგულის დიდების გამო, მწუხარება ამ დიდების გაქრობით გამოწვეული, მაგრამ ამ მწუხარებაში არ იხატება არავითარი მისი აზრი არც აწმყოსა და არც მომავლის შესახებ.

მწუხარება, და უფრო ზოგადი ფილოსოფიური ტერმინი რომ ვიხმაროთ პესსიმიზმი, ორგვარია. ერთი პესსიმიზმი უაზროა, უიდეალო და უნუგეშო, რომელიც დარდობს მხოლოდ დაკარგულის გამო და არაფერს ელის არც აწმყოისა და არც მომავლისაგან; გიდევ მეტი, არავითარი იდეალი არა აქვს არც აწმყოში და არც მომავალში; მეორე გვარი პესსიმიზმია ის მხნე პესსიმიზმი, რომელიც ჰხედავს, რომ აწმყო და გინდ წარსული სატირალია იმ იდეალთან შედარებით, რომელიც დაუსახავს ცხოვრებაში და რომლის მიღწევასაც სცდილობს. ხანდისხან ამგვარის გრძნობით აღვსებული კაცი წარსულს ადარებს აწმყოს, წარსულთან შედარებით აწმყოს აძაგებს და ამ წარსულში იძიებს საფუძველსა და გამხნევებას უკეთესი მომავლისაკენ მისასწრაფებლად. იგი აწმყოსაც უარსა ჰყოფს და უკეთესს ბრწყინვალე მომავალს შეჰყურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ის პესსიმიზმია, რომელიც გაიძახის:

„მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი მყობადი
„ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

ეს ის პესსიმიზმია, რომელიც პოეტს ამ სანუგეშო ლექსებს წარმოათქმევინებს: «ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია, აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია».

ეს ის პესსიმიზმია, რომლითაც გამსჭვალული პოეტი «გონებით უნდო» მშვენიერ დილასაც კი ვერ მოუხიბლავს და რომელიც ბუნების «დუმილშიაც» კი «წყევლასა» ჰხედავს. ამგვარად გულ მოწყლულს პოეტს იმედისა და სასოების ნიჭი კიდევ არ დაჰკარგვია და კიდევ ჰხედავს, რომ

„მსწრაფლ გარდმოეშო ცისა ლაჟვარდსა
შვიდ ფერიანი სარტყელი ცისა
და გადეფინა ჩემს ქვეყანასა
მახარობელად ტკბილ იმედისა.“

და განაგრძობს:

„ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,
ერთს ფიქრს მიეცა გულის თქმა ყველა
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ
ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა“.

ვერც თ. ალ. ჭავჭავაძემ მიაღწია ამ გარკვეულობას, ვერც გრ. ორბელიანმა, და ვერც თვით უკვდავმა ბარათაშვილმა მეთქი, მოგახსენეთ. ძველთაგან მარტო თ. ვახ. ორბელიანმა აირჩია სრულიად გარკვეული გზა, როგორც თვით თ. ილ. ჭავჭავაძეც ბრძანებს: «ამ გზაზედ ისე გადაუხვევლად, ისე სისწვრივ ჩვენში არც ერთს პოეტს არ უვლია და დიდი წილი უდევს მას, რომ ამ გრძნობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ფრთა აისხა,» მაგრამ თ. ვახ. ორბელიანმა ხომ მაშინ დაიწყო წერა, როცა ჩვენს ლიტერატურას ახალმა სულმა დაჰბერა.

თუ ძველებში მარტო «იმედის» ავტორმა აირჩია სრულიად გარკვეული გზა, ახლებში თ. ილ. ჭავჭავაძემ განაგრძო და შეას-

რულა ეს საქმე. პირველსავე ნაწერების სტრიქონებში გამოხატა ეს მხურვალე სიყვარული თავისი სამშობლოისა. პირველ მის ლექსებს ეკუთვნის სამაგალითო ლექსი «ქართვლის დედის» მიმართ, რომელსაც არა ერთხელ აუფეთქებია ჩვენი გული, რომლის ღრმა და ნათელი აზრი სულის ამამაღლებელი რამ არის. მისი განსხვავება სხვა პოეტებისაგან აქვე იწყება. თუ იგინი წარსულზედ უფრო სტიროდნენ და მომავალს არავითარს ყურადღებას არ აქცევდნენ, ამან მომავალს მიაპყრო იმედებით აღსავსე თვალები და გამამხნევებელი ლექსი შემოსძახა თავისს თანამედროებს:

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა
რაც უწყალოს დროთა ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი"...
„ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი მყობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს".

დღეის იქით მას სამშობლოზედ ფიქრი აღარ ასვენებს და ყოველსავე შემთხვევაში ეძლევა ათასნაირი დარდი და გრძობს სამშობლოს გამო.

ბუნების იდუმალი სევდასა ჭვრის და სამშობლო ქვეყანას გულის მომწყვლელის საყვედურით მიჰმართავს პოეტი:

ოჰ, ღმერთო, ღმერთო, სულ ძილი, ძილი,
როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება!

ბუნების აყვავება და განმაცხოველებელის გაზაფხულის სურათი ისევ სევდიანს, მაგრამ ნაზის საყვედურით აღსავსე, გრძნობებს აუშლის და ამ გვარივე კითხვით მიჰმართავს სამშობლოს:

აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები...
მამულო საყვარელო,
შენ როსლა აყვავდები?

დაინახავს «ჭაბუკსა ვისმე ჩაუქს», რომელიც თავის სიმარდეს და სიმკვირცხლეს ოსმალეთის დასამშვენებლად ხმარობს, სიამოვნების ნაცვლად «ნაღვლით აერევა სული, გული» და ეუბნება:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

...ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ აშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსა?
შენ სიმარდეს, სიჩაუქეს, ქართლი შენი არ დაჰყურებს,
მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიხალისებს!

არაგვს დაინახავს, თერგსა თუ ალაზანს, მხოლოდ თავისი ქვეყნის დარდი და ვარამი აგონდება, მათში ეძიებს ფუჭად თავის გულის პასუხსა. და ეუბნება პოეტი არაგვს:

გულ-ხელთ დაკრეფილ, შენსა წმინდა წყალს
რამდენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს.
რას ვეძებდი მე? ჩემს ქვეყნის წარსულს,
შენს წინ დაღუპულს ჩემს ძველსა მამულს,
და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღალულს
აძლევდა ხოლმე გულსაკლავ პასუხს.

და დღემდისაც იგივ ფიქრი აწუხებს ავტორს, მამულის კეთილ გზაზე დაყენება იდე-ფიქსად გარდაქმნია და თავის ერთ უკანასკნელს ლექსთაგანშიაც იგივ სამშობლოს ბედ-იღბალით გულ-მოკლული პოეტი გვეჩვენება, რომელიც დამღერის «ბაზალეთის ტბაში» ჩასვენებულს აკვანს და მაში მწოლარე ყრმას:

რომლის არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე და ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?
და თუ ახლა,—დასძენს იგი,—ნეტავ მას
ვაჟ-კაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!
თუ ესე არის, ნეტა მას
დედასა სახელ-დებულსა,
ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის,
თვის ძუძუს მიდლით ცხებულსა!

მაგრამ ყველაზედ უწრფელესი, ყველაზედ უფრო გრძნობიერი, რაღაც ბავშვური გულ-უბრყვილო, მაგრამ თანაც ღრმა და სერიოზული გრძნობებით არის აღსავსე თ. ი. ჭავჭავაძის მგზავრის წერილები, რომელიც მისი მოღვაწეობის პირველ დასაწყისშია დაწერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი რა გრძნობებით უბრუნდება იგი სამშობლოს და რა სევდები აწვებიან გულზედ, როცა უახლოვდება თავის მიწა-წყალს: «როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, ვითვიქრე, რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც სხვა ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება მიმითვისოს კიდეცა, რადგანაც ჩემში მაინც და მაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა ჩადებული. მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავისი ამბავი და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით უნუგეშოს ნუგეში მოვუფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშას შრომა გავუადვილო და ის თვითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ყოლავდეს, ერთად შევაგროვო? შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულს შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისათვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვებსაც გაიგებენ, იმიტომ რომ შვილის სიტყვა—მშობელს ყოველთვის ესმის.»

დიაღ, მამულმაც შეითვისა და შეიტკბო იგი და მანაც მოსწმინდა ჭირის ოფლი სამშობლო მხარეს და მისი თანამედროვისავე აღსარებით «თვით პირველსავე ნაწერებში გამოდის შესანიშნავ მწერლად და გრძნობით სავსე პოეტად, რომელსაც პატიოსანი გრძნობა უღვივის გულში ყველასადმი, რაც ჩვენს უხეირო ცხოვრებას დაუჩაგრავს ან ობლად დაუტოვებია და მაღალი მიმზიდველობა აქვს ყველაფრისადმი, რაც კაცის გულს აკეთილშობილებს, რაც საზოგადოებას ამაღლებს, რაც ხალხს აბედნიერებს და მამულს სარგებლობას აძლევს ან უკეთეს მომავალს უმზადებს... და ნეტავი იმ მწერალს, რომლის შრომას ამნაირი ხასიათი აქვსო» დასძენს ბ. ნიკოლაძე.

ამ «მგზავრის წერილების» დიდი მნიშვნელობა, ჯერ ჩვენს მწერლობას არ აღუნიშნავს, და არ მიუქცევია მისთვის ჯეროვანი ყურადღება. ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ლაპარაკი ატყდა მის შესახებ, ვინ იქონია გავლენა ეგრედ წოდებულს ჩვენს «მთიელთა ლიტერატურაზედ» რომლის ბრწყინვალე მეთაური განსვენებული ყაზბეგი იყო. თვით თ. ილია ჭავჭავაძე თ. რაფიელ ერისთავის ნაწერებს აღნიშნავდა, როგორც პირველს ნიმუშს ამგვარის ლიტერატურისას.

ხოლო ჩვენ კი თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ლიტერატურის დასაწყისი, შთანასახი უნდა ვეძიოთ თ. ი. ჭავჭავაძის «მგზავრის წერილში». მოჩხუბარიძისა და ძმათ რაზიკაშვილების თხზულებათა მთელი აზრი აქ ამ ორ-სამ გვერდზედ არის მოთავსებული, სადაც ავტორი მოხევეს ესაუბრება:

მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოსო“—სთქვი შენ და მე გავიგონე, მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა. იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოჰ, როდემდის, როდემდის?... ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი.

მოხევის გულის პასუხი სავსებით და გარკვევით განსვენებულმა ა. ყაზბეგმა გადმოგვცა და გაგვაგებინა.

ესეთი გახლავთ მსვლელობა საეროვნო გრძნობების განვითარების ჩვენს პოეზიაში. ჩვენთვისა და საზოგადოდ ჩვენის მწერლობისთვის ჯერ-ჯერობით არ შესაძლოა კვალ-და-კვალ თანდათანობით მივსდიოთ ამ აზრის ზრდა-განვითარებას თვით თ. ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებში, რომელნიც არიან საუკეთესო გამომხატველნი ორმოცი წლის განმავლობაში ჩვენის ქვეყნის გონებისა და აზრის ზრდა-განვითარებისა.

თუ ჩვენს ძველს მწერლებს კარგად არა ჰქონიათ შეგნებული ჩვენის ცხოვრების იარები, სამაგიეროდ, თ. ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, იმის დროის მწერლებმა გამოსთქვეს თავისი აზრი და შეხედულებას ტკივილთა თვისებებზე და საშუალებანიც დაგვისახეს მათ დასაამებლად.....

## III

ახლა უნდა გავითვალისწინოთ თ. ი. ჭავჭავაძის სიტყვა-კაზმული მწერლობა და შევიგნოთ, რა ადგილი უკავია ამ მწერალს ქართულ ლიტერატურაში. აქაც ძნელია სავსე, უნაკლულო მიმოხილვის დაწერა, რადგან ჩვენ არა გვაქვს თხზულება, რომელშიაც გარკვეული იყოს უცხოეთის (საზოგადოდ უცხოეთის და არა მარტო რუსეთის, როგორც ზოგიერთსა ჰგონია) ლიტერატურის გავლენა ქართულს მწერლობაზედ. მაინცა და მაინც დიდ დანაშაულებად არ ჩაგვეთვლება, რომ გარეშე ამ გვარის გამოკვლევისა, შევუდგებით თ. ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა გარჩევას. საფრანგეთის კრიტიკოსები აცხადებენ, ფრანგებს არა გვაქვს თხზულება, სადაც აღნუსხული იყოს უცხოეთის ლიტერატურის გავლენა საფრანგეთის ლიტერატურაზედ და უამისოდ ძნელია თვით ფრანგულის მწერლობის შესწავლაო. თუ ეს დაემართა საფრანგეთის ლიტერატურას და მის წარმომადგენლებს, მით უფრო ეპატიებს ქართულს ლიტერატურას და ჩვენც, რომ უცხოეთის ლიტერატურის გავლენას ჩვენს მწერლობაზედ და მწერლებზედ თითქმის გვერდით უნდა ავუაროთ და მხოლოდ გაკვრით შევეხოთ.

ერთი კი უნდა ვსთქვათ: რაიცა შეეხება ერთის ხალხის ლიტერატურის გავლენას მეორე ხალხის გონების ნაწარმოებზედ, მეტად ცვალებადია იგი გავლენა, მეტად და საზოგადოდ ერთობ ძნელია მისი გარკვევით აღნიშვნა. საქმე იმაშია, რომ აზრი, იდეა იშვიათად არის ხოლმე შექმნილი რომელიმე ერთის ხალხისა, უფრო ხშირად იგი ნაყოფია მთელის კაცობრიობის შრომისა და მოღვაწეობისა და ერთი მეორის დახმარებით შექმნილი. მართალია ეს დახმარება თვალსაჩინო არ არის და ამ შემთხვევაში ერთმანერთის მხარის მიმცემნი ვერა გრძნობენ საერთო მუშაობას, მაგრამ აზრთა ზრდის ისტორია გვაჩვენებს, რა ძნელია ამა თუ იმ აზრის პირველ შემქნელის მიგნება. სანამდისაც ჩვენი გონება უწვდება ამ თეორიას, ვხედავთ რომ აზრი გავრცელებულია აქა თუ იქ, ამა თუ იმ ხალხ-

ში და სხვა ხალხის ზედ-მოქმედებით, სხვა ხალხის ლიტერატურისა და გონების ნაწარმოების შესწავლის შედეგი. ხოლო აქედან კიდევ არ შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ,ვითომ იმ ხალხს, რომლიდანაც მეორეს მიუღია ეს თუ ის აზრი, თვით შექმნას იგი, თავდაპირველი ავტორი ყოფილიყოს ამ აზრისა. არა, მასაც სხვისაგან მიუღია ეს სამკვიდრო, თავისებურად შემოულამაზებია და ისე სხვისათვის გარდაუცია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ არც ერთი ხალხი არ სესხულობს აზრს ბრმად მეორესაგან, თუთიყუშივით არ იმეორებს, არამედ თავისებურობის ბეჭედს ასვამს და იმდენად ასხვავებს, რომ თუ ღრმად არ ჩაუკვირდით, თუ თანდათანობით არ სდიეთ ამ აზრის შთანაჩენის წვრთნასა და აღზრდას, ვერც კი გაიგებთ, საიდან წარმოსდგება იგი აზრი. აზრთა გავრცელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს «მიმბაძველობას», როგორც ამტკიცებენ ახლანდელი ფილოსოფოს-მეცნიერნი. კაცთა ისტორია ექვემდებარება მიმბაძველობისა და შემოქმედობის, დაწყების, ინიციატივის, კანონს იმგვარად, რომ ჯერ ერთი ვინმე გენიოსი, დიდი ნიჭის მქონე, რომელსამე ხალხში გაჩნდებოდა რომელიმე დიდი აზრის მოციქული, ეს აზრი ფეხს იდგამდა ჯერ თვით მის ერში, აქ იმაგრებდა ფესვებს და მერე მიმბაძველობის შემწეობით მთელს კაცობრიობაში ვრცელდებოდა. მაგრამ სწორედ აი აქ არის ძნელი გამოსაცნობი, ვინ, რომელი ერი იყო ამა თუ იმ აზრის შემომქმედი? საბერძნეთზედ ეგვიპტეს ჰქონდა გავლენა; ჩრდილო ევროპის კულტურა საბერძნეთისა და რომის ზედ-გავლენის ქვეშა აღზრდილი, რუსეთისა კიდევ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების გავლენის ქვეშ იყო და არის; ჩვენი კულტურა ერთი მხრით ევროპისა და მეორე მხრით აღმოსავლეთის ცივილიზაციის შექმნილია, სულ უკანასკნელ დროს რუსეთის ზედ-გავლენის ქვეშა. ამიტომაც დიდის სიფრთხილით უნდა ვილაპარაკოთ ლიტერატურაში მიმბაძველობის შესახებ. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მიბაძვა იყოს ნაწარმოების უვარგისობის მაჩვენებელი, ან-და მისი ნაკლულევანებისა.

თუ მიმბაძველობა ცხოვრების კანონია, როგორ-და გნებავთ, რომ მარტო ლიტერატურა, ეს უძლიერესი წარმომადგენელი ცხოვრებისა და უმშვენიერესი მისი სამკაული, ამ კანონს გარეშე მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმედებდეს: ყოველს ნაწარმოებში, რა რიგ გენიოსის ტვინსაც უნდა ეკუთვნოდეს. უსათუოდ იქნება მიმბაძველობის ნაწილი, მაგრამ ამ მიმბაძველობას გენიოსი თავისებური ელფერით შემოსავს და ეს სამოსელი თითქმის შეუძლებლად ხდის მაში მიბაძვის კვალის აღმოჩენას.

რასაკვირველია, მწერლის ნაწარმოებში და მით უმეტეს დიდი მწერლის თხზულებაში თვითშემოქმედობას მეტი წილი უდევს, თვითშემოქმედობა პოეტისა გადაასხვაფერებს ხოლმე ნასესხებ ნაწილს. სწორედ ნაწარმოები პოეტისა და გინდ მეცნიერისა და ფილოსოფოსისა, მათი ნიჭის სიმდიდრე და სიდიადე იმდენად დაფასდება, რამდენად ძლიერი იქნება მის თხზულებაში ქმნილება შემოქმედობისა, რამდენად იქნება გადასხვაფერებული ის აზრი და ფორმა, რომელიც მიმბაძველობით მოიპოვა მწერალმა.

ამ მიმბაძველობის მაგალითებით აღსავსეა ცხოვრება და მწერლობა. საფრანგეთის მე-XVIII საუკუნის მწერალთა ნაწარმოები ინგლისის ლიტერატურის ზედ-გავლენის ქვეშ იყო. ვოლტერი, მონტესკიე და ჟანჟაკ რუსსო ავრცელებდნენ ახალის ფორმით ინგლისურ აზრებს, მაგრამ თვით აზრი ისეთის თავისებურობით აღბეჭდეს და ისეთის ენით დაიწყეს ქადაგება, რომ ყველას ფრანგთა მწერლის აღმოჩენილად მიაჩნიათ კაცთა განთავისუფლებისა და ძმობის აზრები.

ეხლახანაც საფრანგეთის ლიტერატურა, ზოგიერთთა აზრით, ჩრდილოეთის (ინგლისი, დანია და რუსეთი) ლიტერატურის ძლიერის ზედ-გავლენის ქვეშე იმყოფება. ამ აზრის წინააღმდეგნი იმას ამტკიცებენ, რომ თვით ჩრდილოეთის ლიტერატურა აღიზარდა საფრანგეთის მწერალთა ზედ-გავლენის ქვეშეო. ჩრდილოეთის მწერლებმა (იბსენმა, ელიოტმა, დიკენსმა, ტოლსტოიმ, ტურგენევმა) ფრანგთა მწერლების (ჰიუგოს, ჟორჟ-ზანდის, ბალზაკის, ზოლასი, დიუმა-შვილის, ფლობერის და სხვათა) აზრები ისესხეს, სხვა სამოსლით შემოსეს და ისე მიაწოდეს ფრანგულს ლიტერატურასაო. სხვები კიდევ იმას ამტკიცებდნენ, რომ თვით ზემოხსენებულ ფრანგმწერალთ სხვისაგან აქვთ ნასესხები თავის თხზულებათა აზრებიო. ეს ყოველივე დამასურათებელია ზემო მოყვანილ აზრისა: ეხლან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელ გონების ნაწარმოებთა შინაარსი, დედა-ძარღვი, მთავარი მიმართულება საუკუნოების ცივილიზაციის შექმნილია და მეტად ძნელია კაცის გონებისათვის იმ აზრთა დასაბამი, იმ აზრთა შემქნელი მოიპოვოს და გამოიძიოს.

აზრი ვრცელდებოდა მიმბაძველობის წყალობით. ყოველივე ზენიოსი ექვემდებარებოდა მიმბაძველობას, მაგრამ თვით-შემოქმედიც ხდებოდა და ამ გვარად მსვლელობდა კაცობრიობის აზრი.

ამ მიმბაძველობის შესახებ ბევრი ვილაპარაკეთ, მხოლოდ მიტომ რომ მიღებულია თქმად, ვითომ ჩვენი ლიტერატურა მესამოცე წლებისა იყო რუსეთის იმავე დროის ლიტერატურის მიბაძვა იყოს. როგორც მეთაურს ი. ჭავჭავაძეს უფრო მეტი დასწამეს ეს მიმბაძველობა. ჩვენთვის კი საჭიროა გამოვირკვიოთ რამდენად საფუძვლიანია ეს აზრი.

იმ დროის მწერლობაში რუსეთში ძალიან ჰუმანური აზრები იყო გავრცელებული. პირველად ყოვლისა, რასაკვირველია, იმ უსაშინელეს მოვლენას შეებრძოლა ეს მწერლობა, რომელსაც «ბატონყმობა» ეწოდებოდა და კაცთა ძმობის ქადაგება ამ მხრით მაინც შესაძლო შეიქმნა. აგრეთვე მაშინდელი მწერლობა შეიქმნა ხალხთა თვით-მოქმედების მიუცილებლობის აღიარებელი და ამაშიაც კვალ და კვალ მისდევდა მთავრობას. გარდა ამისა რუსეთის იმ დროის მწერლობა ყურადღებას აქცევდა საეროვნო საქმეებს. ამ დროში მოხდა დიდი ფაქტი იტალიის განთავისუფლებისა, რომელიც მთელის განათლებულის კაცობრიობის აღტაცებას იწვევდა. რაიცა შეეხება კერძოდ მწერლობას, საზოგადოებრივის აზრებისა და გრძნობების გამოხატვა შეიქნა იდეალი ლიტერატურისა, რუსეთის მწერლობაში დამყარდა რეალიზმი.

არ უნდა დავივიწყოთ, რასაკვირველია, რომ, როგორც მოთხოვნილება «ხელოვნება-ცხოვრებისათვის», ისე რეალური ფორმა, სინამდვილის მიბაძვის დამკვიდრება. ლიტერატურაში, ეკუთვნის იმავე დროის საფრანგეთის ლიტერატურას. როგორც პირველი (მოთხოვნილება აზრიანის შინაარსისა), ისე მეორე (რეალურის ფორმისა) იყო მოთხოვნილება ახალის მიმართულებისა ლიტერატურაში. რომანტიზმი სულსა ლევდა და რეალიზმი ფლობერის მეთაურობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჭერდა პირველს ადგილს. ჟორჟ-ზანდი და ფლობერი — აი ორი უმთავრესი წარმომადგენელი იმ ხანის ლიტერატურისა. ჟორჟ-ზანდი ცალის ხელით რომანტიზმს ებღაუჭებოდა, მეორეთი რეალიზმს. ამ დროში დაიწყო ჟორჟ-ზანდმა გლეხთა ცხოვრების აწერა, ამ დროში (50—60) დამყარდა ლიტერატურაში საზოგადო აზრების გამოხატვის მოთხოვნილება. ეს კი წინააღმდეგი მიმართულება იყო რომანტიზმისა, რომელიც პოეტის პირადი ტანჯვამწუხარების, კვნესავაების გამომხატველი იყო.

საფრანგეთის ლიტერატურაში რეალიზმი დამყარდა და რეალიზმთან ერთად ლიტერატურის, პოეზიის მეთაურთ თავიანთის პირადის გრძნობების გამოხატვას თავი მიანებეს და «კაცობრიობის ტანჯვის, ერის ვაების» გამოხატვას ცდილობენ.

ამ გზას დაადგა რუსული ლიტერატურა და ქართულიც თ. ჭავჭავაძის მეთაურობით.

რუსეთის პუბლიცისტებთან ერთად თ. ჭავჭავაძე ჰქადაგობს, რასაკვირველია, ჰუმანურ აზრებს, რომელთაც იგინი სესხულობენ ფრანგ მწერალთაგან. გარდა ამისა ის, რამაც რუსეთის მწერლების ყურადღება მიიქცია მხოლოდ გაკვრით, თ. ჭავჭავაძისა და მის თანამედროვე მწერლების ნაწარმოებთა სულად გარდაიქცა, მთავარ საგნად, დედა-მარღვად.

რუსეთის ლიტერატურა დიდ ყურადღებას არ აქცევდა, მაინცა და მაინც მაგალითად, მაშინდელ იტალიურ ლიტერატურულ მოძრაობას... ესე იგი, თუ აძლევდა ადგილს რასმე ამ საგნის შესახებ, მარტო იმიტომ, რომ, როგორც ჰუმანურ აზრთა მიმდევარს, მოვალეობად მიაჩნდა ესა... სული და გული მათი კი, რასაკვირველია, ცოტა არ იყოს, გულგრილი რჩებოდა ამ საგნების გამო. და ეს სრულიად ადვილი მისახვედრია.

თუ ლიტერატურაში თ. ჭავჭავაძე, როგორც ქვემოდ დავინახავთ, შეიქმნა ჩვენში რეალიზმის დამწყები და მამამთავარი, ეს მარტო მიმბაძველობით როდი მოსვლია, არამედ ამას მოითხოვდა თვით ჩვენის ლიტერატურის მსვლელობა.

ევროპის ამ საუკუნის ლიტერატურის მსვლელობა მიდიოდა ამ გზით: რომანტიულს ლიტერატურას მოჰყვა რეალური, ინ-

გლისში ბაირონსა და შელლის მოჰყვა ელლიოტი და დიკკენსი, საფრანგეთში შატობრიანისა, ლამარტინისა, ჰიუგოსა და დევინის ადგილი დაიკავეს ბალზაკმა, ფლობერმა და ზოლამ. რუსეთში პუშკინსა და ლერმონტოვს მოჰყვა გოგოლი, ტურგენევი და ტოლსტოი. ქართულს ლიტერატურაში ალ. ჭავჭავაძემ დაიწყო რომანტიული ლიტერატურა, გრ. ორბელიანმა განაგრძო, ნ. ბარათაშვილმა უმაღლეს წერტილამდის მიიყვანა; თ. ვახ. ორბელიანსა, თ. მამია გურიელს წილად ხვდათ რომანტიზმის გედის სიმღერის შესრულება; თ. გ. ერისთავი თავისი კომედიებით ჩვენს ლიტერატურაში რეალიზმის მამათავარი შეიქმნა, ხოლო პოეზიაში რეალიზმის დამწყებად გამოვიდა თ. ი. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი. ჩვენი ლიტერატურა თუ მისდევდა ამ შემთხვევაში საზოგადოდ ევროპის ლიტერატურის მსვლელობის, თავისებურობასაც ეტყობოდა: ალ. ჭავჭავაძის რომანტიზმს უფრო მეტად სპარსულის ლიტერატურის ზედ-გავლენა ემჩნევა და ხორციელებისაგან უფრო მიილტვის, ვინემ სულიერებისაგან, ეს სულიერება კი ევროპიულის რომანტიზმის არსებითს მხარეს შეადგენდა და იგი ჩვენში თ. ბარათაშვილმა შემოიღო.

## IV

პოეზიაში თ. ილია ჭავჭავაძე გახლავსთ რეალიზმის დამწყები, რეალიზმის პოეზიაში შემტანი, თუ კი რეალიზმის განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ უპირადო გრძნობებს გვისახავდა, საერო საზოგადო ჭირსა და ვარამს გვამცნებდა, ხალხის კვნესას და სევდიან ოხვრას გვასმენდა.

რომანტიზმი პოეტის პირად გრძნობათა გამომსახველი იყო, მისი კერძო, სულიერის ტანჯვის გამომქვეყნებელი. რომანტიკოსი პოეტი ჰგოდებდა სატრფოსაგან გაწამებას, სიკვდილზედ ფიქრისაგან გამოწვეულს სევდებს გვაგებინებდა და, თუ მისი სასოწარკვეთილება უკიდურესობამდის არ იყო მისული, ბუნებაში მაინც ჰხედვიდა «თვისთა ფიქრთ შვებას გულის სევდის ნუგეშად;» ხოლო უსასოება რომანტიკოს პოეტისა ხანდისხან იქამდისაც მიდიოდა, რომ ბუნებასაც მარტო მაცდურებასა და გულ-ქვაობას ამჩნევდა.

რეალიზმი, როგორც რომანტიზმის უარმყოფელი მიმართულება, პირად გრძნობათა გამოსახვას განაძევებს ლიტერატურიდან და სხვისი სულის მდგომარეობის დასურათხატებასა ცდილობს, სხვის ვაების ხმას გვაგონებს. არა სატრფოს ღალატი, არამედ საზოგადო მწუხარება და ერის კვნესა იწვევს რეალისტ-პოეტის სევდას და ოხვრას, ერის უბედურება უწყლავს გულს და უშხამავს სიცოცხლეს. თ. ილია ჭავჭავაძე სრულიად კანონიერი მემკვიდრეა თ. ბარათაშვილისა. თ. ილია ჭავჭავაძე მართალია რეალიზმის დამწყებია, მაგრამ რომანტიულის პოეზიის ზედ-გავლენას ქვეშაც იმყოფება. ეგრე მახლობელ წინა პარს სრულებით ვერ ჩამოსცილებია და ამიტომაც მის ნაწარმოებში ხშირად ვხედავთ შერეულს რომანტიზმისა და რეალიზმის ნაწილს, თუმც, რასაკვირველია, რეალისტი მწერალი უფრო ძლიერია მაში, ვინემ რომანტიკოსი.

უმთავრესი ტემა, საგანი ი. ჭავჭავაძის ლექსებისა და პოემების საზოგადოებრივი ხასიათისაა. იშვიათად მოიძებნება არა თუ ჩვენს ლიტერატურაში, თვით ევროპიელშიაც კი მწერალი, რომელსაც მისებრ ცოტა ყურადღება მიექციოს პირად გრძნობათა გამოხატვისათვის. ამ შემთხვევაში იგი სრულიად განკერძოებულს ტიპს წარმოადგენს მწერლისას და ახალის მიმართულების დამწყების სისასტიკე ემჩნევა.

არ შეიძლება ეს იმას მივაწეროთ, რომ ი. ჭავჭავაძეს ლირიკოსი-პოეტის ნიჭი აკლდეს და პირად გრძნობათა გამოხატვა ემნელებოდეს; არც ის უნდა იფიქროს ვინმემ რომ, ი. ჭავჭავაძე არ გვაჩვენებდეს თავის გრძნობებსა და შეხედულებას სხვა-და-სხვა მოვლენის შესახებ; არა, ი. ჭავჭავაძე პირადის, კერძო გრძნობების გამოხატვას არ კისრულობს: არ გვამცნევს თავის სევდას უიმედო სიყვარულისაგან გამოწვეულს, ანა-და სიყვარულით აღფრთოვანებული აღტაცებულს გიმნს არ მღერის, არ გვიჩვენებს პირადს შიშსა და ჭმუნვარებას, სიხარულსა და გინდ გულგრილობას სიკვდილ-სიცოცხლის გამო; არ გვამცნევს, რა გავლენა აქვს მასზედ ბუნების ამა თუ იმ სურათს, ამა თუ იმ სანახაობას ბუნებისას რა კერძო გრძნობები აღუძრავს მაში. თუ სწუხს და სტირის, საზოგადო მწუხარება და უბედურება არის ამისი მიზეზი. თუ იცინის მწარეა ეს სიცი-

ლი და დასცინის მხოლოდ საზოგადოების ღრმა ნაკლულევანებათ.

შეიძლება ამის მიზეზით მისი ლექსებისა და პოემების შინაარსი თითქმის ერთსა და იმავე საგანს უტრიალებდნენ, მაგრამ ერთგვარობით კი თავი არ მოუბეზრებია, რადგანაც ერთსა და იმავე აზრს სხვა-და-სხვა გვარად ჰხატავდა, ერთგვარობაში სხვა-და-სხვაობა შეიტანა და ამით დაამტკიცა, რომ მაღალი, არტისტიულის გემოს პატრონია და არტისტიულის ზომიერებისა.

მისის პოემებისა და ლექსების შინაარსი სამშობლოისათვის თავგანწირულის დიდებაა («დიმიტრი თავდადებული» «დედა და შვილი»), იმ დროის სოციალურის წყობილების (ბატონ-ყმობის) უსამართლობის გამკიცხველია; «კაკო ყაჩაღი» ამ წყობილებისაგან წარმოშობილის დრამის დამასურათებელია; «აჩრდილი» კი გამომხატველია პოეტის გრძნობისა და აზრისა ჩვენის ცხოვრების დაქვეითებისა და გახრწნის შესახებ, ჩვენის გადაგვარების მოთქმაა, ჩვენის საზოგადო წყობილების დაგმობაა, იგია გულის გამგმირავი სურათი ჩვენის ცხოვრებისა.

ახალის მიმართულების მეთაურ პოეტს არ შეეძლო უწინდელთათვის უარმყოფელი თვალით არ შეეხედა. უწინდელი პოეზია კი ერთობ ბევრ ადგილს აძლევდა პირად გრძნობათა გამოხატვას და ამათში სიყვარულის გრძნობის გამოთქმას ანდომებდა საუკეთესო ლექსებს.

ი. ჭავჭავაძე სხვა გზას დაადგა და ამიტომაც თითქმის მოვალეობად აღიარა, რამდენადაც შესაძლო იყო, პირად გრძნობებზედ ბასს აშორებოდა; მას არ იტაცებს გარეგან ფრინველისავით მღერა, რადგან «არა მარტო ტკბილ ხმათათვის გამოჰგზავნა ქვეყნად ცამა»; ზეგარდმო დასახულ მოვალეობად აღიარა «ერის წინამძღვრობა» «ჭმუნვასა და სიხარულში ერის მოძმედ ყოფნა.» «ცისაგან დანიშნულს და ერისაგან აღზრდილს პოეტს» დანაშაულებად მიაჩნდა პირადის აღტაცებითა და სევდებით ვისთვისმე თავი მოებეზრებინა, მას მხოლოდ «ერის წყლული მიაჩნია წყლულად, მისი ტანჯვით ეწვის სული, მისი ბედითა და უბედობით ედაგვის მტკიცე გული.» («პოეტი» თხზ. ტ. I გვ. 59.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ უნდა მას ბევრი ლაპარაკი, რომ ავტორს «აღარც ნატვრა და აღარც იმედია»-სას შეეძლო თავისი ლირის პირადის გვნესისა და ოხვრის გამომთქმელი სიმები აჟღერებინა, მაგრამ როგორც კი მისი ხელი აიწევოდა, რომ ჩონგურზედ პირადის გრძნობების გამომხატველი ხმები დაეკრა, შეგნებული აზრი მოვალეობისა ხელს სიმთან მიტანილს ქვად აქცევდა და პოეტს მხოლოდ თავისავე გულში ჩააკვლევინებდა მეტად ბუნებრივს სურვილს. ვერ წარმოიდგენთ კი, რა ძნელია კაცისათვის თავისი ტანჯვა, გინდ სიხარული დამალოს, გულში ჩაიმარხოს. ტანჯვას ამგვარად ძალი უორკეცდება და მეტის სიმძაფრით ღრღნის გულს, ხოლო სიხარულს განუზიარებელი ძალი და მომხიბვლელობა უსუსტდება, მოდუნებული რჩება და სავსებით ვერ აკმაყოფილებს კაცის ბუნებას. ი. ჭავჭავაძეს უსათუოდ არა ერთხელ უგემია ეს სიმწარე «ფიქრის გაუნდობლობისა» და «გრძნობათა გაუზიარებლობისა.» სისასტიკე მისის ნაწარმოებისა თან-და-თანობით შექმნილია, ძლიერი შთაბეჭდილება, რომელსაც იწვევს ჩვენში მისი ნაწარმოები, შედეგია ესეთის სტოიციზმისა, ესეთის სიმტკიცისა თავისი მოვალეობის მიმართ.

რადგან პირად გრძნობათა გამოაშკარავება შეადგენდა რომანტიულის ლირიზმის განსაკუთრებულს თვისებას, ამ თვისების უქონლობა ი. ჭავჭავაძეს რეალურის ლირიზმის მამამთავრად ჰქმნის ქართულს ლიტერატურაში. მაგრამ რეალიზმმა, თუ პირად გრძნობათა გამოხატვა უგუ აგდო, და თუ ამიტომ რეალისტი პოეტი პირად გრძნობათა, ტანჯვა-ვაებისა და სიხარულის გამოხატვას თავს არიდებს, იგივე რეალიზმი თხოულობდა მწერლის პირადობის, მწერლის «მე»-ის მისი თხზულებიდან განძევებასა და განდევნას. ეს, რასაკვირველია იმნაირად უნდა გაიგოს კაცმა, რომ მწერალმა არ უნდა გამოსთქვას თავისი პირადი გრძნობები და აზრი შესახებ ამა თუ იმ მოვლენისა, რომელსაც აღგვიწერს, ეცადოს, რამდენადაც შესაძლოა თავისი სიმპატია თუ ანტიპატია აღწერილის საგნის შესახებ არ გამოამჟღავნოს. სხვა გვარად მწერლის «მე»-ის თხზულებიდან განძევება არ შესაძლოა, რადგან ეს «მე» ისეთი რამ არის, რომლის განშორება მწერალს არ ძალუძს, ეს მისი მთელი ფსიხოლოგიური არსებაა, რომელიც

გამოსჭვრივს ყოველ დაწერილ წინადადებაში და სიტყვაში, სიტყვათა ერთმანეთთან შეკავშირებასა და შეხამებაში.

თუ პირველს მოთხოვნილებას რეალურის ლირიზმისას მეტად კარგად ასრულებს ჩვენი პოეტი, მეორე აღარ ესერხება. ეს ადვილი მისახვედრიც არის: თ. ჭავჭავაძე ახლო მოსაზღვრეა რომანტიკოს პოეტთა და იგი იმყოფებოდა, როგორც ევროპის რომანტიკოს მწერალთა (ჟორჟ-ზანდი, ჰიუგო), ისე თავის ქვეყნის პოეტთა (ნ. ბარათაშვილი) გავლენის ქვეშ. ამიტომაც თ. ჭავჭავაძეს ხშირად პირადი ლირიზმი ეპარება ხოლმე «სხვის» გრძნობის გამოხატვაში და ხშირად პოეტის «მე» ამოჰყოფს თავს სხვისი სახით. აიღეთ, მაგალითად, მისი «მუშა». აქ ყოველ სტრიქონში ავტორი გვიხსნავს, თუ რა გრძნობები გამოიწვია მაში მუშის შესაბრალისმა ცხოვრებამ. პოეტს მუშის «ლილინი ხშირად გულს უწყლულებდა», მისი «დუმილი ღვთის რისხვის ზარის» გამომხატველად მიაჩნია. აქ ყოველი სიტყვა პოეტის წრფელი გოდებაა სამწუხარო სურათის ნახვის გამო. პოეტი თვით ჩნდება მუშის გრძნობათა გამომხატველი, მუშის ტანჯვა პირად სამწუხარო საგნად გაუხდია, მუშის პირით პოეტი ლაპარაკობს, ან-და, უკეთ ვსთქვათ, თვით პოეტის პირით გამოსთქვამს მუშა მას, რასაც ჰგრძნობს და ან უნდა ეგრძნო. ამით ჩვენი პოეტი რომანტიკოსობს. ხოლო აქ პოეტის სევდა აღუძრავს არა რაიმე კერძო უბედურებას, აქ არ არის არც უარყოფილი სიყვარული, არც სატრფოს ღალატი, არც მიჯნურისგან გაუგებრობა, არ არის ჩივილი კაცთა სიცოცხლის დასასრულის შესახებ, არც ბუნების გულგრილობისა და გულქვაობის შესახებ პოეტის მიმართ... პოეტი აქ საზოგადო ტანჯვით იტანჯება, სხვისი ვარამი და დარდი, სხვის კაეშანი იწვევს მაში კვნესასა და ოხვრას და ამაში იგი რეალისტობს.

თუ თ. ი. ჭავჭავაძე დედას დაგვიხატავს, რომელიც შვილის აკვანს არწევს და «ნანას» დამღერის, აქაც მშობლის იმ გრძნობებს გვამცნებს და იმ სურვილებს, რომელნიც თვით პოეტს უგრძვნია ამგვარის სურათის წარმოდგენის დროს. თორემ «დედანი მარად ნეტარნი», რომელნიც შვილის აკვანს დამღერიდნენ—«უკვდავი არის შვილი, მამულისთვის მომკვდარიო»,—დიდი ხანია აღარა ჰყვანან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ქვეყანას. გაგვაგონებს პოეტი «გუთნის დედის» კაეშნით აღსავსე სიმღერას და ესეც ისევ პოეტის გოდებაა და კვნესა, იმ პოეტის, რომელიც, ლაზათი არ იყოს, «მიწას დაჰყურებს თვალით, რადგანაც ზეცა წაართვეს ძალით», — რომელსაც «მისი ჭირის, მისი წუხილის, მისი კაცობის გულის დუღილის, სიტყვანი გულში ებადებიან, მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან» («გუთნის დედა», გვ. 135).

ეს ლექსი, ჩემი აზრით, უფრო სიმბოლიზმის ნიმუშია, აქ «გუთნის-დედა» ალეგორიაა დაღვრემილის, დასევდიანებულის პოეტის სევდათა გამომხატველი. გარნა პოეტი ყოველივე ამაში კიდევ მაინც საზოგადო ხასიათის გრძნობებს გვიხატავს.

მე რად გნებავთ, თვით სიყვარული, ეს ყველა გრძნობაზედ უფრო კერძო და პირადი, ჩვენმა პოეტმა განაზოგადა, პირადისაგან უპირადო, საზოგადო გრძნობად გარდაჰქმნა.

თ. ი. ჭავჭავაძეს სიყვარული სულიერიდან უსულოზე გადააქვს, მაგრამ უფრო თვალსაჩინო უსულო საგანზედ და მით უფრო საგრძნობია და გასაგები. ის ამ საგანს ისე ეპყრობა, ისე ეალერსება და ისეთის გრძნობიერის ენით ელაპარაკება, თითქო მტანჯვი სატრფო იყოსო. მისი ტანჯვა და ვაება, მისი სევდა ამ სატრფოს ღალატისაგან გამოწვეული, ბევრად უფრო მწველია, ბევრად უფრო გულის დამთუთქველი, ვინემ სევდა ტარიელისა. ეს სიყვარული მისთვის მთელის ცხოვრების დედა-აზრია, ცხოვრების შინაარსი, და ამიტომაც მთელს თავისს ძალ-ღონეს, მთელს ნიჭს და ძალას პოეტურს იმას ანდომებს, ან და იმისათვის უნდა მოიხმაროს რომ განსაცდელს აშოროს ეს მეტად საყვარელი არსება.

ეს გვარი ტანჯვა სრულიად უანგაროა და წრფელი, პოეტს ამგვარად გულ მოშხამულს უნდა კიდევაც კვნესა გულში ჩაიკლას, მაგრამ იმდენად დიდია მწუხარება, რომ გული მოზღვავებულ მწუხარებას ვეღარ იკავებს. ამგვარი პოეტი, თავისს ქვეყანას ეკითხება, რაზედ მოგიწყენიაო და ისეთის ენით ებაასება, გიკვირსთ: რა უნდა აქ ქვეყანას, აქ «სატრფო» უნდა იყოს ქვეყნის მაგიერადო. აბა შეხედეთ, ახლა ამ პოეტის ოხვრა-კვნესას, როცა ჰხედავს, რომ «სატრფო სხვის თავს ევლის, სხვას ეტრფის» და ამიტომ თვით

იგი სწყევლის დღეს თავის გაჩენისას, არ იცის, სად წავიდეს, ვის შესჩივლოს, ვის უთხრას, ვინ გაუღებს დახშულს კარსა ზეცისას.

როცა პოეტი ბუნებას გვისურათებს, მას არც ბუნების გარეგნი სიმშვენიერე იტაცებს, არც ის გავლენა, რომელიც მასსა აქვს პოეტზედ ამა თუ იმ განწყობილების დროს; როცა ბუნება ხარობს, როცა «აყვავებულა მდელო, აყვავებულან მთები,» სამშობლო აგონდება და სევდიანად გკითხებს «მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?» როცა ბუნებასა სძინავს, «მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა,» მას კიდევ აქაც თავისი ქვეყნის «ტანჯვით ამოძახილი კვნესა» ესმის, კიდევ თავისი ქვეყნის ძილი აწუხებს და ოხვრით გკითხებს: «სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება»-ო? («ელეგია» გვ. 47) ანა და უცხოეთში «თუ მოაგონდა სამშობლოს ზეცა, ზეცა სულ სხვა ფრად განბრწყინებული და სულ სხვა რიგად დამშვიდებული,» ურვით მოცული გული შესტირის, მაშინაც კი როცა ბუნების მშვენიერი სანახაობით «ყველა ტკბილ ძილში ბედითა სტკბება, ყველას მშვიდობა გარს ეფინება.»

პოეტიც სწორედ იქ არის ძლიერი, საცა თავის ერთად ერთს სატრფოს, ერთად ერთს საგანს ცხოვრებისას ეალერსება და ანუგეშებს, საცა «ქართვლის დედას» თაყვანსა სცემს და აღტაცებით იხსენიებს, საცა თავისი ქვეყნის ბიწიერება გულსა და სულს უდუღებს («აჩრდილი»). ძლიერია იქ, საცა მწარე ღიმილით დასტირის საყვარელის არსების გათახსირებასა და დაცემას: ძლიერია აქ მისი სარკაზმი, მისი კბილთა ღრჭენა ჯოჯოხეთურია და ძლიერ გრძნობათა აღმძვრელი. რომელ ქართველის ტვინში არ ჩაჭედილა და არ ჩაბეჭდილა თ. ილ. ჭავჭავაძის «რას ვშვრებოდით, რა ვიყავით» ეს მოკლე სატირული ისტორია ჩვენის ცხოვრების უკანასკნელის ხანისა.... «ერთმანეთს გულმოდგინეთ ვწეწდით და ვიწეწებოდით,» როცა სულყველასა თვითო-თვითოდ ვღალატობდით», როცა «ფერ მიხდილნი ბეზღობაში ერთმანეთს ვეჯიბრებოდით», როცა «ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს ცეცხლი ჩვენვე წავუკიდეთ», და «ჭკვიანურად იმ ცეცხლის წინ ვისხედით და ხელს ვითბობდით», როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

«თვით შევსხედით მაღლა თაროს დაბლა ყმებსა ტვინსა ვსწოვდით» («რა ვაკეთეთ რას ვშვრებოდით» გვ. 158). ეს რამოდენიმე სტრიქონი ყოველ ჩვენ ისტორიულ მონოგრაფიაზედ უმაღლესია და უძლიერესი. ამ ხანას ჩვენის ცხოვრებისას ილ. ჭავჭავაძემ ისეთი განსჯა მიაყენა, ისეთის შავის ფერადებით დახატა და ისე მძლავრად შეგვაზიზღა ჩვენი მოქმედება ამ პატარა ლექსით, რომ სხვანაირის აზრის გამომთქმელს წინდაწინვე შეუძლია დარწმუნებული იყოს, სხვა გვარ შეხედულებას ამ ხანის შესახებ ჩვენ შორის გასავალი აღარ ექმნება. ანა და მისი დახასიათება ჩვენის ერის ბედნიერებისა მით, რომ ვართ «მშიმე ყალნით, ლამაზ ფალნით მორთული და მშვენიერი, უწყინარი, უჩივარი, ქედ-დრეკილი, მადლიერი; ყოვლად მთმენი, ვით ჯორ-ცხენი, ნასუქნი და ღონიერი, მცირე, დიდი, ყველა ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერი, უზღუდონი, გზამრუდონი, არ-გამტანი და ცბიერი, მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, სხვასთან მხდალი, შინ ძლიერი, არ რის მქონე, არ რის მცოდნე, უზრუნველი და მშიერი» («ბედნიერი ერი», გვ. 155). ეს ორი ლექსი მის პატარა ლექსების შედევრად უნდა ჩაითვალოს ისე, როგორც მისი «კაცია-ადამიანი» მის პროზულ ნაწარმოებთა შორის და საზოგადოდ, ჩვენს ლიტერატურაში. ილ. ჭავჭავაძის სატირას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში, რადგან საზოგადო ხასიათისაა, მთლად მთელის ერის ძირითად ნაკლულევანებათ ეხება და არა აქვს სახეში კერძო მოვლენა, ანუ კერძო ჯგუფი საზოგადოებისა. ასეთი ღრმა სიძულვილი ქართველი ერის ნაკლულევანებისა, ასეთი ზიზღი ჩვენის ერის დამამცირებელის მოქმედებისა არც ერთს ჩვენს მწერალს არ გადმოუნთხევია, მაგრამ ყველამ იცის, რასაკვირველია, «ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია».

რომანტიული ელემენტები ურევია ი. ილ. ჭავჭავაძის პოემებშიაც, მაგრამ აქ უფრო ადრე განთავისუფლდება პოეტი რომანტიზმის გავლენისაგან.

«კაკო ყაჩაღი», რომელიც «უსამართლობას გამოჰქცევია», უსამართლობას ბატონ-ყმობის წეს-წყობილებისას, და ზაქარო, მეორე გმირი, რომელიც ამავე მიზეზით უერთდება მას, უფრო რომანტიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი გმირების, ავტორის შეხედულების გამომხატველნი ამ წეს-წყობილებაზედ. ეს ტემა საზოგადოდ საყვარელი ტემაა რომანტიკოსების (ბაირონი, შილლერი, ჰუგო). იგინი თავანთი ავაზაკს თითქოს იდეალურ ტიპად გვიხატავენ, მთელს საზოგადოებას უპირდაპირებენ და ამ საზოგადოებაზე მაღლა აყენებენ. ეს მწერლები ავაზაკის იდეალურად შექმნით საზოგადოებას ამცირებენ და ფეხ-ქვეშა სთელავენ, აგრეთვე იგინი იცავენ პირადობის უფლებებს და საზოგადოებისაგან პირადობაზედ დადებულს უღელს ეომებიან.

თ. ი. ჭავჭავაძეს სრულიად არა აქვს აზრად კაკო და ზაქარო იდეალურ არსებად დასახოს, მათი ცხოვრება «კაცს მოსწყინდება» კი არა, შეეზიზღება. ვის მიიტაცებს «უსახლ-კარობა, შიში, შიმშილი, მარტოკა გდება მხეცივით ტყეში, ყურდღელსავით ფხიზელი ძილი და იარაღი დღე და ღამ ხელში.» რა სანატრელია იმ ადამიანთა ცხოვრება, რომელთა «გული ვაების ცეცხლ-მოდებული» ნაღვლითა და ბალღამით არის აღსავსე. ასეთს ცხოვრებას თუ მიეკედლა ეს ორი კაცი, მიტომ, რომ უსამართლობას გაექცნენ, მიტომ, რომ ზოგს მამას უკლავდნენ, ზოგს დედასა და დას უპატიურებდნენ. პოეტმა ამ პოემით ეს წეს-წყობილება დაჰგმო. პოეტს უნდოდა ეჩვენებინა მხოლოდ, რომ ისეთი ცხოვრება, სადაც ერთი ადამიანი მეორეში «კაცის გრძნობას არ ხედავს», სადაც ერთნი ცხოვრების მმართველნი და ბატონნი, «დედას ძუძუდან შვილსა აჰგლეჯენ და ვინ იცის, საიდან სად გაჰყიდიან... უწმინდურისა ხელით სთხრიან დედისა გულში უკეთესს გრძნობას, ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას; ქალს წაართმევენ, ქალს გაჰყიდიან, ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად, უბრყვილო გულში ღვარძლს ჩაასხმიან, გახდიან ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრევლად, მას, რაც ერთს უყვარდა ნახავს დაცემულს, ნამუს წართმეულს და შეგინებულს, რომ ასეთი ცხოვრება ჰქმნის ავაზაკთ, სიცოცხლე გამწარებულს, და სიცოცხლე მოშხამულ კაცთ, რომელნიც აღშფოთებულნი და გაავთრებულნი მერმე თვით იყრიან გულის ჯავრს საზოგადოებაზედ. ავტორი გვიხატავს თანაც მდგომარეობას მთელის წოდებისა—გლეხობისას, «გლეხ-კაცის ბედს, ჭირსა და ლხენას», რომელთაც საზიზღარი და საშიშარი ცხოვრება კაკოსი სანატრელად

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სამუდამოდ გარდაქცევიათ, ზაქროს, «კაკოს» მამებარსა, გზას მიასწავლის მეურმე, რომელიც «ნაღვლიანად მწუხარს სიმღერას დაღუღუნებდა.» ზაქრო გაქუსლავს. მეურმეს თითქო მას შენატრის, «ახ ნეტავი შენ», წაიდუდუნა და გაიქნია რა თავი მერმე, შურით ხარს მოლტი გაუტყლაშუნა და მერმე ისევ უფრო მწუხარედ თვისი სიმღერა დაადუდუნა.» ამ ორი-სამი სტრიქონით ავტორი ძლიერად გვისურათებს იმ დროის გლეხ-კაცობის მდგომარეობას. რამდენად უფრო სიმპატიური, რამდენად უფრო ადამიანური და მშვენიერია ეს საცოდავი გლეხი, რომლისთვისაც აკაზაკის ცხოვრებაც კი სანატრელად გაუხდია უსამართლობას, რამდენად უფრო მომხიბლველია თავისი ადამიანური ტანჯვით და ვაებით ვინემ «კაკო» და მისი ახალი ამხანაგი. ამათ ის მაინც დარჩენიათ სანუგეშოდ «ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი»; საწყალის გლეხის სევდის გამქარწყლებელი კი ერთადერთი ღუღუნია «მწუხარე ვით გლოვის ზარი», რომელიც «ნაღველს მოჭბერს დაჩაგრულის და უგუ-ჭურის კიდეც ვით დრუბელს ქარი. ამ გლეხის დასურათებითაც პოეტს თითქო ის უნდოდა ეთქვა, აი ეს წყობილება ასეთს ჩინებულს და მშვიდს წევრს საზოგადოებისას აკაზაკად და მხეცად გარდაჰქმნისო.

ი. ჭავჭავაძის «აჩრდილი» ხომ ლირიული პოემაა, პოეტის «საზოგადოებრივის გვნესისა და გოდების» გამომთქმელი. პოეტს სასოებას წარუგვეთს თავის ქვეყნის ზნეობრივი დაცემა, სადაც დიდ-კაცი დარბაისელი კმაყოფილების განცხრომაშია მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი სასოწარკვეთილ მონებაშია», სადაც ვაჭარიც ცბიერის ღიმით, მოძმეთ ატყუებს», სადაც «მღვდელნიც—ერთა მამანი», რომელთაც «გულ-ხელი დაუკრეფიათ» და აღარ ახსოვთ «სიტყვა დიდის სწავლისა, სიყვარულის და სამართლისა. გრძნობით აღსავსე პოეტს იმედს წარუწყმედს იმის დანახვა, რომ ქართველის «აზრში აზრს ვეღარ პოებს», რომ მისი სიცოცხლე უფერულია და ცარიელი, არა აქვს მის ცხოვრებას არავითარი გულწარმტაცველი საგანი. და თანაც ესდენ გულმომწყვლელი სანახაობა მაინც კიდევ ვერ მოუსპობს ნუგეშს, სასოებას კვლავ მოეკვლინება და იმედები კვლავ განუახლდება. კვლავ გამოუჩნდება «შვიდ ფეროვანი სარტყელი ცისა მახარობელად ტკბილ იმედისა». სამაგიეროდ «დიმიტრი თავდადებუ-

ლი» ნამდვილი რეალურ-ეპიკური პოემაა. და ამ პოემით თ. ი. ჭავ-ჭავაძე შეუდგება მტკიცედ გარკვეულს გზას რეალიზმისას. «უტყუა-რისა და მართლის ამბის» მოთხრობა მეფანდურესაგან, დაცვა თვით სახალხო ენისა და შემდეგ თვით მთელი აზრი და შინაარსი პოემისა, რომელიც ღაღადებს, რომ ყოველივე პირის კერძო სურვილი და ზრახვე-ბი უნდა სამშობლოისა, ერისა და საზოგადოების საკურთხეველზედ იქმნეს მსხვერპლად მიტანილი, როგორც ეს მოიმოქმედა მეფე დი-მიტრი თავდადებულმა—ყოველივე ეს ჰხდიან მას რეალურ პოემად, კლასიკური მშვენიერებითა და სიდიადით მოსვენ მას.

«განდეგილი» უკანასკნელი ჯერ-ჯერობით პოემა თ. ილ. ჭავ-ჭავაძისა დამამთავრებელი და დამაგვირგვინებელია ავტორის რეალუ-რის მიმართულების განვითარებისა. როგორც დედა აზრი პოემისა (ყოველი კაცი, რომელიც ცხოვრებას გაურბის და ზურგს აქცევს მას, განდეგილივით დაისჯება და მის დამსჯელად ამ შემთხვევაში თვით იგი ცხოვრება გამოვა), ისე მთელი მორალური ფილოსოფია ავტორისა, რომელიც ამ პოემაში იხატება, და ბოლოს თვით ფორ-მაც პოემისა არის სრული დამაკმაყოფილებელი რეალიზმის მო-ძღვრებისა [1])

ამგვარად, თუ თავდაპირველად თ. ილ. ჭავჭავაძის პოეზიას, კიდევ აჩნია რომანტიულის სკოლის გავლენა, სამაგიეროდ და ბო-ლოს სრულიად განთავისუფლდა ამ გავლენისაგან და შექმნა შე-დევრი რეალურის ნაწარმოებისა ქართულს ლიტერატურაში «განდე-გილი». მან დაასრულა ევოლუცია რომანტიზმისა და შეიქმნა მამა-მთავარი რეალურის პოეზიისა ჩვენში და ერთა საუკეთესო მისი წარმომადგენელი.

კიტა აბაშიძე.

(შემდეგი იქნება)

---

[1]) იხ. „მოამბე“ № VIII და IX 1896 წლ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნოყიერი და გემრიელი ნივთიერებანი

## პროფესორის რ. ვირხოვისა

ნოყიერი და გემრიელი ნივთიერების შოვნა და შემზადება შეადგენს ყოველი ადამიანის მოქმედების საფუძველს, ასე რომ ამაზეა დამოკიდებული არამც თუ ყოფა-ცხოვრება და მიზანი თვითეულის ადამიანისა, არამედ საზოგადოებრივი და სახელმწიფო ფორმებისაც.

უკანასკნელი, თითქმის, უფრო დამოკიდებული ამათზე, ვინემ პირველი. კერძო კაცი შეიძლება ბედნიერ შემთხვევის წყალობით — დაბადებითვე ანუ შემდეგი ცხოვრებით — საზრდოს მოსაპოვებლად უზრუნველ-ყოფილი შეიქმნეს: ბეღელი თავისთავად ევსებოდეს, საჭმელი უჩვენებლად უმზადდებოდეს, სუფრა დაუსწრებლად ეშლებოდეს და სხვ.; საზოგადოებას კი, თუნდაც რომ ძლიერ ერს წარმოადგენდეს, იშვიათად იქნება ამ გვარ მდგომარეობაში ჩაყენებული; კარგი ამინდი ძლიერ გაუადვილებს, საზრდოვო და გასაკეთებელი ნივთიერებანი მოიპოვოს სულ მცირე შრომით; ხოლო მათდა მისაღწევად ასე თუ ისე მიუცილებლად საჭიროა მუშაობა, ჯაფა, შრომა. რაც ხალხმრავალია ერი, რაც უფრო რთულია საზოგადოება, რამდენად უფრო მრავალ მხრივ განვითარებულია სახელმწიფო, იმდენად უფრო ძნელდება შეუმზადებელი მასალის მოპოვება და ხშირად საჭიროა ხანგრძლივი და ძნელი პროცესი შემუშავებისა, რათა რიგისამებრ მომზადდეს მასაზრდოებელი საგანი. ამიტომ მასაზრდოებელი საგნის მოპოვების რომელიმე საშუალება განაწესებს უკანასკნელად ფორმას საზოგადოებისას, ერისას და სახელმწიფოისას. დამკვიდრდება თუ არა საზრდოს მოსაპოვებლად უმთავრესი რიგი: — ნადირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა—მეთევზეობა, საქონლის გაჩენა, მიწის მუშაობა, ყაჩაღობა, ვაჭრობა,—ამითი აღინიშნება უმთავრესი მიმართულება მრეწველობისა საზოგადოებაში ან ერში და ამასთანავე ინიშნება ის მიმართულება, რომელშიაც უნდა განვითარდეს მრეწველობა, ხელობა, მეცნიერება, ადათი და სარწმუნოება. მე არა მაქვს სახეში ავნიშნო თვით საჭმელის ზედგავლენა კერძო კაცზე, მის შინაგან შემადგენელ ნაწილებზე და გარეგნობაზე, მის გრძნობასა და გონებაზე. ამას თუმცადა დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ხშირად მეტად აზვიადებენ: ცალკე კაცი სრულებით არ არის ისე მარტივი მასალა მასაზრდოებელი საგნისა, როგორც ამას ხანდისხან სახავენ. დიდი შეცდომა იქნებოდა, თანამედროვე საზოგადო და სახელმწიფოების გაჭირებულ და რთულ ცხოვრების მიხედვით, დაგვევიწყნა, რომ პური არსებითი კითხვაა, მის მიერ გამოწვეული მოქმედება სახელმწიფოს არსების საძირკველს შეადგენს და ამაში აქვს გადგმული ძირი ძლიერ საფთხილო სოციალურ კითხვებს. პური და ხორცი, შაქარი და მარილი, ლუდი და ღვინო, თუთუნი და ყავა და სხვ. აი ის ყოვლად შემძლე საგნები, რომელნიც განსაჯებენ უდიდეს სახელმწიფოების კეთილ-დღეობას და ხშირად, მათი ფასით მყარდება ანუ ირღვევა მყუდროება და რიგიანობა, მშვიდობიანობა და თანხმობა.

ვინაიდან საქმე ამდენად საყურადღებო საგნებს ეხება, უნდა ვიფიქროთ, რომ დიდი ხნის შემუშავდა ყველას ცნობილი შეხედულება ზოგიერთი ნოყიერი და საგემო საგნების ღირსება—მნიშვნელობაზე? თვითეულს ჩვენგანს ყოველ დღე და კიდევ უფრო ხშირად წარმოუდგება ხოლმე დაკვირვების შემთხვევა, თუ რა სარგებლობა მოაქვს ერთის ან მეორისთვის ამა თუ იმ მოსამზადებელ საგანს, ეს მრავალი, ყოველ-დღიური გამოცდილება არ უნდა გამოხატულიყო რამოდენიმე ყოვლად მიღებულ დადგენილებაში? იმ საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილების პირობებში, როგორშიაც დღეს არის გერმანია, სადაც მაღალ-ხარისხოვან განათლებამ უკვე დაგვაყენა ბუნების ელემენტარულ მოვლენათა ზევით, სადაც კაცის სურვილმა დიდი ხნის გადააბიჯა შემავიწროებელ საზღვრებს გაცალკევებულ ადგილისას, სადაც ჩვენ წარმოგვიდგება არჩევანი სხვა-და-სხვა მიწიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალათა შორის,—ღირს კიდევ ამ პირობების დროს ხელ-ახლად აღიძრას ნოყიერ და საგემო საგნების შესახები კითხვები?

ჭეშმარიტად გასაკვირველია, რომ ამოდენი ხნის განმავლობაში ვერც ცხოვრების გამოცდილებამ, ვერც მეცნიერებამ ვერ მოაწყეს ეს პირველი დანიშნულება კაცობრიობისა. საკვირველი ის არის რომ დღესაც სუფევს უთანხმოება შესახებ იმისა, არის თუ არა ყავა მარგებელი ანუ მხოლოდ გემრიელი საგანი, თუმცა ორი საუკუნე იქმნება, რაც ყავა შემოვიდა ხმარებაში. ადვილი წარმოსადგენია შაქრის სარგებლობაზე დავა, ვინაიდან თითქმის საშუალო საუკუნოების ბოლომდის შაქარს ხმარობდნენ მარტო წამლად. დაუჯერებელი რამეს გავს, რომ ჩვენს დროში ხელახლად ასტყდა დავა უძველეს და ჩვეულებრივ ნოყიერ საგნებზე—პურზე და ხორცზე. პური, რომელიც თვით ხალხის მიერ ითვლება «არსებითად», ღვთის წყალობად, ნამდვილად რომ ვთქვათ, არ უნდა ჩაითვალოს ნოყიერ საგნად? არ უნდა ჩაითვალოს ხორცი, რომელიც აღმადგენია ჩვენი ნამდვილი სხეულისა, ლპობის და სიკვდილის წყაროდ? ამ უკიდურეს წინააღმდეგობაში დგანან სხვა-და-სხვა შეხედულებანი და ამ კითხვების გარჩევა შეადგენს ნამდვილ საჭიროებას.

ყველაზე უწინ უნდა ვიცოდეთ, რას ჰქვია მეცნიერულად მასაზრდოებელი ნივთიერება. ამის ცოდნა ძლიერ ძნელია უსაფუძვლო შეხედულების გამო ნამდვილ ნოყიერ საგნებზე. მე არას ვამბობ იმ უმრავლესობის შესახებ, რომელნიც ეძახიან ნოყიერ საგანს ყოველივე მას, რასაც მიირთმევენ და მრავალს მას, რასაც სმენ, მხოლოდ მისთვის, რომ ამ საგნებს ყველანი სჭამენ და სმენ. ჭეშმარიტად, ნოყიერი ნივთიერება უნდა იყოს მასაზრდოებელი და ამ სიტყვით ჩვენ ვასურათებთ ნამდვილად იმ მოვლენათა ჯგუფს, რომელნიც არიან ორგანიზმის განმაახლებელნი, თვით სხეულის აღმდგენნი. რაც უნდა ცოტას ვფიქრობდეთ ნოყიერ საგნებზე, ჩვენ მცირედ მაინც უნდა ვიგულისხმოთ, რომ მიღებულ ნივთიერებისაგან კეთდება რაღაც სასარგებლო, რომელიც ემსახურება ორგანიზმის ცხოვრებას და, მაშასადამე, ისე უბრალოდ არ გაივლის სტომაქში, რომ თვისი დანიშნულება არ შეასრულოს. რასაკვირველია, ყოველ-გვარი ნივთიერება, რომელიც სასარგებლოა სხეულისათვის, არ არის ნო-

ყოიერი; მე მოგვაგონებთ მხოლოდ წამლებს, უმეტესი ნაწილი რომელთა სასარგებლოა, ხოლო ნოყიერი კი არაა. როდესაც ლაპარაკობენ ნოყიერ ნივთიერებაზე, სახეში აქვთ სხეულის საყოველთაო, ყოველდღიური, საზოგადო და მუდმივი მოთხოვნილებანი და არა შემთხვევითი, რომელნიც იჩენენ თავს განსაკუთრებით შემთხვევაში და ისიც დროებით, როგორც წამლები.

ნოყიერ და წამლად სახმარებელ ნივთიერებათა შუა მოთავსებულია მესამე რიგი ნივთიერებათა, რომელნიც ძნელი გასარჩევია ორი პირველისაგან. ეს არის გემრიელი ნივთიერებანი. მე ვხმარობ ამ სიტყვას ნოყიერი ნივთიერების წინაღმდეგის ასანიშნავად; სახელდობრ, ვგულისხმობ იმ საგნებს, რომელთა მიღება საჭიროებას არ შეადგენს სხეულის მოსახმარებლად, არამედ მხოლოდ სიამოვნებას ჰგვრის კაცს და ამიტომ იმდენად არ შეადგენს ბუნებრივ მოთხოვნილებას, რამდენად გამოწვეული არის მისწრაფებით, რომელიც გაჩნდა განსაკუთრებული მდგომარეობით.

გემრიელი ნივთიერებანი მოქმედებენ განსაკუთრებით ჩვენს გრძნობებზე: ზოგი გარეგან საგრძნობელ ორგანოებზე, განსაკუთრებით გემოვნების ორგანოზე, ესე იგი ენაზე, სხვები — ცენტრალურ ნერვების სისტემაზე, თავისა და ხერხემლის ტვინზე; ხოლო ეს ნივთიერებანი ამ ნაწილებს არ ასაზრდოებენ: მხოლოდ სცვლიან მათ, და უმეტეს ნაწილს, მოკლე ხნით. ამის გარდა, ისინი, საზოგადოდ, მოქმედებენ მხოლოდ სხეულის რომელიმე ნაწილზე განსაკუთრებით და არა აქვთ, როგორც ნოყიერ ნივთიერებათ, საზოგადო მოქმედება მთელი სხეულის ნაწილებზედ თუ არა, უმეტესობაზე მაინც. ზოგი მათგანი ხდება შეჩვევის და ჩვეულების გამო ყოველ-დღიურ და საზოგადოდ მიღებულ სუფრის საჭიროებად, თითქო ნოყიერი იყოს. მაგრამ მათი ნოყიერ საგნებად ჩათვლით ძლიერ ვსცდებით. ისინი უმეტესად მოგვაგონებენ წამალს, ვინაიდან მათი მიღების «სურვილი» აღიძვრის ხოლმე ორგანიზმის არაჩვეულებრივი მდგომარეობის დროს. ვთქვათ ეს არაჩვეულებრივი მდგომარეობა გახდა ცუდი ზნის გამო ჩვეულებად: ისინი მაინც ბუნებრივნი არ იქნებიან, ვინაიდან არ წარმოსდგებიან წესიერი ცხოვრების მიერ გაჩენილ მოთხოვნილებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალებანი მათდა დესაკმაყოფილებლად არ შეადგენენ მიუცილებელ საჭიროებას, მაშინ როდესაც ნოყიერი საგნები უსაჭიროესი რამ არიან ყველასათვის. ამ განსხვავების განხილვას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით; ჯერ კი ნოყიერ ნივთიერებათა თვისებანი გავიცნოთ.

ნოყიერი საგნის შეტანა სხეულში შეიძლება არა მარტო პირიდან, კუჭიდან და ნაწლევებიდან, არამედ სისხლის საშუალებითაც. ყოველი ნოყიერი ნივთიერება შეერევა სისხლს. «სისხლში შერევას» უბრალო ლაპარაკის დროს მღელვარების მაგიერ ხმარობენ. ეს შეცდარი აზრია, გადატანილი გემრიელ საგნებიდან ნოყიერებზე. ბევრი გემრიელი საგნები, რომელნიც მოქმედებენ გრძნობის ორგანოებზე—ენაზე და ყნოსვაზე—გადადიან სისხლში და აღზნებენ ნერვებს; ეს ნერვების აღზნება სრულებით არ არის ხოლმე მიღებული სახეში. ბევრი სვამს ლუდს საგემოდ და სასიამოვნოდ; ხოლო იგი გადადის სისხლში და არა სასიამოვნო მოვლენას ახდენს. მღელვარება სრულებითაც არ არის საგნის სისხლში შერევის შედეგი. საგემო ნივთიერებათა შორის არის იმისთანები, რომელნიც სისხლში შერევის შემდეგ აღგზნების მაგივრად ადუნებენ ნერვებს, და პირდაპირ აძინებენ კაცსა. თუ საგანს აღგზნებითი თვისება არა აქვს, სისხლში შერევის დროს ამ მოქმედებას არ იჩენს. ამ გვარად მოქმედებენ ნოყიერი ნივთიერებანი. ნოყიერი საგნები უსათუოდ სისხლს უნდა შეუერთდნენ და მერე სისხლის საშუალებით, რადგან სისხლი მთელს ტანში მიმდინარეობს, იღებს სხეული საჭირო მასალას. ყოველი ნოყიერი ნივთიერება მოქმედებს უშუალოდ სისხლის საშუალებით.

ამ თვისებით ნოყიერი საგნები განირჩევიან, როგორც წამლებისაგან, რომელთა უმრავლესობა მოქმედებს ადგილობრივ, ისე საგემო ნივთიერებათაგან, რომელნიც მოქმედებენ უმეტეს ნაწილად ცხვირისა, ენისა და კუჭის ლორწოიან გარსზე. ეს მრუდედ არ უნდა იქმნას გაგებული. თითქმის ყველა საგემო საგნების ნაწილი გადადის სისხლში; მაგრამ მისი სისხლში შერევა არავის აქვს მიზნად. მაშინ კი, როცა ნოყიერ საგანს სჭამს კაცი, მიზნად ეს არის ხოლმე, თუნდაც უგრძნობლად მიდიოდეს მისი მარგებლობა. წამლების უმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტესი ნაწილი გადადის სისხლში; სისხლში გადასვლა უსაჭიროესიც არის; მაშასადამე, მხოლოდ სისხლში გადასვლის თვისებით არ ჩაითვლება ეს თუ ის საგანი მარგებელ-მასაზრდოებელ მასალად; ამის გარდა ადვილი მოსანელებელიც უნდა იყოს ნოყიერი საგანი. ჩვეულებრივი მოსაზრება ამის შესახებაც ძლიერ ბუნდოვანი და ბურუსით შემოსილი. ზოგნი ფიქრობენ, რომ ის საჭმელი, რომელიც კაცს არ აძღობს, ადვილი მოსანელებელია, და რომელიც აძღობს, ძნელი მოსანელებელია, ანუ მისი მონელება სრულებით შეუძლებელიაო. მაგრამ ეს ძრიელ გაუგებარი ნიშანია. ძალიან ხშირად საქმე საგნის მეტ-ნაკლებ დანაწილებაზე არის დამოკიდებული. თითქმის ყველა მცენარეულ საჭმელში არის, კაცისთვის მაინც, მოუნელებელი ნაწილები.

ამ ნაირის მცენარეების კანი, რომელიც შესქელდება თუ არა, ხის მსგავს მასალად იქცევა; ერთობ კი დამწიფებული მცენარის კანი იმდენად თხელია, რომ მისი გამოჩენა შესაძლოა მარტო მიკროსკოპის და ქიმიური გამოკვლევის საშუალებით. თუმცა ძლიერ ნაზი არის, მაგრამ ხის გვარი ნაწილებისაგან შესდგება. ამ ნაწილებს ჰქვიან ხისგვარი მასალა, ანუ ცელულოზა და ნაწლავებს გაივლის მოუნელებლად. კაცის კუჭი მას ვერ ინელებს, ესე იგი ვერ ხსნის და ამ მიზეზით სისხლში ვერ გადადის და სხეული მას ვერ ითვისებს. აქედან სრულებით არ უნდა გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ ცელულოზა ყოველთვის აძძიმებდეს კუჭს. საქმე ის არის, რომ კარგად უნდა დაიღეჭოს კბილებით. უკბილოს, ესე იგი მოხუცს და ბავშვს დაუმძიმებს კუჭს მცენარეული საჭმელი, მაგალითად, ბოსტნეული, ხოლო კბილიანი კარგად დაღეჭს და მისთვის უვნებელი შეიქმნება. ვინც ჩქარა ჭამას არის მიჩვეული, ვერ დაღეჭავს კარგად და ამიტომ ძლიერ დაუმძიმებს კუჭს. კუჭი, რომელიც დაფხვკილი კართოფილის და მუხუდოს მოინელებს, მთელ კართოფილს ვერ მოინელებს. ვერავინ მოინელებს ქლიავის ანუ ვაშლის ქერქს; ხოლო ყველა ვერ იგრძნობს მათ მოუნელებლობას. იგივე ითქმის ხორცის ჭამაზედაც: მხოლოდ ცოტაოდენი ნაწილები ხორცისა იხსნება კუჭში. ხორცში ბევრი ძარღვიანი და მაგარი ნაწილებია, რომელნიც მოუნელებლად რჩებიან. თუ კარგად არიან დაღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭილნი, წვრილ-წვრილად დაჭრილნი ანუ დაკეპილნი, თუნდ მოუნელებელნი დარჩნენ, მაინც მავნებელნი არ არიან. დაკეპილ ფილტვებს ბევრი ძარღვები აქვს, მაგრამ, საზოგადოდ, ადვილი მოსანელებელია. ხრტილის მონელება შეუძლებელია; ამისდა მიუხედავად ბევრი ხრტილიან საჭმელს სიამოვნებით მიირთმევენ. ზოგი სიამოვნებას ჰპოვებს ხრტილიან ნაწილების კბილებით ცოხნაში; სიამოვნება, რომელსაც ერთნაირი ყბების მოძრაობა გამოიწვევს, მიეგვანება სასიამოვნო გემოს: ხრტილი, უვარგისი და უგემური თავის-თავად, ხდება საგემო ნივთიერებად და არა ნოყიერად.

ცხოველის იმისთანა ნაწილები, რომელნიც ძრიელ ადვილი მოსანელებელნი არიან თავის-თავად, როგორც მაგალითად ხორცი, ხდებიან მოუნელებელნი, როცა ნაკლებად არიან დაღეჭილნი. დიდრონ ნაჭრების შიგნაგან ნაწილებს მომანელებელი ლორწო სრულებით ვერ მიუდგება. ისინი იცვლებიან მხოლოდ გარედან, ხოლო იშლებიან და უმეტესი თავისი ნაწილით სტომაქს მოუნელებლად გაივლიან. ამ მხრივ ისინი ჰგვანან სახამებელს, რომელიც მოსანელებელია და მოუნელებელი ხდება, როცა დიდრონ მარცვლებად არის, მაგალითად, ბურღულში, საგოში და ბრინჯში. ამიტომ უკბილონი ანუ ცუდ-კბილებიანნი და აგრეთვე ჩქარა მჭამელნი იღებენ ბევრს საჭმელს, რომელიც მოუნელებელი რჩება და კუჭს უმძიმებს მათ. ნოყიერ ნივთიერებათაგანი ზოგი იმ ფორმით შედის კუჭში, რომ შესაძლოა შეუცვლელად გადვიდეს სისხლში. ამათ ეკუთვნის შაქარი და შაქრიანი საჭმელები, როგორც ლუდი და ღვინო; მჟავენი, როგორც ძმარი, ლიმონის და ვაშლის მჟავე; უბრალო ხორცის წვენი; თხელი ქონი და ზეთი. ხოლო უმეტესი ნაწილი, როგორც ბუნებრივი, აგრეთვე ხელოვნურად შემზადებული, რთულნი არიან და ზემო ჩამოთვლილ ნივთიერებათა გარდა შეიცავენ აგრეთვე სრულებით მოუნელებელ ნაწილებს. ამათ ეკუთვნის ყოველგვარი ხილეულობა; ამის მიუხედავად ისინი მიიღებიან უმად, დაშაქრულები და მოხარშულნი, მთელ-მთელად, დაჭრილად ანუ დასრესილად. ზოგში კიდევ არის ცოტა თუ მეტი მისთანა ნაწილები, რომელნიც ადვილად გაიხსნებიან სტომაქში და მათთან ერთად მოუნელებელი ნაწილებიც. ეს შეეხება არამც თუ მწვანილის და კარ-

ტოფილის უმეტეს ნაწილებს, არამედ პურისა და ხორცისასაც. მაგარი და მოსანელებელი საზრდო საჭმლის მომანელებელი წვენით გაიხსნება ზოგი პირშივე ან და კუჭში და ზოგი ნაწლავებში. მომანელებელ წვენს ამზადებს ერთნაირი ჯირკვლები, რომელნიც მოთავსებულნი არიან სტომაქის სხვა-და-სხვა ადგილას. როგორც მაგალითს მე დავასახელებ ნერწყვის ჯირკვალს, რომელიც ღეჭის დროს იძლევა ნერწყვს; კუჭისას, რომელიც კუჭის წვენს იძლევა და კუჭ-ქვეშა ჯირკვალს, რომელიც იძლევა პანკრიატიულ წვენს; ეს წვენი ხსნის და არღვევს მიღებულ ნივთიერებათ; ეს წვნები დაუღეჭავ ნაწილებს ხსნიან და ქიმიურად სცვლიან. ამ გვარად ნერწყვს აქვს თვისება სახამებლის და გომიზის შაქრად ქცევისა და გახსნისა. პურსა და კარტოფილს ტკბილი გემო აქვს იმიტომ კი არა, რომ მათ შაქარი ჰქონდეს, არამედ ღეჭის დროს ნერწყვის ზედგავლენით მათში მყოფ სახამებლიდან კეთდება შაქარი. ხანგრძლივი და კარგი დაღეჭვა, რომლისგან შესაძლებელია ყოველმხრივი სახამებლიანი ნაწილების შერევა ნერწყვთან, ეხმარება ადვილ მონელებას პურისას და მის მსგავს საჭმლისას; მეორე მხრით კუჭ-ქვეშა ჯირკვლის წვენი ხსნის დაადნობს ხორცსა და ცილასაჭმელსა. არც ხორცი და არც ცილა არ ერევა სისხლს შეუცვლელად. ესენი იცვლებიან ეგრედ წოდებულ პეპტონად და ამ უკანასკნელის სახით ერევიან სისხლს. აქაც კარგად დაღეჭვა საჭმლისა, რომელიც კუჭში უნდა ჩავიდეს, მის გახსნის უმთავრესს საშუალებას შეადგენს. ამისათვის მალზე მოხარშული კვერცხი უფრო მნელი მოსანელებელია, ვინემ გათქვეფილი ანუ თოხლო. მაგრად მოხარშული ხორცი თითქმის მოუნელებელია და არც კარგა საზრდოდ.

აქვე გავიხსენოთ ერთი მეტად ხშირი შეცდომა. ხშირად იტყვიან ხოლმე, კუჭს მუშაობა უხდება და ამიტომ მას ნაზი და ადვილად მოსანელებელი საჭმელი არ უნდა მივაწოდოთო: უბრალოდ მომზადებული პური სჯობია კარგ შემზადებულსაო; უმი ხილი უფრო სასიმრთელო არის მოხარშულზეო; უმი ხორცი უფრო მარგებელია მოხარშულზე და მხოლოდ უმ კარტოფილზედ არ გამიგონია, რომ მოხარშულს ანუ შეუწვავს სჯობდეს. ეს შეხედულება მეტის-მეტი შეცდომაა. როგორც ზემოთა ვსთქვით, ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მასაზრდოებელ ნივთიერებას აქვს ისეთი შემადგინებელი ნაწილები, რომელთაც კუჭი ვერ მოინელებს; ასეთი ნაწილები უბრალო პურში მეტია, ვინემ წმინდად და სუფთად შემზადებულში და ამიტომ გრძნობიერ კუჭს ამძიმებს; ხოლო მრთელ კუჭს ცოტათი აღაგზნებს. შესაძლოა, რომ ამ გრძნობის აღგზნებამ გამოიწვიოს მეტი კუჭის წვენი, რომელიც მიღებულ ხორცს, კვერცხის ცილას და ყველს ადნობს და ადვილ შესათვისებლად ხდის. ხისგვარი ნაწილები კუმშვითის მოძრაობას იწვევს და ამით მოუნელებელი ნაწილების გარე გასვლას აჩქარებს სტომაქიდან. ამ აზრით კუჭის გაძლიერებული მუშაობის სარგებლობის უარყოფა შეუძლებელია.

ცხადია, რომ უმეტესი ნაწილი კუჭის ამნაირი მუშაობისა არ არის საჭირო, თუ კუჭში ხის გვარი ნაწილები ცოტა ჩადის; ამასთანავე კუჭის წვენი ცოტა დაიხარჯება, თუ მასაზრდოებელი საგანი კარგად შემზადებული და დაცოხნილია. მიზანი კუჭის მუშაობა კი არ არის—კვებაა, და უფრო მოსახდენია რომ მეტის მუშაობით კუჭი არ დაიღალოს, თუ ამას სხვა რამე საჭიროება არ მოითხოვს. ესევე ითქმის უმ ნაყოფზე მოხარშულთან შედარებით. ხილს, ბოსტნეულობას, კარტოფილს და მწვანილს ხარშვა არბილებს ანუ უკეთ რომ ვთქვათ აფუებს და უმეტეს უჯრედის ნაწილებს არღვევს და ერთმანეთიდან აცალცალკევებს.

დასრესა და დაფშვნა, რადგან გზას უხსნის მომანელებელ წვენს, იმოქმედებს უჯრედებში მყოფ მარგებელ ნაწილებზედ. ამაშია მისი არსებითი მნიშვნელობა; ხარშვა ქიმიურ ცვლილებას ახდენს, რომლის შემდეგ ადვილ მოსანელებლად ხდება; ეს მოქმედება ბევრად უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვინემ უჯრედების კარსის დარღვევა. ამით საჭმელი რამდენადმე კარგავს გემოს. მაგალითად, ყველა გემოიანი ნაწილები, რომელნიც ხილს ნამდვილ სასიამოვნოდ ჰხდის, განის უჯრედებში, ესე იგი ქერქში აქვს. თუ ეს ქერქი შამოვაცალეთ, სუნნელოვან ეფიროვანს ზეთს დაჰკარგავს. მისი უარ-ყოფაც არ შეიძლება, რომ უმი ხილი უფრო აგრილებს კაცს, ვინემ მოხარშული და ეს დამოკიდებულია მის დაბალ ტემპერატურაზე. ერთი კი ცხადია: თუ შემზადება ნოყიერებას არ მატებს ხილს, ადვილ მოსანელებლად მაინც ხდის; უმი ხილის უპირატე-

სობა მდგომარეობს მის კარგ გემოში და ამის გამო სიამოვნებაში. მისდა მიხედვით, ხილი სანოყიეროდ თუ სასიამოვნოდ გვინდა, შევამზადებთ ანუ უმად ვიხმართ; ხოლო კუჭის მუშაობის მოსამატებლად, მგონი, გიჟის გარდა არავინ გაიტენს საჭმელით მუცელს.

ხორცი სულ სხვა არის. რასაკვირველია, მომზადებას (ხარშვა, შეწვა, დამარილება)—მის სიმაგრე-სირბილეზე დიდი გავლენა აქვს. ხორცი რბილდება, თუმცა სხვა მიზეზით კი ვინემ ხილი. გამოცდილებამ აღმოაჩინა, რომ მოხარშული ხორცი უკეთ იხსნება კუჭის წვენით, ვინემ უმი. ხოლო აქ უნდა გაირჩეს შემდეგი. ხორცი შეიძლება რბილი იქმნეს ორი მიზეზით: პირველი მით, რომ კუნთების მარღვები ადვილად წყდება, იშლება განდივან და ამიტომ ირღვევა პატარა-პატარა ნაწილებად, რომელნიც ადვილად ერთვიან კუჭის წვენს და მსწრაფლ ემორჩილებიან მის მოქმედებას. მეორედ, ხორცის გარბილება შეიძლება მით, რომ კუნთების მარღვების შემაერთებელი ქსოვილები შემზადებით, ესე იგი ხარშვით იქცევიან წებოდ, ხორცი ირღვევა მოგრძო ბეწვებად, ვინაიდან ისინი შეერთებულნი აღარ არიან ერთმანეთთან. სრულად შემაერთებელი ქსოვილების წებოდ გარდაქმნა ხდება ხანგრძლივი და მძლავრი დუღილით, ესე იგი ბულიონის მზადების დროს. ამავე დროს, ცილის შეკვრის გამო, ხორცი მაგრდება, ძნელ მოსანელებლად და მოუნელებლადაც ხდება. ამისთვის კაფთხილებ მუდამ საშუალო შეძლების ღარიბ ხალხს, რომელთათვის ბულიონის ხორცი ერთადერთი კერძია, უარ-ჰყონ ეს არა ოჯახური საქციელი: მომზადებული ბულიონი უფრო საგემო საგანია, ვიდრე ნოყიერი; მაგრად მოხარშულმა ხორცმა კი თავისი სინოყიერე დაკარგა, რადგან მოუნელებელი ხდება სი-მაგრის გამო. ეს ხორცი მაგრად მოხარშულ კვერცხსა ჰგავს, რო-მლის მიღება დიდ განსაცდელში აგდებს სუსტი კუჭის პატრონს. მზადების უცოდინარობა ხორცის საჭმელს ახდენს.

ადვილ მოსანელებელ ნივთიერების მოუნელებლობას ერთი განსაკუთრებითი ურგებლობა აქვს, და ამას, ჩემი აზრით, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. უმეტესი ნახევრად მოსანელებელ ანუ მოუნელებელ საჭმლის შემადგენელი ნაწილები ზოგი კუჭში და ზოგი ნაწლავებში ირღვევიან. მცენარეული საჭმელი დუღდება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორცეულისა კი ლპობით დაშლასა ჰგავს. ერთიც და მეორეც აჩენს ლაზოვან ნივთიერებათ; ჩნდება სხვა-და-სხვა ახალი ქიმიური ნივთიერებანი, რომელნიც აწუხებენ ადამიანს პირველი მით, რომ მუცლის ქვედა ნაწილს ჭიმავენ, და მეორედ თვისი ამაღელვებელი თვისებითაც. რაც უფრო დიდ-ხანს რჩება საჭმელი მუცელში, რაც უფრო სუსტი არის ნაწლავების სისტემა, მით მეტია ფუილის და ლპობის პროცესსი. ამისათვის ბევრნი ერთად სთვლიან, მონელებას და გარეთ გასვლას, მართლა კი ერთი მეორეს მოპირდაპირეა. მართალია მხოლოდ ის, რომ ნახევრად მონელებული ანუ მოუნელებელი ნაწილები, რაც შეიძლება მალე უნდა იქმნას განშორებული სტომაქიდან, ვინაიდან მათი იქ დარჩენა მუცლის ტკივილს გამოიწვევს.

მე დაჟინებით ვამბობ, რომ, როგორც მცენარეული, აგრეთვე ხორცეული საჭმელი ფაღარათს გამოიწვევს, თუ ისინი მოუნელებელნი არიან. თუ მცენარეული საჭმლის მომხრენი ზიზღით ახსენიებენ, რომ ხორცეული საჭმელი სტომაქში ლპება, და კაცი მათის მირთმევით ლპობის პროცესსის ჭურჭლად ხდებაო, მეორე მხრით შეგვიძლიან ვუჩვენოთ მცენარეული საჭმლის უვარგისობა, ვინაიდან ისინი ვრცლად ფუვდებიან ნაწლავებში. ბავშვებს მუცლის ფაღარათი უტყდება ფქვილის ქაშის ანუ სხვა სახამებლოვანი საჭმლის დამჟავებისაგან.

ხილეულობის, კიტრისა და სხვა ნაყოფის ჭამა მოზრდილს არ უჩენს მუცელას და ხოლერასაო; ხოლო ვინც გვიან-გვიან გადის და საჭმელი დიდ-ხანს აქვს გაჩერებული კუჭში, ვისაც სუსტი მომნელებელი სტომაქი აქვს და მუცელში შეკრულია, ბევრი მოუნელებელი ხილეულობის ნაწილები ხელს უწყობს, რომ მუცელათი და ხოლერათი გახდეს ავად. ამ მხრით მცენარეული საჭმელი არ არის უკეთესი ხორცეულზე. მხოლოდ ერთ შემთხვევაში იძულებულია კაცი ძნელად მოსანელებელი საჭმელი მიიღოს: ესაა—როცა მოთხოვნილება აქვს გაივსოს სტომაქი; სიმშილის გრძნობა სხვა-და-სხვა ნაირია: იგი ყოველთვის არ არის გამომხატველი მასაზრდოებელი საგნის ინსტიქტიურად სურვილისა; ხშირად კუჭის გავსების ჩვეულებით წარმოდგება, ანუ კუჭში სიცარიელის გრძნობით: ცნობილია, რომ ის განსაკუთრებითი მხილება, რომელსაც მადას ეძახიან, შეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლება შემცირდეს სრულიად ურგების საჭმლის მიღებით. სიმშილის დროს ხალხი ეტანება მისთანა საგნებს, რომელთ არავითარი ნოყიერება არა აქვთ. სჭამენ ხის კანს, ბალახს, ძვლებს, ტყავს და სხვ. იმ ქვეყნებში, სადაც სიმშილი ხანგამოშვებით იცის ხოლმე, არა ბუნებრივი მოვლენა ჩნდება: მოგაგონებთ მიწის მჭამლებს, რომელნიც სხვა-და-სხვა ქვეყნებში იმყოფებიან. მათ შორის ცნობილნი არიან ოტტომაკნი, სამხრეთ ამერიკის ველური ხალხი; ჰუმბოლდტის სიტყვით იმათ მუშაობა ეზარებათ, მცენარეულებს არ მოჰყავთ და თევზებით და კუით იკვებებიან; წყალდიდობის დროს, როცა ამ ცხოველების დაჭერა შეუძლებელი ხდება, ოტტომაკები ორი-სამი თვის განმავლობაში საოცარ ბევრს მიწას სჭამენ—გირვანქის $^3/_4$-დან $1^1/_4$-მდე დღეში თითო. თუმცა, რასაკვირველია, ამოდენ მიწაში შესაძლოა იქმნეს რამე პატარა ცხოველი ანუ მცენარის ნაწილი, მაგრამ მაინც უეჭველია, რომ ის მარგებელი არ არის. ეს მხოლოდ ცარიელი კუჭის გასავსები მასალაა. რასაც ეს ველური ხალხი შვრება, იმასვე შეხვდებით მუშა ხალხშიაც. მუშა ხალხი სჭამს უბრალოდ გამომცხვარ პურს და სხვა მსხვილ საგნებს, ვინაიდან ამასთან ერთად ბევრი საჭმელი ჩადის კუჭში. ეს იწვევს იმ კუჭის დიდს მუშაობას და ბევრს განავალს, რომელსაც ცრუ ფიზიოლოგები ტანის სიმრთელის შეუცდომელ ნიშნად სთვლიან, და მართლა კი ძალიან ცუდი ჩვეულება არის.

ამნაირი ჩვეულება ტანის სიმრთელის ნიშანი არ არის, პირიქით ავათ მყოფობასთან ახლოა. მოუნელებელი საჭმლის მიღების სურვილი არავითარი ბუნებრივი მოთხოვნილებით არ არის აღძრული. ამით არავითარი ფიზიოლოგიური მიზანი არ სრულდება. მართლაც ბევრნი იძლევიან ღრმა აზრებს ამგვარ ავათ-მყოფთ-მიდრეკილებაზე. ცდილობდნენ კიდეც ზოგიერთა ქალების ავადმყოფობა ცარცის ჭამისა, ძმრის სმისა და სხვა უვარგისი რამეების მიღებისა აეხსნათ ორგანიზმის თვით-მორჩენის მისწრაფებით. ამგვარი ახსნის მონახვა მიგვინდვია მსურველთათვის; ხოლო პირსაფერად ნუ გავავრცელებთ უკანასკნელთ აზრს მისთანა საგნების საზრდოებაზე, რომელთ არავითარი საზრდოება სხეულისა არ შეუძლიანთ. ამგვარ განმარტებას არ ძალ-უძს დაამტკიცოს, რომ ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭამა ორგანიზმის სასიმრთელოდ იყოს საჭირო. პირიქით, სხვა ქვეყნების და დროის გამოცდილება გვასწავლის, რომ დიდის ზომიერებით, ცოტა საჭმლის კმაყოფილებით ტანის სიმრთელე ძალიან კარგად ენახება არამც თუ კერძო პირს, არამედ მრთელ შთამომავლობასაც. გახოკილ მინდორ-ველთა მცხოვრები არაბი ღონიერი და მკვირცხლია, მისდა მიუხედავათ, რომ ერთ მუჭა ბრინჯსა სჭამს დღეში. ნორვეგიის მთების მცხოვრები მუშა თავის ყოველდღიურ შრომას ასრულებს ისე ცოტა პურით და მშრალი ყველით, რომ დაუჯერებელია კიდეც.

ნამდვილად კი საქმე ის არის, რომ მიღებული საჭმელი ადვილ მოსანელებელი იყოს, და არა ის, რომ მან ბევრი უვარგისი რამ დასტოვოს და ამით უხვი განავალი დააგდებინოს. ამისათვის ჩვენი გამოკვლევა აყენებს კითხვას, რანაირი მოქმედება უნდა იქონიოს საგანმა, რომელიც სისხლს უნდა შეერიოს, რომ იგი ნოყიერად ჩაითვალოს.

დიდი ხანია მასაზრდოებელი საგნის ნამდვილ ნიშნად სთვლიდნენ მას, რომ იგი ორგანიზმს შეეთვისოს და გაუერთგვარდეს. ამით უნდოდათ ეთქვათ, რომ მიღებული ნივთიერება შეიცვლება ტანში, უკეთ რომ ვსთქვათ, ქსოვილებში და სხეულის ორგანოებში, და ამ შეცვლით კეთდება მათ მზგავსად და ამგვარად მას ითვისებენ ქსოვილები. უწინდელი წარმოდგენით ეს იყო მეორე უზენაესი მონელება.

მართლაც საკმარისია ავიღოთ ბალახის მძოვარი ცხოველი მის წარმოსადგენად, რომ საკუთრად მონელების გარდა, მის სხეულში უნდა სუფევდეს კიდევ სხვა გვარი მოქმედება, რომლის ძალით ესა თუ ის მცენარეული საჭმელი ცხოველად შეიქმნეს. არც ერთი მცენარე არ შეიცავს ხორცის, ტვინის, თირკმელისა და ფილტვების მასალას მზად. ამისდა მიუხედავად ბალახ-მძოვარი ცხოველი ინახავს თავის ორგანიზმს შეუცვლელად წმინდა მცენარეული საჭმელით. კუჭში ანუ ნაწლავებში ბალახი ანუ მარცვლები ჯერ არ იქცევა ხორცის ანუ ტვინის მასალად: ეს უკანასკნელი კეთდება მხოლოდ შემდეგ, თვით ორგანოებში, საჭმლის შემადგინებელ ნაწილებიდან, რომელნიც სისხლში გადვიდნენ. ეს კიდევ არაფერი. ერთი და იგივე

ეროვნუ
ბიბლიო

ბალახიდან ცხვარი იკეთებს მატყლს, ბატი—ბუმბულს, რქიანი საქონელი—რქას, ირემი—ძვლის რქას, ერთი სიტყვით თვითეული ცხოველი ამზადებს ნივთიერებას და ქსოვილს თავისებურად და არა საჭმლის დაგვარად. რასაკვირველია, საჭმლის გვარს აქვს ზედგავლენა საზრდოობაზე, და, მაშასადამე, მატყლის, ბუმბულის, ხვადაგის რქის და ირემისა, ხორცის და ქონის თვისებაზე, ხოლო ეს ზედგავლენა მეორე ხარისხზე სდგას. ყველამ იცის, რომ ხვადაგის და ცხვრის ხორცი სხვა-და-სხვა ნაირია. ხოლო ხვადაგის ხორცი ხვადაგისაა და ცხვრისა—ცხვრისაა. არავის არ მალუძს სხვა-და-სხვა საჭმლით ხარს გააკეთებინოს ცხვრის ხორცი. ესევე ხდება მძორის მჭამელ ცხოველებშიაც. ლომი ლომად რჩება, რანაირი ხორციც უნდა აჭამოთ; მგელი მგლად დარჩება, თუნდაც მუდამ ცხვრის ხორცი აჭამოთ; ეს ადვილი გასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში მას, რომ შეჭმული ხორცი იმ სახით, როგორც თვითონაა, არ ერევა სისხლში; ჯერ გაითქვიფება და გადაცვლება კუჭში და ის ახალი ნივთიერებანი, რომელნიც ხორცის შეცვლით კუჭში გაჩნდნენ, სისხლის შემწეობით გადადიან კუნთებში. მიღებული ხორცი არასოდეს არ უერთდება კუნთებს პირვანდელი სახით: პირ-იქით ამ კუნთებმა ხელ-ახლად უნდა შეამზადონ ხორცი მონელებული მასალისაგან. ეს არის შეთვისება ანუ ასსიმილაცია, ესე იგი თავის თავის დამგზავსება. მხოლოდ ასსიმილაციის საშუალებით ნოყიერი ნივთიერება ხდება სხეულის შემადგენელ ნაწილად, ამა თუ იმ ორგანოს განსაკუთრებითი თვისების მიხედვით. ამ გარჩევიდან ჩანს, რომ საზრდოება შეიძლება ვიწროდაც და ვრცლადაც განვიხილოთ. სიტყვა საზრდოება, გვებს, აღნიშნავს ყველა ამ მოქმედებებს, რომელნიც, დაიწყება თუ არა საჭმლის მიღება, გაგრძელდება პირში, კუჭში და ნაწლავებში, სადაც დანაწილდება და მოსანელებელ წვენის ზედგავლენის ქვეშ იმყოფება; შემდეგ—იმ მოვლენებს, რომელთაც შეადგენენ გახსნილი და შეცვლილი ნივთიერების სისხლში გადასვლა და რომელიც თავდება შეთვისებით იმ საგანთა, რომელთაც გაიარეს სხვა-და-სხვა ცვლილება ამა თუ იმ სხეულის ნაწილების შემწეობით. ვიწრო შეხედულებით საზრდოებად ზოგიერთი სთვლის პირველ პროცესს, ესე იგი საკუთრივ თვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭამას; სხვები კი—და ეს ეთანასწორება ამ სიტყვის მეცნიერულ მნიშვნელობას—მხოლოდ სხეულის ნაწილების მიერ მასაზრდოებელი ნივთიერების შეთვისებას ესე იგი უკანასკნელ პროცესს. რა დიდი უთანხმოება ხდება იმითი, რომ სიტყვა იხმარება ხან ვრცელი აზრით და ხან ვიწროთი, ორივეჯერ სხვა-და-სხვა მნიშვნელობით,—ეს ცხადადა სჩანს სხვა-და-სხვა წარმოდგენიდან ამა თუ იმ საგნის სინოყიერის თვისებაზე.

პირველად საზრდოებაზე მეცნიერული წარმოდგენა ლიბიხმა გაარკვია საყოველთაო გასაგებად. დაარქვა რა მასაზრდოებელი მხოლოდ იმ საგნებს, რომელნიც ჭეშმარიტად ერგებიან სხეულის ნაწილებს, მან ამავე დროს გამოაცალკევა მთელი რიგი ნივთიერებათა, რომელნიც, მისი აზრით, მხოლოდ დროებით შეერევიან ხოლმე სისხლს და ორგანიზმს არ უერთდებიან. მან მიიღო ის აზრი, რომ ეს უკანასკნელნი ნივთიერებანი მჟავბადის ზედგავლენით ფილტვებში ირღვევიან სითბოს გაჩენის დროს. წინააღმდეგ მასაზრდოებელი საგნებისა, მან დაარქვა ამათ სასუნთქავი მასალები.

ამ გვარი მნიშვნელობა დამყარებული იყო ცოტათი ყალბ ნიადაგზე. რამდენიმე ხნის განმავლობაში უეჭველად მიაჩნდათ, რომ მჟავბადი, რომელიც ჰაერთან ერთად შედის ფილტვებში, უცბად სწვავს სისხლში შერეულ მასალასაო, რომ, მაშასადამე, ფილტვები არის უმთავრესი ადგილი დარღვევისა და აქედან იღებს სხეული უმთავრესად სითბოსაო. ამ გვარი აზრის მიხედვით ფილტვები რამდენადმე გერად უნდა ჩაითვლილიყო და სასუნთქი მასალები წარმოადგენდნენ უსაჭიროეს პირობას, რომლის საშუალებითაც სუნთქვა უნდა მომხდარიყო. ხოლო გამოცდილებამ სხვა დაგვანახვა. სისხლი ფილტვებში არ თბება: წინააღმდეგ, საზოგადოდ ცივდება. გარდა ამისა, ნივთიერებანი მჟავბადის ზედგავლენით ფილტვებში არ იწვიან: უმთავრესი რაოდენობა მჟავბადისა იფანტება სხეულის შორეულ ნაწილებში წითელი სისხლით წაღებული და იქ იწვის.

თუ იმ საგნების დარღვევით, რომელიც ხდება მჟავბადის ზედგავლენით, ჩნდება სითბო, შესაძლოა ამ პროცესს დაერქვას წვა, თუმცა არც ალი და არც კომლი არ არის ამ დროს. მართლაც, უძველეს დროიდან ამნაირ დამოკიდებულების ეჭვი ჰქონდათ და სწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად მეცნიერებაშიც და მდაბიო ხალხშიც ასეთი აზრი შეგხვდებათ. «ცხოვრების ალი», «შინაგანი ცეცხლი» უძველეს დროიდან იპყრობდა ფილოსოფოსების ყურადღებას. ბევრი კმაყოფილდებოდა მით, რომ შინაგან ცეცხლს სთვლიდნენ ციურ წყალობად, რაღაც ღვთიურად და დაბადებითვე თანდაყოლილად: ცხოველი სითბო იყო რაღაც განსაკუთრებული, სხვა სითბოსაგან განსხვავებული. ამისათვის მას კიდევ ჩვენს დრომდის აწერდნენ სულ განსაკუთრებულს, მაცოცხლებელს და გამკურნებელ მოქმედებას, რომელიც სხვა გვარ სითბოს არა აქვს. კიდევ მეტს სწერდნენ: ერთი ნაბიჯიღა იყო კიდევ დარჩენილი მის სიცოცხლედ ჩათვლამდის. თანამედროვე მეცნიერებამ აჰხადა ფარდა პოეტურ წარმოდგენას. შინაგანი ცეცხლი ისე მუდმივი არ არის, როგორც გარეგანი. მხოლოდ განუწყვეტელი მიმდინარეობა შინაგანი დარღვევის და წვის პროცესისა არღვევს ცხოველ ცეცხლს: იწვის სულ ახალ-ახალი მასალა, რათა ცხოველი სითბო შეუწყვეტელ იქმნეს. თანდაყოლილი სითბო ცოტა ხანს რჩება. ახალი ნივთიერებანი უნდა იყვნენ, რომ ახალი სითბო გაჩნდეს და ეს ნივთიერებანი შემოდიან საჭმელთან ერთად. ამის წყალობით კაცს თვითონ აქვს თვისება თავისი ტანის სითბო დაიცვას თითქმის შეუცვლელად, ერთ დონეზე მაშინაც კი, როცა გარეშე პირობანი ცუდნი არიან; უდიდეს თან-დაყოლილ თვისებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენ, ჩვენის რთულის ორგანოების მოწყობილების წყალობით, შეგვიძლიან, საჭიროების მიხედვის დაგვარად მეტნაკლები საწვავი მასალის ხარჯვი გამოიწვიოთ და გავიჩინოთ მეტი ან ნაკლები სითბო. ეს გარემოება კაცს დახმარებას უწევს, ადვილად აიტანოს ცივი და ცხელი ჰავა. ცხოველები და მეტადრე მცენარეები ძრიელ ცუდ მდგომარეობაში არიან ამ მხრით და ამიტომ ერთი და იგივე ცხოველი ანუ მცენარე ყველგან ვერ ცოცხლობს. ამის მიხედვით კაცის სხეული სახმილად ჩაითვლება და საჭმელი კი შეშად. ჩვენ შეგვიძლიან, მაშასადამე, იმ ნივთიერებათ, რომელნიც განსაკუთრებით იხმარებიან საწვავად «სასუნთქავ მასალის» მაგიერ ვუწოდოთ უფრო შესაფერი სახელი «სითბოს მომგვრელი», და დავყოთ ნოყიერი ნივთიერებანი ორად: მასაზრდობელ და სითბოს მომგვრელად.

ეს ორი გვარი ნივთიერებანი თავისი თვისებით სხვა და სხვა არიან, თუ არა? შესაძლოა, თუ არა სამუდამოდ ზოგი ნივთიერებანი ნოყიერად ჩავთვალოთ და სხვანი სითბოს მომგვრელად? ამ კითხვების გარდაწყვეტას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს უეჭველია, ვინაიდგან მაშინ ცალკე შემთხვევაში ჩვენ შევიძლებდით გაგვესაზღვრა, რამდენი უნდა მიიღოს კაცმა ესა თუ ის გვარი საჭმელი, რომ ორგანიზმის სიმრთელეს არა ევნოსრა. თუ ამისი ცოდნა მეტად საჭირო შეიქმნებოდა ტან მრთელი კაცისთვის, რადგან გადაწყვეტილს გვაჩვენებდა, რა მოუნდებოდა საზრდოდ ოჯახს, სახელმწიფოს, ჯარს, უფრო მეტი მნიშვნელობა ექმნებოდა ექიმისთვის, რომელმაც სხვა და სხვა ავადმყოფობის დროს უნდა დაუნიშნოს სამყოფი რაოდენობა ნოყიერ და სითბოს მომგვრელ ნივთიერებათა. მაგ., ციების დროს, რადგან სხეულის ტემპერატურა ძლიერ მაღლა იწევს, არ არის საჭირო სითბოს მომგვრელი საგნების მიღება, ხოლო რადგან ეს ავადმყოფობა ძლიერ ასუსტებს კაცს, ამისათვის რიგია მიღებულ იქმნას რაც შეიძლება მეტი მასაზრდოებელი საჭმელი.

ქიმიურმა სწავლამ ამ უკანასკნელ დროს სრულებით დაჰყო ნოყიერი და გამათბობელი ნივთიერებანი. ლიბიჰმა უფრო მკაცრად გამოსთქვა ეს აზრი. მან მიიღო ის აზრი, რომ ცხოველის ქსოვილთა ქიმიური შედგენილების საფუძველს შეადგენენ აზოტიური ნივთიერებანი, მაგ. ცილა ანუ მისი მზგავსი ნივთიერებანი, როგორც ფიბრინი, კაზეინი (რძიდან დალექილი თეთრი ნივთიერება, რომლიდან კეთდება ყველი), ცილიდან წარმომდგარი ნივთიერებანი, როგორც მაგ. კანის და ძვლების წებოს მომცემი ნაწილები; ყველა ამ ნივთიერებაში იმყოფება აზოტი და ეს ახასიათებს მათ. გამოკვლეული იყო უმთავრესად ხორცი, ნერვები თავისა და ხერხემლის ტვინითურთ და სისხლი. რადგანაც მათი ნაწილი დაიხარჯება სხეულში სხვა და სხვა პროცესის გამო, მაგიერი მისი მგზავსი ესე იგი აზოტიური ნივთიერებანი უნდა მიემატოს სხეულს. ეს გამოკვლევა მიგვიყვანს იქამდის, რომ ხორცით საზრდოობა უსაჭიროესი მოთხოვნილებაა ორგანიზმისა. ხორცის გარდა არის ცხოველის ნაწილები, როგორც მაგალითებრ ტვინი, სის-

ხლი, კვერცხები და რძე. უმრავლესი მცენარეების მარცვლები და ნაყოფები, რომელნიც საჭმელად იხმარებიან, შეიცავენ ცილის მზაგვს ნივთიერებას, ხოლო ისე ცოტას, რომ მათი მნიშვნელობა როგორც მასაზრდოებელი ნივთიერებისა, მცირეა. ქიმიური სწავლით მცენარეები სხვა ჯურაზედ არიან მითვლილნი. ამათი უმთავრესი ელემენტი არის ნახშირ-ბადი, რომელიც ნახშირის სახით ყველამ იცის, როგორც ასანთები მასალა. ბუნებაშიც არის მზად, მაგ. ქვა. ნახშირი, ტორფი და სხვანი. ყველა ესენი არის წარმომდგარი მცენარეებიდან ესე იგი ხის მასალიდგან, აგრედ წოდებულ ცელულოზისაგან. ეს ცელულოზა ძლიერ წააგავს სახამებელს, რომელიც არის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი კარტოფილისა, პურისა, სიმინდისა და ბრინჯის. ხის მასალას და სახამებელს ერთი და იგივე ქიმიური შემადგინებელი ნაწილები აქვთ; ხის მასალა ადვილად შეიძლება შეიცვალოს სახამებლად. უმთავრესი განსხვავება მათ შორის ის არის, რომ სახამებელი ადვილად იცვლება, ხის მასალა კი უფრო უცვალებადია. სახამებელი მდუღარე წყლის ზედგავლენით რაოდენიმედ იცვლება მწებავ ნივთიერებად (გომიზი, დექსტრინი); საჭმლის მოსანელებელ სითხედ, მაგ. ნერწყვის გავლენით—შაქრად; ხის მასალა თითქმის სრულებით არ იცვლება ამ დროს. უნდა ვიცოდეთ, რომ უბრალო საწვავი მასალა ესე იგი შეშა და სხვა, და სხეულში სითბოს მომგვრელი ნივთიერებანი ერთგვარნი არიან თავისი თვისებებით; ესენი ნახშირის გარდა წყალბადს და მჟავბადს შეიცავენ; ეს უკანასკნელნი არიან შეზომილნი მათში ისე, როგორც წყალში. ამიტომ ამ ნივთიერებით ჰქვიანთ ნახშირ-წყალოვანნი ანუ ნახშირბადის ჰიდრატი, წყლიანი ნახშირბადი. როცა ხე იწვის, ნახშირბადი ხის მასალისა უერთდება ჰაერის მჟავბადს და კეთდება ნახშირის სიმჟავის გაზი, წყალბადი და მჟავბადი ხის მასალისა ჰქრებიან წყლის სახით. აგრეთვე ხდება ნელი შეცვლა სახამებლისა და მისგან წარმომდგარ ნივთიერებისა სხეულში ესე იგი ცხოველური წვა. უკანასკნელ შემთხვევაში წარმომდგარი ნახშირის სიმჟავის გაზი და წყალი, ეგრედ წოდებული წვის პროდუქტები ეცლებიან სხეულს ამოსუნთქვით და სხვა გზით. ნახშირ წყალოვან ნივთიერებათ ეკუთვნის სხვა და სხვა გვარი შაქარი (ყურძნის, ლერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამის, რძის); მეორეს მხრით ამათ ახლოს სდგას უმეტესი ნაწილი ორგანული სიმჟავეებისა, განსაკუთრებით ვაშლისა, ლიმონისა, ღვინისა და ძმარი.

მეორე რიგს ნახშირბადისაგან შემდგარ ნივთიერებათა წარმოადგენენ ქონი და ზეთი. ესენიც, როგორც ყველამ იცის, იხმარება საწვავ მასალად. ესენიც უმეტესად შესდგებიან ნახშირბადიდან, წყალბადიდან და მჟავბადიდან. ხოლო უკანასკნელის რაოდენობა მცირეა პირველთა შედარებით. ამათ, თუმცაღა შეცდომით, ეძახიან ნახშირ-წყალ-ბადოვანს. ნამდვილი წყალბადნი კი არ შეიცავენ მჟავბადს. ეს ნივთიერებანი ჭაერში ადვილად იწვიან და ამისათვის იხმარებიან სანათ-მასალად. სანათი გაზი შესდგება ამ გვარი ნახშირ-წყალბადებიდან. ქონი და ზეთი ძრიელ გვანან ამათ. ყველა ამათგან დაწვის დროს თავს იჩენს ნახშირის სიაჟავის გაზი და წყალი. ამათ ეწოდებათ ცოცხალ არსებაში სითბოს მომგვრელი ნივთიერებანი.

როგორც ნახშირ-წყლოვანნი, აგრეთვე ნახშირ-წყალბადოვანნი უხვად მოიპოვებიან მცენარეებში, ამიტომ მცენარეულ საჭმლებში ამ ორი ჯგუფის ნივთიერებათ ცალკე ადგილი უკავიათ. ბევრი ამის გამოდ ცხოველის საჭმელს აზოტურს ეძახის და მცენარეულებს ნახშირბადოვანს და ჰგონია, რომ პირველი ნამდვილი მასაზრდოებელი ნივთიერებებია, ხოლო მეორენი იძლევიან უმთავრეს სითბოს მომგვრელ მასალას. ფორმულად ცხადი და მოხდენილია: აზოტი—სასაზრდოოდ, ნახშირბადი—სითბოსათვის.

მეცნიერებაში ეს ფორმულა საყოველთაო არ იყო მიღებული. უმთავრესი წინააღმდეგობა ამას მეორე, მეცნიერებაზე სრულებით დაშორებულმა, მიმართულებამ გაუწია დიდი ხნიდან. უძველეს დროიდან ზოგიერთი ერი მცენარეული საჭმლებით იკვებებოდა. ევროპაში თუმცაღა ეს არ ყოფილა, მაგრამ ზოგიერთი ამ გვარი ჩვეულება იყო აქაც. როგორც პითაგორმა თავისი მოძღვრებიდან ხორცეული საჭმლის ხმარება განდევნა, აგრეთვე დროგამოშვებით გამოჩნდებოდნენ ხოლმე ზოგიერთნი, რომელნიც უბრუნდებოდნენ მცენარეულის საჭმელით კვებას. უკანასკნელ დროს შესდგა მცირე რიცხოვანი და არა მჭიდრო, ხოლო ძლიერ მომქმედი სექტა ვეგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიანებისა. ეს სექტა აღიჭურვა რა ყოველი მეცნიერების შემწე საშუალებებით და მაღალ განვითარებულ რწმენით, წინააღუდგა ხორცეულით კვებას, როგორც ერთ უმთავრეს სიბოროტეს და ბუნების საწინააღმდეგო კაცობრიობის გზის დაბნევას, ამასთან ერთად თვისი მაგალითით ცდილობს დაამტკიცოს, რომ მცენარეული საჭმელი სრულიად საკმარისია სიცოცხლისა და ტანის სიმრთელის შესანახად. ვეგეტარიანები ხშირად ერთ გზაზე არ დგანან და დაუდგრომელნი არიან. მავნებელი არ არის ტანის სიმრთელისათვის ყოველი ისა,—ამბობენ იგინი, რაიცა გამოვალს მოკლული ცხოველისაგან. ამიტომ თაფლსა, რძესა, ერბოსა და ყველს სთვლიან სასიმრთელო საჭმელად, თუმცა არც ერთი არ არის მცენარე. კვერცხი, რომელიც ცოცხალი ცხოველიდან არის, ახლად შემზადებული ესე იგი თოხლოდ, ზოგიერთი ვეგეტარიანებისაგან აკრძალული არის საჭმელად. ლოკოკინები, რომელთაც ევროპაში ცოცხლად ანუ ახლად მაინც სჭამენ, განდევნილია ვეგეტარიანების მიერ ხორცთან ერთად.

თუ ამ ერთი მეორის წინააღმდეგ აზრებს არ მივაქცევთ ყურადღებას, ვეგეტარიანების მიერ მოყვანილი ზოგიერთი საბუთები ფრიად შესანიშნავნი არიან. ყველაზედ უწინ ისინი აჩვენებენ კაცის ბუნებრივ ორგანიზაციას—კბილებისა და მოსანელებელ ორგანოების წყობილებას. ძუძუიან ცხოველებში ადამიანის კბილები და მოსანელებელი ორგანოები ძალიან განირჩევიან ნამდვილ ბალახ-მჭამელ ცხოველთა ამავე ორგანოებისაგან, მაგ. რომ შევადაროთ მცოხნავთ და მღრღნელთ, ვიდრე ნაყოფის-მჭამელთ. ხოლო მაღალ ხარისხოვან მაიმუნებ შორის არის რამდენიმე გვარი ეგრედ წოდებული ნაყოფის-მჭამელნი მაიმუნები და აი—ამბობენ—ამ მაიმუნებთან ძლიერ ახლოს დგას კაცი თვისი საჭმლის მოსანელებელი ორგანოებით და ამიტომ კაცი უნდა ჩაითვალოს ნამდვილ ნაყოფის მჭამელ ცხოველად. ამ შედარებას რომ გარდამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა, მაშინ გაუგებარი იქმნებოდა, რა საფუძვლით უნდა ჩაითვალოს რძე, ერბო და ყველი მოზრდილი კაცის ბუნებრივ საჭმელად. უფრო უკანონოდ უნდა ჩაითვალოს ის, რომ კარტოფილს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხუდოს, ლობიოს, ოსპს, ხორბალს და ბრინჯს უმად არა სჭამს კაცი. რა საჭირო იყო ამდენი შრომა მათ შესამზადებლად, თუ ბუნებრივია, რომ კაცმა მაიმუნების მზგავსად, ჭამოს ბუნების მოცემული უმად?.

ს. ენუქიძე.

(დასასრული იქნება)

→※←

# სამრევლო სკოლები

## გურია-სამეგრელოს ეპარქიაში

თხუთმეტიოდე წელიწადია, რაც გურია-სამეგრელოში საერო განათლების უწყების სკოლებს სამრევლო-საეკლესიო სკოლებიც ამოუდგნენ გვერდით. პირველს ხანებში ამ ტიპის სკოლები, რომელთაც აზრადა აქვსთ ბავშვებს განუვითარონ ზნეობა-სარწმუნოება და ასწავლონ წერა-კითხვა, ფეხს ვერ იკიდებდნენ ჩვენში. მიზეზები ამისა ბევრი იყო. გარდა იმისა, რომ თვით საქმე ახალი იყო, წესიერს მსვლელობას მისას აბრკოლებდა, ჯერ ერთი ისა, რომ მასწავლებელთ მომზადება აკლდათ საპედაგოგიო მოღვაწეობისათვის. უფროსერთი მათგანნი დიაკვანნი იყვნენ, სამღვდელო ხარისხის მეძიებელნი. უმეტესობას მასწავლებლებისას, სასულიერო სასწავლებელი არც კი ჰქონდათ გათავებული. გარდა იმისა, რომ მოუმზადებელნი იყვნენ, სიყვარულიც კი არა ჰქონდათ იმ წმიდა საქმისა, რომელსაც ემსახურებოდნენ. სკოლასა ხსნიდნენ, შიგ ვაი-ვაგლახით მასწავლებლობდნენ, ტანჯვა-წვალებით ორისა და სამის წლის განმავლობაში ბავშვებს უხეირო წერა-კითხვას ასწავლიდნენ იმიტომ, რომ „ასეთის დამსახურების“ შემდეგ უფრო მეტი შანსი ჰქონოდათ მღვდლობის ხარისხი ეშოვნათ. ერთს დროს ეპარქიალური მთავრობა დიაკვანს მღვდლად არც კი აკურთხებდა, თუ იმის მოწმობას არ წარმოადგენდა, რომ „სკოლა ჰქონდა გახსნილი“ თავის ღვაწლითა და მეცადინეობით. დახმარება, ზნეობრივი თუ ქონებრივი, არავისი ჰქონდა მაშინ-

დელს მასწავლებელს, თვალ-ყურს არავინ ადევნებდა მისს მოქმედებას. მხოლოდ საჭირო იყო გაეხსნა „კლასი", სხვა არაფერი.

ამ სახით მიდიოდა საქმე სამრევლო-საეკკლესიო სკოლებისა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში ამ უკანასკნელ ხანამდე. ამ ოთხის წლის წინად კი, როგორც რუსეთში, ისე კერძოდ აქ სასულიერო მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამრევლო-საეკკლესიო სკოლებსა: დანიშნულ იქმნენ საეპარქიო და სამაზრო მეთვალყურენი სკოლებისა; ყველა მღვდლებს ევალებათ თავიანთს მრევლში სკოლები გახსნან და ხალხს წერა-კითხვა ასწავლონ; ეხმარებიან სკოლებს ფულით, წიგნებით, უნიშნავენ სკოლებს საპატიო მზრუნველებს მათის წარმატებისა და აღორძინებისათვის. ასეთის ზრუნვის სასურველ ნაყოფს უკვე ვხედავთ: მთელს ეპარქიაში 1886 წელს სულ ათი სკოლა იყო სამრევლო-საეკკლესიო, დღეს კი ამავე ეპარქიაში ამ ტიპის სკოლათა რიცხვი 138-მდე ავიდა! ასეთი მსწრაფლი ზრდა სკოლებისა, სადაც მოზარდი თაობა, სხვა არა იყოს-რა, წერა-კითხვას მაინცა სწავლობს, ყველა ჩვენის ქვეყნის გულშემატკივარისათვის დიაღ სანუგეშოდ უნდა ჩაითვალოს.

ჩვენს წინა ძევს წლიური ანგარიში სამრევლო-საეკკლესიო სკოლებისა ხსენებულს ეპარქიაში $1896/_7$ წლისათვის. როგორცა სჩანს ამ ანგარიშიდან, ჯერ ბევრი რამ აკლია ჩვენში სამრევლო სკოლასა, ბევრი რამ აფერხებს მისს ზრდასა, გარნა, თავის მხრივ, სანუგეშოსაც ბევრსა ხედავს კაცი. ჩვენა გვსურს გავაცნოთ მკითხველს, როგორც სანუგეშო, ისე სამწუხარო მხარეცა ამ სკოლათა მდგომარეობისა გურია სამეგრელოის ეპარქიაში.

გურია-სამეგრელოის ეპარქია შეიცავს შემდეგს ადგილებს დასავლეთის საქართველოისას: სამეგრელოს (ზუგდიდისა და სენაკის მაზრები), გურიას (ოზურგეთის მაზრა) და ბათომისა და ართვინის ოლქებს, რომლებიც სივრცით უდრიან 12,215,35 ოთხკუთხ ვერსს, და სადაც საანგარიშო წელიწადს 369,267 სული სცხოვრობდა, რომელთაგან მღედრობითის სქესისანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ 173,979 სული და მამრობითისა—195,289; მათგან სკოლაში მისაცემ ხნის (7—14 წლის) ბავშვები იყვნენ 62,595 (33,680 მამრი და 28,915 მდედრი).

თითოეულ მაზრისათვის კერძოდ მოვიყვანთ ცნობებსა. **ოზურგეთის** მაზრა შეიცავს $1,984_{16}$ ოთხკუთხ ვერსის სივრცე ადგილს, სადაცა სცხოვრობენ: მამრობითის სქესისა 51,277 სული, მდედრობითისა—41,341, ორისავ ერთად—92,618, სკოლაში მისაცემ ხნის ყმაწვილები—16,949; **ზუგდიდის** მაზრა შეიცავს $2,382_{93}$ ოთხკ. ვერსს, მცხოვრებთა რიცხვი: მამრობითის სქესისა 59,911, მდედრობითისა 54,216, ორისავ ერთად 114,127, სკოლაში მოსაცემის ხნისა 16,260; **სენაკის მაზრა.** სივრცე—$1,751_{66}$ ოთხკ. ვერსი, მცხოვრებნი,—მამრი 57,260 და მდედრი 55,188, ორისავ ერთად 112,448, სკოლაში მისაცემის ხნისა—20,000; ბათომის ოლქის სივრცე უდრის $3,122_{78}$ ოთხკ. ვერს, ართვინისა $2,977_{82}$ ოთხკ. ვერ. ორსავე ოლქში სცხოვრობენ მამრობითისა 26,841 სული, მდედრობითისა—23,234, ორისავ ერთად—50,075, სკოლაში მისაცემ ხნის ყმაწვილები—9,886.

საანგარიშო წელიწადს მთელს ეპარქიაში ირიცხებოდა 359 მრევლი, მათგან ბათომისა, ართვინისა და ოზურგეთისაში—117 მრევლი, ზუგდიდისაში—108 და სენაკისაში—134.

სამრევლო სკოლები იყო წლის განმავლობაში 138. ამათგან: ერთკლასიანი—95, ორკლასიანი 1, მეორე ხარისხისა (საიდანაც სამრევლო სკოლების მასწავლებლები გამოდიან)—3, წერა-კითხვის სასწავლებელი—39. თითოეულს მაზრაში ცალკე შემდეგი რიცხვი იყო სკოლათა: ზუგდიდისაში: მეორე ხარისხის სკოლა—1, ერთკლასიანი—26, წერა-კითხვისა—6, სულ 33; სენაკისაში: ორკლასიანი—1, მეორე ხარისხისა—2, ერთკლასიანი—33, წერა-კითხვისა—16, სულ 52; ოზურგეთის მაზრასა, ართვინისა და ბათომის ოლქებში: ერთკლასიანი—36, წერა-კითხვისა—17, სულ—53.

ზუგდიდის მაზრაში 108 საეკკლესიო მრევლთაგან 75 მრევლი უსკოლოდ იყო. სენაკის მაზრაში 134 მრევლია, ამათ-

გან 80 მრევლს სკოლა არა ჰქონდა; ოზურგეთის მაზრაში 117 მრევლი ითვლება, სკოლები 65 მრევლში არა ყოფილა. ამ სახით, თითქმის $^{2}/_{3}$ მრევლთა უსამრევლო სკოლოდ არის! განსაკუთრებით ცოტაა სკოლები ზუგდიდის მაზრასა და ბათომის ოლქში; ხოლო ართვინის ოლქში ერთი სამრევლო სკოლაც არ არის.

სამრევლო სკოლათა რიცხვით უფრო ყურადღების ღირსნი არიან შემდეგნი საბლაღოჩინონი: ბანძისა (მღ. ანტონ კეკელიასი), საჯავახოისა (მღ. სილიბისტრო ხუნდაძისა), კირცხისა (მღ. პ. გოშუასი), ალავერდისა (დეკანოზ გ. ბერიძესი), აკეთისა (მღ. სილიბესტრო ჩხაიძესი), ბახვისა (მღ. დ. ქიქოძისა), მუხურისა (მღ. ევგ. შენგელაიასი), მოიდანახისა (მღ. კ. ბერიძისა).

ზემოხსენებულს სკოლებში საანგარიშო წელიწადს სწავლობდა 5,179 ბავშვი; მათგან ვაჟი 4,408 იყო და ქალი—721. სხვა უწყების სკოლებში სწავლობდა ვაჟი 6,595 და ქალი 931, სულ 7,536; ხოლო ორისავ უწყების სკოლებში სწავლობდა ვაჟი 11,163 და ქალი 1,652, სულ—12 715 ბავშვი. რაიცა შეეხება მაზრებს, სამრევლო სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი ასეა განაწილებული. **ზუგდიდის** მაზრაში ვაჟი 938, ქალი 131, სულ 1,069; სენაკისაში: ვაჟი 1,567, ქალი 196, სულ 1,763, ოზურგეთის მაზრასა, ბათომისა და ართვინის ოლქებში: ვაჟი 1,953, ქალი 394, სულ 2,347.

მოსწავლენი სარწმუნოებით ასე განიყოფებიან: მართლმადიდებელი 5,155, ებრაელი—5, მაჰმადიანი—3, კათოლიკე—10, სომხის სარწმუნოებისა—1 და სხვა სარწმუნოებისა—5.

სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ 95% ქალებისა უსწავლელნი რჩებიან.

სკოლაში მისაცემ ხნის ბავშვები ეპარქიაში ითვლებოდა 62,595. ყველა უწყების სკოლებში უსწავლიათ მხოლოდ 12,715 ბავშვს, ასე რომ 49,880 ბავშვი სკოლის გარეშე დარჩენილა! ამას გარეშეა, აწ არსებული სკოლები სავსებით ვერ აკმაყოფილებს მკვიდრთ სწავლის მხრით და აუცილებლად საჭიროა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლათა რიცხვი გამრავლდეს, რათა სწავლა-განათლება ძლიერად მოეფინოს მცხოვრებთა.

ყველაზე უმწეოდ არიან დაშთენილნი მაჰმადიანნი ქართველნი-აჭარელნი და ართვინის ოლქისა, რომელნიც XVIII საუკუნეში ოსმალოთა ძალათი ჩამოაცალეს ქრისტეს სამწყსოსა. საეპარქიო სამოსწავლო საბჭო უკვე შუამდგომლობს უწმ. სინოდთან დაარსებულ სამოსწავლო საბჭოის წინაშე, რათა მას მიეცეს სამყოფი თანხა სამრევლო სკოლების გასახსნელად გურიის საზღვრებზედ, რომ ამ სახით ნიადაგი მოამზადდეს მომავალის სამისსიონერო მოღვაწეობისათვის. მაგრამ ჯერ ჯერობით შუამდგომლობა შუამდგომლობადვე არის დარჩენილი. სკოლა-კი ერთად ერთი სოფ. ქაქუთში (ოზურგეთის მაზრა), სადაც რამდენიმე მაჰმადიან ქართველის ბავშვები სწავლობენ მართლმადიდებლებთან ერთად.

თვალსაჩინო ნაკლს გურია-სამეგრელოის ეპარქიის სამრევლო სკოლებისას შეადგენს მოუმზადებლობა თვით მასწავლებელთა. როგორც თვით ანგარიში აღნიშნავს, სწავლით აქაური მასწავლებელნი დაბლა დგანან სხვა ეპარქიის მასწავლებლებზე. სულ 147 მასწავლებელია სამრევლო სკოლებისა ეპარქიაში. ამათგან უმრავლესობას, სახელდობრ 84 კაცს, სწავლა-განათლება მიუღია სასულიერო სასწავლებლებში; 13 კაცს, სასულიერო სემინარია გაუთავებია, 2—საქალებო საეპარქიო სასწავლებლიდანაა, 36 კაცი სწავლის დამთავრებამდე გამოსულა სასულიერო სემინარიებისა და სხვა საშუალო სასწავლებლებიდან; 8 კაცს სწავლა გაუთავებიათ სამოქალაქო და ნორმალურ სასწავლებლებში; 4—საოსტატო სემინარია.

მატერიალურად მასწავლებელნი სრულებითაც არ არიან უზრუნველ ყოფილნი. წლიურად ჯამაგირს იღებენ 60—140 მანეთამდე. აქლიათ სახლი, საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი. ყველასათვის ადვილი წარმოსადგენია, რა ცუდად იმოქმედებს ეს სამწუხარო გარემოება სწავლის წარმატებაზე. ზოგს წელიწადში 60 მანეთი მაინცა აქვს, მაგრამ ზოგია, **თითქმის სულ არაფერი ეძლევა თავისის შრომის სასყიდელი!** ამიტომ ასეთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკიდურეს პირობაში ჩავარდნილი მასწავლებელი სულ მუდამ იმის ცდაშია—მასწავლებლობა სხვა ხელობაზე გასცვალოს. იშვიათი მათგანი შერჩენია მასწავლებლობას 5—6 წელიწადს მეტს! უფროსერთნი მათგანნი იმ იმედითა რჩებიან ალაგზე, რომ ერთს დღეს მღვდლობას ვიშოვითო. ახლა ხმა გავრცელდა, სამრევლო სკოლის მასწავლებლებს ხაზინიდან დაენიშნებათ გადაწყვეტილი ჯამაგირიო. მაგრამ ხმა ისევ ხმადა რჩება ჯერ-ჯერობით.

თვით სკოლებში საშინელი ნაკლებულება იყო სახელმძღვანელო წიგნებისა. როგორც საეპარქიო და სამაზრო მეთვალყურეთა მოხსენებათაგან სჩანს, სკოლების უმრავლესობაში ცოტ-ცოტათი-და მოიპოვებოდა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელონი „რუსკოე სლოვო“ და „დედა-ენა“. სხვა სახელმძღვანელონი ან სულ არა ჰქონიათ სკოლებში, ან, თუ ჰქონიათ, კანტი-კუნტად, ხშირად თითო ცალი (მასწავლებელს), განსაკუთრებით, იშვიათად ჰქონიათ არითმეტიკის სახელმძღვანელონი. ამის მიზეზით მასწავლებელნი შაგირდებს სიტყვიერად ასწავლიდნენ ანგარიშს. წერისათვის დედნები არ ჰქონიათ. ბევრგან საღმრთო სჯულის სახელმძღვანელონი არა ჰქონიათ და იმ სტატიებზე სჯერდებოდნენ, რაც „დედა-ენაშია“ დაბეჭდილი. საწერი დაფები სიპისა იშვიათადა ჰქონიათ, ხოლო რვეულებს, კალმებს, ქაღალდს ბავშვები, სიღარიბისა გამო, ძალიან ნაკლებად ჰყიდულობდნენ.

წიგნთსაცავებსაც იშვიათად შეხვდება კაცი სამრევლო სკოლებთან. მხოლოდ 34-დგანაა ასეთი წიგნთ-საცავები. საანგარიშო წელს საეპარქიო მეთვალყურემ ბ-ნმა თ. ჟორდანიამ ყურადღება მიაქცია ამ თვალსაჩინო ნაკლს და ზომები იხმარა, შეძლებისამებრ, მის ასაცილებლად.

კარგი სასკოლო სახლი—პირველ მოთხოვნილებათაგანია თანამედროვე ჰიგიენისა და პედაგოგიისა. ამ მხრივაც კოჭლობს გურია-სამეგრ. ეპარქია. აქ ყველა სამრევლო სკოლები ფიცრულს სახლებშია მოთავსებული, გარდა სამის სკოლისა, რომელთაც ქვითკირის შენობა აქვსთ. 54 სკოლაა საკუთარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენობაში მოთავსებული, დაქირავებულ ან კერძო დროებით დათმობილ შენობებში—74 სკოლა, ხოლო საეკკლესიო სენაკებში—10 სკოლა.

სკოლების უმრავლესობას, როგორც საკუთარსა, ისე კერძოთა შენობებში მოთავსებულებს, სკოლა არ დაერქმის. არის ისეთი სკოლა, რომელსაც არა აქვს არამც თუ ჭერი და ფიცრის იატაკი, არამედ სარკმელებსა და ბუხრებსაცაა მოკლებული, ასე რომ კარის გაღებაა ხოლმე საჭირო, რომ გარედან სინათლე შემოვიდეს. შედარებით, სკოლისათვის შესაფერი შენობა 48 ითვლება, უხერხული—90. არც მეორე ხარისხის სკოლებია კარგს შენობებში მოთავსებული.

ზემოხსენებული პირობები, რა თქმა უნდა, სამრევლო სკოლებში სწავლის საქმეს შეაფერხებდა: სკოლებისაგან მოტანილი სარგებლობა ისე თვალსაჩინო არ იქნებოდა. ეპარქიაში სწავლების საქმის სუსტს მხარეს შეადგენდა განსაკუთრებით, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, თვით მასწავლებლების მოუმზადებლობა. საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს არ შეეძლო ამ სამწუხარო ფაქტისათვის ყურადღება არ მიექცია და ღონე არ ეღონა შეძლებისა-და-გვარად მის ასაცილებლად. ამ აზრით იმართება, ეს უკანასკნელი ორი წელიწადია, საზაფრულო კურსები მასწავლებელთათვის, სადაც ამ უკანასკნელთ ლექციებს უკითხავენ, როგორც საკუთრივ პედაგოგიკისას, ისე სამეურნეო საგნებისას, როგორც მაგალითად: მეაბრეშუმეობისას და მეფუტკრეობისას.

მართალია, აქამდე საქმე ტაატით მიდიოდა, მაგრამ დღეის შემდეგ-კი, როცა სამრევლო სკოლებს საკუთარი პატრონი და ყურის მგდებელი (საეპარქიო სამოსწავლო საბჭო) გაუჩნდა, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყველა ის ნაკლი, რომელიც ჩვენებურს სამრევლო სკოლასა ჰქონდა, ამ უკანასკნელს თანდათან თავიდან ასცდება. და ხალხს ნაყოფიერ საზრდოს მიაწოდებს,—სულიერსა და ხორციელსა.

—

სამრევლო სკოლების წლიურის ანგარიშის დამატებად დაბეჭდილია ცალკე აზრი მისის ყოვლად უსამღვდელოესობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურია-სამეგრელოის ეპარქიის ეპისკოპოსად ყოფილის მწყემსთ-მთავარის გრიგოლისა, წარდგენილი უწმიდეს სინოდში. იმ დამატებაში აღნიშნულია სამწუხარო ფაქტი სარწმუნოების შემცირებისა ეპარქიის მცხოვრებთა შორის; განსაკუთრებით, ამ უკანასკნელის 30 წლის განმავლობაში. ამასთან, მოხსენებულია ის დიდი მნიშვნელობა, რა მნიშვნელობაც ექმნება ხალხის გონებრივსა და სარწმუნოებრივს დაწინაურებაში სათანადოდ მომართულ სამრევლო სკოლებსა. . . . . . . .

თ. სახოკია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელმწიფე იმპერატორის

## ნიკოლოზ მეორის

### უმაღლესი რესკრიპტი

გამოჩენილი ინგლისელი მწერალი და მეცნიერი ტომას კარლეილი იმ აზრს ადგია, რომ ერის ისტორია, მთელი მისი პროგრესი, არის საქმე ერის გმირებისა — იმ მამულიშვილებისა, რომელნიც აღჭურვილნი დიდის ნიჭით წინ უძღვიან თავიანთ ერს და მიჰყავთ იგი პროგრესისაკენ. ერის გამოჩენილნი პირნი, და არა თვით ერი, ჰბადავენ პროგრესს, ამბობს მეცნიერი.

ჩვენ არ შევუდგებით იმის ახსნას, თუ რამდენად მართალია ეს აზრი. ჩვენთვის საგულისხმოა ამ აზრის თითქმის ინსტიკტიური მხარე, საინტერესოა ზნეობრივი საფუძველი აზრისა.

საუკეთესო მწერალი, ერთი იმათთაგანი, რომელნიც თავისის ყოფნით და საქმით ასახელებენ სამშობლოს, გამსჭვალულია დიდის პატივისცემით საერო მოღვაწეთადმი.

დიაღაც დიდად პატივსაცემნი არიან ის პირნი, რომელნიც არ ზოგავენ არც ჯანს არც ღონეს და მიზნად თავისის სიცოცხლისა გაუხდიათ სამშობლოს წარმატება!

დიდად პატივსაცემნი არიან ის დაუვიწყარნი პირნი, რომელნიც დაჯილდოვებულნი იყვნენ ნიჭით, ძალით და ცოდნით და ეს უძვირფასესი საჩუქარი ბუნებისა მოახმარეს სამშობლოს და ამნაირად შეუწყეს ხელი თავის ერს წინსვლელობაში!

—

რუსეთმა ამ დღეებში პატივი-სცა და ნიშნად ამ პატივისცემისა ძეგლი დაუდგა თავის დაუვიწყარს, დაუღალავს რეფორმატორს, თავის გამოჩენილს იმპერატორს ალექსანდრე მეორეს.

ისტორიამ საკმარისად დააფასა ამ იმპერატორის რეფორმების მნიშვნელობა რუსეთის ერისათვის.

იმპერატორის ალექსანდრე მეორის რეფორმებმა მზის სხივებივით გაანათეს და მისცეს სიცოცხლის ძალა რუსის ერს; შეათრთოვანეს და ამოქმედეს ის ძალა ერისა, რომელიც ამ რეფორმამდე დამარხულ იყო ერის გულში და არაფრით ასარგებლებდა ერს. სამართლიანად ამბობს ზოგიერთი ისტორიკოსი, რომ მთელი რუსეთის მომავალი უნდა ჩაითვალოს შედეგად ამ იმპერატორის რეფორმებისა. ამიტომ გასაკვირველიც არ არის, რომ ძეგლის დადგმის დღეს დიდი ენტუზიაზმი სუფევდა მოსკოვში და აღტაცებაში იყო ყველა, ვინც კი იქ დაესწრო. ცხადია, ერი სიამოვნებით აღავსო იმ გრძნობამ, რომ მან შესაფერად გარდაუხადა მადლობა და თაყვანი სცა იმ გამოჩენილს იმპერატორს, რომელმაც თავის რეფორმებით გააბედნიერა და აღამაღლა ერი. ჩვენის აზრით ამ თვალ-საჩინო საქმით ერმა საუკეთესო ნაშთი დაჰბადა თავისის პროგრესისა, ნათლად დაამტკიცა, რომ იმპერატორის ალექსანდრე მეორის რეფორმებმა დიდად წასწიეს წინ მისი საზოგადო ცხოვრება.

ხოლო დაუვიწყარი გაჰხადა და მთელ კაცობრიობის ისტორიაში შესანიშნავ ეპოქად აქცია ეს დღე იმპერატორმა ნიკოლოზმა მეორემ თავისის უმაღლესის რესკრიპტით, რომლის ძალითაც 12 აგვისტოს გარეშე საქმეთა მინისტრს მიეცა ბრძანება გადასცეს სხვა ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომელნიც პეტერბურგში იმყოფებიან, სურვილი და მოწვევა იმპერატორისა, რომ ამ დღის სახსოვრად—სახსოვრად იმ დღისა, როცა ალექსანდრე II ძეგლს უდგამენ—გაიმართოს კონფერენცია იმ საშუალებების გამოსარკვევლად, რომლითაც შეიძლება საზოგადო მშვიდობიანობის დაცვა და შემცირება იმ საშინელ შეიარაღებისა, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს ხალხს და აბრკოლებს მის პროგრესს და კეთილდღეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველგან, საცა კი მიახწია იმპერატორის ნიკოლოზის სიტყვებმა, დიდი თანაგრძნობა და მადლობა გამოიწვია. გაზეთები ერთის ხმით ადიდებდნენ რუსის იმპერატორს — ამ ძმობის და სიმშვიდის მქადაგებელს, ამ ერთმანეთის ჟლეტის და ამოწყვეტის მოწინააღმდეგეს.

დიაღაც სადიდებელი არის რუსთა იმპერატორი ამ გამოჩენილი რესკრიპტისათვის.

რესკრიპტის მნიშვნელობას კაცობრიობისათვის თვით რესკრიპტი მოგვითხრობს:

„უკანასკნელ ოცის წლის განმავლობაში, — ამბობს რესკრიპტი, — მშვიდობიანობის დამყარება ყველა განათლებულის ხალხისათვის სასურველი შეიქმნა... ხოლო მშვიდობიანობის დასამყარებლად სახელმწიფოებმა თავიანთი სამხედრო ძალა გაადიდეს და ეხლაც არავითარ მსხვერპლს არა ჰზოგავენ ამ საქმისათვის... აუარებელი გარდასახადი, რომელიც დღითი-დღე იზრდება და მძიმე ტვირთად აწევს ხალხს, ძირს უთხრის საზოგადო კეთილ-დღეობას, ხალხის სულიერ და ფიზიკურ ძალას. შრომა და თანხა, უმეტეს ნაწილად თავის დანიშნულებას სცდება და უსარგებლოდ იხარჯება. აუარებელი მილიონები უნდება ისეთ საქმეს და იარაღს, რომელსაც ხალხის ამოწყვეტა აქვს აზრად და რომელიც დღეს მეცნიერების უკანასკნელს სიტყვას შეადგენს, ხოლო ხვალ ყოველსავე ფასს დაჰკარგავს; რადგანაც ახალი უკეთესი საომარი რამ იქნება გამოგონილი. ხალხის განათლება და იმის კეთილ-დღეობისა და სიმდიდრის განვითარება ჰფერხდება და ცრუ მიმართულებას ადგება...

ეკონომიურის წეს-წყობილების დარღვევამ, რომელსაც უმეტეს ნაწილად არა ჩვეულებრივი შეიარაღება იწვევს, და მუდმივმა შიშმა აწინდელი შეიარაღებული ზავი გარდააქციეს აუტანელ ტვირთად, რომლის ზიდვაც დღითი-დღე უფრო უძნელდება ხალხს ..» (ივერია № 176).

ამ განუწყვეტელის შეიარაღების შემცირება — შესუსტება და ისეთის საშუალების გამოძებნა, რომლის შემწეობითაც შეიძლება ზევით გამოსახული უბედურების თავიდან აცდენა — აი, რისათვის

იწვევს სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს კონფერენციაზე რუსთა იმპერატორი. ცხადია თუ ასრულდა ეს წადილი, თუ მოეღო ბოლო ამდენ უბედურებას ერებისას, იმპერატორის ნიკოლოზის რესკრიპტი სამუდამოდ ერთა სალოცველ აღთქმად გარდაიქცევა კაცობრიობისათვის და თანაც დაუვიწყარ გახდის კაცობრიობის ისტორიაში იმის სახელს, ვის სახსოვრად ინება იმპერატორმა ამგვარი რესკრიპტის გამოცემა.

ვერც ერთს სახელმწიფოს ვერ ნახავთ ევროპაში, რომ დაკმაყოფილებული იყოს თავისის საზღვრებით და ნატვრად არ ჰქონდეს გარდაქცეული თავის საბრძანებლის გადიდება. ეგ კიდევ არაფერი, იმგვარ სახელმწიფოსაც კი ძნელად იპოვით ევროპაში, რომ არ დაეწყოს ეს თავის საბრძანებლის გადიდების განხორციელება, არ დაეღვაროს ამისათვის რამდენჯერმე სისხლი, არ დაეხარჯოს აუარებელი ფული და არ იყოს დაიმედებული, რომ დღეს თუ ხვალ თავისის ცდით ან სხვის დახმარებით, ან არა და, ევროპის ერთა ერთმანეთის ბრძოლის და ამოჟლეტის დროს — ამასაც კი მოელის ბევრი სახელმწიფო! — დაეუფლება წარსული სისხლის ღვრა და აუარებელი ფულის ხარჯვა, აუსრულდება ნატვრა და შეიძენს იგი იმ მიწა-წყალს, რომლისათვისაც იმტვრევდა თავს ამოდენი ხანი.

ადვილად წარმოსადგენია, რა ძნელი იქნება ამ გვარ სახელმწიფოსათვის თავის ჯარის შემცირება, იმ ნატვრის და სურვილის გაუქმება, რომელსაც შეეთვისა და რომელიც თითქმის მოთხოვნილებადაც კი გარდაექცა მას. ამასაც რომ თავი დავანებოთ და ავიღოთ ისეთი სახელმწიფო, რომელიც დაკმაყოფილებულია თავისის საზღვრებით, ამგვარ სახელმწიფოსათვისაც კი მეტად ძნელი და თითქმის შეუძლებელი იქნება თავის ჯარის შემცირება.

მუდმივი შიში, რომ ერთ-ერთი მომიჯნავე სახელმწიფო დაეცემა და დაიპყრობს მას, აუცილებელ საჭიროებად ხდის საკმარისი ჯარი იყოლიოს სახელმწიფომ თავის დასაცველად. საკმარისი, მაგრამ, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოს ზომაც ამ საგმირისებისა? რამდენი ჯარი იქნება საჭირო სახელმწიფოსათვის თავის საზღვრების დასაცველად? აი სწორედ ამ საზომის გამორკვევის შეუძლებლობა უდიდეს დაბრკოლებად უნდა ჩაითვალოს იმპერატორის წინადადების აღსრულებაში მოყვანისათვის.

გაისმა კიდეც ამგვარი მოსაზრებანი სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა მხრივ. ფრანგები, მაგალითად, ამბობენ: რუსეთმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ჩვენი საზღვრების დასაცველად ჩვენ უფრო მეტი ჯარი მოგვინდება, ვიდრე რუსეთს თავის საზღვრების დასაცველადაო. იტალიაში გაიძახიან: თუ კონფერენციამ გარდასწყვიტა, რომ ყოველი სახელმწიფოს ჯართა რაოდენობა დამოკიდებული იყვეს მცხოვრებთა რაოდენობაზე, მაშინ ჩვენ არ დავთანხმდებით, რადგანაც ჩვენ შედარებით ძალიან ცოტა ჯარი გვეყოლებაო. ბევრი ამგვარი მიზეზები აღმოჩნდება კონფერენციაზე და ძალიან დააბრკოლებს იმპერატორის წინადადების განხორციელებას. ადვილად შესაძლებელია, რომ კონფერენცია იმ აზრსაც კი დაადგეს, რომ ისევ და ისევ მშვიდობიანობის დასაცველად ძველს კვალს რომ ვადგეთ და ჩვენი საომარი ძალა ვაძლიეროთ, ისა სჯობს ყველასაო. ეს გასაკვირველი არ იქნება, მეტადრე როცა ერთი უმთავრეს სახელმწიფოთაგანი, გერმანია, კიდეც ადგია ამ აზრს. გაზეთების სიტყვით, გერმანიის იმპერატორს ვითომ უთქვამს კიდეც, რომ მშვიდობიანობის დასაცველად უმჯობესი საჩხარი და საშუალება ჯარის გაძლიერებააო.

ამ გვარ მდგომარეობაში, როგორც უკვე ვსთქვით, ძნელი მოსალოდნელია, რომ იმპერატორის ნიკოლოზ მეორის წინადადება შესახებ ჯარის შემცირების და იარაღის აურისა ასრულდეს.

მიუხედავად ამისა, სულ ერთია, ასრულდება ეს წინადადება და ჯარი შემცირდება სახელმწიფოებში, თუ არა, იმპერატორის წინადადებას კაცობრიობისათვის, მის კეთილდღეობისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ვიდრე ამის ახსნას შევუდგებოდეთ, რათა კარგად გვქონდეს წარმოდგენილი ევროპაში მყოფ სახელმწიფოთა ეხლანდელი მდგომა-

რეობა, საჭიროა გადავავლოთ თვალი მე-XIX საუკუნის ევროპიელთა სახელმწიფოთა ისტორიას.

მე-XIX საუკუნის დასაწყისში, როგორც მკითხველს ეცოდინება, დასავლეთი ევროპა თითქმის სულ მთლად დაპყრობილი იყო საფრანგეთის დიქტატორის ნაპოლეონის მიერ. ამ გენიოსმა სარდალმა, ამ უძლიერესმა ბრძანებელმა მთელ დასავლეთ ევროპისამ მოიწადინა აღმოსავლეთი ევროპის—რუსეთის—დამორჩილება და გაელაშქრა თავისდა საუბედუროდ რუსეთს. ამ ცივს ქვეყანაში ნაპოლეონს ბედმა უმტყო და თითქმის რომ დამარცხებულმა გაჰკურცხლა უკან დასავლეთ ევროპისაკენ. ამ შემთხვევამ გადაუწყვიტა ნაპოლეონს ბედი: რუსეთს შეუერთდნენ სხვა ევროპის სახელმწიფოები, შეიპყრეს ნაპოლეონი და განდევნეს ევროპიდან.

ამის შემდეგ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, რუსეთის ხელმწიფის ალექსანდრე პირველის მეთაურობით, შეიკრიბნენ ვენაში კონგრესზე და გადასწყვიტეს ისევ აღედგინათ უწინდებურად ის სახელმწიფოები, რომელიც დაიპყრო და გააუქმა ნაპოლეონმა. ხოლო რადგანაც ძნელი იყო იმის გადაწყვეტა, თუ როგორ უნდა განაწილებულიყო ნაპოლეონის მიერ დაპყრობილი ევროპა და რა საზღვრების შუა უნდა მოქცეულიყო მიწები ამა თუ იმ სახელმწიფოისა, ამის გამო ვენის კონგრესზე დიდი არეულობა მოხდა და კონგრესი კინაღამ დაიშალა კიდეც. ბოლოს, როგორც იყო, დაჰყვეს ევროპა უწინდელ სახელმწიფოებად, ხოლო რამოდენიმე წვრილი სახელმწიფოები, რომელიც უკვე გაუქმებული იყო, დაიყვეს უმთავრეს სახელმწიფოებმა თავიანთ შორის. არც ერთი სახელმწიფო არ დარჩა სრულიად კმაყოფილი ამ გაყოფით. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრემ, მაგალითად, მოითხოვა თავისთვის ვარშავის საგერცოგო (პოლონეთი), ხოლო ავსტრია და ინგლისი წინ გადაუდგნენ ალექსანდრეს სურვილს და ყოველს ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ არ მიეცათ რუსეთის იმპერატორისათვის პოლონეთი. პრუსია რუსეთს მიეშველა. ავსტრიამ, ინგლისმა, ბავარიამ, საფრანგეთმა, ნიდერლანდმა და საქსონიამ შეჰკრეს ერთმანეთში პირობა რუსეთის და პრუსიის წინააღმდეგ. ალექსანდრემ გაიგო რა, რომ მის წინააღმდეგ შეეკრათ პირობა, მოემზადა საომრად. ავსტრიაც გაელაშქრა და თავისის ჯარით დაბანაკდა ბოჰემიაში. მოემზადა და

გაელაშქრა აგრეთვე ინგლისი. ის იყო ომი უნდა გაჩაღებულიყო, მაგრამ ამ დროს ისევ გამოჩნდა ევროპაში ნაპოლეონი და ხელმწიფეები შეშინებულნი ძალა-უნებურად შეთანხმდნენ. ადვილად გასაგებია, რომ ეს ძალა-უნებური შეთანხმება დროებითი იყო. შემდეგში ევროპის სახელმწიფოები შურის თვალით უყურებდნენ ერთმანეთს და ყოველის შემთხვევით სარგებლობდნენ, რომ წაეგლიჯათ ერთმანეთისათვის კონგრესის დროს დაჭერილი მიწები. ამგვარ ერთმანეთის მტრობას ხელი შეუწყო აგრეთვე წვრილ ერთა გაღვიძებამ და თავისუფლების მოპოვების სურვილმა. ზოგიერთმა მათგანმა უკვე მოიპოვა კიდეც თავისუფლება. მათ საბედოდ სახელმწიფოები ცდილობდნენ შეესუსტებინათ ერთმანეთი და ერთმანეთის მტრობით ზოგჯერ ხელს უწყობდნენ აჯანყებულ ერს განთავისუფლებულიყო.

ამის დაგვარად, ევროპის სახელმწიფოები იძულებულნი შეიქმნენ მთელი თავისი ძალა და ქონება მოეხმარათ შეიარაღებისათვის. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მძლავრი იყო სახელმწიფო ევროპის კონტინენტზე, სახელმწიფოები ორ ხარისხად გაიყვნენ. პირველს ხარისხს შეადგენდნენ უძლიერესი სახელმწიფოები: ინგლისი, საფრანგეთი, პრუსია, ავსტრია და რუსეთი, და ამ სახელმწიფოებმა, როგორც უძლიერესებმა, დაიჭირეს ხელში ევროპის ბედ-იღბალი. ვენის კონგრესის შემდეგ ევროპის უმთავრეს სახელმწიფოთა წარმომადგენლები თვალს ადევნებდნენ ერთმანეთს და ჩაერეოდნენ ხოლმე ერთმანეთის იმგვარ საქმეში, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფოს გაძლიერებას ანუ შესუსტებას, საზოგადოდ გარეგან საქმეთა პოლიტიკაში.

ამ დროს ევროპის სახელმწიფოები საერთოდ ყველანი სჯიდნენ ეგრეთ წოდებულ ევროპის საქმეებს, რისთვისაც ყოველ ამგვარ შემთხვევაში შეიკრიბებოდნენ ერთად ერთ-ერთ ევროპის სახელმწიფოთა დედა ქალაქში.

ხოლო თუმცა ყველას ამათგანს ჰქონდა გავლენა ევროპის საქმეებზე, მაგრამ მაინც თითო მათგანი სცდილობდა უპირველესი ადგილი დაეჭირა და უმთავრესი გავლენა ექონია ევროპაზე. ეს მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეზი მოემატა წინად მოყვანილს მიზეზს, ერთმანეთის შიშს, და გამოიწვია ის საშინელი შეიარაღება, რომელსაც შეეხება იმპერატორის ნიკოლოზის რესკრიპტი.

ამგვარი იყო ევროპის სახელმწიფოთა მდგომარეობა ამ ოცის წლის წინად. 1871 წ. ბისმარკმა შეაერთა გერმანიის წვრილ-წვრილი სამეფოები პრუსია და საქსონიასთან და ამ გვარად დაჰბადა ევროპის კონტინენტზე ფედერაცია: ძლიერი იმპერია, გერმანია. ამ ახალმა მოვლენამ უფრო გაამწვავა უწინდელი ქიშპობა ევროპიელ სახელმწიფოთა შორის. ცნობილი კანცლერი ბისმარკი არაფერს ზოგავდა გერმანიის გასაძლიერებლად და მართლადაც ისეთი მძლავრი გახადა გერმანია, რომ ბოლო ხანებში ევროპის სახელმწიფოთა შორის პირველი ადგილი დაიჭირა.

სხვა სახელმწიფოებს არ უნდოდათ ჩამორჩომილიყვნენ გერმანიას და მიჰმართეს ყოველს ღონისძიებას, რათა უფრო და უფრო გაძლიერებულიყვნენ. ამ ქიშპობამ ერთმანეთისამ დაჰბადა ჩუმი, უთოფ-იარაღო ომი. იარაღად ამ ახალ-გვარ ომისათვის აიღეს პოლიტიკა და ტარიფი. პოლიტიკით და ტარიფებით სახელმწიფოები ცდილობდნენ ეზარალებინათ და დაემცირებინათ ერთმანეთი. ხოლო ჩუმ ომიანობის დროს სახელმწიფოები არ ივიწყებდნენ აგრეთვე ძველ თავის მისწრაფებას და უფრო-და-უფრო უმატებდნენ და უმატებენ თავიანთ სამხედრო ძალას: ჯარს, ზარბაზნებს და იარაღს. ამ გვარად დღეს, როგორც იმპერატორის რესკრიპტი ამბობს: «არავითარ მსხვერპლს არა ჰზოგავენ ამ საქმისათვის»; თუმცა ამ საშინელს შეიარაღებას მიზნად აქვს საზოგადო მშვიდობიანობის დაცვა, მაგრამ, როგორც სამართლიანად ამბობს იგივე რესკრიპტი, «რაც უფრო და უფრო იზრდება შეიარაღება თვითოეულის სახელმწიფოსი, მით უფრო შორდება ეს სახელმწიფო იმ მიზანს, რომლის აღსრულებაც მთავრობამ გაიხადა საგნად».

თუ დღევანდელი საშინელი შეიარაღება არ არის სანდო საშუალება საზოგადო მშვიდობიანობის დასაცველად და თუ ეს განუწყვეტელი და აუარებელი ხარჯი შეიარაღებისათვის ამაოა და თანაც მეტად მავნებელი, ცხადია მისი გაუქმება აუცილებლად საჭიროა

კაცობრიობის კეთილდღეობისათვის. თუმცა იმპერატორის ნიკოლოზის მიერ ამ უკანასკნელ მიზნისათვის ნახმარი სახსარი, როგორც უკვე ვსთქვით, პირდაპირ ვერ მიახწევს მიზანს, ესე იგი ვერ გამოიწვევს ჯარის შემცირებას და იარაღის ახსნას, მაგრამ სამაგიეროდ იგი მისცემს ძალას და ამოქმედებს ისეთს ორგანოს, რომელსაც ადვილად შეუძლიან გააუქმოს თითქმის ყველა კაცობრიობისათვის მავნე მოვლენა და დღევანდელი, თუ ასე ითქმის, ჯაროსნობაც.

ხოლო ვიდრე ამას ავხსნიდეთ, თუ როგორ მოხდება ეს, საჭიროა მკითხველს გავაცნოთ ის ორგანო, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ და რომელსაც ვუქადით ჩვენ ასეთ უწმინდეს და დიდებულს მომავალს. ეს ორგანო არის «ერთა შორისი კანონმდებლობა».

ნორჩი მეცნიერება «ერთა შორისი კანონმდებლობა და ერთა შორისი სჯული» ამ უკანასკნელს საუკუნეში გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე და შეუდგა განხორციელებას თავის უმაღლესის დანიშნულებისას. თუმცა პირველი თხზულებანი, რომელნიც შეეხებიან ერთა შორის კანონმდებლობას, დაწერილია 1588 და 1590 წლებში, მაგრამ ამ ცდამ, როგორც პირველმა და სუსტმა ნაბიჯმა, ვერ მიიზიდა საკმარისად საზოგადოების ყურადღება და არ გამოიწვია სურვილი წინ-წაეწიათ და აღეზარდათ ეს მეცნიერება. ეს ორი თხზულება ეკუთვნის ორს იურისტს-მეცნიერს, გენტილისს და ჰუგო გროცის და როგორც პირველში: De jure belli, აგრეთვე მეორეშიაც: De justitia bellica ავტორებმა გამოიკვლიეს ის კანონები, რომელიც შეეხება ომიანობას.

ამ პირველის ნაბიჯის შემდეგ კაი ხანი არა ისმოდა-რა და არც არაფერი დაწერილა შესახებ ერთა შორის კანონმდებლობისა. ამის მიზეზი სხვათა შორის იყო აგრეთვე ის, რომ თვით იურიდიულ მეცნიერებაში დაიბადა ისეთი რწმენა, რომელიც თითქმის აუქმებდა და უმნიშვნელოდ სტოვებდა ერთა შორის კანონმდებლობას. ამ დროს მეცნიერი იურისტები ამტკიცებდნენ, რომ რჯული ბუნებრივი მოვლენაა. ეს ბუნებრივი რჯული,—ამბობდა ეს მეცნიერება;—რწმენა—კაცისაგან არ არის მოგონილი, არამედ თვით ბუ-

ნებაში იმყოფება, როგორც გამომეტყველი სიმართლისა და ჭეშმარიტებისა.

ბუნებრივი რჯული ყველგან და ყოველთვის ერთია და ამიტომაც რჯულს ეროვნული სახე არა აქვს. ვითომ სხვა-და-სხვა ერს სხვა-და-სხვა რჯული აქვსო!?! ეს აბსურდიაო,—ამბობდნენ მეცნიერნი.

ცხადი იყო, რომ ეს რწმენა, რაკი ადგა იმ აზრს, რომ ქვეყანაზე ერთი ჭეშმარიტი რჯულია, როგორც ჭეშმარიტებაც ერთია— არ სსაჭიროებდა რადაც ერთა შორის კანონმდებლობას და ვერც კი წარმოედგინა, რა კანონმდებლობა უნდა ყოფილიყოს სხვა, გარდა ჭეშმარიტის ბუნებრივი რჯულისა და კანონებისა.

მე-XIX საუკუნე, მეტადრე მეორე ნახევარი ამ საუკუნისა, ერთა შორის კანონმდებლობისათვის ნაყოფიანი იყო. მეცნიერება აღიზარდა და ძალიან წინ წაიწია; თვით ცხოვრებამაც შეითვისა ეს მეცნიერება და მისცა საშუალება გაეხორციელებინა და ემოქმედებინა ერთა შორის კანონმდებლობა. დღევანდელის თავისის მდგომარებით ერთა შორის კანონმდებლობა და რჯული დიდს და კარგს მომავალს გვიქადის.

გადაჭარბებული არ იქმნება, ვსთქვათ, რომ ახლო მომავალში კაცობრიობა ერთა შორის კანონმდებლობაში დაინახავს ერთად ერთს მეცნიერებას, რომელიც უშველის და გამოიყვანს კაცობრიობას თავის ეხლანდელ არა სანატრელ მდგომარეობიდან.

მეცნიერნი: გელცენდორფი, ბულმერინგი, რივიე, კალტენბორნი, ბლუნჩლი, გეფტერი, კალვიო, ფიორე, ცახარიე, ვარკენიგი და ბევრი სხვა გამოჩენილი იურისტი-ფილოსოფოსი სწორედ ამ აზრისა იყვნენ ერთა შორის კანონმდებლობაზე და რჯულზე და სწორედ ამიტომაც ბევრი იშრომეს ამ მეცნიერების წინ წაწევისათვის. ხოლო დღესაც ბევრი, ვგონებთ სამართლიანადაც, გაიძახის, რომ «ერთა შორის კანონმდებლობას» რადაც აკლია მეცნიერებამდეო, სრულს მეცნიერობას ვერ წარმოადგენსო.

უპირველესი და უმთავრესი ის არის დამაბრკოლებელი, რომ ერთა შორისი კანონმდებლობა არავისათვის არ არის აუცილებლად

სავალდებულოო. ვისაც უნდა, დაემორჩილება, ვისაც არა და არაო! ამ კანონებს აკლია ის, რაც კანონს კანონად ხდის კაცის ცხოვრებაში: მას აკლია ბრძანებითი ძალა, ვალდებულობა. როცა სახელმწიფოში კანონს გამოსცემენ და უბრძანებენ ერს: ამ კანონს უნდა დაემორჩილოთო, ვინც არ დაემორჩილება, დასჯიან; თუ საჭირო იქმნება. სახელმწიფო განსაკუთრებით ამისათვის დაარსებულს ამასრულებელს ორგანოს მიჰმართავს ხოლმე და ამ უკანასკნელის ძალით აასრულებინებს ერს თავის სურვილს. ერთა შორის კანონმდებლობას ეს ძალა აკლიაო. ამის გარდა თვით კანონები ერთა შორისანი კანონებს არ მიაგვანან. ისინი წარმოადგენენ ხელმწიფეთა შორის შეკრულს პირობებს, სურვილს და არა იმ კანონებს, რომელიც კაცის მომავალ მოქმედებისათვისაც ისევე ვალდებულნი არიან, როგორ იმის წარსულ მოქმედებისათვის იყვნენო.

ყველა ეს და ბევრი ამგვარი ნაკლულოვანებანი აქვს ერთა შორის კანონმდებლობას და სამართლიანად ამბობენ ამ აზრის გამომთქმელნი, რომ ამიტომ მეცნიერებადაც არ უნდა ჩაითვალოს ერთა შორის კანონმდებლობაო.

ხოლო ჩვენთვის ის კი არ არის საინტერესო, უნდა ჩაითვალოს მეცნიერებად თუ არა, არამედ ის, თუ რამდენად შეუძლიან დღეს ამ ერთა შორის კანონმდებლობას თავის დანიშნულების ასრულება. ამ მხრივ ჩვენ ვეთანხმებით ზემოთ მოყვანილს აზრს და ვწუხვართ, რომ კაცობრიობამ აქნობამდე ვერაფერი საშუალება ვერ გამოიგონა, რათა სახელმწიფოთათვის და ერთათვის ვალდებული გაეხადნა და მაშასადამე, მართლადაც, კანონად ექცია, ერთა შორის კანონმდებლობაში გამოხატული სურვილები.

საჭიროა და ამას ყველა ინტერნაციონალისტები (ისინი, ვინც ამ მეცნიერებას იკვლევენ) ერთ ხმად თხოულობენ, რომ სახელმწიფოებმა არამც თუ ვალდებულად გახადონ ეს ერთა შორისი კანონები თავიანთთვის, არამედ ისეთი ორგანო დააარსონ, რომელსაც შეეძლება ძალით აასრულებინოს სახელმწიფოებს ერთა შორისი კანონები. ხოლო დღეს, თუ ოცნებად არა, ძნელ განსახორციელებელ სურვილად უნდა ჩაითვალოს ეს ყველას გულის წადილი.

დღეს ისიც დიდი საქმეა, რომ ის კვალი უჩვენოს ვინმემ, თუ როგორ შეუძლიან კაცობრიობას ამ სურვილის განხორციელება.

ამ უკანასკნელის თვალით თუ შევხედეთ იმპერატორის ნიკოლოზის მიერ კონფერენციაზე სახელმწიფოთა წარმომადგენელების მოწვევას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქმე იმაშია, რომ იმპერატორის რესკრიპტი იწვევს იმის გარდასაწყვეტად წარმომადგენელებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მომავალში, რომ აუარებელი ხარჯი შეიარაღებაზე მოიცილონ თავიდან და თანაც ჯარის შემცირებასთან მშვიდობიანობა დაიცვან.

თუ თვალი გადავავლეთ წარსულს კონფერენციებს და სხვა გვარ კრებულს და ერთად განსჯას რაიმე კითხვისას ევროპის წარმომადგენელთა მიერ, ჩვენ დავინახავთ რომ ყველა ეს კონფერენციები, კონგრესები, კონვენციები იკრიბებოდნენ შესახებ წარსული რაიმე მოვლენისა და უმეტეს ნაწილად აქ ბაასი იყო იმაზე, თუ როგორ და რა ნაირად უნდა დაჯილდოვდეს ან დაკმაყოფილდეს ის თუ ეს გამარჯვებული სახელმწიფო. რასაკვირველია იყო სხვა გვარი კონგრესები და კონვენციებიც, იყო ისეთი კონგრესებიც, სადაც იბაასეს და კანონებიც კი გამოსცეს შესახებ ერის მომავალ მოქმედებათა, მაგრამ ეს კონგრესები განაგებდნენ არა პოლიტიკურ, არამედ სხვა კერძო საქმეებს. პოლიტიკური მიზნით და მეტადრე ისეთი პოლიტიკური მიზნით, რომელიც შეეხება არა ერთს და ორს, არამედ ყველა თითქმის სახელმწიფოს, კონგრესი შესახებ სახელმწიფოთა მომავალ მოქმედებისა თითქმის რომ არ ყოფილა. იმპერატორის მოწვევა 12 აგვისტოს კი შეეხება სწორედ პოლიტიკურის მხრივ სახელმწიფოთა მომავალ მოქმედებებს და ამნაირად იწყობს ახალს ხანას «ერთა შორის კანონმდებლობაში». ცხადია, ამ გვარ კონფერენციას მომავალში მოჰყვება სხვა კონფერენციაც და ამ გვარად «ერთა შორის კანონმდებლობაში» დაიბადება ისეთი კანონები, რომელნიც სავალდებულო შეიქნებიან მომავალში ერთა და სახელმწიფოთათვის. ვიმეორებთ ასეთი დიდი მნიშვნელობა ექნება ამ ერთა შორის კანონმდებლობას მაშინ, როცა სავალდებულო გახდება სახელმწიფოთათვის. მცირე ღონისძიებაც კი, არამც თუ ისეთი დიდი შველა, როგორიც ამ საქმეს გაუწია იმპერატორის ნიკოლოზის რესკრი-

პტმა, ძალიან დიდად დასაფასებელია და ჩვენ გვჯერა, რომ მოვა კიდეც დრო, როდესაც თითქმის წმინდანების რიცხვში ჩასწერენ იმათ სახელებს, ვინც თავისის ქომაგობით და დახმარებით გაამაგრა, და ძალ-ღონე მისცა ერთა შორის კანონმდებლობას, ამ მომავალს ერთად ერთ მკურნალს კაცობრიობის ჭრილობებისას, ამ ერთად ერთ მსაჯულს ერთა და სახელმწიფოთა შორის.

გ. ი. გმელიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## I

ხალხური ანდაზები და გამოცანები, შეკრებილი და გამოცემული სოსიკო მერკვილაძისაგან, ტფილისი 1898 წ., 66 გვ. in 16°, ფასი ორი შაური.

ანდაზა—სხარტულად გამოთქმული სიბრძნეა ხალხისა, მთელის საუკუნოების დაკვირვების შედეგი და წარმონაშობი. ისე მკაფიოდ არსად იხატება დაკვირვება ამა და თუ იმ ხალხისა, როგორც ანდაზაში. კიდეც ამიტომა აქვს საპატიო ადგილი ანდაზას ხალხის ზეპირსიტყვაობაში. დიად მადლობის ღირსია ყველა, ვინც ხალხში გაბნეულს ანდაზებს თავს უყრის, ერთად აჰკინძავს და ჰბეჭდავს, რომ ჩამომავლობას არ დაუკარგოს წინაპართა განძი. ახლა კითხვა ისაა, გააუწია რამე სამსახური ჩვენს მწერლობას და მადლობის ღირსია თუ არა ბ-ნი სოსიკო მერკვილაძე, რომლის შეკრებილი(?) ანდაზები წინ გვიძევს? არ ვიცით, თვითონ ბ-ნი მერკვილაძე რა აზრისაა თავის თავზე, და ჩვენ კი გულახდით მოვახსენებთ, რომ ტყუილად დამაშვრალა. ამიტომ რომ ის, რაც ბ-ნს მერკვილაძეს ცალკე დაუბეჭდია, უკვე მოიპოვება ცალკევე დაბეჭდილი და ღირს ორივე ორ შაურად იმ განსხვავებით კი, რომ მერკვილაძის ანდაზათა კრებულში ერთი-ორად ნაკლები ანდაზებია, ვიდრე იმ კრებულში, რომელსაც მე მოგახსენებთ. ეს კრებული გახლავსთ ჩვენის ძველის მწერლობისა და ზეპირ-სიტყვაობის მოტრფიალესი ბ-ნის პეტრე უმიკაშვილისა, გამოცემული 1876 წ. ამ კრებულში დაბეჭდილია ანდაზები, როგორც თვით ბ-ნ უმიკაშვილისაგან შეკრებილი, ისე დ. ჩუბინაშვილის ქრისტომატიაში მოქცეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანადა გვრჩება, რისთვის დაბეჭდა ბ-ნ სოსიკო მერკვილაძემ თავისი ანდაზები, როცა იგივე ანდაზები და ერთი იმოდენი კიდევ სხვა ბ-ნის უმიკაშვილის კრებულშია დაბეჭდილი და უფრო უკეთესის რედაქციითაც? ეს ერთი. მეორეც, თუმცა ბ-ნი მერკვილაძე თავისის კრებულის წინასიტყვაობაში გვაუწყებს: ანბანზე ავკინძე ანდაზეებიო, მაგრამ ეგ აკინძვა მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ ანდაზები მხოლოდ თითოეულ ანბანის ასოზედ არის ერთად მოქუჩებული, ხოლო მარტო ეს როდი კმარა! თვით იმ ერთის ასოს ანდაზებსაც უნდოდა თავის მხრივ ანბანურს წესზე დაწყობა-დალაგება, როგორც ესა აქვს ბ-ნს უმიკაშვილსა, რაიცა შემკრებელსაც და მკითხველებსაც მეტის მეტად უადვილებს რომელისამე ანდაზის მოძებნას. თორემ, ახლა მერკვილაძის კრებულში რომელისამე ანდაზის ნახვა რომ გინდოდესთ, მთელის ერთის ასოს ანდაზები თავიდან ბოლომდე უნდა ჩაიკითხოთ!

ამას ვერ ვიტყვით, რომ ეს ანდაზები საკუთრად ბ-ნ მერკვილაძისაგან არ იყოს გაგონილი და ჩაწერილი, მაგრამ როცა მერკვილაძე ცალკე სტამბავდა, ვალდებული იყო შეეტყო: ამგვარი ანდაზები სხვასაც ხომ არ ჰქონდა გაგონილი და დაბეჭდილი, რომ ფუჭად არ ეშრომნა, როგორც ახლა მოუვიდა. ეს კიდევ არაფერი. ბ-ნს უმიკაშვილს სრული უფლება აქვს სთქვას, რომ მერკვილაძემ ჩემის მზამზარეულის კრებულით ისარგებლა, როცა თავის კრებულსა ჰბეჭდავდაო.

ეს ანდაზები პირველად აკაკის „კრებულში“ (№ IX) დაიბეჭდა. გვიკვირს, თუ ბ-ნმა მერკვილაძემ არ იცოდა პ. უმიკაშვილის კრებულის არსებობა, პატივცემულმა აკაკიმ ხომ კარგად იცოდა, მით უფრო რომ უმიკიშვილის ანდაზათა კრებულის შესახებ გაზეთ „დროებაში“ წერილიცა ჰქონდა.

წიგნის მეორე ნახევარში დაბეჭდილია ხალხური გამოცანები, რომლებიც დიდად სასურველია გავრცელდეს ჩვენებურს ოჯახებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II

**Тифлисское церковное древнехранилище, Т. 1898.** 106 გვ. (ტფილისის საეკკლესიო ძველ ნაშთთა საცავი).

საქართველოში ძველის საეკკლესიო ნივთებისათვის შესაფერ საცავის დაწესება პირველად ჩვენმა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ ითავა. წელს 10 წელიწადი შესრულდა, რაც ესეთი დაწესებულება არსებობს „ტფილისის საეკკლესიო ძველ ნაშთთა საცავის“ სახელითა. ბევრს ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებში გაბნეულს სიგელ-გუჯრებს, არქეოლოგიურს ნივთებს, ძველს ხელნაწერებს მოეყარა თავი, რომელთაც ესდენი მნიშვნელობა აქვსთ როგორც კერძოდ საქართველოის ეკკლესიისათვის, ისე საზოგადოდ მეცნიერებისათვის. მუნ იხილავთ მე-IV საუკუნის ხელნაწერებს, ძვირფას სამღვდელ-მთავრო შესამოსლებს, რომლებიც მოწმობენ ჩვენში ძველად ხელობის განვითარებასა, ძვირფას ჯვრებსა, საოცარის სიწმინდით ნახარატევსა, ძველს ფულებსა და მ. სხ.

გამგეს ამ ძველ ნაშთასაცავისას, ბ-ნს მოსე ჯანაშვილს, ძალიან კარგად უნებებია, რომ შეუდგენია სია ყველა ნივთთა, ამ საცავში მოქცეულთა, რომლის სათაურიც ზემორე აღმოვწერევით. როგორც ამ სიიდანა სჩანს, ამ ჟამად იქ ინახება განხილული და სიაში შეტანილი 271 წიგნი (ხელ-ნაწერი), 992 სიგელი, უკვე შესწავლილი ბ-ნის მოსე ჯანაშვილისაგან. ამასთანავე, ბ-ნს ჯანაშვილს ყველა ხელნაწერები პალეოგრაფიულად გადაუხატავს, და ასე გადანახატი სხვა და სხვა დროისა და სხვა და სხვა ისტორიულ გვამთა ხელ-ნაწერისა შეადგენს ცალკე რვეულს 120 გვერდიანს. აღნუსხულია აგრეთვე, მოკლე აღწერილობით, საეკლესიო ნივთნი და ძველი ფულები, რიცხვით 55. ხსენებულს კატალოგს, რომლის შედგენას, როგორც ეტყობა, ბ-ნმა მ. ჯანაშვილმა მოანდომა რამდენიმე წელიწადი, წინ უძღვის: წესდება ძველ ნაშთთა საცავისა და მოკლე მიმოხილვა ამ ნაშთთა-საცავის დაარსებისა და მის გამგე კომიტეტის სამეცნიერო მოღვაწეობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ ნაშთთა საცავის კომიტეტის თავმჯდომარედა ბრძანდება ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოსი ლეონიდი, ხოლო გამგედ ბ-ნი მოსე ჯინაშვილი.

ეს კატალოგი რუსულად არის გამოცემული. სასურველია ქართულადაც გამოიცეს, ამიტომ რომ მუზეუმის მნახველნი ქართველნიც ბევრნი მოდიან, რუსულის უცოდინარნი.

III

დიდ-ოთხშაბათი, პოემა იასონ ციციშვილისა, ტფ. 1898 წ. გვერდი 31, ფასი ორი შაური.

მეტად საყურადღებოა ჩვენის ეტნოგრაფიის მკვლევართათვის პოემა თავადის იასონ ციციშვილისა „დიდ ოთხშაბათი“. ამ წიგნში აღწერილია კუდიანობა ღამე, რომელიც ქართლში დიდ-ოთხშაბათს არის ხოლმე. დაწვრილებით მოთხრობილია კუდიანის დედაკაცის წასვლა იალბუზზე, სადაც ქართლელის აზრით, კუდიანების უფროსი—ტარტაროზი თავისს ხელ-ქვეითთაგან—კუდიანებისაგან—ძღვენსა და შესაწირავს იღებს. ხალხის რწმუნება სავსებით და ნათლად არის დახატული ამ „პოემაში“. მაგრამ სამწუხაროდ, თ. ციციშვილის ნაწერი რამდენად საინტერესოა შინაარსის მხრივ, იმდენად სუსტობს გარეგნობით. თავადს ციციშვილს ტყუილად მიუმართავს ლექსისთვის. ჩვენ წავვიკითხავს მისი პროზაცა და უნდა ვსთქვათ რომ ასე წერა უფრო ემარჯვება, ვიდრე ძალის დატანება თავის და ლექსად გამოთქმა აზრისა. გარდა იმისა, რომ მისი ლექსები პოეზიას მოკლებულია, ალაგ-ალაგ ვერ ლექსობს და უზომოც არის ხოლმე. მაგალითად, წიგნის მე-14 გვერდზე ასეთი ლექსია დაბეჭდილი:

„რაც ვაგლახი გზაში შემხვდა
„და სანახი საოცარი,
„ის თუ ზღაპრად სადმე თქმულა,
„თვარა (თორემ) ნამდვილ ვით იქნება დასაჯერი;“

გულწრფელად ვურჩევთ ჩვენს ავტორს, ასეთი ამბები პროზითა სწეროს: არც თვითონ გასწევს იმდენს შრომასა და მკითხველიც უფრო ხალისით წაიკითხავს ზემორეხსენებულის შინაარსის ნაწერსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## IV

უმთავრესი მიზეზი საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა, ზ. ჭ.—ისა, ტფ. 1898 წ. ფასი 25 კაპ.

მისიონერები კათოლიკეთა სარწმუნოებისა დიდის ხნიდანვე აქცევდნენ ყურადღებას საქართველოსა. ამ ქრისტიანე მხარეს, ყოველის მხრით მოსისხლე მტრებით შემუზღუდულს, რომელნიც დედამიწის პირისაგან აღგვას ემუქრებოდნენ ერთ მუჭა ქართველ ერს, არ შეეძლო სიბრალულის გრძნობა არ აღეძრა სხვა და სხვა ორდენების კათოლიკე ბერებში. და ისენიც რამდენისამე საუკუნის წინად სიარულს იწყებენ საქართველოში, უახლოვდებიან აქაურს მაღალს წოდებას, თავისის ალერსიანის ქცევით, ცოდნით, შორს გამჭვრეტელობით მათს გულს იგებენ და კათოლიკეთა სარწმუნოების აღმსარებლებადაცა ხდიან. ჰბეჭდავენ 1520 წელს საქართველოის რუკასა, ევროპას აცნობენ ქართველებს, აბრალებენ: თუ არ დაეხმარეთ, ხელიდან გამოგვაცლის ქრისტეის სჯულის მტერი—მაჰმადიანობაო. ისინივე ხსნიან პირველად რომში XVII საუკუნის დამდეგს ქართულს სტამბასაც, სადაც ქართულ-იტალიური ლექსიკონი იბეჭდება.

მეტად საჭიროა, კათოლიკე ბერების საქართველოში შემოსვლისა, აქ ფეხის მოკიდებისა და მოღვაწეობის ისტორია გვქონდეს. დღემდე ქართველი მკითხველი იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებსა სჯერდება, რასაც ბ-ნი ზ. ჭიჭინაძე გვაწოდებს კათოლიკე-მისიონერთა შესახებ.

აი ახლაც ხელთა გვაქვს ამ აზრით გამოსული წიგნი, რომლის სათაური უკვე ამოვსწერეთ. აზრი ავტორისა ფრიად სიმპატიურია, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი შრომა მოკლებულია იმას, ურომლოდ ამა თუ იმ შრომას ყველაფერი დაერქმის გარდა „შრომისა“. ავტორს ბევრი საინტერესო ცნობები აქვს აღნუსხული თავისს წიგნში, მაგრამ ერთი რამ დაჰვიწყნია: ყურადღება არ მიუქცევია მკითხველის მოთხოვნილებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულუბრყვილო როდია ყველა მკითხველი, რომ მის ნათქვამს სიტყვა შეუბრუნებლად დაენდოს? ზოგი ისეთი სკეპტიკია, ცხრა ხატსა და სახარებაზე რომ დაუფიცოთ, მაინც არ დაგიჯერებსთ, სანამ უტყუარს, თვალსაჩინო საბუთს არ წარუდგენთ თქვენის ნათქვამისას. დიაღ, მიუხედავად თავისის უეჭველ ღირსებისა, წიგნს ნაკლიცა აქვს: ახალი მკვლევარი კათოლიკეთა აქ შემოსვლის ისტორიისა ხსენებულს შრომას ვერ დაემყარება, ყოველს ფაქტს ეჭვის თვალით შეხედავს.

წიგნის კანზე განცხადებაა დაბეჭდილი, რომელიც გვაუწყებს, რომ ხუთი კიდევ სხვა წიგნი გამოვა ქართულს ენაზედ საქართველოში კათოლიკების შემოსვლის შესახებათ. იმედია, ამათი ავტორები მაინც აიცილებენ იმ ნაკლს, რომელიც ზემოდ აღვნიშნეთ.

სადღეგრძელოები, „გლეხის“ გამოცემა, № 7, ტფ. 1898 წ. 28 გვერდი, ფასი ერთი შაური.

„გლეხის“ ამხანაგობას კარგი საკითხავი წიგნი უძღვნია თავისის მკითხველისათვის. ამ გამოცემაში მოთავსებულია ცნობილი ლექსები: „სადღეგრძელო“—გრიგოლ ორბელიანისა, „ალავერდი“—მამია გურიელისა, „ალლავერდი“—ივ. კერესელიძისა და „იახში-ოლ“,—რუს-იმერელისა. ყველა ლექსს სიამოვნებით წაიკითხავს მკითხველი, თუმცა მამია გურიელის ლექსი „ალავერდი“ დასავლეთ საქართველოში თითქმის ყველამ ზეპირად იცის.

S—a

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია
გამომცემელი ალექსანდრე ჯაბადარი